

ვეფხვია გვარამია

Verkhvia Gvaramia

Вепхвия Гварамия

ინტერპოლი და ევროპოლი

საერთაშორისო საკოლიციო თანამშრომლობის
ეფექტური მექანიზმები

INTERPOL AND EUROPOL

EFFECTIVE MECHANISMS OF INTERNATIONALE
POLICE COLLABORATION

ИНТЕРПОЛ И ЕВРОПОЛ

ЭФФЕКТИВНЫЕ МЕХАНИЗМЫ МЕЖДУНАРОДНОГО
ПОЛИЦЕЙСКОГО СОТРУДНИЧЕСТВА

სახეუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2009

წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველი გამოკვლევაა, რომელიც ინტერპოლისა და ევროპოლის ნამოყალიბების, მისი იურიდიული ბუნების განვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად საერთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის თეორიასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების წარმოიწინას ეთმობა. ნაშრომში ცალკეულ პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით მოცემულია ავტორისეული თვალთახედვა. ნაშრომში დოგმატური, ნორმატიული და შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით კომპლექსურადაა გამოკვლეული ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების თავისებურებები, მათი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მაშტაბით ეფექტური საქმიანობის სპეციფიკა. აქვე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს ინტერპოლის ეცბს (ეროვნული ცენტრალური ბიუროს) საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების პრობლემებს და პრაქტიკულ საკითხებს.

რედაქტორი: აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფ. ლევან ალექსიძე

რეცენზენტი: სამართლის დოქტორი, ივ. ავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფ. ირინა ქურდაძე

© გვარამია ვეფხვია. 2009.

© სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ISBN 978-9941-0-1974-6

შესავალი ————— 6

I თავი. სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის პერიოდიზაციის საკითხისათვის ————— 10

I. § 1. სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის სამართლებრივი სტატუსი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე ————— 14

I. § 1. 1. სახელმწიფოთა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობა ხელშეკრულებების ფარგლებში ————— 14

I. § 1. 2. სახელმწიფოთა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობა მუდმივი და დროებითი საერთაშორისო გაერთიანების ფარგლებში ————— 16

I. § 2. ინტერპოლის სამართლებრივი სტატუსი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე ————— 28

I. § 2. 1. სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის სტატუსიდან ინტერპოლის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის ატრიბუტიკამდე ————— 48

I. § 2. 2. ინტერპოლის, როგორც სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დე იურე სტატუსის განსაზღვრა ————— 36

I. § 3. ინტერპოლი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე ————— 39

I. § 3. 1. ინტერპოლის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის დე ფაქტო აღიარების თავისებურებანი ————— 40

I. § 3. 2. დანაშაულობასთან ბრძოლაში ინტერპოლის საერთაშორისო სტრატეგია ————— 44

I. § 4. ინტერპოლი და ევროპოლი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ————— 47

II თავი. ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების, მათთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების, კანონმდებლობის და საერთაშორისო

- ხელშეკრულებების როლი საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობაში-----57
- II. § 1. ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების როლი საპოლიციო თანამშრომლობის უზრუნველყოფაში-----58
- II. § 1. 1. ინტერპოლისა და ევროპოლის არმომადგენლობითი ორგანოების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, მათ მიერ მიღებული დოკუმენტების სამართლებრივი ბუნება-----60
- II. § 1. 2. ინტერპოლისა და ევროპოლის მაკონტროლებელი და აღმასრულებელი ორგანოების შედარებით სამართლებრივი ანალიზი -----66
- II. § 2. ინტერპოლთან და ევროპოლთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების და კანონმდებლობის ეფექტურობის საკითხისათვის-----76
- II. § 2. 1. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აშშ-ში-----78
- II. § 2. 2. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო რუსეთის ფედერაციაში -----82
- II. § 2. 3. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო შვეიცარიის ფედერაციაში-----86
- II. § 2. 4. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში-----89
- II. § 2. 5. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო თურქეთის რესპუბლიკაში -----93
- II. § 2. 6. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ოპტიმალური მოდელი -----96
- II. § 3. საქართველოში ინტერპოლთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმისა და ნორმატიული წყაროების საკითხისათვის-----105
- II. § 4. ინტერპოლის და ევროპოლის ადგილი საერთაშორისო ხელშეკრულებებში-----111
- III. თავი. ინტერპოლის და ევროპოლის როლი ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში-----119
- III. § 1. ინტერპოლის და ევროპოლის როლი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში-----128

III. § 2. ინტერპოლის და ევროპოლის როლი ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში	186
III. § 3. ინტერპოლის და ევროპოლის როლი განსაკუთრებული კულტურული ღირებულების მქონე ფასეულობების ძებნაში	188
III. § 4. ინტერპოლის და ევროპოლის როლი ყალბი ვალუტის და ფასიანი ქაღალდების დამზადების წინააღმდეგ ბრძოლაში	189
III. § 5. ინტერპოლის და ევროპოლის როლი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში	205
III. § 6. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმების და ძებნის განხორციელება ინტერპოლის ეცბ-ს და ევროპოლის მექანიზმების მეშვეობით	225
დასკვნა	242
რეზიუმე რუსულად	255
რეზიუმე ინგლისურად	274
ბიბლიოგრაფია	291

შესავალი

თემის აქტუალობა. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში განვითარების ახალ სტადიაზე გადადის, რაც აქტუალურს ხდის მისი წარმოშობისა და განვითარების კვლევას, შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას.

მაშინ, როცა საქართველო ცდილობს საერთაშორისო მაშსტაბით ორგანიზებულ დანაშაულს გამოუცხადოს ბრძოლა, ადგილი დაიმკვიდროს ევროკავშირში და ნატოში, მიზანშეწონილია ინტერპოლთან და ევროპოლთან თანამშრომლობისათვის შეიქმნას სათანადო საინფორმაციო, სამეცნიერო და სამართლებრივი ბაზა.

სწორედ ამიტომ აქტუალურია ამ მხრივ დღემდე საერთაშორისო სამართალში არსებული ისტორიული მონაცემების, ნორმატიული ბაზის, გავლენიანი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და მათი ურთიერთთანამშრომლობის მოდელების კვლევა.

წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს ინტერპოლისა და ევროპოლის სამართლებრივი სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული საკითხებიც, რაზეც ჩვენი თვალთახედვა სხვადასხვა ეპოქაში წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრებების გამოკვლევითაა ჩამოყალიბებული.

თემის აქტუალურობას განაპირობებს ისიც, რომ მასში მოცემული საკითხები სხვადასხვა მიზეზის გამო კომპლექსურად საქართველოში დღემდე არ ყოფილა გამოკვლევული, მაშინ, როცა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები ინტეგრაციის პროცესის პარალელურად აღნიშნული საკითხების კვლე-

ვასა და პრაქტიკაში დამკვიდრებას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ.

ნაშრომის აქტუალურობას ზრდის ის ფაქტი, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები და მოსახლეობის დიდი ნაწილი მწირ და არასწორ ინფორმაციას ფლობს ინტერპოლისა და ევროპოლის შესახებ, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სახელმწიფოთა შორის სამართლებრივ თანამშრომლობას.

ინტერპოლისა და ევროპოლის ფარგლებში ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის, საერთაშორისო შიდა-სახელმწიფოებრივი ნორმატიული ბაზის სრულყოფის პროცესში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აქტუალურია რეკომენდაციებისა და წინადადებების გამოჩუშაება.

მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის მიწოდება სარგებლობას მოუტანს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს და საზოგადოებას.

ნაშრომის მიზანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობაა დღემდე არსებული სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შესწავლა, კვლევა და ამის საფუძველზე პრობლემის წარმოიწინის გზით სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების გამოჩუშაება.

პირველ რიგში გამოკვლეულია სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის გენეზისი და დღემდე ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შექმნის პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში.

მისი განვითარება პირობითად მართებულია დაიყოს ოთხ პერიოდად, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა

განსხვავებული შეხედულებების პირობებში, თოთოეულ მონაკვეთში სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის, ინტერპოლისა და ევროპოლის სამართლებრივი სტატუსის დადგენა, მათ მიერ მიღებული ნორმატიული წყაროების მნიშვნელობა, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინაციაში.

ნაშრომის მიზანია ასევე, აღნიშნული დარგის სპეციალისტებს სწორი წარმოდგენა შეექმნათ ინტერპოლისა და ევროპოლის სტატუსზე, მათ მიერ მიღებული აქტების იურიდიულ ბუნებაზე, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

ნაშრომის ერთ-ერთი მიზანდასახულობაა ინტერპოლთან და ევროპოლთან ეფექტური თანამშრომლობისათვის საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მოსამზადებლად წინადადებების წარმოდგენა. ამავე დროს, ნაშრომის მიზანია მოცემული საკითხის გამოკვლევით მისი პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენა და სასწავლო პროგრამებში დანერგვა სათანადო კადრების მოსამზადებლად.

ნაშრომის მეთოდი. სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შექმნას საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში განაპირობებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების თანაფარდობის დადგენა, ასევე ამ სფეროში სხვადასხვა დარგის, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის, კონსტიტუციური სამართლის, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის სათანადო ცოდნა და საერთაშორისო ორგანიზაციების იურიდიული ბუნების დადგენა საჭირო.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის თანაფარდობითმა, დარგთაშორისმა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელმა თვისებურებებმა განაპირობა ისტორიულ-სამართლებრივი,

ნორმატიული და შედარებითი-სამართლებრივი ანალიზის მეთოდების გამოყენება, რამაც გამოსაკვლევი თემის კომპლექსური დამუშავება განაპირობა.

საინფორმაციო ბაზა. ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს: ისტორიული ფაქტები, მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები, ნორმატიული წყაროები, ინტერნეტში მოპოვებული მასალები, ინტერპოლის და ევროპოლის პრაქტიკა და სტატისტიკური მონაცემები. ნაშრომში გამოყენებული საინფორმაციო ბაზა სამ ჯგუფად შეიძლება დაჯგოთ:

1. განსახილველ თემასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები;

2. განსახილველ ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები;

3. ინტერპოლისა და ევროპოლის საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული კომპლექსური ინფორმაცია.

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმების პროცესში, აღნიშნული საინფორმაციო ბაზის გათვალისწინებით კვლევის განხორციელებას თეორიული, პრაქტიკული და იურიდიულ ფაქულტეტებზე სასწავლო-მეთოდური დანიშნულებაც გააჩნია.

თავი I. სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის პერიოდიზაციის საკითხისათვის

სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის იდეა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. მათივე დეფინიციით აღნიშნავს, რომ „მე-19 ასწლეულის მანძილზე საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის წინსვლის მკდელობა მრავალმხრივ ფართო მასშტაბში ძირითადად ორგანიზებული იყო საერთაშორისო სამართლის დონეზე და არა საპოლიციო დაწესებულებების ადმინისტრაციულ დონეზე.

საერთაშორისო სამართლის გაფართოება დადგენილი იყო ნაციონალური სახელმწიფოების მთავრობათაშორის ფორმალურად მიღწეული შეთანხმებებით, მაგრამ მთავრობათაშორის ასეთ თანხმობას არ შეეძლო პოლიციათაშორის პრაქტიკული თანამშრომლობის საფუძველი გამსდარიყო“.¹

ლოკალური საპოლიციო თანამშრომლობა იმუამად მიმართული იყო ფართოდ გავრცელებული რევოლუციურ-პოლიტიკური საქმიანობის ჩახშობისაკენ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა 1851 წ. გერმანულ სახელმწიფოთა პოლიციის კავშირი, რომელიც ყოველწლიურად აწყობდა შეკრებებს, სადაც განიხილებოდა რევოლუციურ საქმიანობაში ეჭვმიტანილთა ინფორმაციის მიღებისა და პოლიტიკური ლიტერატურის ჩამორთმევის საკითხები.²

¹ Deflem Mathieu, "Wild Beasts Without Nationality" The Uncertain Origins of Interpol, 1898 – 1910, 275 -285 Pp. in The Handbook of Transnational Crime and Justice, edited by Philip Reichel. Thousand Oaks, CA: Sage Publications. 2005, P. 276.

² იხ. Deflem Mathieu, „International Policing in 19th-Century Europe: The Police Union of German States. 1851-1866.~ International Criminal Justice Review. Volume 6. 1996, (Georgia State University, Atlanta. U.S.A.) Pp. 36-57.

XIX საუკუნის 80-იან წლებამდე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოთაშორის ლოკალურ საპოლიციო თანამშრომლობას და არა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში საპოლიციო თანამშრომლობის მექანიზმის შექმნას.

საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინაცია დაკავშირებულია ინტერპოლის ჩამოყალიბებასთან. სწორედ ამიტომ მისი ფორმირების სპეციფიკურობის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარკვეულ ეტაპებზე ამ ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დასადგენად, მისი ფუნქციონალური დატვირთვის გასაგებად და თანამედროვე ეტაპზე დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმის შესაქმნელად.

ამასთან ერთად ისტორიული პრობლემების გათვალისწინებით, აღმოცენებული ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკის ანალიზი დაგვეხმარება ინტერპოლის მეშვეობით სახელმწიფოთა სამართლებრივი დახმარების პერსპექტივების განსაზღვრაში, რაც რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციის სასურველი მიმართულებით განვითარების და მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს ზრდის.

ინტერპოლის პრობლემების შესწავლით დაინტერესებული იურისტების დიდი ნაწილი მის შექმნას უკავშირებს პოლიციის საერთაშორისო კონგრესის მიერ 1923 წლის 7 სექტემბერს მუდმივმოქმედი ორგანიზაციის – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის დაფუძნებას და მისი წესდების მიღებას. ის შეიქმნა, როგორც პოლიციის მსოფლიო კონგრესის დამხმარე ორგანო, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ მოიწვეოდა.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიამ ადგილი დაიღო ვენაში, ავსტრიის შის-ს შემადგენლობაში. ის ფინანსურად და ადმინისტრაციუ-

ლადაც დამოკიდებული იყო მასზე. ეს გარემოება ნათლად წარმოაჩინეს იმას, რომ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია არ იყო ნამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაციად, თუმცა გარკვეული წინაპირობები არსებობდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის შესაქმნელად.

იურისტთა ნაწილი ინტერპოლის შექმნის ათვლის პერიოდად 1914 წლის აპრილს მიიჩნევს.³ მონაკოს სახელმწიფოს მეთაურის ალბერტ I ინიციატივით მოწვეული პოლიციის საერთაშორისო კონგრესზე მიღებულ გადაწყვეტილებებში აისახა სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიციის ორგანოების უშუალო თანამშრომლობის საკითხისადმი პრინციპული დამოკიდებულება. კონგრესზე მნიშვნელოვანი იყო იდენტიფიკაციის საერთაშორისო სამსახურის შესაქმნელად მოსამზადებელი რეზოლუციის მიღება.

ინტერპოლის შექმნა ხანგრძლივ და რთულ პროცესს წარმოადგენდა, რაც სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული, სწორედ ამიტომ ძნელია იმის მტკიცება თუ რომელ წელს დაფუძნდა ის. ამისათვის მართებულია გამოკვლეული იქნას XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის მაკოორდინირებელი ორგანიზაციის შექმნის მცდელობის თავისებურებანი და ის გარემოებები, რამაც განაპირობა აღნიშნული ორგანიზაციის ფორმირება.

მოცემული იდეის ხორცშესხმა, როგორც უკვე ვახსენეთ, დაიწყო 1914 წლიდან, თუმცა სამომავლო გეგმები და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საფუძვლები სათანადოდ არ იყო ფორმულირებული. 1923 წელს მუდმივმოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის

³ იხ. Interpol. General information. Lyons: General Reference Department. 1995. P. 2.

წესდების მიღების მიუხედავად, ის დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა არსებობას.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩნდება ტერმინი „ინტერპოლი“ და მიღებული იქნა ახალი წესდება, ხოლო 80-იანი წლებიდან ის არასახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციიდან ცნობილი იქნა სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციად. ამასთან ერთად, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტუალური გახდა რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის ევროპოლის შექმნისა და მისი მომავალი საქმიანობის საკითხი.

სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეუექტური მექანიზმის შექმნა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში ხანგრძლივი პროცესი იყო. სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გარკვეულ ეტაპზე სამართლებრივი სტატუსის დადგენის მიზნით შესაძლებელია მათი განვითარების ისტორიის პირობითად ოთხ პერიოდად დაყოფა:

1. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე;
2. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე;
3. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე;
4. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

დროთა განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეუექტური მექანიზმების შემდგომ სრულყოფასთან ერთად ასეთი დაყოფა შესაძლებელია შეიცვალოს, თუმცა დღეისათვის ასეთი კლასიფიკაცია გააადვილებს თითოეულ პერიოდში ასეთი ორგანიზაციების ფუნქციონალური დატვირთვის და სამართლებრივი სტატუსის დადგენას. ასევე საკანონმდებლო, თეორიული, პრაქტიკული პრობლემების წარმოჩენას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

I. §1. სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის სამართლებრივი სტატუსი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე

პირველი პერიოდის თავისებურებად შეიქმნება მივიწინოთ სისხლის სამართლებრივ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მაკოორდინირებელი ორგანიზაციის შექმნის წინაპირობები და მისი დაფუძნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილმა გარემოებამ, კერძოდ, საერთაშორისო კავშირების კოლოსალურმა ზრდამ გააფართოვა საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვი, რამაც განაპირობა დანაშაულობის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში რამოდენიმე მიმართულებით წარიმართა; ა) ხელშეკრულებების ბ) კონგრესების, გ) კომისიების, დ) კონფერენციების და ე) საზოგადოებრივი გაერთიანებების ფარგლებში.

I. §1.1. სახელმწიფოთა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობა ხელშეკრულებების ფარგლებში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოთაშორის სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში არსებული შეთანხმებები ორ ჯგუფად, ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებად შეიქმნება დაეყოთ.

ორმხრივი ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია საფრანგეთისა და ბელგიის 1869 წლის, საფრანგეთისა და დანიის 1877 წლის, გერმანიისა და ესპანეთის 1878 წლის, რუსეთის და ბელგიის 1872 წლის, რუსეთისა და ბავარიის 1869 წლის, რუსეთისა და ავსტრიის 1874 წლის, რუსეთისა

და გერმანიის 1869 წლის, რუსეთისა და ესპანეთის 1877 წლის ხელშეკრულებები.

ზემოაღნიშნული პერიოდისათვის შუა და სამხრეთამერიკულ რეგიონში ხშირად გვხვდება კონვენციები საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით. 1878 წელს ზოგიერთმა სამხრეთამერიკულმა სახელმწიფომ დადო შეთანხმება საერთაშორისო კერძო სამართლის ერთიანი განსაზღვრის თაობაზე, რომელშიც გვხვდება საერთაშორისო სისხლის სამართლის შეთანხმებანი, სადაც გარკვეული ადგილი უკავია „დამნაშავეთა გადაცემას“.

1889 წლის 23 იანვარს ხელი მოეწერა სართაშორისო სისხლის სამართლის შეთანხმებას. ეს შეთანხმება რატიფიცირებული იქნა არგენტინის, ბოლივიის, პარაგვაის, პერუს და ურუგვაის მიერ, რაც დღემდე ძალაშია.

გ. ჟვანია აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო ხასიათის სისხლისსამართლებრივ დანაშაულთა შესახებ დადებული საერთაშორისო შეთანხმებანი მათში მონაწილე სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ადგილს კი არ იჭერენ, არამედ ავალდებულებენ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ სწორედ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მეშვეობით შეასრულონ შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.“⁴

XIX საუკუნის მეორე ნახევარისა და XX საუკუნის დასაწყისის შეთანხმებები მონათვაჯრობის, პორნოგრაფიული ნაწარმოების გავრცელების აკრძალვის და სხვა დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუმცა ასეთი თანამშრომლობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოებით და დანაშაულებით).

⁴ ჟვანია გ. საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულობასთან ბრძოლაში. „მეცნიერება.“ თბილისი, 1975. გვ. 6-7.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მაშტაბით ორგანიზებული დანაშაული მოითხოვდა სახელმწიფოთა კოორდინირებულ და კომპლექსურ თანამშრომლობას, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა გამოიკეთა რამოდენიმე მიმართულება, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხელს უწყობდა სახელმწიფოთაშორის სისხლისსამართლებრივ სფეროში თანამშრომლობას.

I. §12. სახელმწიფოთა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობა მუდმივი და დროებითი საერთაშორისო გაერთიანების ფარგლებში

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობა წარიმართა სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებების ფარგლებში, რომლებიც გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებოდა და კომპლექსურად არ უდგებოდა აღნიშნულ პრობლემას.

1872 წელს პირველ საერთაშორისო პენიტენციულურ კონგრესზე შეიქმნა პენიტენციული და საერთაშორისო სისხლის სამართლის კომისია, რომელიც თავის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა „დანაშაულობასთან ბრძოლაში პოლიციის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას, სამართლებრივ ურთიერთდახმარებას, დამნაშავეთა იდენტიფიკაციას“⁵ და სხვა საკითხებს.

1888 წელს გერმანელი კრიმინალისტის ფრანც ლისტის თაოსნობით ჩამოყალიბდა კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულის გამო-

⁵ Бородин С. Ляхов Е. Международное сотрудничество в борьбе с уголовной преступностью. „Международные Отношения“ М., 1983 С. 16-17.

კვლევისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მეთოდების დანერგვაში.

კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირის ყრილობაზე კომპლექსურად განიხილებოდა:

1. პროცესუალური ხასიათის;
2. დანაშაულობასთან საერთაშორისო ბრძოლის; და
3. სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხები.⁶

XX საუკუნის დასაწყისში დანაშაულმა შეიძინა ინტერნაციონალური ხასიათი, სწორედ ამიტომ ცალკეული სახელმწიფოების მიერ მის წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად უშედეგო იყო. აუცილებლობა განაპირობებდა სახელმწიფოთა პოლიციის ორგანოების საერთაშორისო თანამშრომლობას და ძეგნის ორგანიზაციის ერთობლივ კოორდინაციას. პირველად ეს საკითხები განხილული იქნა 1902 წელს ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის პარიზის კონფერენციაზე, მოგვიანებით კი 1905 წელს ბუდაპეშტის პენიტენციურ ყრილობაზე და კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირის ფრანგულ ჯგუფში.⁷

ჰამბურგის ყრილობაზე პრუსიის პოლიციის სამმართველოს მრჩეველის დოქტორ ლინდენაუს და ჰამბურგის სისხლის სამართლის პოლიციის ხელმძღვანელის გოპფის შეთანხმების საფუძველზე წარმოდგენილი იქნა თეზისები, რომელიც პროფესორ ლისტის დამატებებით ყრილობის მიერ იქნა მიღებული.

საერთაშორისო თანამშრომლობისათვის რეკომენდებული იყო სახელმწიფოებში ცენტრალური ორგანოების დაფუძნება, რომელიც შევიდოდა დიდი ქალაქების პოლიციის შემადგენლობაში. მათ მუდმივად უნდა

⁶ Люблинский П.И. О деятельности международного союза криминалистов в период 1902-1908 г.г. „Право“ Еженедельный юридический журнал. 1909 №10 с. 635.

⁷ იხ. Люблинский П. И. О деятельности международного союза криминалистов в период 1902-1908 г.г. „Право“ Еженедельный юридический журнал, 1909 №11 с. 686-688.

შეფეროვებინათ და გაეცვალათ ინფორმაცია ტრანს-
ნაციონალურ დანაშაულზე. პოლიციის დაწესებულებებში
მოპოვებული მასალების მეცნიერული დამუშავება ემსა-
ხურებოდა საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული
დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემ-
დგომი პერსპექტივების განსაზღვრას.

ჰამბურგის ყრილობაზე ვან-გამელის წინადადებით
მოტივირებული იყო შედარებითი საერთაშორისო სისხლის
სამართლის კონცენტრაციის მნიშვნელობა. აღნიშნულის
მიხედვით კრიმინალისტა საერთაშორისო კავშირის ცენ-
ტრალურ ბიუროს დაევალა გამოეცა ბიულეტენი, რომელ-
შიც მოცემული იქნებოდა დანაშაულის საერთაშორისო
სტატისტიკა, მათი ჩადენის მეთოდები და ფორმები, რაც
მათი შედარების საშუალებას იძლეოდა და საბოლოოდ
ხელს უწყობდა საერთაშორისო თანამშრომლობას.

1904 წელს ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის
აკრძალვის საკითხის განხილვისას საფრანგეთის წარმო-
მადგენლებმა გააუღერეს საერთაშორისო პოლიციის ორგა-
ნიზაციის შექმნის იდეა,⁸ რამაც იმ პერიოდში რეალური
განხორციელება ვერ პოვა. თუმცა მოგვიანებით 1905 წელს
ურუგვაის, ჩილეს, ბრაზილიის და არგენტინის მონა-
წილეობით ჩატარებულ კონფერენციაზე მიღებული იქნა
გადაწყვეტილება დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო
თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად მიეწოდებინათ ერთ-
მანეთისათვის ინფორმაცია და აღმოეჩინათ პრაქტიკული
დახმარება.

1909 წლიდან 1914 წლამდე გამართულ პოლიციის
საერთაშორისო კონგრესებზე განიხილებოდა სხვადასხვა
სახელმწიფოს პოლიციის ორგანოებს შორის კოორდინირე-
ბული თანამშრომლობის პრობლემები. 1910 წელს ბუენოს-
აირესში მიზნად იქნა დასახული პოლიციის მსოფლიო
კავშირის დაფუძნება.

⁸ იხ. Tullett T. Inside INTERPOL. N. Y. 1965. p. 23.

ლ. გალენსკაია მიუთითებს, რომ „ინტერპოლის ისტორია იწყება XX საუკუნიდან.“⁹ მეცნიერი დასძენს, რომ „პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაქმნელად პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა 1914 წელს მონაკოში პოლიციის ჩინოვნიკების, ჩინოვნიკ-მაგისტრების და იურისტების შეხვედრაზე შემუშავებული იქნა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გეგმა.“¹⁰

იურისტების დიდი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 1914 წლის 14–18 აპრილს მონაკოს პერცოვის ალბერტ პირველის ინიციატივით სისხლის სამართლის პოლიციის I საერთაშორისო კონგრესის მოწვევა გახდა ინტერპოლის შექმნის წინაპირობა.¹¹

ი. ბელსონი კი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კონგრესის ორგანიზებას წინ უძღოდა ორწლიანი მომზადება, რომელიც ხორციელდებოდა სპეციალური კომიტეტის მიერ.¹² ამ უკანასკნელ გარემოებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის თანამშრომლობის საერთაშორისო სისტემის შესაქმნელად.

კ. როდიონოვი აღნიშნავს, რომ „კონგრესის გადაწყვეტილებებში ასახვა ჰპოვა შეკრებილ სპეციალისტთა პრინციპულმა მოსაზრებამ დიპლომატიური არხებით პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობისათვის აუცილებელი

⁹ Галенская Л. Н. Международная борьба с преступностью. „Международные Отношения“ М., 1972, с. 139.

¹⁰ იქვე.

¹¹ იხ. Самарин В. И. ИНТЕРПОЛ международная организация уголовной полиции. „ПИТЕР“ М., 2004, с. 9. Родионов К. С. ИНТЕРПОЛ. „Международные Отношения“ М., 1990 с. 20-22.

¹² იხ. Бельсон Я. М. ИНТЕРПОЛ: Прошлое и настоящее. „Правоведение“. М., 1980 №3. с. 92-94.

უარის თქმის და სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიციის უწყებებს შორის პირდაპირი კონტაქტის დამყარებამ.¹³

მონაკოში გამართულ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესის განსახილველ საკითხებს შორის მნიშვნელოვანი იყო დამნაშავეის ძებნის საერთაშორისო საშუალებების სრულყოფა, იდენტიფიკაციის სამსახურის უნივერსალისაცია და საერთაშორისო საინფორმაციო სამსახურის ორგანიზაცია. აღნიშნულ ფორუმზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეექმნათ სპეციალური კომისია, რომელიც იდენტიფიკაციის სფეროში შეისწავლიდა სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობას, პრაქტიკას და მომავალ კონგრესს წარუდგენდა იდენტიფიკაციის საერთაშორისო ბიუროს შესაქმნელად წინადადებებს.

კონგრესის მასალებში ხაზგასმულია პოლიციის საერთაშორისო ძალების ფორმირების და „საერთაშორისო დაპატიმრების ბრძანების“ დამტკიცების მიზანშეწინილობა.¹⁴

აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მონაკოში მიმდინარე კონგრესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში.

შემდეგი კონგრესის გამართვა დაიგეგმა 1916 წელს ბუქარესტში, სადაც უნდა დაეფუძნებინათ იდენტიფიკაციის საერთაშორისო ბიურო, თუმცა მას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ. ომის მსვლელობის დროს და შემდეგ მთელ რიგ ქვეყნებში გაიზარდა ემიგრანტთა რაოდენობა, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო კრიმინოგენური სიტუაციის შექმნას.

საერთაშორისო ელემენტის შემცველი დანაშაულები რეალურ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოებს. 1919 წელს ჰოლანდიის სამეფო ჟანდარმერიის მეთაურის ვან ხუტენის

¹³ Родионов К. С. გვ. 21.

¹⁴ib. Premics Congress de Police judi ciare internationale. Monaco (April 1914). Actes du Congress. Paris. 1914.

წინადადებით აუცილებელი იყო სახელმწიფოებში ეროვნული პოლიციის ცენტრის შექმნა, რომლებიც მუდმივ კავშირში იქნებოდნენ ერთმანეთთან, ამავე დროს მათ ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ პოლიციის საერთაშორისო ცენტრისათვის, ხოლო ერთა ლიგას საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით უნდა ეხელმძღვანელა ყველა ეროვნული პოლიციის ცენტრისათვის, ამისათვის სპეციალურად შექმნილი ორგანოს მეშვეობით.¹⁵

1920 წელს დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში ცნობილმა სპეციალისტმა დონედუ დე ვაბრმა წარმოადგინა სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის ორგანოთა თანამშრომლობის გეგმა, რომელიც რამოდენიმე წლის შემდეგ რეალიზებული იქნა.

ავსტრიის პოლიციის ხელმძღვანელი იოჰან შობერი აქტიურად ჩაერთო სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესის მიერ მონაკოში დასახული მიზნების რეალიზაციაში. მისი ინიციატივით 1923 წელს ვენაში შეიკრიბა სისხლის სამართლის პოლიციის II საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა 20 სახელმწიფოს წარმომადგენელი. ამ ფორუმზე განხილული იქნა დანაშაულის წინააღმდეგ სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიციის უწყებებს შორის თანამშრომლობისათვის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა.

სისხლის სამართლის პოლიციის II საერთაშორისო კონგრესზე 1923 წლის 7 სექტემბერს მის მუდმივმოქმედ დამხმარე ორგანოდ ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია, რომელსაც ადგილი გამოეყო ავსტრიის შსს-ს შენობაში, რაც განპირობებული

¹⁵ იხ. Бельсон Я. М. ИНТЕРПОЛ в борьбе с уголовной преступностью. „Наука“. М., 1990 с. 89.

იყო იმ გარემოებით, რომ იქ ინახებოდა ყოფილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საკმაოდ მრავალფეროვანი კარტოთეკა.

კ. როდიონოვი აღნიშნულ პერიოდს მიიჩნევს ინტერპოლის ისტორიის დასაწყისად.¹⁶ ი. ბელსონი და ვ. სამარინი იმავე პერიოდს ასახელებს „იტერპოლის დაბადების თარიღად,“ რადგან ამ დღეს მიღებული იქნა ახალი „ორგანიზაციის წესდება.“¹⁷ ეს მოსაზრება არ არის მართებული, რადგან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც იყო სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესის ორგანო და არა საერთაშორისო ორგანიზაცია.

წესდებაში არ იყო წარმოჩენილი მისი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი. ამასთან ერთად სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია ფინანსურადაც დამოკიდებული იყო ავსტრიის შსს-ზე.

კ. როდიონოვი მონოგრაფიაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „კომისია დასაწყისში არ იყო დამოუკიდებელი ორგანიზაცია,“¹⁸ რითაც ეწინააღმდეგება მის მიერ ამავე მონოგრაფიაში ინტერპოლის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებულ პოზიციას. ის პრობლემები, რომელსაც იხილავდა კომისია ადრეულ პერიოდშიც განიხილებოდა სისხლის სამართლის პოლიციის I საერთაშორისო კონგრესზე 1914 წელს. თუმცა აღნიშნული ფორუმისაგან განსხვავებით მუდმივმოქმედი კომისია უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა, მას საფუძველი უნდა ჩაეყარა საერთაშორისო ორგანიზაციის შესაქმნელად.

1923 წელს სისხლის სამართლის პოლიციის II საერთაშორისო კონგრესზე თითოეული სახელმწიფოსათვის შეთავაზებული იქნა პოლიციის ცენტრის შეექმნა, რომელსაც კავშირი ექნებოდა სხვა ქვეყნის ანალოგიურ

¹⁶ „შეადარე Родионов К. С. გვ. 25.

¹⁷ „შეადარე Самарин В. И. გვ. 10.

¹⁸ Родионов К. С. გვ. 26.

სამსახურთან და სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიასთან. მათივე დეფლემი აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი „ფორმირებული იქნა პოლიციის ჩინოვნიკების მიერ დამოუკიდებლად მოწვეულ შეხვედრაზე და არა როგორც დიპლომატიური ინიციატივის შედეგი.“¹⁹ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია წარმოადგენდა „არა ზენაციონალურ ძალას, არამედ ეროვნული პოლიციის სისტემების საერთაშორისო ქსელს.“²⁰

1924 წელს შეიქმნა დამნაშავეთა ინფორმაციისა და მიმალულ დამნაშავეთა საერთაშორისო ძეგნის სამსახური, რომელიც ავსტრიის პოლიციის კარტოთეკით ხელმძღვანელობდა. კონგრესმა სახელმწიფოებს მიმართა წინადადებით კომისიისათვის მიეწოდებინათ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა მათ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგნულ პირს.

ძეგნის ინფორმაცია და ძეგნის მონაცემები მოცემული იყო „საერთაშორისო საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ ბიულეტენში, რომელიც თვეში ორჯერ გამოიცემოდა. მოგვიანებით ის გახდა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიამ, ი. შობერის ინიციატივით 1925 წლიდან დაიწყო განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა აღრიცხვა.²¹ ასეთი სისტემის შემოღება მიზნად ისახავდა მსგავსი ინფორმაციის ერთ ადგილზე თავმოყრას. ვენაში სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ხდებოდა სახელმწიფოს მოთხოვნის დაკმაყოფილება.

¹⁹Deflem Mathieu, „Bureaucratization and Social Control: Historical Foundations of International Police Cooperation.“ Law and Society Review, Volume 34, Number 3 (2000). (University of Massachusetts U.S.A.) P. 755.

²⁰Deflem Mathieu, P. 756.

²¹ იხ. Soeber J. Internationale Zusammenarbeit der Kriminalpolizei. Leipzig. Band 83. – 1928. S. 17.

მატიეუ დეფლემის აზრით, „კომუნიკაციის საერთაშორისო ტექნოლოგიები, რადიო და ტელეგრაფი ისევე ამსუბუქებდა პოლიციათაშორის ურთიერთმოქმედებას, როგორც შეხვედრები ზენაციონალური ძალების ფორმირების გარეშე.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის პოლიტიკისაგან დამოუკიდებლობის მითითება დადგენილი იქნა საერთაშორისო შეთანხმების ან იურიდიული დოკუმენტის ხელმოწერის გარეშე.“²² მატიეუ დეფლემი მიუთითებს, რომ კომისიის ყველა მოქმედება იგეგმებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების პოლიციელების შეხვედრაზე, შესაბამისი მთავრობის კონტროლის გარეშე და აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ასკენის კომისიის პოლიტიკისაგან დამოუკიდებლობას, თუმცა „აღიარებს მის ბრძოლას მთავრობათაშორისი და იურიდიული ცნობისათვის“.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია ერთა ლიგას იწვევდა შეხვედრებზე, რათა მიეღწია არსებული სტრუქტურების ფორმალური აღიარებისათვის.²³ კომისიის სამსახურები ქმნიდა საერთაშორისო პოლიციის ბიუროს, რომელიც 1926 წლიდან გამოეყო ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს და დამოუკიდებლად დაიწყო ფუნქციონირება. ამავე დროს შემოდებული იქნა გენერალური მდივნის თანამდებობა, რომელსაც ირჩევდა კონგრესი ავსტრიის შსს მიერ წარდგენილი კანდიდატებისაგან.

XX საუკუნის 30-იან წლებში მიმდინარეობდა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის დამოუკიდებელ ფინანსურ ერთეულად ჩამოყალიბება, რაც შესაძლოა განპირობებული იყო კომისიის წევრ სახელმწიფოების მთავრობების აღიარებით. ყოველ მონაწილეს სახელ-

²²Deffem Mathieu. P. 757.

²³ იხ. იქვე

მწიფოს მასში 10000 მცხოვრებზე უნდა შეეტანა 1 შუეიცარული ფრანკი.

კომისიის შემადგენლობაში შეიქმნა: 1. იდენტიფიკაციის და 2. პოლიციის რადიოკავშირის სამსახური. გარემოებები მიანიშნებს იმაზე, რომ ის თანდათან ხდებოდა ფინანსურად დამოუკიდებელი, თუმცა ისევ იგრძნობოდა ავსტრიის შსს ზეგავლენა მასზე.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის საქმიანობა, მიუხედავად მისი არასამთავრობო-საშორისო სტატუსისა, მოგვიანებით განიცდიდა პოლიტიკის ზეგავლენას. მაქს ვებერის ბიუროკრატიის თეორიაზე დაყრდნობით მატიეუ დეფლემი ასკენის, რომ „საერთაშორისო პოლიციის ორგანიზაციები შეიძლება ფართოდ ფორმულირებულყო საერთაშორისოდ მაშინ, როდესაც პოლიციის დაწესებულებები იქნებოდნენ ავტონომიური შესაბამისი ნაციონალური სახელმწიფოების პოლიტიკური ცენტრებისაგან.“²⁴

მატიეუ დეფლემის მოსაზრება კომისიის პოლიტიკისაგან თავისუფალი არსებობის შესახებ, მართებულია XX საუკუნის 30-იან წლებამდე, რასაც შემდგომ ეტაპზე ვერ გავიზიარებ, რადგან სამთავრობო აღიარებისა და დაფინანსების გათვალისწინებით, ირიბად ხდებოდა სახელმწიფოთა პოლიტიკური ჩარევა კომისიის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

სახელმწიფოთა პოლიტიკური ცენტრების ჩარევებისაგან არ იყო თავისუფალი სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესი და ყრილობა.

1930 წლიდან სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კონგრესის ნაცვლად, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, გადაწყდა, რომ სხვადასხვა ქვეყნის პოლიციელების ხელმძღვანელთა შეხვედრა ყოფილიყო ყოველწლიური, რომელიც სისხლის

²⁴ Deffem Mathieu, P. 741.

სამართლის პოლიციის საერთაშორისო ყრილობად იწოდებოდა, სადაც განიხილებოდა დანაშაულობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხები.

1938 წლიდან აღნიშნულმა ფორუმმა ხანგრძლივი ვადით შეწყვიტა არსებობა, რაც განაპირობა გერმანიის მიერ ავსტრიის მიერთებამ. მოგვიანებით სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის შტაბ-ბინა ვენიდან გადატანილი იქნა ბერლინში, მისი პრეზიდენტი გახდა გერმანიის და მის დაპყრობილ ტერიტორიებზე ფაშისტური პოლიციის ხელმძღვანელი გეიდრიხი.

მეორე მსოფლიო ომის დროს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის მონაცემთა ბაზა გამოყენებული იყო ფაშისტების მიერ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. ომის დასასრულს ამ კომისიის დოკუმენტაციის ერთი ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი მოხდა საფრანგეთის სპეცსამსახურის ხელში. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება მივიჩნიოთ ინტერპოლის განვითარების პირველი პერიოდის დასასრულად, რომლისთვისაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამახასიათებელი იყო მთელი რიგი თავისებურებები.

ლ. გალენსკაია XX საუკუნის 30-იან წლებს მიიჩნევს ინტერპოლის დამოუკიდებელი არსებობის დასაწყისად²⁵, რაც არ არის მართებული, რადგან 1. ის არსებობდა კომისიის სახით; 2. კადრების დაკომპლექტებისას იგრძნობოდა ავსტრიის და მოგვიანებით გერმანიის შსს ზეგავლენა, იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის პრეზიდენტი იყო ავსტრიის (მოგვიანებით კი გერმანიის) პოლიციის უწყების ხელმძღვანელი და საქმის წარმოებას ახორციელებდნენ მისი მოხელეები; 3. განსხვავებული იყო თავისი ფუნქციონალური დატვირთვით; 4. განიცდიდა ნაციონალური სახელმწიფოების პოლიტიკის ზეგავლენას.

²⁵ იხ. Галенская Л. Н. გვ. 139

ამდენად, მართებული იქნება, თუ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დანაშაულობასთან საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებზე გამართული ფორუმების სამართალმემკვიდრედ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიას და ყრილობებს მივიჩნევთ, ხოლო ამ უკანასკნელს ინტერპოლის შექმნის საფუძვლად ჩავთვლით.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით არამართებულია ინტერპოლის შექმნა დაუუკავშიროთ ერთ კონკრეტულ თარიღს ან მოვლენას. მისი ფორმირების I ეტაპზე მიმდინარეობდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სახეებისა და ფორუმების განსაზღვრა.

კ. როდიონოვი აღნიშნავს, რომ „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეინიშნებოდა დანაშაულის სერიოზული ზრდა. ევროპის მთელი რიგი ქვეყნების პოლიციის ხელმძღვანელებმა, ასევე აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება აღედგინა საერთაშორისო პოლიციის ორგანიზაცია.“²⁶ არამართებულია იმ პერიოდისათვის საერთაშორისო პოლიციის ორგანიზაციის აღდგენაზე ხაზგასმა, რადგან, როგორც უკვე ავლნიშნეთ, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიას საერთაშორისო ორგანიზაციის დასრულებული სახე არ ჰქონდა, რადგან არ იყო განსაზღვრული მისი სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე არსებული დანაშაულობასთან თანამშრომლობის საერთაშორისო მექანიზმების შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კო-

²⁶ Родионов К. С. Деятельность Интерпола в борьбе с международной преступностью. Уголовная юстиция: проблемы международного сотрудничества. Изд. БЕК. М., 1995. с. 219.

მისია წარმოადგენდა სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ყველაზე უფრო მყარ საშუალებას, რომლის სამართალმემკვიდრედაც ინტერპოლი იქცა.

I. §2. ინტერპოლის სამართლებრივი სტატუსი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, საერთაშორისო სამართალში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად, გარკვეულწილად იცვლება დამოკიდებულება სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის ფუნქციონალური დატვირთვისადმი.

ინტერპოლის სამართლებრივი სტატუსის დადგენისათვის მართებულია XX საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე მონაკვეთი ორ პერიოდად დავეყოთ – I პერიოდი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 1956 წლამდე და II პერიოდი 1956 წლიდან 80-იან წლებამდე. თითოეული პერიოდი გამოირჩეოდა თავისებურებებით, რაც ძირითადად განპირობებული იყო სამართლის ნორმების დროში და სივრცეში განსხვავებული ახსნა-განმარტებით.

I. §2.1. სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის სტატუსიდან ინტერპოლის, როგორც ორგანიზაციის ატრიბუტიკამდე

1946 წელს ბრიუსელში ბელგიის პოლიციის უწყების ხელმძღვანელის ფლორენტ ლუვაჟის ინიციატივით მოწვეულ კონფერენციაზე, რომელზეც წარმოდგენილი იყო 17 სახელმწიფო, დაისვა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის აღდგენის საკითხი. მიღებული

იქნა დროებითი დებულება, რომლის თანახმადაც შეიქმნა აღმასრულებელი ორგანო ხუთი წევრის შემადგენლობით.

აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობაში შედიოდნენ, პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და სამი წევრი. პრეზიდენტის და გენერალური მდივნის თანამდებობა არჩევითი იყო.

ოფიციალურ ენად აღიარებული იქნა ფრანგული, ინგლისური და ესპანური. შეიცვალა კომისიის დასახელება და მას ეწოდა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია. მის ადგილსამყოფლად განისაზღვრა პარიზი, ორგანიზაციის პრეზიდენტად არჩეული იქნა კონფერენციის ინიციატორი, ხოლო გენერალურ მდივნად ფრანგი ლუი დიუკლო.²⁷

კ. როდიონოვი აღნიშნავს, რომ „კომისიამ 1923 წლის ძველი წესდების ნაცვლად თავისი საქმიანობის პრინციპების, ამოცანებისა და მიზნებისათვის მიიღო დროებითი დებულება“.²⁸ იმავე ნაშრომში ავტორი უთითებს, რომ „ყოველდღიურ საქმიანობაში კომისია ეყრდნობოდა ორ დოკუმენტს – 1923 წლის წესდებას და 1946 წლის დროებით დებულებას.“²⁹ კ. როდიონოვის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგან პირველ შემთხვევაში ავტორი ხაზს უსვამს კომისიის წესდების ნაცვლად დროებითი დებულების მიღებას, ხოლო მეორე შემთხვევაში აღიარებს ორივე დოკუმენტის არსებობას.

ლ. გალენსკაია აღნიშნავს, რომ „კონფერენციის მიერ მოწონებული წესდება 1946 წლის 4 ივნისს შევიდა ძალაში,“ რაც არაა მართებული, რადგან, როგორც ითქვა, იმ პერიოდისათვის არსებობას განაგრძობდა 1923 წლის წესდება.

²⁷ იხ. Галенская Л. Н. გვ. 140. Родионов К. С. (1990) გვ. 39,40.

²⁸ К. С. Родионов. გვ. 40.

²⁹ იქვე. გვ. 41.

ინტერპოლის ისტორიიდან ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის საქმიანობა დაფუძნებული იყო 1923 წელს მიღებულ წესდებაზე, თუმცა დროის მოთხოვნის შესაბამისად საჭირო გახდა საერთაშორისო მაშტაბით დანაშაულობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის ახალი წესდების მიღება და რეორგანიზაცია, რაც საკმაოდ რთული იყო და გარკვეულ დროს საჭიროებდა, რადგან მოითხოვდა განსხვავებული სამართლებრივი სისტემის და ტრადიციების მქონე სახელმწიფოების კონსენსუსს, რაც 1956 წელს განხორციელდა.

1946 წელს მიღებული დროებითი დებულება, ნაწილობრივ მოქველებულ წესდებას აესებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად მიმაჩნია წესდებისა და დებულების ერთდროულ არსებობაზე ხაზგასმა, რადგან იმ პერიოდისათვის აღნიშნული დოკუმენტები სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი იყო.

50-იანი წლებიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოების რიცხვის ზრდა, რაც შეიძლება აიხსნას დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობით, რამაც ორგანიზაციის წინაშე დასვა ახალი პრობლემები. აუცილებელი იყო მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ფუნქციონალური დატვირთვის, სტრუქტურის, ფინანსების, ახალი სახელმწიფოების მიღების, თანამშრომლობის პრინციპების ფორმირების და სახელმწიფოებთან ურთიერთობის სამართლებრივი ბაზის შექმნის საკითხი.

ტ. ნეშატაევა აღნიშნავს, რომ „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველ ათწლეულში გავრცელებას პოულობს საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურობის რეალის-

ტური შეფასება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნამ და გაეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტიტუტების სისტემის ფორმირებამ ახალი იმპულსი მისცა საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემის გამოკვლევას.³⁰

XX საუკუნის 50-იან წლებში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების კვლევის საგნად იქცა ახალი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურა, საქმიანობა და პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ამ პრობლემების ნორმატივისტულ ანალიზს, რაც განპირობებული იყო სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად ისეთი პრობლემების სიმრავლით, როგორცაა, საჰაერო ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა და სხვა.

მოცემული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა შესაძლებელი იყო საერთაშორისო თანამშრომლობით. სწორედ ამიტომ ამ პერიოდში აქტუალური იყო სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსის დადგენა.

საერთაშორისო სამართლის დოქტრინის თვალსაზრისით „სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის სახელწოდება წესდებასთან ერთად არ პასუხობდა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს, რადგან კომისია იქმნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის შემადგენლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 1946 წელს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის დროებითი დებულების მიღებისა და მისი სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციად დაფიქსირების შემდეგ ის იურიდიულად გაფორმდა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციად,

³⁰ Нешатаева Т. Н. Международные организации и право. „Дело“ М. 1998. с. 32.

თუმცა ასეთად მას ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომამდეც მიიჩნევენ.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის 25-ე სესიაზე მიღებული იქნა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის“ რეზოლუცია. განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, გაეროში სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია დაფიქსირდა, როგორც არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია.

1949 წლიდან გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში მას გააჩნდა საკონსულტაციო სტატუსი.³¹

ლ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ „არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება რამოდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან პირების მიერ. მას არ გააჩნია საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა. მართალია, ზოგიერთი მათგანი სარგებლობს ე.წ. საკონსულტაციო სტატუსით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში, მაგრამ ეს ვერ მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტობას.“³²

გაეროს სისტემაში არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს ხაზს უსვამს ტ. ნეშატაევა. მისი მოსაზრებით, „არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები – ნაციონალური ჯგუფების, კავშირების და კერძო პირების საერთაშორისო გაერთიანებაა, შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და ადამიანური საქმიანობის სხვა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობის მიზნით“.³³

³¹ იხ. Von der neuen IKPK bis zur IKPO (1946–1956) <http://de.wikipedia.org/wiki/Interpol> 11.10. 2006.

³² ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998. გვ. 93.

³³ Нешатаева Т. Н. Мит. ნაშრომი გვ. 86.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (კომისია), თავისი შემადგენლობით და ფუნქციონალური დატვირთვით არ მიეკუთვნებოდა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვს.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის მუშაობაში წარმოდგენილი იყო მონაწილეთა ორი კატეგორია – ოფიციალური და არაოფიციალური. ოფიციალურად ითვლებოდა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ხოლო არაოფიციალურად – ცნობილი მეცნიერ-კრიმინალისტები, რომელთაც მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეეძლოთ სისხლის სამართლებრივ სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობისათვის.

მოგვიანებით, კომისიის ორგანიზაციად გარდაქმნის შემდეგ, მასში ოფიციალურად წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რაც შეეხება ცნობილ მეცნიერ-კრიმინალისტებს, ისინი ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, როგორც ექსპერტები. ოფიციალურ სტრუქტურებს წარმოადგენდა პოლიციის უწყება, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები.

ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია იყო საერთაშორისო მაშსტაბით დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიციის ორგანოებს შორის პირდაპირი კონტაქტის დამყარება.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე არსებულ დოკუმენტებში მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული ორგანიზაციის წევრობის საკითხი. შესაძლოა სწორედ ეს გაურკვეველობა გამხდარიყო სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის არასამთავრობო ორგანიზაციისათვის მიკუთვნების საფუძველი.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის, მოგვიანებით კი სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო

ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დადგენის პროცესში აქტუალური იყო მისი ფუნქციონალური დატვირთვის შესატყვისი სახელწოდების შერჩევის საკითხი.

კ. როდიონოვი აღნიშნავს, რომ „ტერმინი „ინტერპოლი“ გამოყენებული იქნა 1947 წელს. მაშინ ის შემთხვევით გენერალური ასამბლეის მირიგ სესიაზე ორგანიზაციის მიმართ გამოიყენა იტალიის წარმომადგენელმა დოზიმ.

1947 წელს პარიზში მიმდინარე გენერალური ასამბლეის სესიაზე ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიეცა რეკომენდაცია, რომ ტერმინი ინტერპოლი მიეღოთ, როგორც სატელეგრაფო მისამართი.³⁴

1949 წელს ბერნში გამართულ გენერალური ასამბლეის სესიაზე მიღებული იქნა ორგანიზაციის ემბლემა და დროშა.

ემბლემა გამოყენება 1950 წლიდან. ის შემდეგი ელემენტებისაგან შედგება: დედამიწის სფერო (გლობუსი) იმის მაჩვენებელია, რომ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება ვრცელდება მთელ მსოფლიოში; დედამიწის სფეროს (გლობუსის) ყველა მხრიდან გამოსახული ზეთისხილის ტოტები მშვიდობის სიმბოლოა; დედამიწის სფეროს ქვედა ნაწილში, ზეთისხილის ტოტებს შორის განთავსებულია ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდება „ინტერპოლი“ (INTERPOL), რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გამოყენება, რაც განპირობებულია იმით, რომ ერთნაირად ეღერს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენაზე; დედამიწის სფეროს უკანა მხარეს ვერტიკალურად აღმართული მახვილი წარმოაჩენს პოლიციის მოქმედებას; დედამიწის სფეროს ზედა ნაწილში მახვილის ორივე მხარეს განთავსებულია ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდება ფრანგულ OIPC (Organisation Internationale de Police

³⁴ შეადარე. Resolution (1947) AGN /16 / RES / 12

Criminelle) და ინგლისურ ენაზე ICPO (International Criminal Police Organization). ზეთისხილის ტოტებს ქვემოთ განთავსებული სასწორი მართლმსაჯულების სიმბოლოა.

სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის დროშას გააჩნია ცისფერი ფონი, ემბლემა კი განთავსებულია ცენტრში. დროშის ოთხივე მხარეს, ემბლემის ირგვლივ გამოსახული ელვა ტელეკომუნიკაციის სისქარის მანიქენებელია პოლიციის საქმიანობაში.

ლევან ალექსიძე კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოკლებულ ქართულ ვარიანტად „კრიპსო“-ს გთავაზობს,³⁵ ანალოგიურია მიდგომა ამ საკითხისადმი ზოგიერთ სახელმწიფოში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა გარემოებებმა ხელი შეუწყო კრიპსოს ახალი წესდების (კონსტიტუციის) პროექტის შემუშავებას, რომელიც მიღებული იქნა 1956 წელს ვენაში გამართულ 25-ე სესიაზე. ამ პერიოდთან მას ოფიციალურად ეწოდა ინტერპოლი. წესდების შემდგენლებმა მასში ასახეს ინტერპოლის სამართლებრივი სტატუსი, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე მეცნიერთა მიერ განსხვავებული შეფასება ეძლეოდა.

I. § 2. ინტერპოლის, როგორც სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დე იურე სტატუსის განსაზღვრა

1958 წელს ლონდონში გამართულ გენერალური ასამბლეის სესიაზე, ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოებს მიეცათ წინადადება მიეღოთ ზომები ტერმინ ინტერპოლის დასაცავად.³⁶ რადგანაც აღნიშნულმა ღონის-

³⁵ იხ. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1986, გვ. 370.

³⁶ იხ. Resolution (1958) AGN /27 / RES / 1

ძიებამ მნიშვნელოვანი შედეგი ვერ გამოიღო, გენერალურმა ასამბლეამ 1961 წელს კოპენჰაგენში გამართულ სესიაზე მიიღო რეკომენდაცია, რათა წევრ-სახელმწიფოებს დაეცვათ სახელწოდება ICPO – ინტერპოლი არამართლზომიერი გამოყენებისაგან.³⁷

ინტერპოლის წესდების მიღებამ ხელი შეუწყო სახელმწიფოთა თანამშრომლობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი ავტორიტეტის ამაღლებასთან ერთად იზრდებოდა მასში მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი. 1970 წლისთვის მისი წევრი 111 სახელმწიფო იყო.

ინტერპოლის ახალ წესდებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხს, რომელიც წინა წესდებაში ბუნდოვანი იყო და ქმნიდა მისი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის გარკვეულ სირთულეს. ახალი წესდების შემქმნელებმა მე-4 მუხლში ასახეს ხანგრძლივი დროის მანძილზე გაურკვეველი საკითხები. 1956 წლის წესდების მე-4 მუხლის რედაქციაში ხაზგასმულია, რომ „თითოეულ მხარეს შეუძლია ნებისმიერი საპოლიციო ორგანოს, რომლის ფუნქციებიც ემთხვევა ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს, მიანიჭოს უფლებამოსილება გამოვიდეს ორგანიზაციის წევრის სახით.

კომპეტენტური სამთავრობო ორგანოს მიერ წევრად მიღების თხოვნა ეგზავნება გენერალურ სამდივნოს.

ორგანიზაციის წევრად მიღების გადაწყვეტილება გამოაქვს გენერალურ ასამბლევას ხმების 2/3-დის უმრავლესობით“.³⁸

წარმოდგენილი ფორმულირება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ინტერპოლი იურიდიულად გაფორმდა, როგორც სამთავრობათაშორისი სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაცია, თუმცა ხანგრძლივი დროის

³⁷ იხ. Resolution (1961) AGN /30 / RES / 6

³⁸ ICPO-Interpol Constitution. Article 4

მანძილზე ის გაეროში რეგისტრირებული იყო, როგორც არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია. მეცნიერთა ნაწილი ამ ფაქტს გაუგებრობით ხსნის. თუმცა არსებობდა, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი წინამძღვრები მისი სამთავრობათაშორისო სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციად ცნობისათვის.

აღნიშნული მდგომარეობა შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების კანონმდებლობის განსხვავებულობით და მათი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულებით. ინტერპოლის საქმიანობისადმი სოციალისტური სახელმწიფოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება უარყოფითი იყო, რაც აისახა წევრ-სახელმწიფოთა შემადგენლობაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალისტური სახელმწიფოებიდან კრიპსო-ს შემადგენლობაში შედიოდა იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, პოლონეთი და ბულგარეთი. 1950-1952 წლებში წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა იუგოსლავიის გარდა, დატოვა აღნიშნული ორგანიზაცია, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ სოციალისტური ქვეყნები საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ იზოლირებული აღმოჩნდნენ გარე სამყაროსაგან.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან კაპიტალისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული დაძაბულობის ნეიტრალიზაციის მიზნით დაიწყო მათ შორის ტურისტული, სპორტული, კულტურული და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის დამყარება, რომელსაც თან ახლდა დანაშაულები, კერძოდ, ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება და გასაღება, იარაღის და ნარკოტიკების კონტრაბანდა.

ხშირად მოქალაქეები სხვა სახელმწიფოში იყვნენ დანაშაულის თვითმხილველი, დაზარალებული და ბრალდებული. მსგავსი შემთხვევები მთითხოვდა სახელმწიფოთა

შორის სამართლებრივ თანამშრომლობას. თუმცა ხელშეკრულების არარსებობის პირობებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ინტერპოლს უნდა შეესრულებინა. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა სოციალისტური სახელმწიფოების სურვილი გამხდარიყვნენ ინტერპოლის წევრები.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ინტერპოლის წევრი გახდა რუმინეთი, უნგრეთი და ჩინეთი. საბჭოთა კავშირი პოლიტიკური მოსაზრებების გამო უარს აცხადებდა ინტერპოლთან თანამშრომლობაზე, თუმცა მეცნიერები თავს ვერ არიდებდნენ მისი როლის აღიარებას დანაშაულობასთან ბრძოლაში.

ი. კარპეცი ხაზს უსვამდა ინტერპოლის როლს დანაშაულობის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის და დასძენდა, რომ „გაცილებით რთულია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი „საერთაშორისო“ დანაშაული; მისი ყველაზე რთული ფორმა – ორგანიზებული დანაშაული“.³⁹ ი. კარპეცის განცხადებით, „საბჭოთა კავშირი არ თანამშრომლობდა ინტერპოლთან იმ მიზეზით, რომ დანაშაულების ფორმებში და შინაარსში იყო ძირეული განსხვავება. სისხლის სამართლის დამნაშავეები კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან არ იმალებოდნენ სსრკ-ში.“⁴⁰ თუმცა ზოგიერთ საკითხზე ასეთ თანამშრომლობას შესაძლებლად მიიჩნევდა.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური საბაბით უარყოფითი დამოკიდებულება ინტერპოლთან თანამშრომლობაზე არ იყო გამართლებული, რადგან 1956 წლის ინტერპოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით ორგანიზაციას მკაცრად აეკრძალა ნებისმიერი პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი

³⁹ Карпец И. И. Преступления международного характера. „Юридическая Литература“ М., 1979 с. 57, 58.

⁴⁰ Карпец И. И. გვ. 253

ხასიათის ჩარევა ან საქმიანობა, რაც საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა ტიპის და სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოთა შორის დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური თანამშრომლობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ინტერპოლი იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი პრაქტიკული წვლილი შეჰქონდა სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი თანამშრომლობის საქმეში. სწორედ აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების სწრაფი ზრდა.

1960 წელს ინტერპოლის წევრი 65 სახელმწიფო იყო, ხოლო 1980 წელს კი მათი რიცხვი 130-მდე გაიზარდა. დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის ხერხების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების ინტერპოლის საინფორმაციო ბაზაში თავმოყრა ხელს უწყობდა წევრ სახელმწიფოთა კოორდინირებულ თანამშრომლობას.

აღნიშნული გარემოებები, ინფორმაციის სწრაფი მიღების, დამუშავების და მათი გადაცემის ტექნიკურ საშუალებებთან ერთად, სახელმწიფოთა შორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმებს წარმოადგენდა.

I. § 3. ინტერპოლი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე

ინტერპოლის წევრი სახელმწიფოების რიცხვის ზრდამ XX საუკუნის 80-იან წლებში ახალი მოთხოვნები დააყენა ორგანიზაციის წინაშე, რამაც განაპირობა 1956 წლის წესდების შესაბამისად მისი სტატუსის გადაფასება. მოცემულ პერიოდში შესაძლებელია ორი ეტაპი გამოიყვით: I ეტაპი – 1980 წლიდან 1985 წლამდე და II ეტაპი – 1985 წლიდან 1990 წლამდე. I პერიოდის თავისებურება გამოიხატება ინტერპოლის 1956 წლის წესდების შესაბამისად

მისი სამართლებრივი სტატუსის დამდგენი ნორმების დროში ახლებურ განმარტებაში. II პერიოდი გამოირჩევა ინტერპოლის ახალი სტრატეგიებით.

I. § 3. 1. ინტერპოლის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის დე ფაქტო აღიარების თავისებურებანი

ინტერპოლის წესდებაში გათვალისწინებული ნორმები 1982 წელს საფუძველი გახდა მისი საერთაშორისო სამთავრობათაშორისო სპეციალიზებულ ორგანიზაციად აღიარებისათვის. იურისტთა დიდი ნაწილი დღემდე ამ გარემოებას ზოგადად აფიქსირებს, მაგრამ მის ახსნას არ ცდილობს. მეცნიერთა ნაწილი დღესაც კი ინტერპოლს არასამთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციად აღიარებს. პილს კრისტი და კემმილ ბრუნი აღნიშნავენ, რომ „ინტერპოლს აქვს დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი,⁴¹ რაც ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არაა მართებული.

ინტერპოლის 1956 წლის წესდების მე-2 მუხლის თანახმად, ორგანიზაცია „უზრუნველყოფს და ავითარებს სისხლის სამართლის პოლიციის (დაწესებულების) ყველა ორგანოს ფართო ურთიერთთანამშრომლობას სახელმწიფოთა კანონმდებლობის ფარგლებში და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სულისკვეთებით.“ XX საუკუნის 50-70-იან წლებში „პოლიციის ორგანოები“ აღიქმებოდა, როგორც იურიდიული პირები, რომლებიც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების დამფუძნებლებად და სუბიექტებად გვევლინებიან, რაც არ იყო მართებული, რადგან „პოლიციის ორგანოებში“ იგულისხმებოდა სახელმწიფოში არსებული ის სამართალდამცავი

⁴¹ Нильс Кристи, Кеттиль Бруун, Удобный враг. Политика борьбы с наркотиками в Скандинавии. Центр содействия реформе уголовного правосудия. М., 2004. 4. 08. 08. http://www.prison.org/lib/christy6_2.shtml

სტრუქტურები, რომელსაც დაეაღებული კქონდა წარმომადგენელი ყოფილიყო ინტერპოლში და ეთანამშრომლა მასთან.

ქ. ნეპოტი აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი სახელმწიფოს საპოლიციო ორგანოს, მიუხედავად მისი კონკრეტული ვალდებულებისა და იურიდიქციისა, ხელი უნდა მიუწეებოდეს საერთაშორისო თანამშრომლობის არხებისათვის, თუ მის ვალდებულებაში შედის სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება. საერთაშორისო დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის პრივილეგია არ უნდა იყოს შეზღუდული ერთი ან ორი სპეციალური ქვედანაყოფით“⁴².

ინტერპოლის პრაქტიკაში სისხლის სამართლის პოლიციის ქვეშ მოიაზრება ის ორგანოები, რომლებიც ასრულებენ პოლიციის ფუნქციებს. მისი წესდების მე-4 მუხლის თანახმად, „თითოეულ ქვეყანას შეუძლია ნებისმიერ საპოლიციო ორგანოს, რომლის ფუნქციებიც ემთხვევა ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს, მიანიჭოს უფლებამოსილება გამოვიდეს ორგანიზაციის წევრის სახელით“. ამ გარემოების გათვალისწინებით სახელმწიფოები სხვადასხვა ორგანოებს ანიჭებენ აღნიშნულ ორგანიზაციაში წარმომადგენლის ფუნქციას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ღებულობდა გადაწყვეტილებას ინტერპოლში გაწევრიანებაზე.

ინტერპოლის წესდების მე-4 მუხლის თანახმად, „წევრად მიღების თხოვნა კომპეტენტური სამთავრობო ორგანოს მიერ ეგზავნება გენერალურ მდივანს. ორგანიზაციის წევრად მიღებაზე გადაწყვეტილება გამოაქვს გენერალურ ასამბლეას ხმების 2/3 უმრავლესობით.“ ის, რომ ინტერპოლში ერთ-ერთი სამართალდამცავი ორგანო მისი პროფესიული ბუნების გამო იყო წარმოდგენილი.

⁴² Nepote J. International Crime. International Police Cooperation and Interpol. The Police Journal. – Vol. LI. – No. 2. – 1978. – P. 131.

ბარკაჟულ გაუგებრობას ქმნიდა, რაც შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო იმ გარემოებების გამო, რომელთა საფუძველზეც ინტერპოლი XX საუკუნის 80-იან წლებამდე გაეროში რეგისტრირებული იყო, როგორც არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია. არ იყო გათვალისწინებული ის, რომ სახელმწიფოს შეეძლო ინტერპოლში წარმომადგენლის უფლებამოსილება მიენიჭებინა საპოლიციო ფუნქციის მქონე მისი რომელიმე ორგანოსათვის.

80-იან წლებამდე ინტერპოლის სამთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციად ცნობას, შესაძლებელია, ხელს ისიც უშლიდა, რომ დიდი ხნის მანძილზე ფინანსურ და საკადრო სფეროში დამოკიდებული იყო საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე. კერძოდ, ორგანიზაციის რეგლამენტის 44-ე მუხლის თანახმად გენერალური მდივნის თანამდებობაზე წარდგენილი უნდა ყოფილიყო იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებული იქნებოდა ინტერპოლის შტაბ-ბინა. სწორედ აღნიშნული გარემოების გამო კადრების დიდი ნაწილი საფრანგეთის შსს ბაზაზე იყო დაკომპლექტებული.

ინტერპოლის წესდებით მოწესრიგებული იქნა ფინანსური შემოსავლის წყაროების საკითხი. კერძოდ, 38-ე მუხლის თანახმად, „ორგანიზაციის რესურსები იკრიბება:

- ა) ორგანიზაციის წევრების ფულადი შენატანებისაგან;
- ბ) ჩუქებით, შეწირვით, სუბსიდიით, დოტაციით ან სხვა წყაროებით, რომელთა მიღებაც მოწონებული უნდა იყოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.“⁴³

ინტერპოლის გენერალური ასამბლეის მიერ 1958 წელს მიღებული ფინანსური რეგლამენტის მიხედვით იწყება ინტერპოლის ფინანსური რეფორმა. ადრეულ ეტაპზე ინტერპოლის წევრებს საწევრო შეკქონდათ თანაბრად.

იმ გარემოების გამო, რომ განვითარებად სახელმწიფოებს არ შეეძლოთ დადგენილი საწევრო შენატანის გადახდა, მოგვიანებით ამ პრობლემის მიმართ დამოკიდე-

⁴³ ICPO-Interpol Constitution. Article 38.

ბულება შეიცვალა და ის განისაზღვრა სახელმწიფოს ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიური შესაძლებლობის და ორგანიზაციასთან სახელმწიფოს თანამშრომლობით მიღებული შედეგის მიხედვით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დადგინდა საწევროს გადამხდელ სახელმწიფოთა რამოდენიმე ჯგუფი, რომელიც დღემდე მუდმივად განახლებადი პროცესია.

XX საუკუნის 80-იან წლებში ინტერპოლის საერთაშორისო სამთავრობათაშორისო სპეციალიზებულ ორგანიზაციად აღიარებას თან სდევდა წევრ-სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა. თუ ინტერპოლის წევრი 1980 წლისთვის იყო 130 სახელმწიფო, მათი რიცხვი 1990 წლისთვის 150-მდე გაიზარდა. 1979 წელს, ინტერპოლის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, შესაბამისი ზომები მიღებული უნდა ყოფილიყო იმ ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთა იდეოლოგია მიმართული იყო ძალადობის, მკვლელობის, მძევლად აყვანის, სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევების და აფეთქების დასამკვიდრებლად.

1981 წლის გადაწყვეტილებით კონტროლი უნდა დაწესებულიყო იმ ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოებაზე, გაყიდვასა და განაწილებაზე, რომლებიც ხშირად გამოიყენებოდა ძალადობით დანაშაულის ჩასადენად. 1983 წელს გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა ტერორიზმის მიმართ ინტერპოლის დამოკიდებულების გარკვევის მიზნით ჩაეტარებინა ორგანიზებული ჯგუფების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების გამოკვლევა, რომელიც იწვევდა დიდ მსხვერპლს.⁴⁴

1984 წლიდან ინტერპოლის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის საფუძველზე აღნიშნულ დრომდე პოლიტი-

⁴⁴იხ. Mathieu Deflem, Terrorism: Research, Readings and Realities. Interpol and the Policing of International Terrorism: Developments and Dynamics since September 11. Publisher: Prentice Hall, 2005, P. 175 -191 www.mathiuedeflem.net

კურად მოტივირებული დანაშაულის – ტერორიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობის სფეროში იცვლება დამოკიდებულება.⁴⁵

ვ. ემელიანოვი აღნიშნავს, რომ „ტერორიზმის პრობლემებით აქტიურად იყვნენ დაკავებული და არიან სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციისათვის გამართული საერთაშორისო კონფერენციების – ერთა ლიგის, შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში.“⁴⁶

ტერორიზმის საკითხთან დაკავშირებით მართებულია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინტერპოლის როლს, რადგან 1984 წლიდან დაწყებული ამ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული წვლილი შეაქვს ამ სფეროში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

1. § 3. 2. დანაშაულობასთან ბრძოლაში ინტერპოლის საერთაშორისო სტრატეგია

1985 წელს ვაშინგტონში გამართულ ინტერპოლის გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტერორიზმისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სპეციალიზირებული ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა სახელმწიფოებს ტერორიზმთან ბრძოლაში. მასში მოცემული იყო პრაქტიკული ინსტრუქციები, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სპეციალური სიმპოზიუმის მოწყობას. გენერალური

⁴⁵ იხ. <http://de.wikipedia.org/wiki/Interpol>. Interpol. aus Wikipedia, der freien Enzyklopadie. Terrorismus und Informationstechnologie (1984 – 2002).

⁴⁶ Емельянов В. П. Проблемы ответственности за международный терроризм. Государство и право. 2000. №1. С. 70.

ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის მომავალი შეხვედრების დღის წესრიგში საერთაშორისო ტერორიზმი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ პუნქტად.⁴⁷

ტერორიზმთან ბრძოლაში ინტერპოლის ოპერატიული და პრაქტიკული საქმიანობა გამოირჩევა ეფექტურობით.

ტ. ბოიარ-სოზონოვიჩი აღნიშნავს, რომ „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად მუდმივად წარმოიშობა ტერორიზმის ახალი სახეები და ფორმები, რომლებიც ზოგიერთ ეტაპზე ამოვარდნილია საერთაშორისო „საგნობრივი“ კონვენციების მოქმედების სფეროდან.“⁴⁸ სწორედ მსგავს შემთხვევაში ინტერპოლს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში. ამ გარემოებებმა გამოიწვია აღნიშნულ სფეროში ინტერპოლის თანამშრომლობის დასაწყისისა და მისი შემდგომი განვითარების სპეციფიკურობის ხაზგასმა.

ინტერპოლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება 1985 წლიდან, როცა გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადადგა საფრანგეთის შსს წარმომადგენელი ანდრე ბოსარი და მის ადგილზე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რეკომენდებული იყო გამოცდილი პოლიციელი, ინგლისელი რ. კენდალი, რომელიც არჩეული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ.

ინტერპოლის ისტორიაში პირველად გენერალური მდივნის თანამდებობაზე არჩეული იქნა სხვა ქვეყნის წარმომადგენელი, რაც კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა მის დამოუკიდებელ საერთაშორისო სამთავრობათაშორისო სპეციალიზებულ ორგანიზაციად დამკვიდრების პროცესში.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ინტერპოლის გენერალური სამდივნოს სტრუქტურამ, კერძოდ, 1986 წელს

⁴⁷ იხ. Mathieu Deflem.

⁴⁸ Бояр-Созонович Т. С. Международный терроризм: политико-правовые аспекты. Киев. Одесса. 1991. С. 119-120.

სახელმწიფოთაშორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალური პრობლემების რეგულირების მიზნით გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში შეიქმნა ევროპული სამდივნო, ხოლო 1987 წელს კი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო ინტერპოლის ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ. ეფექტური გახდა რეფორმების შედეგად პოლიციის განყოფილებისა და მისი ქვეგანყოფილებების საქმიანობა.

ინტერპოლის გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში 1987 წელს შეიქმნა ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, რომლის მიზანიც იყო კომპიუტერიზაციის განხორციელება. ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის მიღების, გადაცემის და სისხლისსამართლებრივი რეგისტრაციის საკითხები მოწესრიგებული იქნა ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების შემადგენლობაში შექმნილი ქვეგანყოფილებებით.

XX საუკუნის 80-იან წლებში დანაშაულის ინტერნაციონალიზაციამ, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ინტერპოლის მოქნილი სტრუქტურების შექმნამ და მუშაობის ეფექტურობის ამაღლებამ გაზარდა მისი ავტორიტეტი, რაც გამოიხატა მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვის ზრდაში. მისი წევრი გახდა უნგრეთი, ჩინეთი და ბულგარეთი.

1990 წ. იწყება ზოგიერთი რუსი მეცნიერის მიერ 80-იან წლებში გამოთქმული მოსაზრების რეალიზაცია საბჭოთა კავშირის ინტერპოლის წევრობის ეფექტურობაზე.⁴⁹ 1990 წლის 7 აპრილს მიღებული იქნა დადგენილება საბჭოთა კავშირის ინტერპოლში გაწევრიანებაზე. საბჭოთა კავშირის

⁴⁹შეადარე Родионов К. С. Международная организация уголовной полиции (Интерпол). Автореф. канд. дис. Ленинград. 1979 с. 1. Шупилов В. П. Международная Правовая помощь по уголовным делам. Советское государство и право. 1974. №3. с. 85 – 91.

ინტერპოლში წევრობის გაფორმება და ეროვნული ცენტრალური ბიუროს შექმნა დაევალა შშს.⁵⁰

XX საუკუნის 80-იან წლებში ინტერპოლის განვითარების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მის სამართლებრივ სტატუსზე არასაკმარისი კვლევები და არასათანადო ინფორმირება, თეორიაში და პრაქტიკაში აღნიშნულ პრობლემაზე აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი ხდება.

სახელმწიფოებისა და საზოგადოებისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი დანაშაულების ზრდის, ინტერპოლის ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების, კადრების შერჩევის თავისუფლების, ორგანიზებული სტრუქტურების შექმნის საკითხების გამოკვლევის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 1956 წლის წესდებით იურიდიულად სამთავრობათაშორის ორგანიზაციად აღიარებული ინტერპოლი ფაქტობრივადაც აღიარებული ხდება, რაც აისახა მის პრაქტიკულ საქმიანობაში.

I. § 4. ინტერპოლი და ევროპოლი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან

XX საუკუნის 90-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტერპოლში გაწევრიანების პროცესი. საქართველო მისი წევრი გახდა 1993 წელს. საქართველოს ინტერპოლის წევრად მიღების შეამდგომლობის დაყენება არ მომხდარა ინტერპოლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის დაცვით.

საქართველოს ინტერპოლში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის მიერ გენერალური სამდივნოს წინაშე დასმული შეამდგომლობის საფუძველზე, გენერა-

⁵⁰ იხ. Постановление совета министров союза советских социалистических республик от 7 апреля 1990 г. №338.

ლური ასამბლეის 62-ე სესიაზე 1993 წლის 29 სექტემბერს საქართველო 95 ხმით ორის წინააღმდეგ გახდა ინტერპოლის წევრი. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში ინტერპოლთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში არ იყო სათანადოდ შესწავლილი და ამავე დროს არასაკმარისი იყო ამ პრობლემების შესახებ ინფორმირებულობა.

90-იან წლებში საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების გაერცელებამ განაპირობა ინტერპოლის მონაწილე სახელმწიფოების რიცხვის ზრდა, რამაც აუცილებელი გახდა ინტერპოლის სტრუქტურებში გარკვეული ცვლილებების განხორციელება, ამასთან ერთად საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება. ი. დეიჩმანი ხაზს უსვამს საერთაშორისო მასშტაბით კრიმინალის განვითარებასთან ერთად ინტერპოლის რეორგანიზაციის მნიშვნელობას.⁵¹

ინტერპოლის საქმიანობით დაინტერესებული სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია სამართლის ექსპერტთა შორის ცნობილი იყო მოქველებული ტექნოლოგიებით, ლაბორინთის წარმომქმნელი ბიუროკრატიითა და არასაიმედოდ დაცული ინფორმაციული მონაცემებით“.

ინტერპოლთან ურთიერთობის სფეროში ყოფილი ბრიტანელი პოლიციის ჩინოვნიკის პიტერ ჯ. ნევიტის თქმით, აღნიშნული მდგომარეობა „მოელს მსოფლიოში სამართალგამოყენებით მოთხოვნებთან შედარებით უხერხული და არადროული იყო.“⁵² სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ძველი ინფორმაციული ინ-

⁵¹ შეადარე Дайчман И. ИНТЕРПОЛ. Всемирная система борьбы с преступностью. изд. „Рипол Классик“. М. 2002. с.6-12.

⁵² Nelson Jack. Interpol reforms aid crime fight. Los Angeles Times, PM 1/9/1998. <http://www.chron.com/content/chronicle/world/98/01/11/interpol.2-0.html> 02.09.2006

ფრასტრუქტურის ახალი საკომუნიკაციო I-24/7 სისტემით შეცვლისკენ. მოცემული სისტემა დღითიდღე ფართოვდება, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ცენტრალური ბიუროები ოპერატიულად უკავშირდებოდნენ შტაბ-ბინას.

საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაეროსა და ინტერპოლს შორის 1996 წლის ოქტომბერში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთდამკვირვებლის სტატუსს გენერალური ასამბლეის სესიებზე.⁵³ შეთანხმება ორიგინალურად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც ორივე ორგანიზაციას უკავია უნიკალური მდგომარეობა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინტერპოლის მეშვეობით სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობისას, რომელიც მოიცავს პიროვნების შესახებ ინფორმაციის გადაცემას, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა. ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინტერპოლის არქივის შიდა კონტროლისა და საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის წესში. აღნიშნული დოკუმენტის 1 (2) მუხლში ნათქვამია, რომ ინტერპოლის ფარგლებში არსებული ინფორმაცია დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი გამოყენებისაგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ინდივიდის უფლების დარღვევის საფრთხე.

ინტერპოლის ფაილებში შენახული ინფორმაციის კონტროლის მიზნით, აღნიშნული წესის მე-15 მუხლის თანახმად შეიქმნა ინტერპოლის არქივის შიდა კონტროლის სამეთვალყურეო საბჭო (კომისია).

ინტერპოლმა აიღო ინიციატივა ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას სხვადასხვა სფეროში. ინტერპოლის გენერალურმა ასამბლეამ 1949 წელს ბერნში გამართულ მე-18 სესიაზე მიიღო №3 გადაწყვეტილება, რომ-

⁵³ იხ. <http://www.Interpol.org/Public/ICPO/IntLiaison/UN.asp> 13. 02. 2007

ლის თანახმადაც ძალადობა და სასტიკი მოპყრობა, რაც ხელყოფს ადამიანურ ღირსებას პოლიციის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი.

ინტერპოლი მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დაცვას საერთაშორისო სისხლის სამართლის ფორმირების პროცესში.

თანამშრომლობის შეთანხმებები მიღწეული იქნა გაეროს სხვა სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რეგიონალურ ორგანიზაციებთანაც.

სახელმწიფოთა შორის საპოლიციო თანამშრომლობის სფეროში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპოლი, რომელიც ინტერპოლთან შედარებით თავისი მოქმედების მასშტაბით შემოიფარგლება ევროკავშირის წევრი ქვეყნებით.

ევროპოლის სამართლებრივი სტატუსის გარკვევაში მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს მისი ჩამოყალიბების საკითხის გამოკვლევა. ა. მოტკოვის აზრით, „ევროპოლის შექმნის იდეა პირველად გახმოვანებული იქნა ლუქსემბურგის სამიტზე 1991 წლის ივნისში“⁵⁴ რაც არ მიმანია მართებულად, რადგან ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში აქტიურად განიხილებოდა ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ფარგლებში ინტერპოლის შექმნის საკითხი.

ი. ბელსონი XX საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნავს, რომ ევროპოლის დაარსების ერთ-ერთ ინიციატორად გამოდის ვ. ბრანდტი, რომელიც იყო რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, ვარაუდობდა

⁵⁴Мотков А. Европейское полицейское ведомство. (EUROPOL). Энциклопедия кругосвет. 9 марта, 2007. <http://www.krugosvet.ru/articles/102/1010295/1010295a1.htm>

ტერორიზმთან საბრძოლველად „ევროპისათვის სპეციალური საპოლიციო ძალების შექმნას“. ეს იდეა მხარდაჭერილი იქნა 1974 წელს კრიმინალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე.⁵⁵

1985 წლის შეთანხმებაში საერთო საზღვრებზე შემოწმების თანდათანობით შეცვლისათვის „საპოლიციო თანამშრომლობის“ საკითხებს დაეთმო III კარის I თავი.⁵⁶ აღნიშნული გარემოებების საფუძველზე შესაძლებელია დაეასკენათ, რომ ევროპოლის შექმნის იდეა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოდის. თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა 1985 წლის შეთანხმებამ წარმოაჩინა.

ევროპოლის შექმნის იდეისა და მისი პრაქტიკული არსებობის აუცილებლობა იურიდიულად გაფორმებული იქნა მასტრიხტის 1992 წლის 7 თებერვლის ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების 29-ე მუხლის შესაბამისად მოქალაქეთა უშიშროებისა და კანონიერების უზრუნველყოფა ხორციელდება სისხლისსამართლებრივ სფეროში საპოლიციო თანამშრომლობის გზით. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია „პოლიციის ძალების, საბაჟოსა და სხვა კომპეტენტური ორგანოების, როგორც უშუალო, ისე ევროპის პოლიციის უწყების (ევროპოლის) ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობით, 30-ე და 32-ე მუხლებში მოცემული დებულების შესაბამისად.“

1994 წლის 3 იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპოლის განყოფილებამ, რომელიც გარკვეული პერიოდის

⁵⁵ იხ. Бельсон Я. М. გვ. 95-97.

⁵⁶ შეადარე Кашкин С. Четвериков А. Шенгенские соглашения. Конвенция о применении шенгенского соглашения от 14 июня 1985 г. Между правительствами государств экономического союза бенилюкс. федеративной республики германии и французской республики о постепенной отмене проверок на общих границах. «Грофобразование». М., 2000. с. 90 -108.

მანძილზე წარმოადგენდა ევროპოლს. დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა სხვა განყოფილებები.

1995 წლის ევროპოლის კონვენციამ, რომელიც ძალაში შევიდა რატიფიკაციის შედეგად 1998 წლის 1 ოქტომბრიდან, განსაზღვრა ორგანიზაციის სტრუქტურა, სამართლებრივი სტატუსი და მისი როლი სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის საქმეში.

რუსეთის შსს ნაციონალური საკონტროლო პუნქტის ევროპოლის ოპერაწმუნებული ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან ურთიერთთანამშრომლობის სფეროში ი. ვოკი ევროპოლთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „სრული მოცულობით თავისი ფუნქციონირების შესრულება ახალმა ორგანიზაციამ დაიწყო მხოლოდ 1999 წლის ივნისიდან, მას შემდეგ, რაც 1998 წელს ევროპის კავშირის ყველა მონაწილე ქვეყანამ მოახერხა ევროპოლის კონვენციის რატიფიკაცია და მიიღო მთელი რიგი საერთო-ევროპული საკანონმდებლო აქტები.“⁵⁷

2002 წლის 1 იანვრიდან, ევროპოლის კონვენციის შესაბამისად, ევროპოლის მანდატი გაფართოვდა და „მას მიეცა განსაკუთრებით საშიშ საერთაშორისო დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის უფლებამოსილება“⁵⁸

ევროპოლი განიხილებოდა, როგორც ორმაგი „პოლიტიკური კონტროლის მქონე, ერთი მხრივ, ევროპის კავშირის მხრიდან, მეორე მხრივ, მონაწილე სახელმწიფოთა პოლიციელების პროფესიული ექსპერტიზის თვალსაზრისით.“⁵⁹

ევროპოლი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ისეთი დანაშაულების წინა-

⁵⁷Вовк В. С. Российские правоохранительные органы и Европол. <http://www.mvdinform.ru/struc1/100085/10000012/10000013/>

⁵⁸ Единая полиция и юстиция. <http://www.ruseu.org/print.php?id=49>

⁵⁹Delem. Mathieu. Europol and the Policing of International Terrorism: Counter-Terrorism in a Global Perspective. *Justice Quarterly* 2006, Volume 23 №3: p. 336.

აღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება, ადამიანებით ეაჭრობა, ავტომანქანებით უკანონო ეაჭრობა, ბაეშეთა პორნოგრაფია და არალეგალური ემიგრაცია. გარდა ამისა, ევროპოლი პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანის წინააღმდეგ და ფინანსური სფეროს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობა ევროპოლის სისტემაში მიმდინარეობს ევროპოლის კავშირის ოფიცერთა შორის ინფორმაციის გაცვლით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ევროპოლის კავშირის ოფიცრები წარმომადგენლის სახით მიეღინებული არიან წვერი სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოებიდან. ისინი სხვადასხვა სახის ოპერაციის ჩასატარების მიზნით უზრუნველყოფენ ოპერატიულ ანალიზს. პრევენციულ ღონისძიებათა გასატარებლად წვერი სახელმწიფოებისა და მესამე მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებენ სტრატეგიულ ანგარიშს მომავალი საშიშროების შესახებ. ტექნიკური დახმარებით, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მეშვეობით ევროპის კავშირის წვერ სახელმწიფოებში ხელს უწყობენ გამოძიების ჩატარების პროცესს. ევროპოლი ასევე აწარმოებს გამოძიების პრაქტიკის ანალიზს.

ევროპოლი არის ევროკავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედის ყველა წვერი სახელმწიფოს წარმომადგენელი. გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, რაც უზრუნველყოფს ევროპოლის დემოკრატიულ მართვას.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები სცდება ევროკავშირის წვერი სახელმწიფოების საზღვრებს, სწორედ ამიტომ მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად ევროპოლი

ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც აისახება მის მიერ დადებულ სტრატეგიულ ხელშეკრულებებში სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროპოლის ურთიერთობა მესამე სახელმწიფოებთან რეგულირდება სპეციალური აქტით.⁶⁰ ასევე აღსანიშნავია ევროპის კავშირის მიერ მიღებული დოკუმენტები, რომელიც ეხება ცალკეულ სახელმწიფოებთან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ თანამშრომლობას,⁶¹ სადაც მნიშვნელოვან როლს ევროპოლი ასრულებს.

ევროპოლის სისტემაში დაცული ანკეტური და სხვა მონაცემები შესაძლოა გამოყენებული იქნას ინფორმაციის მიღების მიზნით. კომპიუტერულ ფაილში ანკეტური მონაცემების დამუშავება მიმდინარეობს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით.⁶²

⁶⁰იხ. **Council act** of 3 November 1998 laying down rules governing Europol's external relations with third States and non-European Union related bodies, Official Journal of the European Communities C 26 of 30. 01 1999, 99/C 26/04 (C 26/19). **Council Decision** of 27 March 2000 authorising the Director of Europol to enter into negotiations on agreements with third States and non-EU-related bodies, Official Journal of the European Communities C 106 of 13.04.2000, 2000/C 106/01 (C 106/1).

Council declaration concerning the relations between Europol and third States and non-European Union-related bodies Official Journal of the European Communities C 106 of 13.04.2000, (C 106/3).

⁶¹იხ. **European Union action plan** on common action for the Russian Federation on combating organised crime. Official Journal of the European Communities C 106 13.4.2000, 2000/C 106/02 (C 106/5).

⁶²იხ. **Council Act** of 3 November 1998 adopting rules applicable to Europol analysis files, Official Journal of the European Communities C 26 of 30. 01 1999, 99/C 26/01. (C 26/1).

Council Act of 3 November 1998 adopting rules on the confidentiality of Europol information. Official Journal of the European Communities C26 of 30. 01 1999, 99/C 26/02 (C 26/10).

Council act of 3 November 1998 laying down rules concerning the receipt of information by Europol from third parties. Official Journal of the European Communities C26 of 30. 01 1999, 99/C 26/03. (C 26/17).

თითვეულ ადამიანს, რომლის შესახებაც ინახება მონაცემები ევროპოლის საინფორმაციო სისტემაში, სახელმწიფოს ეროვნული ერთეულის მეშვეობით შეუძლია მიიღოს ინფორმაცია და არასწორი მონაცემების არსებობის შემთხვევაში ევროპოლს სთხოვოს მათი გასწორება ან ბაზიდან ამოღება. თითვეული წევრი სახელმწიფო პასუხს აგებს მონაცემთა ბაზაში შეტანილი იურიდიული და ფაქტობრივი შეცდომისთვის. პასუხისმგებლობა აისახება ადამიანისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციაში.

მოცემული გარემოებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინტერპოლის მსგავსად ევროპოლის ფორმირება ეტაპობრივად მიმდინარეობდა, თუმცა ამ უკანასკნელის ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროკავშირის სტრუქტურისა და მიზნების სრულყოფის პროცესთან.

ევროპოლისაგან განსხვავებით ინტერპოლი ყალიბდებოდა, როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო სპეციალიზირებული ორგანიზაცია. ევროპოლი განვითარდა, როგორც რეგიონალური ორგანიზაციის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი.

ინტერპოლის ჩამოყალიბების იდეა თითქმის საუკუნის წინ წარმოიშვა და მისი ფორმირების პროცესი დროში გახანგრძლივდა, რომლის ხელისშემშლელ გარემოებად შესაძლოა მივიჩნიოთ განსხვავებული სამართლებრივი სისტემისა და რეგიონის სახელმწიფოების კანონმდებლობა.

ევროპოლის შექმნის იდეა კი სამი ათეული წლის წინათ იქნა შემოთავაზებული, თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზაცია 1992 წლიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს სრულყოფის პროცესში.

ევროპოლის განვითარების ეტაპების გამოკვლევის თანახმად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ევროპის კავშირის სახელმწიფოების ნებამ, კერძოდ;

1. შეექმნათ ძლიერი ეკონომიკური კავშირი;

2. გააუქმებინათ სასაზღვრო კონტროლი;

3. მოეხდინათ კანონმდებლობის უნიფიკაცია და

4. შეექმნათ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელი ორგანო, განაპირობა ევროპოლის სწრაფი ტემპით ფორმირება, რომელსაც პრაქტიკული და თეორიული წვლილი შეაქვს საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

ინტერპოლისა და ევროპოლის ჩამოყალიბების და განვითარების საკითხის ერთობლივი კვლევა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული ორგანიზაციების განვითარება საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის აუცილებლობითაა განპირობებული.

რენე დავიდის შეფასებით, ისტორიის გაკვეთილებზე „აღზედელი“ პრაქტიკა არ დაეჭვებულა მის მნიშვნელობაში, სწორედ ამიტომ აღნიშნული პრობლემების ქრონოლოგიური გამოკვლევა დაგვეხმარება ინტერპოლთან და ევროპოლთან საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივების განსაზღვრაში, რაც საბოლოოდ საშუალებას მოგვცემს ამ მხრივ განვაფიქროთ სწავლება და სასურველი ზემოქმედება მოვახდინოთ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე.

II. თავი. ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების, მათთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი ორბანობის, კანონმდებლობის და საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობაში

თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობას უზრუნველყოფს ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურები, რომლებიც შესაძლებელია პირობითად დავყოთ საერთაშორისო კოორდინაციის შიდაორგანიზაციულ და შიდასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად.

მსგავსი დაყოფა საშუალებას მოგვცემს ინტერპოლისა და ევროპოლის შიდაორგანიზაციული სტრუქტურები გაემიჯნოთ წევრ-სახელმწიფოების პოლიციის (ან სხვა სამართალდამცავ) სტრუქტურაში სპეციალურად შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფისაგან.

თანამედროვე პერიოდში აღნიშნულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით წამოიჭრება მრავალი კითხვა, კერძოდ:

1. ხომ არ ხდება ინტერპოლის ევროპოლით დუბლირება?

2. რა განსხვავებაა ევროპოლისა და ინტერპოლის სტრუქტურებს შორის?

3. ეფექტურია თუ არა მათი სტრუქტურები და შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობისათვის?

4. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს თანამშრომლობა ინტერპოლიტან?

5. რა გზითაა შესაძლებელი ევროპოლიტან ურთიერთობის დამყარება და რა სარგებლობა შეიძლება მიუტანოს

საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მასთან თანამშრომლობამ?

6. რამდენად ეფექტური იქნება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე თანამედროვე საერთაშორისო ოპერატიულ-საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების პრაქტიკული შედეგები?

7. შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის სტანდარტებს და რა ცვლილებების განხორციელებაა შესაძლებელი?

8. რა როლი შეიძლება შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებებმა სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად?

ეს ის კითხვებია, რომელიც თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ დღეისათვის აუცილებელია მათ შექმნისდაგვარად გაეცეს პასუხი.

ასევე მნიშვნელოვანია დასმულ საკითხებთან დაკავშირებით სათანადო დასკვნების, წინადადებების და რეკომენდაციების გამომუშავება.

II. § 1. ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების როლი საპოლიციო თანამშრომლობის უზრუნველყოფაში

ინტერპოლს, როგორც დამოუკიდებელ სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციას, გააჩნია საკმარისი დახვეწილი სტრუქტურა, რომელიც ასახულია მის კონსტიტუციაში.

ი. ბლიშნენკო აღნიშნავს, რომ „ინტერპოლის სტრუქტურული აგებულება, როგორც ამას წესდების ანალიზი ადასტურებს, მის მიერ შესასრულებელ ამოცანებს უკავშირებს გაეროს სისტემის ყველა სპეციალიზირებულ

ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ საერთო ტიპიურ თავისებურებებს⁶³, თუმცა, როგორც პირველ თავში ავლნიშნეთ, ინტერპოლი თავისი წარმოშობიდან და იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, არ არის გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაცია.

ინტერპოლის და ევროპოლის სტრუქტურები, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის უზრუნველყოფაში.

ინტერპოლის ორგანოებია;

1. გენერალური ასამბლეა;
2. აღმასრულებელი კომიტეტი;
3. გენერალური სამდივნო;
4. მრჩეველები;
5. ეროვნული ცენტრალური ბიურო.

ევროპოლის სტრუქტურაში შედის:

1. მმართველობის საბჭო;
2. დირექტორი (დირექტორატი);
3. საფინანსო დისპეჩერი;
4. საფინანსო კომიტეტი;
5. ეროვნული ერთეულები;

ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო და ინტერპოლის ეროვნული ერთეულები შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის (ორგანოების) ზღვარზე იმყოფებიან. ამ სპეციფიკურობის გამო ისინი ცალკე იქნება განხილული.

ინტერპოლისა და ევროპოლის ორგანოების შედარებითი სამართლებრივი კვლევა ნათლად წარმოაჩენს მათ იურიდიულ ბუნებას, რაც მსგავსების გამოვლენისა და განსხვავების წარმოჩენის საშუალებას მოგვცემს.

⁶³Блищенко И. Р. Деятельность ООН по организации сотрудничества государств в области борьбы с международной преступностью. Глава I. Международное уголовное право. Под редакцией Кудрявцева В. Н. М., «Наука» 1999 с. 202.

II. §1.1. ინტერპოლისა და ევროპოლის წარმომადგენლობითი ორგანოების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, მათ მიერ მიღებული დოკუმენტების სამართლებრივი ბუნება

ინტერპოლის კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „გენერალური ასამბლეა წარმოადგენს ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს. იგი შედგება ორგანიზაციის წევრების მიერ დანიშნული დელეგატებისაგან.“ გენერალურ ასამბლეაზე მონაწილე სახელმწიფო შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან რამდენიმე დელეგატი.

კ. როდიონოვი აღნიშნავს, რომ მათი რაოდენობა არსად არაა დათქმული,⁶⁴ თუმცა თითოეულ სახელმწიფოს დელეგაციას ერთი ხმის უფლება აქვს.

ვ. სამარინის თქმით, „მთელი დელეგაციის ნებას გამოხატავს დელეგაციის ხელმძღვანელი“⁶⁵, რომელიც, როგორც რ. კალამკარიანი და იუ. მიგანევი აღნიშნავს „ინიშნება მოცემული სახელმწიფოს კომპეტენტური სამთავრობო ორგანოს მიერ.“⁶⁶

ინტერპოლის გენერალური ასამბლეის პროცედურულ წესებში აღნიშნულია, რომ გენერალურ ასამბლეაზე წარმომადგენლის მანდატი გაცემული უნდა იყოს სახელმწიფო მეთაურის, მთავრობის მეთაურის, საგარეო საქმეთა ან იმ მინისტრის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ინტერპოლში ეცბ-ს წარმომადგენლობაზე ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ.⁶⁷

ინტერპოლის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მისი კონსტიტუციის მე-7 მუხლში მოცემულია სარეკომენ-

⁶⁴ იხ. Родионов К. С. გვ. 55.

⁶⁵ Самарин В. И. გვ. 18.

⁶⁶ Каламкарян Р. А. Мигачев Ю. И. Международное право. М. «FKSMO EDUCATION» с. 287.

⁶⁷ შეადარე Rules of Procedure of the ICPO-Interpol General Assembly. Resolution AGN/65/RI:S/15 (Antalya, 1996). examination of credentials.

დაციო მითითება დელეგაციის შემადგენლობის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ორგანიზაციის „წევრები უნდა მიისწრაფვოდნენ თავიანთი დელეგაციის რიგებში წართონ: ა) იმ ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ საპოლიციო ფუნქციებს; ბ) თანამდებობის პირები, რომელთა ფუნქციონალური ვალდებულებები დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობასთან; გ) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის სპეციალისტები“.

ინტერპოლის არაწევრი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა შესაძლებელია გენერალური ასამბლეის მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა.

ინტერპოლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მიხედვით, გენერალური ასამბლეა, პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მიზნით, განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპებს და გამოიმუშავებს საერთო ღონისძიებებს, განიხილავს და ამტკიცებს გენერალური მდივნის მიერ წარდგენილ სამუშაო გეგმას, ადგენს სხვა წესებს, რომელთა შემოღება მიაჩნია აუცილებლად.

გენერალური ასამბლეა კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად ირჩევს ინტერპოლის თანამდებობის პირებს, მისი კომპეტენციის ფარგლებში ღებულობს გადაწყვეტილებებს და იძლევა რეკომენდაციებს, განსაზღვრავს ორგანიზაციის ფინანსურ პოლიტიკას, განიხილავს და იწონებს სხვა ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებებს.

გენერალური ასამბლეის სესიები კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად, იკრიბება წელიწადში ერთხელ. თუმცა აღმასრულებელი კომიტეტის ან ორგანიზაციის წევრების უმრავლესობის მოთხოვნით შესაძლებელია მოწვეული იქნას საგანგებო სესია.

გენერალური ასამბლეის მოწვევის, დღის წესრიგის, დელეგატების მოწვევის, მათი უფლებამოსილებების ცნო-

ბის, დამკვირვებლების სამართლებრივი სტატუსის, სპეციალური კომიტეტების შექმნის, კენჭისყრის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები დეტალურად მოცემულია ინტერპოლის გენერალური ასამბლეის პროცედურულ წესებში,⁶⁸ ინტერპოლის კონსტიტუციის 44-ე მუხლის თანახმად მიღებულ საერთო ინსტრუქციაში და დანართებში.⁶⁹

გენერალური ასამბლეის რეზოლუციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის განვითარებაზე.

გ. სამარინი მართებულად მიუთითებს, რომ „რეზოლუციებს ადრესატისა და საგნობრივი დამოკიდებულების მიხედვით გააჩნიათ განსხვავებული იურიდიული ძალა. საგნობრივად რეზოლუციები შეიძლება დავეყოს ორ სახედ: რეზოლუციები ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან მიმართებით და რეზოლუციები ცალკეულ სფეროში საერთაშორისო სამართალდაცვით საქმიანობასთან დამოკიდებულებით.“⁷⁰ ავტორი მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით ზოგადად ახსენებს რეზოლუციის ადრესატებს, კერძოდ, წევრ სახელმწიფოებს და ორგანიზაციის სტრუქტურებს.

მართებული იქნებოდა მათი დაკონკრეტება. დღემდე ინტერპოლის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია რეზოლუციის ადრესატის სუბიექტებად წევრ სახელმწიფოთა და ორგანიზაციის სტრუქტურის გარდა გამოვეყოს არაწევრი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და იურიდიული პირები.

ინტეგრაციულ პროცესებთან ერთად დროთა განმავლობაში მათი წრე შესაძლოა გაფართოვდეს. საკვალ-

⁶⁸ იხ. Rules of Procedure of the ICPO-Interpol General Assembly. Resolution AGN/65/RES/15 (Antalya, 1996). Resolution AGN-2004-RES-12 (Cancun, 2004).

⁶⁹ იხ. ICPO-Interpol General Regulations <http://www.interpol.int/Public/ICPO/LegalMaterials/constitution/constitutionGenReg/constitution.asp>

⁷⁰ Самарин В. И. გვ. 18-19.

დებულობის მიხედვით გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, როგორც ამას კ. როდიონოვი აღნიშნავს, მართებულია ორ ნაწილად დაეყოთ. სავალდებულოდ და სარეკომენდაციოდ.

კ. როდიონოვი თვლის, რომ „რეზოლუციები გენერალური სამდივნოს მისამართით წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულოს, ხოლო პოლიციის ორგანოებისა და მთავრობათა მისამართით სარეკომენდაციოს.“⁷¹

ვ. სამარინი სრულიად მართებულად მიუთითებს რეზოლუციების სავალდებულობას არა მარტო გენერალური სამდივნოს მისამართით, არამედ აღმასრულებელი კომიტეტის და სხვა დამხმარე ორგანოებისათვისაც.⁷²

მართებულია განსაზღვრულ შემთხვევებში გენერალური ასამბლეის რეზოლუციები სარეკომენდაციოდ ჩავთვალოთ არაწერი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და იურიდიული პირების მიმართაც.

აღნიშნული გარემოებები საფუძველს გვაძლევს დაეასკენათ, რომ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების მიერ პროფესიული ნიშნით ინტერპოლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტება, მისი ფუნქციონალური დატვირთვის, მუშაობის პროცედურული წესების განსაზღვრა და მიღებული ნორმატიული წყაროების სისტემა სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების დანერგვისა და მისი შემდგომი სრულყოფის საშუალებაა.

ინტერპოლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მნიშვნელობის, შექმნის და უფლებამოსილების შედარებითი ანალიზი ევროპოლის შესაბამის ორგანოებთან მნიშვნელოვანია მეორე თავში დასმული პრობლემების წარმოსაჩენად, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოსამუშავებლად.

⁷¹ Родионов К. С. გვ. 56.

⁷² Самарин В. И. გვ. 19.

ევროპოლი არის ევროპის კავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში. ეს უკანასკნელი ნიშნავს ევროპოლის დირექტორს, მის მოადგილეებს და ამტკიცებს ბიუჯეტს. ის ფუნქციები, რაც ეკისრება ინტერპოლის გენერალურ ასამბლეას, ევროპოლის სისტემაში გადანაწილებულია ევროკავშირის საბჭოსა და ~~ევროპოლის~~ მმართველობის საბჭოს შორის.

ევროპოლის კონსტიტუციის V თავში განსაზღვრულია მისი სამართლებრივი სტატუსი, ორგანიზაცია და დაფინანსების წყაროები. აღნიშნული დოკუმენტის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ევროპოლს გააჩნია იურიდიული ინდივიდუალურობა,“ რაც ასახულია იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში.

მე-2 ნაწილის თანახმად, ევროპოლს თითოეულ მონაწილე სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა გააჩნდეს ფართო იურიდიული და სახელშეკრულებო უფლებაუნარიანობა. მას შეუძლია შეიძინოს და განკარგოს უძრავი და მოძრავი ქონება, იყოს სამართალწარმოების მხარე.

მე-3 ნაწილის თანახმად, ევროპოლს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, რათა დადოს შტაბბინის შეთანხმება პოლანდიის სამეფოსთან, აუცილებელი ხელშეკრულებები მესამე სახელმწიფოებთან და მხარეებთან, ევროკავშირის საბჭოს, ასევე ევროპული კავშირის შეთანხმების შესაბამისად.⁷³

ევროპოლის კონვენციის 28-ე მუხლი ეთმობა მმართველობის საბჭოს. ამ მუხლის 23-ე ნაწილის II პუნქტის თანახმად, „მმართველობა უნდა შედგებოდეს თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ერთი წარმომადგენლისაგან.

⁷³იხ. Europol Convention. This document holds the convention on the establishment of a European Police Office. <http://www.europol.europa.eu/index.asp?page=legalconv>

მმართველობის საბჭოს თითო წევრს უნდა აქონდეს ერთი ხმის უფლება.“

მმართველობის საბჭოში თითოეულ წევრს შეუძლია წარმოდგენილი იყოს დამატებითი წევრით. სრულუფლებიანი წევრის არყოფნის შემთხვევაში მას შეუძლია ხმის მიცემა.

ევროპოლის მმართველობის საბჭოს შეხვედრებზე დასასწრებად იწვევენ ევროკავშირის კომისიის წარმომადგენელს ხმის უფლების გარეშე.

მმართველობის საბჭოს უნდა თავმჯდომარეობდეს წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი. მმართველობის საბჭომ ერთხმად უნდა მიიღოს მისი პროცედურული წესები. ხმის მიცემის დროს თავის შეკავება ხელს არ უშლის მმართველობს საბჭოს მიიღოს ერთხმად მისაღები გადაწყვეტილებები.

ევროპოლის მმართველობა წელიწადში შეიძლება შეიკრიბოს ორჯერ. „მმართველობის საბჭომ ყოველწლიურად ერთხმად უნდა მიიღოს: 1)საერთო ცნობა მიმდინარე წლის მანძილზე ევროპოლის მოქმედებასთან დაკავშირებით, 2)ცნობები ევროპოლის მომავალ მოქმედებასთან დაკავშირებით.“ ეს მონაცემები უნდა წარედგინოს ევროკავშირის საბჭოს, ევროკავშირის შეთანხმებაში დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ევროპოლის სტრატეგიას განსაზღვრავს ევროკავშირის საბჭო, ევროკავშირის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ხოლო მმართველობის საბჭო შუალედურ რგოლს წარმოადგენს ევროკავშირის საბჭოსა და ევროპოლის სხვა სტრუქტურებს შორის, რაც განასხვავებს მას ინტერპოლის გენერალური ასამბლეისაგან.

ევროპოლის მმართველობის საბჭოს, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს, სტრატეგიის განსახორციელებლად, შიდა და საერთაშორისო ურთიერთობის დასარე-

გულირებლად, ევროპოლის კონსტიტუციით ენიჭება ზოგიერთი ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გააჩნია ინტერპოლის გენერალურ ასამბლეას და აღმასრულებელ კომიტეტს, თუმცა ინტერპოლისა და ევროპოლის ორგანოების სამართლებრივი სტატუსი განსხვავებულია, რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმისათვის, რომ ისინი არ ახდენენ ერთმანეთის დუბლირებას.

ევროპოლის მმართველობის საბჭოს მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებამოსილებანი: მიიღოს მონაწილეობა ევროპოლის მიზნების გაფართოებაში, განსაზღვროს ევროპოლთან დაკავშირებული ჩინოვნიკების უფლებები და ვალდებულებები, ერთსულოვნად გადაწყვიტოს სახელმწიფოდან ევროპოლში წარდგენილი ჩინოვნიკების მიღება, მოამზადოს კარტოთეკის მონაცემების მართვის განმახორციელებელი წესები, მონაწილეობა მიიღოს მესამე სახელმწიფოებთან ან მხარეებთან ურთიერთობის წესების მიღებაში. ევროპოლის მმართველობის საბჭო ერთსულოვნად ირჩევს ინდექსის პროექტის სისტემის დეტალებს, ორი მესამედით იწონებს კარტოთეკაში შესაყვან მონაცემებს, მონაწილეობას ღებულობს დირექტორის და მისი მოადგილეების დანიშვნასა და გადაყენებაში, აკვირდება მათი მოვალეობის შესრულებას, მონაწილეობს შტატების ინსტრუქციის და ბიუჯეტის მიღებაში, ასევე კონფიდენციალურობის შეთანხმების მომზადებასა და მისი დაცვის პირობების დადგენაში, ერთსულოვნად ნიშნავს ფინანსურ დისკეჩერს და აკვირდება მის მუშაობას, უზრუნველყოფს ევროპოლის ჩინოვნიკების უსაფრთხოების დაცვის წესების მიღებას, ერთსულოვნად ღებულობს ხუთწლიანი დაფინანსების გეგმას და ასრულებს საბჭოს დავალებით სხვა ამოცანებს.

ევროპოლის მმართველობის საბჭო უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს განსხვავებულ ნორმატიულ აქტებს, რომელიც თანამეგობრობის საქართლის ნაწილი ხდება. ამ

საკითხთან დაკავშირებით აქტუალურია თანამეგობრობის სამართლის სპეციფიკურობა.

ევროპულ სამართალში „პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ორი ძირითადი პოზიცია, რომელთაგან პირველი თანამეგობრობის სამართალს უთანაბრებს ნაციონალურ სამართალს, მეორე – საერთაშორისო სამართალს“.⁷⁴

თანამეგობრობამ ჩამოყალიბება დაიწყო საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, თუმცა, როგორც ბ. ტოპორნინი აღნიშნავს, „თანამეგობრობის ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო მათი ინსტიტუტებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც ნებას დართავდა სახელმწიფო ორგანოებისათვის, საწარმოებისათვის და ასევე წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის სულ უფრო ფართო ვალდებულების დაკისრებას“⁷⁵. აღნიშნული ავტორი დასძენს, რომ თანამეგობრობის სამართალი თავიდანვე გარკვეულწილად სცილდებოდა საერთაშორისო სამართლის კლასიკურ მოდელს.

დროთა განმავლობაში თანამეგობრობის ლეგიტიმაციის ხარისხის ზრდამ ხელი შეუწყო მისი სამართლის ავტონომიურობას, რომელიც გამოირჩევა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლისადმი დამოკიდებულების სპეციფიკურობებით.

ბ. ტოპორნინი იურისტთა შრომების და ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მართებულად მიუთითებს, რომ „პრინციპში თანამეგობრობის სამართლის წყაროები ძირითადად იყოფა ორ ჯგუფად, რომელთაგან პირველმა მიიღო „პირველადი სამართლის“, მეორემ – „მეორადი სამართლის“ სახელწოდება.⁷⁶

„პირველადი სამართლის“ წყაროებად თელიან დამუქანებელ ხელშეკრულებებს, რომლებიც ასრულებენ

⁷⁴ Топорнин Б. Н. Европейское право. М. Юрист. 1998. с. 264, 265.

⁷⁵ იქვე, გვ. 266.

⁷⁶ იქვე, გვ. 277.

ძირითადი კანონის როლს, ხოლო „მეორადი სამართალი“ იქმნება „პირველადი სამართლის“ საფუძველზე.

დამფუძნებელი ხელშეკრულებების მიხედვით თანამეგობრობის ორგანოები ღებულობენ რეგლამენტს, დირექტივას, გადაწყვეტილებას, რეკომენდაციას და სხვა განსაკუთრებული ხასიათის აქტებს. აღნიშნული აქტების ერთი ნაწილი სავალდებულოა, მეორე კი სარეკომენდაციო. აღნიშნულის მიუხედავად, მკაფიოდ არ არის გამოიყენებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

მოცემული ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავარკვიოთ ევროპოლის მმართველობის საბჭოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების ადგილი, მნიშვნელობა და სავალდებულობა. ევროპოლის მმართველობის საბჭოს შიდა ნორმატიულ წყაროებს შორის მნიშვნელოვანია აქტები (კანონები), მაგალითად, 1998 წლის 15 ოქტომბრის აქტი (კანონი) კავშირის ოფიცრების უფლება-მოვალეობების შესახებ,⁷⁷ 1998 წლის 1 ოქტომბრის აქტი (კანონი) მისი პროცედურული წესების დადგენის შესახებ⁷⁸ და სხვა.

აქტების (კანონების) გარდა ევროპოლის მმართველობა ხშირად ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს.⁷⁹

ინტერპოლის გენერალური ასამბლეისა და ევროპოლის მმართველობის საბჭოს შედარებითი ანალიზის საფუ-

⁷⁷ იხ. Act of the Management Board of Europol 99/C26/09 (Official Journal of the European communities C 26 of 30. 01. 1999. 26/86). Act of the Management Board of Europol of 15 October 1998 concerning the rights and obligations of liaison officers.

⁷⁸ იხ. Act of the Management Board of Europol 99/C26/08 (Official Journal of the European communities C 26 of 30. 01. 1999. 26/86). Act of the Management Board of Europol of 1 October 1998 laying down its rules of procedure.

⁷⁹ იხ. Decision of the Management Board of Europol 2001 /65/02 (Official Journal of the European communities C 65 of 28. 02. 20019). Decision of the Management Board of Europol of 16 November 1999 agreeing to the conditions and procedures of laid down by Europol regarding taxes applicable to salaries and emoluments paid to Europol staff members for the benefit of Europol.

ძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორივე ლე-
გიტიმური კოლეგიური ორგანოა.

გენერალური ასამბლეა ინტერპოლის უმაღლესი
ორგანოა, ევროპოლის მმართველობის საბჭო კი ევროპის
კავშირის ერთ-ერთი ორგანოს სტრუქტურული ერთეულია,
სწორედ ამიტომ უფლებამოსილების ხარისხით ვერ
უტოლდება გენერალურ ასამბლეას. ამ უკანასკნელის მიერ
გამოცემული დოკუმენტები საერთაშორისო ხასიათს ატა-
რებს, ხოლო ევროპოლის მმართველობის საბჭოს
დოკუმენტები გარკვეული რეგიონით შემოიფარგლება. ევ-
როპოლის მმართველობის საბჭოს გააჩნია ინტერპოლის
აღმასრულებელი კომიტეტის მსგავსი ზოგიერთი ფუნქცია.

ევროპოლის მმართველობის საბჭოს მიერ გამოცემული
დოკუმენტების დიდი ნაწილი სავალდებულოა, რასაც ხელს
უწყობს ევროპის კავშირში მიმდინარე პროცესები.

ინტერპოლის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული
დოკუმენტების დიდი ნაწილი სარეკომენდაციოა, სავალდე-
ბულოა შიდა ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტები.

ამდენად, აღნიშნული ორგანოების სამართლებრივ
სტატუსს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება.

II. §12. ინტერპოლისა და ევროპოლის მაკონტროლებელი და აღმასრულებელი ორგანოების შედარებით სამართლებრივი ანალიზი

ინტერპოლის და ევროპოლის მაკონტროლებელ და
აღმასრულებელ ორგანოებს განსხვავებული სტრუქტურა
აქვთ.

ინტერპოლის კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიხედვით,
„აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ორგანიზაციის
პრეზიდენტისგან, სამი ვიცე-პრეზიდენტისა და 9
დელეგატისაგან.“ გენერალური ასამბლეა აღმასრულებელ

კომიტეტში დელეგატების შემადგენლობიდან სამართლიანი გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით, ირჩევს სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებს. პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა 4 წლით, გენერალური ასამბლეის დელეგატების ხმების 2/3-ით და ვიცე-პრეზიდენტები, რომლებიც აირჩევიან 3 წლით, უნდა წარმოადგენდნენ სხვადასხვა კონტინენტს.

ინტერპოლის კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს გენერალური ასამბლეის სესიებს და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს, ახორციელებს კონტროლს, რათა ორგანიზაციის საქმიანობა შეესაბამებოდეს გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს, მუდმივად კავშირს ამყარებს ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით, აღმასრულებელი კომიტეტი: ახორციელებს კონტროლს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების შესრულებაზე, ამზადებს გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგს, გენერალურ ასამბლეას წარუდგენს სამუშაო გეგმასა და წინადადებებს, ახორციელებს კონტროლს გენერალური მდივნის საქმიანობაზე, სარგებლობს გენერალური ასამბლეის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით.

ინტერპოლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოების გარდა, მის შემადგენლობაში არსებობს საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივმოქმედი კომიტეტი და ინტერპოლის არქივის შიდა კონტროლის დამკვირვებელთა საბჭო.⁸⁰

საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივმოქმედი კომიტეტი შედგება ტექნიკური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ინტერპოლის ეფექტური ფუნქციონირებისთვის რეკომენ-

⁸⁰ იხ. ICPO – Interpol. General information. Lyons: General Reference Department. 1995. p. 11-13.

დაცვას უწევინ აღმასრულებელ კომიტეტს უახლესი მოწყობილობის დასანერგად.

ინტერპოლის არქივის შიდა კონტროლის დამკვირვებელთა საბჭო შედგება 5 წევრისაგან, რომელიც იკრიბება წელიწადში სამჯერ. მათი საქმიანობა შემოიფარგლება ინტერპოლის მიერ ინფორმაციის შეგროვების და შენახვის დროს ადამიანის უფლებების დაცვის კონტროლით.

ინტერპოლის წევრ სახელმწიფოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს შეუძლია მის შესახებ არსებული ინფორმაციის მისაღებად ან მასში ცვლილების განსახორციელებლად მიმართოს დამკვირვებელთა საბჭოს, ეს უკანასკნელი კი ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან შეთანხმებით ადგენს ინფორმაციის მართებულობას და აცნობებს შედეგს.

ვ. სამარინი ინტერპოლის აღმასრულებელ კომიტეტს თვლის აღმასრულებელ ორგანოდ, ხოლო გენერალურ სამდივნოს – ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ორგანოდ.⁸¹

ი. ბლიშჩენკო აღმასრულებელ კომიტეტს განიხილავს ადმინისტრაციული ორგანოს სახით.⁸²

ლ. გალენსკაია, აკეთებს რა ორივე ორგანოს საქმიანობის ჩამონათვალს, ბუნდოვნად მიუთითებს მათ აღმასრულებელ ფუნქციაზე.⁸³

კ. როდიონოვის თქმით, აღმასრულებელი კომიტეტი „გენერალური ასამბლეის სესიათაშორის პერიოდში ახორციელებს მის ფუნქციებს.“⁸⁴

მოცემული გარემოების გათვალისწინებით, აღმასრულებელი კომიტეტის სტრუქტურიდან და ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ის ერთდროულად წარმოადგენს მაკონტროლებელ და დამხმარე ორგანოს, რომელიც ითავისებს სხვადასხვა

⁸¹ იხ. Самарин В. И. გვ. 19, 20.

⁸² Блищенко И. Р. Под редакцией В. Н. Кудрявцева. გვ. 202, 203.

⁸³ იხ. Галенская Л. И. გვ. 142, 143.

⁸⁴ Родионов К. С. გვ. 57.

რეგიონისა და განსხვავებული სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოების თავისებურებებს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის.

ინტერპოლის გენერალური სამდივნო მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც გენერალური მდივნის, სპეციალისტების და ადმინისტრაციული პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობას. გენერალურ მდივანს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით 5 წლის ვადით ამტკიცებს გენერალური ასამბლეა.

ინტერპოლის კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, გენერალური სამდივნო ახორციელებს გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს, მოქმედებს, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის და სპეციალიზირებული ინფორმაციის ცენტრი, ახორციელებს ეფექტურ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას, საპოლიციო თანამშრომლობის მიზნით კავშირს ამყარებს ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამზადებს პუბლიკაციებს, სესიებისა და სხდომების დროს თავის თავზე იღებს სამდივნოს ვალდებულებებს, ამზადებს შემდეგი წლის სამუშაო გეგმის პროექტებს, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა აღმასრულებელ კომიტეტს და გენერალურ ასამბლეას.

ინტერპოლის კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად, გენერალური მდივანი ქირაობს და ხელმძღვანელობს პერსონალს, განკარგავს ბიუჯეტს, გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივების შესაბამისად, ორგანიზაციას უკეთებს და მიმართულებას აძლევს მუდმივმოქმედი სამსახურების მუშაობას, პასუხისმგებელია ინტერპოლის უმაღლესი ორგანოების წინაშე.

ჩამოთვლილ გარემოებათა საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ გენერალური სამდივნოსა და მდივნის ფუნ-

ქციები აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი იურიდიული ბუნების მატარებელია, ადმინისტრაციული ფუნქციების გარეშე აღსრულება შეუძლებელია, ამიტომ მეცნიერებაში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ გენერალურ სამდივნოს მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციები გააჩნია, არამართებულია.

ამდენად, გენერალური სამდივნოსათვის დამახასიათებელი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ფუნქციები, სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შექმნის ერთ-ერთი რგოლია, თუმცა ამ ორგანოსათვის სახელმწიფოთა მხრიდან მეტი უფლებების მინიჭებით გაიზრდება მისი ეფექტურობა.

ევროპოლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დირექტორს, რომელიც „ინიშნება საბჭოს მიერ ოთხი წლის ვადით, ერთხელ განახლებით. დირექტორი და დირექტორის მოადგილეები საბჭოს მიერ შეიძლება განთავისუფლებული იქნან მმართველი საბჭოს მოსაზრების მიღების შემდეგ.“⁸⁵ დირექტორს ჰყავდა ორი მოადგილე, მაგრამ დირექტორატის ფუნქციონალური დატვირთვის გამო უკანასკნელ პერიოდში მათი რაოდენობა გაიზარდა სამამდე.⁸⁶

ევროპოლის კონვენციის 29-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დირექტორი ახორციელებს ევროპოლისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას, ყოველდღიურ ადმინისტრირებას, პერსონალის მართვას, მმართველობის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას, მონაწილეობას ღებულობს ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში.

დირექტორი პასუხისმგებელია მმართველი საბჭოს წინაშე, ამავე დროს არის ევროპოლის იურიდიული წარმომადგენელი. ის ქირაობს და სამუშაოდან ათავისუფლებს

⁸⁵ იხ. <http://www.exodus2006.com/fab/europol.htm> Europol Convention: European police office

⁸⁶ იხ. <http://www.ruseu.org/print.php?id=49> Единая полиция и юстиция.

მოსამსახურეებს. ამ შემთხვევაში, პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად, ითვალისწინებს ევროპის კავშირის ოფიციალური ენების და წევრ-სახელმწიფოების მოქალაქეების ადეკვატურ წარმომადგენლობას.

ევროპოლის დირექტორატის საქმიანობაში იკვეთება ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტისა და გენერალური სამდივნოსათვის მინიჭებული ზოგიერთი ფუნქციონალური დატვირთვის ნიშანი. სწორედ ამიტომ ის შეიძლება მივიჩნიოთ ევროპოლის აღმასრულებელ-ადმინისტრაციულ ორგანოდ.

ევროპოლის დირექტორატისათვის განსაკუთრებული უფლებამოსილების მინიჭება შესაძლებელია განპირობებული იყოს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის დაახლოებით, რაც საბოლოოდ აღნიშნულ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

ევროპოლის კონვენციის 35-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ფინანსურ სფეროში მაკონტროლებელ ორგანოებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფინანსურ დისპენერს, რომელიც ერთსულოვნად ინიშნება მმართველი საბჭოს მიერ. დისპენერი ახორციელებს შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლს. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, იქმნება საფინანსო კომიტეტი, რომლის ფუნქციაცაა ბიუჯეტისა და საფინანსო საქმეების განხილვა, ის შედგება თითოეული წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან.

ინტერპოლის შემადგენლობაში მსგავსი ორგანო ცალკე არ არსებობს, ის შედის გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში, როგორც სამსახური. „ფინანსური სფეროს საკითხებზე პასუხისმგებელია საფინანსო ინსპექტორი. ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად, საფინანსო ინსპექტორის ამოცანას

წარმოადგენს ბიუჯეტის მომხადაება და დამტკიცებულ ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა.⁸⁷

ინტერპოლის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ავთილი უკავია მრჩეველთა ინსტიტუტს, „სამეცნიერო საკითხებზე ორგანიზაციას შეუძლია კონსულტაცია მრჩეველებთან“⁸⁸.

მრჩეველები 3 წლით აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ინიშნებიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღნიშნული გარემოება გენერალური ასამბლეის მიერ მხედველობაში იქნება მიღებული. ორგანიზაციისათვის საინტერესო საკითხებზე მრჩეველებად შესაძლებელია აყვანილი იქნას მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები. ი. ბეკლსონი აღნიშნავს, რომ მრჩეველებად ინიშნებიან საერთაშორისო სამართლის, კრიმინალისტიკის, კრიმინოლოგიის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესში ცნობილი მეცნიერები.⁸⁹

მოცემული ინსტიტუტის განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში ინტერპოლის როლის ზრდას, რადგან დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში სახელმწიფოთა დახმარებაზე და საინფორმაციო კოორდინაციაზე ბევრად და მოკიდებული აღნიშნული ორგანიზაციის სტრუქტურების ეფექტური საქმიანობა.

ინტერპოლისა და ევროპოლის შიდაორგანიზაციული სტრუქტურების შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდება მათი მნიშვნელობა სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობაში. აღნიშნული ორგანიზაციების შესაბამისი სტრუქტურების ფუნქციონალური დატვირთვის, მიღებული დოკუმენტების სავალდებულობის და მოქმედების გავრცელების განსხვავების მიუხედავად, პირობითად შესაძლებელია გამოვეყოთ მსგავსება შიდა სტრუქტურებში:

⁸⁷ Самарин В. И. გვ. 24.

⁸⁸ ICPO-Interpol Constitution. Article 34.

⁸⁹ იხ. Бельсон Я. М. Международная организация уголовной полиции (Интерпол). М., ВНИИ МВД СССР, 1981 г. 32.

1.საკანონმდებლო;

2.აღმასრულებელ-დამხმარე და

3.მაკონტროლებელი უფლებამოსილების მიხედვით.

სტრუქტურებს შორის უფლებამოსილების მსგავსი გადანაწილება და მათ შორის კოორდინაცია უზრუნველყოფს ორგანიზაციის სწრაფ განვითარებას და სტაბილურობას, მისი ეფექტური ფუნქციონირება კი დამოკიდებულია წევრ-სახელმწიფოთა ეროვნული ცენტრალური ბიუროების საქმიანობაზე. სწორედ ამ სპეციფიკურობის გათვალისწინებით შემდეგ პარაგრაფში ყურადღება იქნება გამახვილებული ინტერპოლის და ევროპოლის სტრუქტურებთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების და კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე.

II. §2. ინტერპოლთან და ევროპოლთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების და კანონმდებლობის ეფექტურობის საკითხისათვის

ინტერპოლთან და ევროპოლთან თანამშრომლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებთან შექმნილი სპეციალური ერთეულები. იურისტთა ერთი ნაწილი მას მოიაზრებს ინტერპოლისა და ევროპოლის შემადგენლობაში, მეორე კი ეროვნული ორგანოების სტრუქტურად, თუმცა ისინი წარმოადგენენ შუალედურ რგოლს აღნიშნული ორგანიზაციების სტრუქტურებსა და შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს შორის.

ნ. კოსტენკო აღნიშნავს, რომ „ინტერპოლთან თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად თითოეული მონაწილე სახელმწიფო ქმნის ორგანოს (ეროვნულ ცენტრალურ

ბიუროს – ეცბ), რომლებიც ორგანიზაციასთან უშუალოდ ახორციელებენ ურთიერთმოქმედებას.⁹⁰

ი. ლებედინეცი მიუთითებს, რომ „ეცბ იქმნება თითოეული წვერი სახელმწიფოს პოლიციის სამსახურის სტრუქტურაში. ისინი წარმოადგენენ ადგილებზე დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრს. ერთი მხრივ, ეცბ წარმოადგენს ინტერპოლის მუდმივმოქმედ ორგანოს, მეორე მხრივ კი, წვერ-სახელმწიფოთა საპოლიციო ორგანოს, აღჭურვილს დანაშაულობასთან ბრძოლის ფართო უფლებამოსილებით.“⁹¹ ავტორი სრულიად მართებულად აყალიბებს ეცბ-ს არსს და მიზანს, თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, პოლიციის სამსახურის სტრუქტურის გარდა, ეცბ-ს საქმიანობა შეიძლება დაეკისროს ნებისმიერ ორგანოს, რასაც ადასტურებს ინტერპოლის კონსტიტუციის 32-ე მუხლი.

აშშ-ში ეცბ არის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო რუსეთში, ბელორუსიაში, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებში კი – შსს შემადგენლობაში, გერმანიაში სისხლის სამართლის ფედერალური სამმართველოს, ხოლო შვეიცარიაში – საპოლიციო საქმეების ფედერალური სამმართველოს შემადგენლობაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სახელმწიფოების ეცბ-ს შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი ბაზის სპეციფიკურობის კვლევა.

მაიკ მუთის აზრით, თითოეული სახელმწიფო ქმნის ეცბ-ს, რათა დაცული იქნეს სახელმწიფო ინტერესები,

⁹⁰ Костенко Н. И. Международная организация уголовной полиции (Интерпол). Ответств. Ред. Усенко Е. Т. Шинкарецкая Г Г Международное Право. М. ЮРИСТ 2003 с. 469.

⁹¹ Лебединiec И. Н. Сотрудничество государств в борьбе с уголовными преступлениями международного характера в рамках международных организации.). Ответств. Ред. Бекяшев К. А. Международное Право. М. ПРОСПЕКТ. 2005. с. 618.

კერძოდ, მტკიცებულებების მოძიების, ბრალდებულის ძებნის, უზო-უკელოდ დაკარგულის ადგილსამყოფელის დადგენის, ამოუცნობი გვამის იდენტიფიკაციის და სხვა საგამოძიებო ინფორმაციის მისაღებად, რომელიც სცილდება სახელმწიფოს საზღვრებს. აშშ-ში ეცბ არსებობს ვაშინგტონში, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ნაწილს.⁹²

II. §2.1. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აშშ-ში

1969 წლიდან ეცბ შეიქმნა აშშ-ს სახაზინო სამსახურთან, 1977 წ-დან კი ის ერთდროულად ემორჩილებოდა სახაზინო სამსახურს და იუსტიციის სამინისტროს, ხოლო 1981 წლიდან კი შევიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში. იმისათვის, რომ მომხდარიყო დაახლოება ინტერპოლსა და აშშ-ს პოლიციის ადგილობრივ ორგანოებს შორის, დაიწყო ეცბ ფილიალების გახსნა ცალკეულ შტატებში. ასეთი ფილიალები პირველად მოქმედებდნენ ვირჯინიის, კალიფორნიის, კანზასის, კოლორადოს და ილიონისის შტატებში. ეს ინიციატივა მოგვიანებით სხვა შტატებშიც იქნა მოწონებული.⁹³ მაიკ მარტი აღნიშნავს, რომ „არასოდეს არ იყო გამიზნული, რომ ინტერპოლი ყოფილიყო საერთაშორისო პოლიცია. საერთაშორისო სამართლის არცერთი ნორმა არ ითვალისწინებს ოპერაციებში უშუალოდ მის ჩართვას.“⁹⁴

აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი ინტერპოლში არის გენერალური ატორნეი (იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელი), ხოლო ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს ხელმძღვა-

⁹²იხ. Mike Muth Interpol. your best resource for international unvestigations. <http://www.calea.org/newweb/newsletter/No76/interpol/htm>

⁹³იხ. Police and Security Bulletin.- N.Y. 1987.- Dec. 19. - p. 1-2.

⁹⁴ Mike Muth. იქვე.

ნელობს უფროსი, რომელიც იუსტიციის სამინისტრიოს ხელმძღვანელის სახელით ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს.

აშშ-ის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი:

1. ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობაში;

2. არის ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი;

3. ორგანიზაციას უკეთებს ეროვნული ცენტრალური ბიუროდან ინტერპოლის წევრი სახელმწიფოებისათვის, აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოებისათვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, სასჯელის აღსრულების შესახებ ინფორმაციისა და მოთხოვნების გადაგზავნას;

4. კოორდინაციას უწევს და განაზოგადებს საერთაშორისო ხასიათის ინფორმაციას გამოძიებისათვის;

5. ხელმძღვანელობს საერთაშორისო დანაშაულებრივი საქმიანობის ანალიზს;

6. კავშირს ამყარებს სააგენტოებთან, ხელმძღვანელობს არასამართალდამცავი ორგანოებისათვის დასაშვები ინფორმაციის გაცემის გამო მოსაკრებლების ამოღებას.

აშშ-ს ეცბ-ს შემადგენლობაში შედის:

1. სამდივნო;

2. ადმინისტრაციული განყოფილება;

3. ტექნიკური განყოფილება;

4. უცხოელ ბრალდებულთა ძებნის განყოფილება;

5. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;

6. ტერორიზმისა და ძალადობით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;

7. შტატებისა და ადგილობრივი პოლიციის კავშირის განყოფილება;

8. ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;

9. იურიდიული მრჩეველების სამსახური.

აშშ-ში სამართალგამოყენებით სფეროში მომუშავე წინააღმდეგობა, რომელთაც ხელი მიუწვედებოდათ ეცბ-ს ხაზით ინფორმაციისათვის, იციან როგორ უნდა გამოიყენონ მისი რესურსები.

დღეისათვის 72 სახელმწიფო ინტერპოლის „წითელ ცირკულიარს“ სცნობს, როგორც დროებითი დაპატიმრების მოთხოვნას გადაცემის მიზნით, თუ მოთხოვნის გამცემ და მიმღებ სახელმწიფოს შორის არსებობს ექსტრადიციის ხელშეკრულება.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა არ ცნობს „წითელ ცირკულიარს“, როგორც დროებითი დაპატიმრების მოთხოვნას, თუ მომთხოვნ სახელმწიფოსთან არ არსებობს გადაცემის ხელშეკრულება. ამდენად, აშშ-ში თუ იმყოფება „წითელი ცირკულიარით“ ძებნილი პირი, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საექსტრადიციო დოკუმენტების მომზადება, რომლის შემდეგაც შესაძლებელია მსგავსი მოთხოვნის გაგზავნა.

II. §2.2. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო რუსეთის ფედერაციაში

აშშ-ს ეცბ-ს ფილიალების მსგავსი სისტემა შეიქმნა რუსეთშიც. 1997 წლის ივნისში რუსეთის შსს მინისტრის №333 ბრძანებით დამტკიცებული იქნა ეცბ-ს ტერიტორიული ქვედანაყოფების ტიპური დებულება. 1997 წლის 13 ოქტომბერს რუსეთის შსს მინისტრის №666 ბრძანება „კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული ცენტრალური ბიუროს შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს ეცბ-ს ფილიალების შექმნას რუსეთის ფედერაციის სუბიექტების შსს-ს ბაზაზე. ასეთი ფილიალები შექმნილია ყალმუხეთის

რესპუბლიკის, კრასნოდარის, როსტოვის, კალინინგრადის და კაშჩატკის მხარეებში.⁹⁵ რაც სრულიად მართებულია რუსეთის ტერიტორიული სიდიდიდან გამომდინარე.

ინტერპოლში გაერთიანების შემდეგ პოსტსოციალისტური ქვეყნების ეცბ-ს საქმიანობა გარკვეული პერიოდის მანძილზე არ იყო კანონმდებლობით სათანადოდ რეგულირებული, რაც ნათლად ჩანს გაწვევრიანებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოცემულ დოკუმენტებში. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის ინტერპოლში გაწვევრიანებიდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ იქნა მიღებული ზოგიერთი ნორმატიული აქტი.

რუსეთის ფედერაციის შსს-ს ორგანოების ეცბ-თან ურთიერთმოქმედების საკითხების რეგლამენტაციისათვის შსს-ს მინისტრის მიერ 1994 წლის 14 იანვრის № 10 ბრძანებით დამტკიცებული იქნა „ინსტრუქცია რუსეთის შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ინტერპოლის ხაზით საუწყებო ხასიათის მოთხოვნების და დავალებების გამოყენების და გადაგზავნის შესახებ.“

1996 წლის 30 ივლისის პრეზიდენტის №1113 ბრძანებით, ინტერპოლის ეცბ გამოცხადდა რუსეთის ფედერაციის შშს ქვეგანყოფილებადა, რომელიც თანამშრომლობს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავ და სხვა ორგანოებთან, ინტერპოლის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებთან და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან.⁹⁶ აღნიშნული დოკუმენტის მე-2 პუნქტით განისაზღვრა ეცბ-ს ამოცანები.

1996 წლის 14 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული იქნა ეცბ-ს

⁹⁵ იხ. Иларионов В., Путова И. Правовое и организационные – методические аспекты международного розыска преступников. «Книжный мир». М. 1999. С.9.

⁹⁶ იხ. Указ Президента РФ от 30 июля 1996 г. №1113. „Об участии Российской Федерации в деятельности международной организации уголовной полиции - Интерпола“ <http://zakon.kuban.ru/private/up1113.htm>

დებულება, რომელშიც განისაზღვრა ეცბ-ს საერთო მდგომარეობა, ფუნქციები და ხელმძღვანელობის სამართლებრივი სტატუსი.⁹⁷ ამ დოკუმენტის I თავის მე-2 ნაწილის თანახმად, „ინტერპოლის ეცბ-ს მთავარ ამოცანას წარმოადგენს: სისხლის სამართლის დანაშაულებზე ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის ეფექტური უზრუნველყოფა; საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნების შესრულება რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად; დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებაზე ზედამხედველობა.“

მოცემული დებულების მე-3 ნაწილის თანახმად, ინტერპოლის ეცბ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სამართლის ისეთი წყაროებით, როგორიცაა: „რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, ფედერალური კანონები, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებები და განკარგულებები, რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და ნორმები, ინტერპოლის კონსტიტუცია, ინტერპოლის გენერალური ასამბლეის სავალდებულო გადაწყვეტილებები, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რუსეთის ფედერაციის სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და აღნიშნული დებულება.“

ეცბ-ს დებულების II თავის მიხედვით, ის ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

1. დადგენილი წესის თანახმად ღებულობს, ამუშავებს და აგზავნის ინტერპოლის გენერალურ სამდივნოში და

⁹⁷იხ. Постановление Правительства РФ от 14 октя. 1996. №1190 «Об утверждении Положения о Национальном центральном бюро Интерпола» // Собрание законодательства Российской Федерации 1996. №43.С.4916.

უცხო სახელმწიფოების ეცბ-ში მოთხოვნებს, საგამოძიებო დავალებებს და რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების შეტყობინებებს დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის განხორციელების, დაპატიმრების და გადაცემის თაობაზე.

2. ახორციელებს საზღვარგარეთ გატანილი დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, გატაცებული ნივთების და დოკუმენტების ძებნას და დაკავებას.

3. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების, ინტერპოლის კონსტიტუციის და გენერალური ასამბლეის სავალდებულო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, უფლებამოსილი სუბიექტების მოთხოვნებზე ღებულობს სათანადო ზომებს.

4. არსებული წყაროების გათვალისწინებით არკვევს უცხო ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-დან გამოგზავნილი მოთხოვნის შესრულების შესაბამისობას რუსეთის კანონმდებლობასთან და უგზავნის მათ სამართალდამცავ ორგანოებს.

5. ახდენს სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზს.

6. რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი და სახელმწიფო ორგანოებიდან ითხოვს და ღებულობს მასალებს და დოკუმენტებს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოში წარსადგენად, ინტერპოლის კონსტიტუციისა და გენერალური ასამბლეის სავალდებულო გადაწყვეტილებების შესაბამისად.

7. უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

8. შსს-ს დავალებით მონაწილეობს დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებული რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების, ფედერალური კანონების და სხვა სამართლებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებაში.

9. რუსეთის ფედერაციის და სხვა სამართალდამცავ ორგანოებს უწევს აუცილებელ საკონსულტაციო მეთოდურ დახმარებას ინტერპოლის ფარგლებში დანაშაულებრიობასთან ბრძოლის სფეროში.

10. ქმნის მონაცემთა ბაზას.

11. სწავლობს დანაშაულებრიობასთან ბრძოლის უცხოურ გამოცდილებას და ქმნის უცხოური კანონმდებლობის საინფორმაციო ფონდს.

12. დანაშაულის მდგომარეობის თაობაზე დადგენილი წესის თანახმად ადგენს და აგზავნის მონაცემებს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოში.

13. თავის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოსცემს კრებულს და აგზავნის რუსეთის ფედერაციის დაინტერესებულ ორგანოებში.

დებულების III თავის თანახმად, რუსეთის ფედერაციის ეცბ-ს ხელმძღვანელობას ახორციელებს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს შშს მინისტრი. ბიუროს უფროსი თანამდებობაზე ნიშნავს მოადგილეებს.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, საქართველოში ამ ფუნქციას ახორციელებს შშს მინისტრი ბიუროს უფროსის წარდგინებით.⁹⁸ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ეცბ-ს დებულების შესაბამისად, ბიუროს უფროსი წარუდგენს შშს მინისტრს წინადადებებს ბიუროს სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის ეცბ-ს უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, ხოლო საქართველოს ეცბ-ში ის ერთი საშტატო ერთეულით განისაზღვრება.⁹⁹

რუსეთის ფედერაციის ეცბ-ს გააჩნია:

⁹⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №416 (2005 წლის 27 აპრილი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ. დებულების მე-10 მუხლი.

1. საერთაშორისო ძეგნის;

2. ოპერატიული ინფორმაციისა და ტექნიკური განვითარების და

3. საორგანიზაციო განყოფილებები.

საქართველოს ეცბ-ში არსებობს სამი სტრუქტურული ერთეული, კერძოდ:

1. საერთაშორისო ძეგნის;

2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო და

3. საერთო განყოფილება.

თითქმის ანალოგიური სტრუქტურები გააჩნიათ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემაველ სახელმწიფოებს.

მოცემული წყაროების გარდა, 2000 წლის 26 ივნისიდან ეცბ თავის საქმიანობაში იყენებს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების ინტერპოლის ხაზით ინფორმაციული უზრუნველყოფის ორგანიზაციის ინსტრუქციას, რომელიც დამტკიცებული იქნა ერთობლივად შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის, უშიშროების ფედერალური სამსახურის, საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის და სასაზღვრო ფედერალური სამსახურის ერთობლივი ბრძანებით. აღნიშნული ინსტრუქციის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ჩამოთვლილი უწყებების ორგანოები და, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის პროკურატურის ორგანოები ინტერპოლთან თანამშრომლობის სუბიექტებად ითვლებიან.

რუსეთის ფედერაციის ეცბ-ს დებულებაში სახელმძღვანელო ნორმატიული წყაროების ჩამონათვალი არ ემთხვევა რუსეთის კანონმდებლობით დადგენილ იერარქიას. ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით სხვა პოსტსოციალისტური სახელმწიფოების ეცბ-ს შიდანორმატიულ აქტებში,

რაც არაა მართებული, რამდენადაც სამართლებრივი დახმარება მრავალ პრობლემურ საკითხთანაა დაკავშირებული პრაქტიკაში, შეცდომების თავიდან აცილების მიზნით მართებულად მიმაჩნია ეცბ-ს შიდანორმატიული აქტები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი თითოეულ სახელმწიფოში დადგენილი ნორმატიული აქტების იერარქიასთან.

მეცნიერთა ერთი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნულ ინსტრუქციაში ინტერპოლთან თამშრომლობის სუბიექტების ჩამონათვალის მიხედვით მის გარეთ რჩება სხვა სამართალდამცავი ორგანოები. თუმცა 1996 წლის 30 ივლისის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის №1113 ბრძანებით, ინტერპოლის ეცბ თანამშრომლობს სამართალდამცავ და სხვა ორგანოებთან.

მართებულად მიუთითებს ვ. ოჩინსკი ინტერპოლთან თანამშრომლობის ისეთ სუბიექტებზეც, როგორცაა: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მაკონტროლებელი ორგანოები და ორგანიზაციები, ასევე ოპერატიული სამძებრო საქმიანობის სხვა სუბიექტები.¹⁰⁰

ინტერპოლთან თანამშრომლობის სუბიექტების პრობლემა იკვეთება სხვა ქვეყნებში, სწორედ ამიტომ მართებულია ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

II. §2.3. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო შვეიცარიის ფედერაციაში

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინტერპოლის ეცბ-ს საქმიანობის განსხვავებული სამართლებრივი რეგულირების მოდელი. ინტერპოლის ეცბ-ს დებულება შვეიცარიაში

¹⁰⁰ იხ. Овчинский В. С. Интерпол. М. Инфра-М. 2001. с. 60.

მიღებული იქნა საკანონმდებლო ორგანოს – ბუნდესრატის მიერ 1986 წელს. ამავე ორგანოს მიერ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის 351 მუხლის ნაწილებით რეგულირებულია ეცბ-ს საქმიანობა.

შვეიცარიის საპოლიციო საქმეების ფედერალური სამმართველოს ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში შემავალი ეცბ კოორდინაციას უწევს შვეიცარიის ცენტრალური და კანტონების სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას საერთაშორისო ელემენტის შემცველ დანაშაულობასთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

შვეიცარიის ინტერპოლის ეცბ-ს დებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფორმაციის გაცემისას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს. ნებისმიერ პირს უფლება აქვს მიმართოს ეცბ თავის შესახებ არსებული ინფორმაციის დასადგენად, უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შეცვლა ან ამოღება.

შვეიცარიაში დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობისას, ინტერპოლის ეცბ-ს – საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნის ეცბ-სთან და შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებთან ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტების მიმღები ორგანოს სტატუსი განაპირობებს მისი მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხს.

II. §2.4. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

გერმანია ინტერპოლის წევრი გახდა 1992 წლის 9 ივნისს. ეცბ-ს ფუნქციები 1951 წლის კანონით ეკისრება სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალურ სამმართველოს. 1951 წლის კანონი შეიცვალა 1997 წლის 7 ივნისს

მიღებული „სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური სამმართველოს და სისხლის სამართლის პოლიციის საკითხებზე ფედერაციისა და მიწების ურთიერთმოქმედების კანონით“. გერმანიის ფედერაციაში ცალკე არაა გამოყოფილი ეცბ, ამ ფუნქციებით აღჭურვილია სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური სამმართველო, რაც ასახულია 1997 წლის კანონის მე-3 პარაგრაფის 1 მუხლში. პოლიციის ფედერალური სამმართველოს 4500 თანამშრომელი გაერთიანებულია ინტერპოლში, როგორც ეცბ-ს თანამშრომელი. მათ უფლება აქვთ უშუალოდ გავიდნენ მონაცემთა ცენტრალურ ბაზაზე და მოახდინონ მიღებული ინფორმაციის რეალიზაცია, გამოიყენონ ისინი ოპერატიული ღონისძიებების დასაგეგმავად და განსახორციელებლად.

მოცემული მოდელი დანაშაულობის წინააღმდეგ ოპერატიული მოქმედებისათვის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

პოლიციის ფედერალურ სამმართველოს, 1997 წლის კანონის შესაბამისად, უფლება აქვს მოთხოვნის საფუძველზე ან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გადასცეს ინფორმაცია ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს და სახელმწიფოთა ეცბ-ს.

გერმანიის სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური სამმართველო: ასრულებს ეროვნული ცენტრალური ბიუროს ფუნქციას; წარმოადგენს გერმანიის კრიმინალური პოლიციის საკავშირო საინფორმაციო ცენტრს; ხელს უწყობს ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და გამოძიებას.

პოლიციის ფედერალურ სამმართველოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. აღნიშნული ორგანო არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შშს დაქვემდებარებაში. რამდენადაც ინტერპოლის ეცბ მოიაზრება სამმართველოში, მასში გაერთიანებული სტრუქტურების მეშვეობით, ის

კომპლექსურად თანამშრომლობს ინტერპოლთან და სხვა სახელმწიფოების ეცბ-თან.

გერმანიის სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური სამმართველოს შემადგენლობაში შედის: კომპიუტერული უსაფრთხოების სამსახური, ინფორმაციის დაცვის სამსახური, ქალთა უფლებების სამსახური, შინაგანი შემოწმების განყოფილება, ორგანიზებული და საერთო დანაშაულის განყოფილება, ცენტრალური პოლიციის სამსახური და იდენტიფიკაციის სამსახური, კრიმინალისტიკის ინსტიტუტი, კრიმინოლოგიის ინსტიტუტი, სახელმწიფო უშიშროების სამსახური, სახელმწიფო მოღვაწეების დაცვისა და ექსკორტის სამსახური, ინფორმაციის დამუშავების განყოფილება, ტექნიკური იზრუნველყოფის განყოფილება და საორგანიზაციო განყოფილება.

II. §2.5. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო თურქეთის რესპუბლიკაში

თურქეთის ინტერპოლის ეცბ-ს სპეციფიკურობის წარმოჩენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის არის საქართველოს ტერიტორიის მოსაზღვრე სახელმწიფო და თავისი მდებარეობის მიხედვით ევროპის, აზიის და აფრიკის კონტინენტების გზაგასაყარზეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თურქეთის ეცბ-ს საერთაშორისო მამსტაბით დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი მისია აკისრია.

თურქეთი ინტერპოლის წევრი გახდა 1930 წლის 8 იანვარს ათათურქის მიერ ხელმოწერილი დეკრეტის საფუძველზე. თურქეთის ნაციონალური პოლიციის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულის სახით შედის ინტერპოლის დეპარტამენტი.

თურქეთის ეცბ ინტერპოლის დეპარტამენტის შემადგენლობაში მოიაზრება. ინტერპოლის დეპარტამენტს ხელმ-

ძღვანელობს მეთაური, რომლის აპარატიც შედგება ადმინისტრაციული ოფისისა და სამდივნოსაგან. დეპარტამენტის მეთაურს ჰყავს ორი მოადგილე, მათ გარკვეული სფეროების მიხედვით ექვემდებარებიან ქვეგანყოფილებები, ქვეგანყოფილებებს კი – ბიუროები.

დეპარტამენტის მეთაურის პირველ მოადგილეს ექვემდებარება

1. საერთაშორისო კონტრაბანდის საწინააღმდეგო ქვეგანყოფილება, რომელიც შედგება:

- ა) ადმინისტრაციული ბიუროს;
- ბ) საფინანსო დანაშაულის ბიუროს;
- გ) ნარკოტიკულ დანაშაულობასთან ბრძოლის ბიუროს;

და

დ) ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის კონტრაბანდის ბიუროსაგან.

2. საერთაშორისო ტერორიზმის საწინააღმდეგო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილება, რომელიც შედგება:

- ა) ადმინისტრაციული ბიუროს;
- ბ) ანტიტერორისტული ბიუროს; და
- გ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ბიუროსაგან.

3. საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ქვეგანყოფილება, რომელიც შედგება:

- ა) ადმინისტრაციული ბიუროს;
- ბ) ექსტრადიციის ბიულეტენისა და გადაცემის ბიუროს; და

გ) სასამართლო კომისიის ბიუროსაგან.

დეპარტამენტის მეთაურის მეორე მოადგილის დაქვემდებარებაშია:

1. საერთაშორისო კვლევის ქვეგანყოფილება, რომელიც მოიცავს:

- ა) ადმინისტრაციულ ბიუროს;
- ბ) საერთაშორისო კვლევის ბიუროს; და

გ) კავშირის ბიუროს.

2. საერთაშორისო კომუნიკაციისა და მონაცემთა დამუშავების ქვეგანყოფილება, რომელიც მოიცავს:

ა) ადმინისტრაციულ ბიუროს;

ბ) კომუნიკაციის ცენტრს;

გ) მონაცემთა დამუშავების და დანაშაულის ანალიზის ბიუროს და

დ) ევროპოლის ბიუროს.

თურქეთის ეცბ-ს წარმოდგენილი სტრუქტურა ეფექტურ როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის უზრუნველყოფაში.

თურქეთის მდებარეობა აქტუალურს ხდის მისი ეცბ-ს ევროპოლთან თანამშრომლობის საკითხს. მას შემდეგ, რაც თურქეთმა დაიწყო სწრაფვა ევროკავშირში გასაწევრიანებლად, დღის წესრიგში დადგა საპოლიციო თანამშრომლობის ევროპული მოდელის დანერგვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით. ევროპოლთან ურთიერთობის ქვეგანყოფილება შეიქმნა, როგორც ეროვნული პუნქტი 2002 წლის 27 მაისს. მოწონებული იქნა აღნიშნული ქვედანაყოფის მარეგულირებელი პრობლემები.¹⁰¹ 2004 წლის 18 მაისს თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპოლს შორის ხელი მოეწერა ტექნიკური და სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც 2004 წლის 28 ივლისს შევიდა ძალაში.

¹⁰¹http://www.abgs.gov.tr/tarama/tarama_files/24/SC24DET_INTERPOL-EUROPOL-SIRENE.pdf

II. §2.6. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ოპტიმალური მოდელი

აშშ-ს, შვეიცარიის და გერმანიის ინტერპოლთან თანამშრომლობის საკანონმდებლო რეგულირება ერთმანეთთან დაახლოებულია, რაც გამოიხატება კანონმდებლობაში მისი ფიქსირებით.

რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემაჯალ სახელმწიფოებში ინტერპოლთან ურთიერთობა რეგულირდება კანონქვემდებარე და შიდაუწყებრივი აქტებით, რაც დღეისათვის ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

ზემოაღნიშნული სახელმწიფოებისათვის საერთო ისაა, რომ მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტად იყენებენ კონსტიტუციას და იმ კანონებს, რომელიც იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, რომლებიც იცავენ სახელმწიფო ინტერესებს და ადამიანის უფლებებს.

რუსეთის ფედერაციაში და აშშ-ი ეცბ-ს ფილიალების არსებობა მათი ტერიტორიის მასშტაბებით არის განპირობებული.

უნიკალურად შეიძლება მიჩნეულ იქნას ინტერპოლთან თანამშრომლობის გერმანული მოდელი, რომელიც ინტეგრაციული პროცესების განვითარებასთან ერთად მისაღები იქნება სახელმწიფოებისათვის დანაშაულობის წინააღმდეგოპერატიული ბრძოლის თვალსაზრისით. ასეთი მოდელის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ტექნიკური უზრუნველყოფა და სათანადო ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადება, რომლებიც გაერკვევიან საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული ქვეყნების ევროპოლთან თანამშრომლობის სპეციფიკურობა. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს სახელმწიფოთა ორი ტიპი:

1. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ევროპოლის წევრები არიან და 2. სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობენ მათთან.

ევროკავშირის დამფუძნებელი დოკუმენტები და ევროპოლის კონვენცია არეგულირებს მათი წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოების ევროპოლთან ურთიერთობის პრობლემებს, რაც შესაბამისად ასახულია შვეიცარიისა და გერმანიის კანონმდებლობაში.

ევროპოლის კონვენციის მიხედვით, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ან განსაზღვროს ეროვნული ერთეული, რათა შეასრულოს შესაბამის მუხლში ჩამოთვლილი ამოცანები. ეროვნული ერთეული წარმოადგენს ერთ-ერთ მაკავშირებელ რგოლს კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოსა და ევროპოლს შორის. ასეთი ურთიერთობა განხორციელდება ეროვნული კანონმდებლობისა და კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით.

მონაწილე წევრი სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს რათა ეროვნულმა ერთეულებმა შეძლონ თავიანთი ამოცანების განხორციელება, კერძოდ, მიუწვდებოდეთ ხელი ეროვნულ მონაცემებზე.¹⁰²

ევროპოლის ეროვნული ერთეულების მიზნებია: საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ევროპოლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მონაცემების გადაცემა, უპასუხოს ევროპოლის მოთხოვნებს, სრულყოს ინფორმაციები და მონაცემები. ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით შეაფასოს ინფორმაცია და მონაცემები კომპეტენტური ორგანოებისათვის გადასაცემად. გადასცეს ევროპოლს მოთხოვნები რჩევისთვის, ინფორმაციისთვის, მონაცემებისა და ანალიზისთვის. მოამარაგოს ევროპოლი კომპიუტერულ სისტემაში შესანახი ინფორმაციით. უზრუნველყოს კანონის

¹⁰² იხ. Europol Convention. Article 4. (1.2.3) <http://www.europol.europa.eu/index.asp?page=legalconv>

შესაბამისად ევროპოლთან თითოეული ინფორმაციის გაცვლა.¹⁰³

ევროპის კავშირის წევრობა სახელმწიფოსათვის ევროპოლის წევრობისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯია. აღნიშნულის შემდეგ პრეტენდენტმა უნდა მიიღოს ევროპოლის კონვენცია და გააკეთოს ამ სტრუქტურაში გაწევრიანების განაცხადი.

ინტერპოლისგან განსხვავებით, ევროპოლის წევრი სახელმწიფოები, ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებიდან გამომდინარე, უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რასაც ხელს უწყობს კანონმდებლობის უნიფიკაციის პროცესიც.

მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ საბოლოოეულად ერთობლივი ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის შექმნა. ნ. პაშკოვსკი აღნიშნავს, რომ „სამეცნიერო ლიტერატურაში, პრაქტიკოსთა მოხსენებებში, საპოლიციო ორგანიზაციების ანგარიშებში აღინიშნება ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის (ე. ი. სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან შემდგარი ჯგუფები) შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებლობა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისათვის“.¹⁰⁴ ავტორს იქვე მოჰყავს ევროპოლის დახმარებით სხვა სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ოპერაციის ჩატარების მაგალითი, რითაც წარმოაჩენს მის ფექტიურობას.

ევროპოლში სამუშაოდ წევრ-სახელმწიფოებს მივლინებული ყავთ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. ევ-

¹⁰³ იხ. იქვე, Article 4. (4.)

¹⁰⁴ Пашковский Н. И. Совместные следственные группы в уголовно-процессуальном механизме противодействия организованной преступности. <http://www.inter.criminology.org.ua/materials/nikolai/sovmsledgrup.htm> ან <http://www.inter.criminology.org.ua/modules.php?name=Content&pa=showpage&pid...>

როპოლის შტაბ-ბინის თანამშრომლები ითვლებიან კოლიციის მოსამსახურეებად, რომლებიც აღჭურვილი არიან ოპერატიული კომპეტენციებით.

ინტერპოლის თანამშრომლებს მსგავსი კომპეტენცია არ გააჩნიათ. მათი ფუნქციაა საერთაშორისო ძეხვის ორგანიზაცია და მისი გავრცელება ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ინტერპოლის შტაბ-ბინის თანამშრომლებს გააჩნიათ საერთაშორისო მოსამსახურის სტატუსი. ევროპოლის თანამშრომლები, ევროკავშირის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო ფართო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი, ვიდრე ინტერპოლის მოსამსახურეები.

ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოთა ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების სამართლებრივ რეგლამენტაციას გვაძლევს 2000 წელს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის კავშირის კონვენციის მე-13 მუხლი. 2001 წლის 14 დეკემბერს ევროპის პარლამენტმა მოიწონა საბჭოს გადაწყვეტილება ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნაზე.

პარლამენტის პოზიციის შესაბამისად, ასეთ ჯგუფებს უნდა გამოეძიებინათ არა მარტო ტერორიზმი, ადამიანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, არამედ ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმა.¹⁰⁵

ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად 2002 წელს, ევროპის კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა კიდევ ერთი ეფექტური მექანიზმი – ევროიუსტი, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეროვნული სამართალდამცავი ორგანოებისათვის ორგანიზებული დანაშაულების გამოძიებაში დახმარების გაწევა.

ევროიუსტი შედგება პროკურორების, მოსამართლეების ან მაღალი რანგის ოფიცრებისაგან.¹⁰⁶ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში დასაშვებია ევროპოლის თანამდებობის

¹⁰⁵ იქვე

¹⁰⁶ იხ. Единая полиция и юстиция. <http://www.ruseu.org/article.php?id=49>

პირების ჩართვა, შესაძლოა, მათ ისეთივე სტატუსი არ გააჩნდეთ, როგორც ასეთი ჯგუფის შემქმნელ წევრ-სახელმწიფოებს, თუ შექმნის შეთანხმებაში დამატებითი გარემოება არაა გათვალისწინებული.

ევროპული სახელმწიფოების დიდი ნაწილი მიისწრაფვის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების დანერგვისა და პრაქტიკაში მისი გამოყენებისაკენ. შევიცარიის ბუნდესრატმა გამოთქვა სისხლის სამართლის სფეროში ევროპოლთან კომპლექსური თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი. ევროპოლის მიერ შემუშავებული სტანდარტული ხელშეკრულებები გაფორმებული იქნა ევროკავშირის მთელ რიგ სახელმწიფოებს შორის.

შევიცარია აღრმავებს თანამშრომლობას ინტერპოლთანაც. თუმცა მის მონაწილე სახელმწიფოებს განსხვავებული ინტერესები და იურიდიული სტანდარტები გააჩნიათ. ამასთან ერთად დგება ინფორმაციის გაცვლის განსაზღვრული ფარგლების თავისებურებანი.¹⁰⁷

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ინტერპოლისა და ევროპოლის როლზე უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ბალტიის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში არიან. „ბალტიის ქვეყნებში უშიშროების კონცეფცია გამოიხატება შემდეგ განზომილებაში: სამხედრო თანამშრომლობა (ნატო), ტერორიზმთან და კრიმინალურ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთო საკითხები (ინტერპოლი), ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საპოლიციო თანამშრომლობა (ევროპოლი).“ ინტერპოლის ხაზით „სპეციალური ძეზნის სისტემა (Automatik Search Facility) შეიცავს მონაცემებს ძეზნილ პირთა ავტომატური ძეზნების, ხელოვნების ნიმუშების და სხვა დოკუმენტების შესახებ.“ ლატვიის

¹⁰⁷Bundesrat will internationale polizcizusammenarbeit versidrken.
http://www.admin.ch/cp/d/3b9f895b_1@fwsrv.g.bfi.admin.ch.html

პოლიციაში ინტერპოლის ეცბ-ს ხელმძღვანელი იურისუიასინკევიჩი აღნიშნავს, რომ „ინტერპოლის მუშაობა მიმდინარეობს აქტიურად და წარმატებულად, მიუხედავად ამისა, რომ ასეთ საქმიანობას აწარმოებს სამი პიროვნება, – გვეხმარება ტექნიკა და კომპიუტერი.“¹⁰⁸

1997 წ. ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად ევროკავშირის ქვეყნებისათვის მიღებულ იქნა რეკომენდაციები, რამაც 2004 წ. განაპირობა „დაკავების ერთიანი ევროპული ორდერის“ ძალაში შესვლა. ევროკავშირის საზღვრების გაფართოება განაპირობებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ევროსაბჭოს ზოგიერთი ქვეყანა ხდება ინტერპოლის წევრი. 2003 წელს რუსეთის ფედერაციის შშს-ს უწყების ხელმძღვანელმა ბორის გრიზლოვმა განაცხადა, რომ „რუსეთს წლის ბოლომდე განზრახული აქვს ევროპოლში შესვლა“,¹⁰⁹ რაც არაა მართებული, რადგან ევროპოლის მონაწილეები ხდებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ სტანდარტებს. სხვა სახელმწიფოები კი ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობენ მასთან, რაც არ ნიშნავს ევროპოლის წევრობას.

ევროპოლის კონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, ის დასახული ამოცანების განსახორციელებლად ურთიერთობას ამყარებს მესამე სახელმწიფოებთან, რაც ხორციელდება ორმხრივი ხელშეკრულების მეშვეობით. ასეთი ხელშეკრულებები დადებულია თურქეთთან,¹¹⁰ რუსეთთან

¹⁰⁸ Юджин Этерис. Сотрудничество как оптимальный способ решения проблем. Балтийский курс 2006 №39. <http://www.baltkurs.com/new/rus/index.htm?read=1318>

¹⁰⁹ Информационно-Аналитическое Интернет-Издание ПРАВДА. http://nevs.pravda.ru:8080/politics/2003/10/09/55745_.html

¹¹⁰ Agreement between the European police office and the Republic of Turkey. <http://www.europol.europa.eu/legal/agreements/Agreements/17686.pdf>

და ევროკავშირის სხვა არაწევრ სახელმწიფოებთან, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებენ სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობის ევროპულ სტანდარტებს.

2003 წლის 6 ნოემბერს რომში რუსეთის ფედერაციასა და ევროპის პოლიციის ორგანიზაციას შორის დაიდო თანამშრომლობის შეთანხმება,¹¹¹ რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციის შშს ინტერპოლის ეცბ-ს შემადგენლობაში ქვეგანყოფილების სახით შეიქმნა ევროპოლთან ურთიერთობის ეროვნული საკონტაქტო პუნქტი. რუსეთის ფედერაციის ევროპოლთან თანამშრომლობა ეფექტურად მიმდინარეობს.

2006 წლის ნოემბერში რუსეთის ფედერაციის ევროპოლთან ურთიერთობის ეროვნული საკონტაქტო პუნქტის წარმომადგენლობითი დელეგაციის ეიზიტის მთავარი მიზანი ევროპოლის შტაბ-ბინაში ოპერატიული შეთანხმების დასადებად მოლაპარაკების დაწყების პროცედურის პერსპექტივის განხილვა იყო. ევროპოლის ხელმძღვანელობას წარუდგინეს რუსეთის ფედერაციის კანონი „პერსონალური მონაცემების“ და „ინფორმაციაზე, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის დაცვაზე“.¹¹² ამ კანონების მიღება და 1981 წლის პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას ევროპოლთან ოპერატიული თანამშრომლობის ხელშეკრულების დასადებად.

ინტერპოლი და ევროპოლი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც აისახა მათი ურთიერთთანა-

¹¹¹Соглашение о сотрудничестве между Российской Федерацией и Европейской полицейской организацией. <http://www.mvdinform.ru/struc/100085/100137/>

¹¹²იხ.О визите делегации МВД России в штаб-квартиру Европола <http://www.mvdinform.ru/struc/100085/1000012/10000018/>

მშრომლობის ხელშეკრულებაში.¹¹³ ევროპოლის სახელშეკრულებო პრაქტიკა ცნობილია ევროკავშირის სტრუქტურებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპოლისა და ევროიუსტის შეთანხმება.¹¹⁴

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ევროპოლის წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ეფექტურობაზე. ევროპოლი ორგანიზაციას უკეთებს:

1. კრიმინალური ანალიზის სისტემის დანერგვას;
2. ინდექსაციის სისტემის შექმნას და
3. სახელმწიფოთა შორის ურთიერთმოქმედების სისტემის დაწყობას.¹¹⁵

დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ინტერპოლის ეფექტურობას განაპირობებს მისი საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება:

- „1. გლობალური საკომუნიკაციო საპოლიციო მომსახურების უზრუნველყოფა;
2. მონაცემთა ბაზით პოლიციისათვის საექსპლოატაციო მომსახურება;
3. საპოლიციო საექსპლოატაციო მომსახურების მხარდაჭერა.“¹¹⁶

პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ინტერპოლი მართავს უნიკალურ გლობალურ საკომუნიკაციო სისტემას I-24/7, რომელიც უზრუნველყოფს პოლიციისათვის მთელ მსოფლიოში საჭირო ინფორმაციის გადაცემას. მეორე შემთხვევაში კი ინტერპოლის ბაზაში არსებული მონაცემებით შეუძლიათ ისარგებლონ წევრ-სახელმწი-

¹¹³ იხ. Agreement between Interpol and Europol. 2001. <http://www.europol.europa.eu/legal/agreements/Agreements/8890.pdf>

¹¹⁴ იხ. Agreement between Eurojust and Europol. <http://www.europol.europa.eu/legal/agreements/Agreements/17374.pdf>

¹¹⁵ იხ. Информационные технологии на службе полиции.

<http://www.microsoft.com/Rus/Government/newsletters/issue12/10.msp>

¹¹⁶ Interpol's three core functions. <http://www.interpol.int/Public/icpo/about.asp>

ფოტობა. მესამე შემთხვევაში ინტერპოლი მხარს უჭერს დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლ პირებს და კვირაში 7 დღის განმავლობაში კოორდინაციას უწევს 24-საათიანი მუშაობის რეჟიმს.

ინტერპოლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქტიურად თანამშრომლობს გაეროსთან, ასევე ეფექტურია მისი თანამშრომლობა გაეროს სპეციალიზირებულ ორგანიზაციებთან იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რა საკითხებიც შედის მისი რეგულირების სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელშეკრულებო პრაქტიკა.

2003 წელს ინტერპოლსა და იუნესკო-ს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება. მასში განისაზღვრა ინტერპოლისა და იუნესკო-ს მიზნები, ვალდებულებები და ამოცანები.¹¹⁷ ანალოგიური ხელშეკრულებების პრაქტიკაა დამკვიდრებული სხვა სპეციალიზებული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მიმართ.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერპოლის მიერ რეგიონში ორგანიზებული საპოლიციო თანამშრომლობის სისტემა. ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მხარდაჭერით დღეისათვის შექმნილია აფრიკის,¹¹⁸ ამერიკის,¹¹⁹ აზიის,¹²⁰ ევროპის,¹²¹ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონალური ბიუროები.

¹¹⁷ იხ. UNESCO – Interpol special arrangement. <http://www.interpol.int/public/ICPO/LegalMaterials/cooperation/agreements/unesco2003.asp>

¹¹⁸ იხ. Fact sheet: Africa Sub-Directorate <http://www.interpol.int/public/Region/Africa/Default.asp>

¹¹⁹ იხ. Regional activities Americas <http://www.interpol.int/public/Region/Americas/Default.asp>

¹²⁰ იხ. NCB Regional activities Asia and South Pacific <http://www.interpol.int/public/Region/Asia/Default.asp>

¹²¹ იხ. Regional activities Sub – Directorate for Europe <http://www.interpol.int/public/Region/Europe/Default.asp>

თითოეულ რეგიონს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გააჩნია ქვერეგიონალური ბიუროები. მაგალითად, ევროპის რეგიონი დაყოფილია ევროპის კავშირის, დსო-ს და ბალტიის ზღვის რაიონებად. ინტერპოლის ევროპულ სამდივნოს უკანასკნელ პერიოდში მიენიჭა ფართო უფლებამოსილებები. დღეისათვის ის კვიპროსიდან, ჩეხეთის რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან, შვეიცარიიდან და უკრაინიდან დაკომპლექტებული 8 პოლიციელით უზრუნველყოფს ინტერპოლის ევროპული სახელმწიფოების მომსახურებას.

ხშირად ინტერპოლის ევროპული სამდივნო გაიგივებულია ევროპოლთან, რაც არაა მართებული, რადგან ევროპოლი ევროკავშირის ორგანოა, რომელსაც განსხვავებული ტერიტორიული იურისდიქცია, მმართველი ორგანოების დაკომპლექტების წესი და დანაშაულობასთან ბრძოლაში მჭიდრო კოორდინაცია ახასიათებთ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობიდან გამომდინარე. ინტერპოლის ევროპული სამდივნო კი, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩართულია დანაშაულობასთან გლობალურ თანამშრომლობაში.

ევროპის რეგიონისა და ქვერეგიონის (რაიონის) ფორმირებას ახორციელებს ინტერპოლის გენერალური სამდივნო. მოცემული სისტემა ინტერპოლს საშუალებას აძლევს რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით კოორდინაცია და ეფექტური დახმარება გაუწიოს თითოეული სახელმწიფოს ეცბ-ს.

ინტერპოლის რეგიონალურ და ქვერეგიონალურ ბიუროებს გააჩნიათ სტრუქტურა, ამოცანები და მიზნები, რომელიც მიმართულია საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობის უზრუნველყოფისაკენ.

საერთაშორისო მასშტაბით დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ინიციატივების დანერგვის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერპოლის რეგიონალური კონფერენციები. ინტერპოლის „გენერალური ასამ-

ბლეს 66-ე სესიაზე 1997 წ. გადაწყდა, რომ რეგიონალური კონფერენციები აფრიკის, ამერიკის, აზიისა და ევროპის ოთხივე კონტინენტზე ჩატარდებოდა რეგულარულად, რომელიც დაწესებულების კანონმდებლობით განიხილება, როგორც გენერალური ასამბლეის კომიტეტები.¹²²

კონფერენციები ინტერპოლს ეხმარება რეგიონალური პრიორიტეტების განსაზღვრაში და საშუალებას აძლევს მას ორიგინალური მითითებები გასცეს რეგიონის პრობლემურ საკითხებზე. „ევროპის რეგიონალური კონფერენცია არის შეხვედრა, სადაც პოლიტიკა და სტრატეგიული საქმიანობა სრულყოფს ევროპის სახელმწიფოთა შორის საპოლიციო თანამშრომლობას“.¹²³

ევროპის რეგიონალური კონფერენცია ირჩევს კომიტეტს 8 სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან 4 წლის ვადით. კომიტეტი ანგარიშვალდებულია კონფერენციის წინაშე. კომიტეტის საქმიანობის ეფექტურობისათვის, მისი წევრები უნდა იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები, რათა აუცილებლობის შესაბამისად შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება. საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომიტეტის წევრთაგან ფარული კენჭისყრით. მიმდინარე პერიოდში საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის წევრები არიან სომხეთიდან, ავსტრიიდან, ბელორუსიიდან, ხორვატიიდან, ფინეთიდან, ნორვეგიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და თურქეთიდან.¹²⁴ ელექტროტექნიკური კომისია წელიწადში სამჯერ იკრიბება გენერალურ სამდივნოში.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო მასშტაბით დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპლექსური მეთო-

¹²²European Regional Conference <http://www.interpol.int/Public/Region/Europe/regconf.asp>

¹²³ იქვე

¹²⁴Interpol European Committee <http://www.interpol.int/Public/Region/Europe/committee.asp>

დების გამოყენება ინტერპოლს და ევროპოლს საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების მაკოორდინირებელ ფუნქციას ანიჭებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საერთაშორისო სისხლის სამართლის მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები, რომელშიც ინტერპოლს და ევროპოლს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ მხრივ აღსანიშნავია გაერო-ს კონვენციები, კერძოდ, კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომლის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ურთიერთდახმარებისათვის ინფორმაციის მიწოდება დასაშვებია „განსაკუთრებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის არხებით“.¹²⁵

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების, 85-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, „საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნები შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციის ან სხვა სათანადო რეგიონალური ორგანიზაციის მეშვეობით.“¹²⁶

1959 წლის სისხლის სამართლის საქმეებზე, ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი დახმარების დოკუმენტები „იმ შემთხვევაში, თუ მათი პირდაპირი გადაცემა ამ კონვენციის შესაბამისად ნებადართულია, ის შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლის)

¹²⁵ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997, № 29–30. გვ. 51.

¹²⁶ ალექსიძე ლ. მთ. რედ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება. საერთაშორისო სამართლის უკრნალი. ტ. V. №1 2002 თბ., გვ. 299.

მეშვეობით.¹²⁷ „კორუფციისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის კონვენციის“ 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მოთხოვნები და ინფორმაცია... შესაძლოა გაიგზავნოს საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის (ინტერპოლის) მეშვეობით“.¹²⁸ მსგავსი შეთანხმებები გეხედება აფრიკისა და ამერიკის რეგიონში.

ლოკალური საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული კონვენციებიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ინტერპოლს. „შენგენის შეთანხმების გამოსაყენებლად თანდათანობით საზღვრებზე შემოწმების შეცვლის შესახებ კონვენციის“ (1990 წ.) 53-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი დახმარების „მოთხოვნის გაგზავნა ან მიღება შესაძლებელია საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მეშვეობით.“¹²⁹ მსგავსი ლოკალური შეთანხმებები ცნობილია სხვა რეგიონებშიც.

დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერპოლს, ხოლო ევროპის კავშირის წევრი-სახელმწიფოების ხელშეკრულებებში – ევროპოლს.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში არსებული საერთაშორისო, რეგიონალური, ლოკალური კონვენციების, მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად შეიძლება დაეასკენათ, რომ ინტერპოლი ეცბ–ს მეშვეობით თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის უნივერსალურ მოდელს წარმოადგენს. ევროპოლი კი, ევროპის კავშირში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების შესაბა-

¹²⁷ Волеводз А. Г. Международные розыск, арест и конфискация полученных преступных путем денежных средств и имущества. «Юрлитинформ» М. 2000. С. 276.

¹²⁸ იქვე. გვ. 304.

¹²⁹ Кашкин С. Четвериков А. с. 133.

მისად, დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად ფართო უფლებამოსილებების მიღებით ხელს უწყობს ინტერპოლის შემდგომ განვითარებას.

II. §3. საქართველოში ინტერპოლთან ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმისა და ნორმატიული წყაროების საკითხისათვის

სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეთმობოდეს შიდა კანონმდებლობაში, ამდენად აქტუალურია სათანადო ბაზის შექმნის საკითხი საქართველოში.

საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებს, სადაც ხაზგასმულია ინტერპოლის როლი სამართლებრივი დახმარების სფეროში, მათ შორისაა ჩვენს მიერ აღნიშნული გაერო-სა და ევროსაბჭოს ეგიდით მიღებული კონვენციები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება და სხვა. აღნიშნული დოკუმენტები ინტერპოლის საქართველოს ეცბ-ს საქმიანობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს.

კ. კორკელია სრულიად მართებულად მიუთითებს საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.¹³⁰ თუმცა საქართველოს მიერ სისხლისამართლებრივი დახმარების სფეროში დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებებში ინტერპოლის ეცბ-ს რესურსების გამოყენების საკითხს არ ეთმობა ყურადღება, რაც

¹³⁰ კორკელია კ. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. საქანდიდატო დისისერტაცია, ივ. ჯაფარიშვილის სახელობის აბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1998. გვ. 151.

ხშირად აბრკოლებს და ახანგრძლივებს სამართლებრივი დახმარების პროცესს.

ევროპის ქვეყნებთან სამართლებრივი დახმარების საკითხის წამოჭრისას კანონების მკაცრი დაცვაა საჭირო, ამიტომ ორმხრივი ხელშეკრულებების არარსებობის გამო ხშირად საჭიროა ხანგრძლივი და რთული სამუშაოს შესრულება. არასათანადო ბაზის უქონლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან შესაძლოა გამოწვეული იყოს საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ხანმოკლე განვითარებით და მოცემულ სფეროში კადრების სიმწირით.

1993 წლის ოქტომბერში, საქართველოს ინტერპოლში მიღების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ეცბ-ს საკანონმდებლო და მატერიალური ბაზის შექმნის საკითხი. საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბიუროს პირველმა ხელმძღვანელმა გოგი ალექსიძემ ფაქტიურად შექმნა და ჩამოაყალიბა აღნიშნული სტრუქტურა, რაც იმჟამად მეტად რთულ და შრომატევად საქმეს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში დაიწყო თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა და ფუნქციონირება, რომლის გამოყენებაც თანდათანობით დაიწყო პრაქტიკაში.

1996 წლის 4 ოქტომბერს საქართველოში ეცბ-ს ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს ეცბ-ს ხელმძღვანელობის მიერ მოწვეული იქნა ინტერპოლის გენერალური მდივანი რაიმონდ კენდალი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოში წინა წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა დახვდა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო სტაბილურობისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს.

საქართველოს ინტერპოლში გაწვევრიანების შემდეგ შეიქმნა გარკვეული საკანონმდებლო ვაკუუმი, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს საქმიანობის შიდაორმატიული ბაზა არ არსებობდა. მო-

ქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ვერ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთაშორისო სისხლისამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში. ნელი ტემპით მიმდინარეობდა ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობის ბაზის შექმნა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს ეცბ-ს ნორმატიულ წყაროებს შორის ინტერპოლის კონსტიტუციის ადგილი. ამ საკითხთან დაკავშირებით იკვეთება რამდენიმე პრობლემა, კერძოდ, აზერბაიჯანის რეკომენდაციით საქართველოს ინტერპოლში მიღებით იურიდიულად აღიარებული იქნა მისი კონსტიტუცია. ხშირად ისმის შეკითხვა, რამდენად კანონიერია მისი გამოყენება პრაქტიკაში, როცა, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება, რომელიც: ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან კავშირში საქართველოს შესვლას ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.“

პირველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველო ინტერპოლის წევრი გახდა 1993 წელს, ე. ი. საქართველოს კონსტიტუციის მიღებამდე და ამავე დროს, რამდენადაც ინტერპოლის კონსტიტუცია ხელს უწყობს სამართლებრივი სიკეთის დაცვას, უფიქრობთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინტერპოლის კონსტიტუციის გამოყენება მართლსაზომიერია.

მეორე შემთხვევაში გასარკვევია ინტერპოლის, როგორც საერთაშორისო სამთავრობათაშორისო სპეციალიზირებული ორგანიზაციის კონსტიტუციის სავალდებულო ხასიათი საქართველოს მიმართ.

თითოეული სახელმწიფოსათვის სავალდებულოა ეცბ-ს საქმიანობა შეესაბამებოდეს ინტერპოლის კონსტიტუციას, იმდენად რამდენადაც აღნიშნული სტრუქტურა ითვლება შუალედურ რგოლად ინტერპოლსა და სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებს შორის.

ინტერპოლის კონსტიტუციის დაცვა სავალდებულოა მისი წევრებისთვის და აპარატში მიმუშავე მუშაკებისათვის. ხოლო მისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის, წევრი სახელმწიფოების მიმართ კი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. თუმცა მათი შესრულების გარეშე შეუძლებელია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის ეფექტური საპოლიციო თანამშრომლობის განხორციელება. სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მართებულად მიმანია საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის დროს საქართველოს ეცბ მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, თუმცა მისი ადგილი და როლი კანონმდებლობაში სათანადოდ არაა ასახული.

მართებულად მიმანია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავში, კერძოდ, 247-ე (სამართლებრივი დახმარების სახეები), 248-ე (უცხო სახელმწიფოში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გადაგზავნა), 252-ე (უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მასალების გადაგზავნა)¹³¹ მუხლებში აისახოს ინტერპოლის ეცბ-ს ადგილი მის მიერ რეალურად განსახორციელებელი საქმიანობის შესაბამისად ან აღნიშნული ახალი სისხლის

¹³¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე მუხლის სახით ჩამოყალიბდეს.

საქართველოს ოპერატიულ სამმებრო ღონისძიებების კანონის მე-8 მუხლის I ნაწილის თანახმად, ოპერატიული სამმებრო საქმიანობის ჩატარების ერთ-ერთი საფუძველია „საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციის თხოვნა-შეკითხვა სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.“¹³² რამდენადაც საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოებიდან საქართველო ინტერპოლისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლოს წესდების წევრია, მართებულად მიმაჩნია მე-8 მუხლის I ნაწილი ფორმულირებული იქნეს შემდეგნაირად: „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ინტერპოლის და სხვა საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების თხოვნა-შეკითხვა სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულების შესაბამისად“.¹³³

ინტერპოლთან თანამშრომლობის სპეციფიკურობა მართებულია გათვალისწინებული იქნას „საქართველოს კანონში სასაზღვრო პოლიციის შესახებ“.

საქართველოს ეცბ-ს საქმიანობა დღემდე მოწესრიგებულია რამოდენიმე კანონქვემდებარე აქტით. პირველი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა ინტერპოლის საქმიანობას, იყო „საქართველოს რესპუბლიკაში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ ინფორმაციის მიღების, გაცემის და დამუშავების რეგლამენტი.“¹³⁴

რეგლამენტის I მუხლში განისაზღვრა ინტერპოლის ეცბ-ს საქმიანობის ნორმატიული წყაროები და მისი

¹³² საქართველოს ოპერატიულ სამმებრო საქმიანობის შესახებ კანონი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 199 წ. №14 გვ. 21.

¹³³ გვარამია ვ. კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის როლი დამნაშავეთა საერთაშორისო ძებნისა და ექსტრადიციის საქმეში. უკრ. „სამართალი“ 2000, წ. №10-11-12 გვ. 19-20.

¹³⁴ დამტკიცებულია 6 სექტემბერს 1994 წ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №637 დადგენილება.

ურთიერთობის საკითხები საქართველოს და უცხო ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან, ინტერპოლის სტრუქტურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. II თავში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეცბ-ს მიერ ინფორმაციის და შეკითხვების მიღებისა და გადაცემის წესს. III თავით დარეგულირდა ინფორმაციის დამუშავების წესი და მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო „მონაცემთა ბანკის შექმნასა და დაცვას.“

რეგლამენტის თანახმად, ეცბ-ს თანამშრომლობის სუბიექტებად ითვლებოდნენ „საქართველოს რესპუბლიკის ყველა სამართალდამცავი ორგანო და შესაბამისი სხვა უწყებები“, თუმცა დანართში განისაზღვრა უწყებათა ნუსხა, რომელთა მომსახურება ეცბ-ს მიერ ხორციელდებოდა სატელეკომუნიკაციო ხარჯების გარეშე. მათ შორის იყო „სამთავრობო დაცვის სამსახური, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კონტროლის პალატა, საბაჟო დეპარტამენტი, საგადასახადო ინსპექცია და სასაზღვრო ჯარები.“

რეგლამენტი არეგულირებდა მთავრობის შემადგენლობაში შემავალ ორგანოებს შორის თანამშრომლობას ინფორმაციის გაცვლისა და მიღების დროს. მოცემული დოკუმენტი სამართლებრივი თანამშრომლობის რეგულირების თვალსაზრისით უფრო მაღლა იდგა (რადგან დამტკიცებული იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ), ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ეცბ-ს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, რადგან ეს უკანასკნელი გამოცემული იყო შშს მინისტრის მიერ და მას საველდებულო ძალა გააჩნდა უწყების შიგნით.

საქართველოს ეცბ-ს 1994 წლის რეგლამენტი სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობის პირობებში ნაწილობრივ ავსებდა ვაკუუმს.

1994 წლის რეგლამენტის მე-2 თავის მე-5 ნაწილის თანახმად, ეცბ-ს უფლება ჰქონდა ხელშეკრულების წესით იურიდიული მომსახურეობა გაეწია იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის არასაიდუმლო ინფორმაციის მიწოდების სახით. ინფორმაციის მოპოვებისათვის გაწეული ხარჯები მთლიანად ანაზღაურდებოდა ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ. მე-6 ნაწილის შესაბამისად, მიღებული შემოსავლები რჩებოდა ეცბ-ს. აღნიშნული საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება სრულიად მისაღებია დღესაც, რადგანაც ის დღეს საკანონმდებლო ბაზით არ არის რეგულირებული, მართებულია მისი სათანადო მოწესრიგება.

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად დღითიდღე აუცილებელი ხდება ეცბ-ს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხი, რაზეც სხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული 2000 წელს ჟურნალ „სამართალში“ გამოქვეყნებულ ნაშრომში.¹³⁵

2005 წელს, საქართველოს შსს მინისტრის ბრძანებით, დამტკიცებული იქნა ეცბ-ს დებულება, რომელშიც აისახა ბიუროს საქმიანობის ამოცანები, კომპეტენცია და ბიუროს უფროსის სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნული ბრძანების ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასში არ იყო მოცემული ბიუროს სტრუქტურული დანაყოფები და მათი კომპეტენცია. ამავე დროს ეს დებულება შიდა უწყებრივ აქტს წარმოადგენდა და მას სხვა უწყებების მიმართ ინფორმაციის გაცემისა და მიღების დროს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა, ხოლო 1994 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული რეგლამენტი სამართლებრივი თანამშრომლობის თანამედროვეობის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა.

¹³⁵ გვარამია ვ. 119-128.

2006 წელს, შშს მინისტრის ბრძანებით, დამტკიცებული იქნა ინტერპოლის ახალი დებულება, რომელშიც, VI თავის შესაბამისად, განისაზღვრა ბიუროს სტრუქტურული დანაყოფები და მათი კომპეტენცია.

ეცბ-ს დებულების მე-10 მუხლის თანახმად, „ბიუროს სტრუქტურული დანაყოფებია:

ა)საერთაშორისო ძებნის სამმართველო;

ბ)საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

გ)საერთო განყოფილება. სამმართველოები იყოფა სტრუქტურულ ქვედანაყოფებად.

მსგავსი კლასიფიკაცია ხელს უწყობს ფუნქციების გამიჯვნას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ, დებულების I მუხლის თანახმად, ბიურო წარმოადგენს შშს სტრუქტურულ ქვედანაყოფს სამმართველოს სტატუსით. ამდენად, განმეორებების თავიდან ასაცილებლად მართებული იქნებოდა ეცბ-ს სტრუქტურას ეწოდოს განყოფილებები, ხოლო მის ერთეულებს – ქვეგანყოფილებები, ან ეცბ შშს სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას დეპარტამენტის სახით, რაც დამკვიდრებულია მთელი რიგი ქვეყნების პრაქტიკაში.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის ბრძანებულებამ ნაწილობრივ შეაგესო ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა ეცბ-ს და სხვა უწყებებს შორის სამართლებრივი დახმარების საკითხებზე თანამშრომლობისას.¹³⁶ ამ დოკუმენტის I მუხლის თანახმად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და თანამშრომლობის წესი ეფუძნება: – საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს

¹³⁶საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის დამტკიცების წესის შესახებ. №99 2007. 12.02. თბ.

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის – ინტერპოლის კონსტიტუციას (წესდებას), სხვა ნორმატიულ აქტებსა და რეკომენდაციებს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.“

მოცემული იერარქია არ შეესაბამება საქართველოში დადგენილ საკანონმდებლო პრინციპებს და ნორმებს, რადგან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები საქართველოს კანონებზე მაღლა მდგომი აქტებია, ამავდროს, ინტერპოლის კონსტიტუციას (წესდება), როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეს, შესაძლებელია მივანიჭოთ უპირატესობა საქართველოს კანონებთან შედარებით. ამდენად, მართებულია ბრძანებულებაში მოცემული გარემოების გათვალისწინება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში განისაზღვრა ის ორგანოები, რომლებთანაც საქართველოს ინტერპოლის ეცბ ახორციელებს თანამშრომლობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ინტერპოლის გენერალური სამდივნო, ინტერპოლის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები. საჭიროებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა ხორციელდება როგორც საქართველოს, ისე ინტერპოლის წევრი ქვეყნების სხვადასხვა უწყლებამოსილ ორგანოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

იმისათვის, რომ ეფექტური გამხდარიყო დანაშაულობასთან ბრძოლა ინტერპოლის მეშვეობით, პრეზიდენტის №99-ე ბრძანებულებაში განისაზღვრა საქართველოს სამართალდამცავი და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ ინტერპოლის ეცბ-თვის მოთხოვნების, პასუხებისა და შეტყობინების მიწოდების წესი. საქართველოს ეცბ-ს მიერ მიღებულ ან გაგზავნილ ინფორმაციას, რამდენად სასწრა-

ფოა მათი შესრულება, ენიჭება შემდეგი გრიფები: „ა) ფრიად სასწრაფო – სავალდებულოა შესრულდეს შებლებისდაგვარად დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მიღებიდან 24 საათში; ბ) სასწრაფო – სავალდებულოა შესრულდეს მიღებიდან სამ დღეში; გ) არასასწრაფო – სავალდებულოა მიღებიდან 10 დღეში.“ მოცემული ვადების დაცვა სავალდებულოა უწყებებისათვის. ამდენად, მათი ეფექტური გამოყენების მიზნით მართებულია აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო რეგულირება.

საქართველოში გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტერპოლი ეცბ-ს მეშვეობით ახორციელებს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის საერთაშორისო ძებნას, დაკავებას და ექსტრადიციას. აღნიშნული არაა მართებული და გამოწვეულია არასათანადო ინფორმირებით. ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღება და მისი განხორციელება ინტერპოლის (ეცბ-ს) კომპეტენციაში არ შედის. ამ შემთხვევაში ის შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის ოპერატიული მიწოდებით.

ინტერპოლის ეცბ-ს მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე წვერი სახელმწიფოების უფლებამოსილმა ორგანოებმა შეიძლება გამოაცხადონ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნა მისი დაპატიმრების მიზნით. აღნიშნულის გარდა, ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით შეიძლება გადაეცეს და მიღებული იქნას მონაცემები: უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ადგილსამყოფელის დასადგენად, დაზარალებულის ან მოწმის ადგილსამყოფელის დასადგენად, პირის ან გვამის იდენტიფიცირებისათვის, ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომელმაც ჩაიდინა, ან სავარაუდოდ, აპირებს დანაშაულის ჩადენას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა ინფორმაციებისა და სამხილების მოპოვებისათვის.

ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების და არასამთავრობო ორგანიზაცი-

ბისათვის ინფორმაციის მიწოდება პოტენციური საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შენიღბული ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასაფეთქებელი ნივთიერებებიდან ან სხვა საფრთხის შემცველი მასალებიდან. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასევე სხვა ინფორმაციის ან დოკუმენტების მოპოვება და გადაცემა. ამდენად, ინტერპოლის ეცბ-ს როლი დიდია ისეთი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც შეიცავს „საერთაშორისო ელემენტს.“

ინტერპოლი ეცბ-ს მეშვეობით ახორციელებს ამოუცნობი გვამების და იმ უცნობი პირების იდენტიფიცირებისას განსახორციელებელი მოქმედების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რომელთაც ჯამრთელობის მდგომარეობის ან ასაკის გამო არ შეუძლიათ თავის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მოცემული შემთხვევა შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული კრიმინალთან, მიუხედავად ამისა, ინტერპოლი აქტიურად თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებთან აღნიშნულ სფეროში.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით თანამშრომლობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძებნის განხორციელება, განსაკუთრებული კულტურული ღირებულებების მქონე ფასეულობების ძებნა და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტის №99-ე ბრძანებულების მე-2 მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, ეროვნული ცენტრალური ბიუროსათვის მიმართვის უფლება აქვთ შემდეგი თანამდებობის პირებს:

„ა)მინისტრს;

ბ)მინისტრის მოადგილეს;

გ)გენერალურ პროკურორს;

დ)გენერალური პროკურორის მოადგილეს;

ე)სასამართლოს თავმჯდომარეს;

ვ)სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს;

ზ)საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსს;

თ)საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილეს;

ი)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორსა (უფროსს) და მოადგილეს;

კ)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს;

ლ)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონის /ქალაქის/ ქალაქის რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსის;

მ)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული და დაზვერვის სამმართველოს უფროსს;

ნ)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირებს.“ ჩამონათვალში გამოკვეთილია მხოლოდ გარკვეული სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები.

არაუფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ გადაგზავნილი დოკუმენტები განხილვის გარეშე უბრუნდება მიმწოდებელს. რადგან ინტერპოლის მეშვეობით ხორციელდება თანამშრომლობა ინფორმაციის მოსაპოვებლად არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე, მართებული იქნებოდა სუბიექტთა ამ წრის გაფართოება ან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის შესაძლებლობის დაშვება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში მართებულადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან: 1.ბრალდებულის,

მსჯავრდებულის და უზო-უკვლოდ დაკარგულ პირებზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების პირობები.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების IV მუხლი ითვალისწინებს საერთაშორისო ძებნის განხორციელებას ინტერპოლის ქსელის საშუალებით საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, რომელშიც მოცემულია დებულებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, შესაძლებელია განხორციელდეს იმ პირების ძებნა, რომლებიც ბრალდებული არიან დანაშაულის ჩადენაში, თავს არიდებენ სასჯელის მოხდას, ითვლებიან უზო-უკვლოდ დაკარგულად. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დადგინდეს:

1. დატოვა თუ არა პირმა საქართველოს ტერიტორია;

2. უნდა შემოწმდეს მისი მოქალაქეობა;

3. ჩადენილი ქმედებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

ბრალდებულსა და მსჯავრდებულზე საერთაშორისო ძებნა არ გამოცხადდება, თუ ისინი დაკავშირებული არიან პოლიტიკურ, რელიგიურ და რასობრივ დანაშაულთან, თუმცა ამ შემთხვევაში გამორიცხული უნდა იქნას საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევები. მსგავსი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს სამძებრო ღონისძიება, დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ბრალი ყდება ან მსჯავრდებულია ძებნილი, სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

ბრალდებულის ან მსჯავრდებულის დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნას უნდა ერთვოდეს საქართველოს გენერალური პროკურორის. ან მის მიერ უფლებამოსილი პროკურორის შუამდგომლობა. შუამდგომლობას უნდა დაერთოს ასევე ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია ინტერპოლის წესდებით.

უგზო-უკელოდ დაკარგულ პირებზე ინტერპოლის მეშვეობით საერთაშორისო ძებნის გამოცხადების საფუძველია უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობა, რომელიც ქვეყნის შიგნით ახორციელებდა ძებნას. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობასთან ერთად ინტერპოლის ეცბ-ს უნდა მიეწოდოს ინტერპოლის კონსტიტუციითა და სათანადო შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ბრალდებულზე, მსჯავრდებულზე ან უგზო-უკელოდ დაკარგულ პირზე ინტერპოლის მეშვეობით საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნამდე უნდა განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები, კერძოდ, პირველ რიგში უნდა დადგინდეს საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების ფაქტი და მოპოვებული იქნას საპასპორტო მონაცემები. ძებნის გამარტივების მიზნით შეგროვებული უნდა იქნას შესაბამისი შემთხვევისათვის სტანდარტული წესით გათვალისწინებული მონაცემები, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ინფორმაციის მოპოვება, როგორცაა ძებნილი პირის საჯაროდ კრიმინალური წარსული, ჩადენილი აქვს თუ არა აღმინისტრაციული სამართალდარღვევა და სხვა.

ბრალდებულზე ან მსჯავრდებულზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნას უნდა დაერთოს მოსამართლის ბრძანება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის თაობაზე, ან კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა. საქართველოში დადგენილია, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია შესრულებული უნდა იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოში უგზო-უკელოდ დაკარგულ პირებზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებისას მოთხოვნას უნდა დაერთოს ძებნის განმახორციელებელი ორგანოს ან თანამდებობის პირის ხელთ არსებული ინფორმაცია.

საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნის მიღების შემდეგ ინტერპოლის საქართველოს ეცბ ამოწმებს, შეესაბამება თუ არა იგი დადგენილ მოთხოვნებს და აღნიშნულის გათვალისწინებით ღებულობს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: 1. იღებს ზომებს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, 2. ითხოვს დამატებით ინფორმაციას, ან 3. არ აკმაყოფილებს მოთხოვნას დადგენილ წესთან შეუსაბამობის გამო. მიღებულ გადაწყვეტილებას ეცბ ძებნის ინციატორს აცნობებს სამი დღის ვადაში.

ეცბ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნის მიღების შემთხვევაში აგზავნის მას ინტერპოლის წევრ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, შუამდგომლობს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს წინაშე, რათა მან ამ მოთხოვნის საფუძველზე გამოსცეს შესაბამისი ფერის ცირკულარი.

საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შემდეგ ინტერპოლის ეცბ-ს და ძებნის ინციატორ ორგანოს შორის გრძელდება თანამშრომლობა, რაც გამოიხატება დამატებით მოპოვებული ინფორმაციის გადაცემაში, ძებნის ინციატორის მოთხოვნით საერთაშორისო ძებნის ვადის გაგრძელებაზე ინფორმირებულობაში, ძებნის შედეგად მიღებული შედეგის ძებნის ინციატორისთვის გადაცემაში.

საქართველოს პრეზიდენტის №99 ბრძანებულების მე-12 მუხლში ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ძებნის შეწყვეტის საფუძველები, რაც არაა ამომწურავი, თუმცა მიმდინარე პერიოდისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. მოცემულ მუხლში სპეციფიკის გათვალისწინებით ჩამითვლილია საერთაშორისო ძებნის შემდეგი ობიექტები:

1. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი;
2. ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით ძებნილი პირი;
3. დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით ძებნილი ბრალდებული და მსჯავრდებული.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების საერთაშორისო ძებნა შეწყდება:

1. მისი ადგილმდებარეობის დადგენისას;
2. გვამის აღმოჩენისას;

3. ძებნილის გარდაცვალების დოკუმენტალურად დადასტურებისას; და

4. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით ძებნილი პირის საერთაშორისო ძებნა შეწყდება:

1. მისი ადგილმდებარეობის დადგენისას;¹³⁷

2. გვამის აღმოჩენისას;

3. ძებნილის გარდაცვალების დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაციის მოპოვებისას;

4. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას;

5. ძებნის ვადის გასვლისას; და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით ძებნილი ბრალდებულის და მსჯავრდებულის ძებნა შეწყდება:

1. ძებნილის საქართველოში ექსტრადიციის შემდეგ;

2. უცხო ქვეყანაში იმ დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების გამო, რომლის ჩადენისთვისაც იძებნებოდა;

3. ძებნილის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებისას; ძებნილის გვამის აღმოჩენისას;

4. ძებნილის გარდაცვალების დოკუმენტალურად დადასტურებისას;

5. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას;

6. ძებნის ინციატორის მოთხოვნით, თუ გადაწყდა, რომ ძებნა უნდა გაგრძელდეს საქართველოს ტერიტორიაზე;

7. აღკვეთის ღონისძიების შეცვლისას;

8. ძებნის ვადის გასვლისას; და

¹³⁷ზოგიერთ შემთხვევაში ძებნის ინციატორს შეუძლია მოითხოვოს პირის გადაადგილების დამატებითი კონტროლი.

9. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ქებნის ინიციატორი სახელმწიფო საერთაშორისო ქებნის შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობიდან 5 დღის ვადაში აცნობებს ინტერპოლის ეცბ-ს საქართველოში. ეს უკანასკნელი კი ინფორმაციის მიღებიდან სამი დღის ვადაში აცნობებს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს ან იმ სახელმწიფოების ეცბ-ს, რომელთა ტერიტორიაზეც ხორციელდებოდა ქებნა.

შსს-ს საქართველოში ეცბ-ს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის შესაბამისად, განსაზღვრულია ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევაში დაკავებისა და ექსტრადიციის განსახორციელებლად საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის თავისებურებანი საქართველოს ინტერპოლის ეცბს-თან. როგორც უკვე ავლნიშნეთ, ეცბ არ მონაწილეობს ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტაში, თუმცა დამხმარე როლს ასრულებს საქსტრადიციო დოკუმენტების და სხვადასხვა სახის ინფორმაციის სათანადო ორგანოებისათვის ოპერატიულ მიწოდებაში.

ინტერპოლის ეცბ საერთაშორისო ქებნაში მყოფი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის აღმოჩენის ან დაკავების შემთხვევაში არაუგვიანეს 3 დღის ვადაში აცნობებს საქართველოს გენერალური პროკურატურის დანაყოფს ან თანამდებობის პირს. გენერალური პროკურატურიდან ეცბ-ში საერთაშორისო ქებნილის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის წარმოდგენიდან 24 საათის განმავლობაში ეცნობება იმ სახელმწიფოს ინტერპოლის ეცბ-ს, სადაც დაკავებულია ქებნილი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ოპერატიულად შეიძლება მიეწოდოს ინტერპოლის საკომუნიკაციო ქსელით ქებნილის დამკავებელი სახელმწიფოს ეცბ-ს სათანადო ორგანოსათვის გადასაგზავნად.

უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ საქართველოს ეცბ-თვის მიწოდებული ძებნილი პირის ექსტრადიციის გადაწყვეტილება არაუგვიანეს სამი დღისა ეგზავნება საქართველოს გენერალურ პრიკურატურას, რომელსაც საქართველოს ეცბ-ს მეშვეობით შეუძლია ძებნილი პირის ექსტრადიციის პროცედურები შეათანხმოს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან.

ძებნილის საქართველოში ჩამოყვანის შემდეგ ექსტრადიციის განმახორციელებელი ორგანო 3 დღეში ამის შესახებ აცნობებს საქართველოს ეცბ-ს. ონფორმაციის მიღებიდან 2 დღეში საქართველოს ეცბ აღნიშნულ პირზე საერთაშორისო ძებნის შეწყვეტის შესახებ აცნობებს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს და წევრსახელმწიფოებს. საქართველოს ეცბ-მ გადმომცეში ქვეყნის ეცბ-ს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ძებნილის საქართველოში ჩამოყვანის თარიღი.

საქართველოში ინტერპოლის ეცბ-ს განსხვავებული მოქმედების წესია შემუშავებული საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით საერთაშორისო ძებნაში მყოფი ბრალდებულის და მსჯავრდებულის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენისას. ასეთ შემთხვევაში ინტერპოლის ეცბ ინფორმაციის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში აცნობებს ძებნის ინციატორ ორგანოს ან თანამდებობის პირს. საქმის მწარმოებელი ორგანო ან თანამდებობის პირი ინფორმაციის მიღების შემდეგ გზავნილისათვის განსაზღვრულ ვადაში ატყობინებს ინტერპოლის ეცბ-ს განსაზღვრულ ვადებზე შემდეგ შესახებ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენისას ინტერპოლის ეცბ-ში ინფორმაციის მიღებიდან გზავნილისათვის მინიჭებული გრიფის შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს სამი დღის ვადაში ეცნობება ძებნის ინციატორს. ინფორმაციის მიღების შემდეგ გზავნილისათვის მინიჭებული გრიფით განსაზღვრულ ვადაში ინციატორი იღებს გადაწყვეტილებას და ამას აც-

ნობებს ინტერპოლის ეცბ-ს. ეს უკანასკნელი კი ინფორმაციის მიღებიდან 3 დღეში აცნობებს ამის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელი ინტერპოლის ეცბ-ს.

საქართველოს პრეზიდენტის №99-ე ბრძანებულების მე-16 მუხლში კომპლექსურადაა მოცემული უცხო ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-ს მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე, მსჯავრდებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნის განხორციელება. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული პირების ძებნაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ინტერპოლის ეცბ. მოთხოვნის მიღების შემთხვევაში ეცბ ამოწმებს: შეიცავს თუ არა მოთხოვნა ძებნის გამოსაცხადებლად საჭირო ინფორმაციას; ქმედება, რაშიც ბრალი ედება ან რომლისთვისაც მსჯავრდებულია ძებნილი, არის თუ არა დასჯადი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ხომ არ არსებობს სისხლისამართლებლივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს ტერიტორიაზე ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით ძებნილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის აღმოჩენის შემთხვევაში, ინფორმაციის მომპოვებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს ინტერპოლის ეცბ-ს. ამ ინფორმაციის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ აცნობებს შეამდგომლობით მომართველი ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-ს და სთხოვს იმის დაზუსტებას, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული აღმოჩენილ ძებნილთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ საქართველოს ინტერპოლის ეცბ, გზავნილისათვის მინიჭებული გრიფის შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს სამი დღისა აცნობებს იმ ორგანოს, საიდანაც შემოვიდა ინფორმაცია ძებნილი პირის შესახებ.

დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით საერთაშორისო ძებნაში მყოფი პირის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო აკავებს პირს და ამის თაობაზე აცნობებს საქართველოს ეცბ-ს, ეს უკანასკნელი კი ამის შესახებ

აცნობებს ძებნის ინიციატორი ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-ს და ითხოვს დაკავებულის ძებნისა და ექსტრადიციის დადასტურებას. პასუხის მიღების შემდეგ საქართველოს ინტერპოლის ეცბ ინფორმაციას აწვდის იმ ორგანოს, რომელმაც დააკავა ძებნილი.

უფლებამოსილი ორგანოებიდან ძებნის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ ამის შესახებ 3 დღის ვადაში აცნობებს შესაბამის ორგანოებს, რათა შეწყდეს ბრალდებულის, მსჯავრდებულის ან უზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ში უზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნის შესახებ მოთხოვნის შემოსულის შემთხვევაში მოწმდება ინფორმაციის სრულყოფილება, არასაკმარისი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ მიმართავს ძებნის ინიციატორს დამატებითი მონაცემების მოწოდებაზე.

საქართველოს ინტერპოლის ეცბ უზო-უკვლოდ დაკარგული პირის შესახებ მის ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მისი ძებნისა და იდენტიფიკაციისათვის, გადასცემს უფლებამოსილ ორგანოს. ინტერპოლის გენერალური სამდივნოდან, ძებნის ინიციატორი ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-დან და სხვა უფლებამოსილი ორგანოდან ძებნის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ინტერპოლის ეცბ აღნიშნულს აცნობებს საქართველოს ტერიტორიაზე ძებნის განმახორციელებელ ორგანოებს.

საქართველოს პრეზიდენტის №99 ბრძანებულების მე-18 მუხლში მოცემულია „საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს მიერ ამოუცნობი გვამების და იმ უცნობ პირთა იდენტიფიცირებისას განსახორციელებელი მოქმედების ინფორმაციული უზრუნველყოფა, რომელთაც ჯანმრთელობის ან ასაკის გამო არ შეუძლიათ ინფორმაციის მიწოდება.“ მე-19 მუხლი კი ითვალისწინებს ასეთ პირთა იდენტიფიკაციას. სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მართებული

იქნებოდა ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა და სხვადასხვა მუხლში ჩამოგვეყალიბებინა გეამების და ჯანმრთელობის ან ასაკის გამო ამოუცნობ პირთა იდენტიფიკაციის საკითხი, რამდენადაც ამ პრობლემას ცალ-ცალკე ეთმობა ინტერპოლის შავი და ყვითელი ცირკულარები.

შშს-ს საქართველოში ეცბ-ს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის მე-20 მუხლში გამოყოფილია ეცბ-თვის შუამდგომლობით მიმართვის თავისებურებანი გენერალური სამდივნოსათვის სპეციალური ცირკულარის გამოსაცემად. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ეცბ-ს მოთხოვნის საფუძველზე გენერალური სამდივნო გამოსცემს:

ა) წითელ ცირკულარს - ბრალდებულის (განსასჯელის) ან მსჯავრდებულის დაკავებისა და მათი შემდგომი ექსტრადიციის მიზნით (A);

ბ) ლურჯ ცირკულარს - პირის იდენტიფიკაციის, კრიმინალური წარსულის, ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით (B);

გ) მწვანე ცირკულარს - იმ პირზე ინფორმაციის გამოკვეყნების მიზნით, რომელმაც შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული სხვადასხვა ქვეყანაში (C);

დ) ყვითელ ცირკულარს - უგზო-უკელოდ დაკარგული პირის ან იმ პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ვინაობის დასახელებას (F);

ე) შავ ცირკულარს - ამოუცნობი გეამების იდენტიფიკაციის მიზნით (D);

ვ) ნარინჯისფერ ცირკულარს - პოლიციის, სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდების პოტენციური საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შენიღბული ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასაფეთქებელი ნივთიერებებიდან და სხვა საფრთხის შემცველი მასალებიდან.

უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო სისხლისამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში მიმდინარე პროგრესის ფონზე პრაქტიკაში განხდა:

ზ) ინტერპოლისა და გაეროს სპეციალური ცირკულარი, რომელიც გამოიცემა ტერორისტული ორგანიზაციების წევრების მიმართ, რომლებიც გაეროს სანქციების ქვეშ ხვდებიან(ს).

სხვადასხვა ფერის ცირკულარის გამოსაცემად საქართველოში დადგენილია შესაბამისი წესი. გენერალური პროკურატურა მიმართავს საქართველოს ინტერპოლის ეცბს გენერალური სამდივნოს მეშვეობით წითელი ცირკულარის გამოსაცემად, აღნიშნულ შემთხვევაში პირი იძებნება დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით. სხვა დანარჩენი ფერის ცირკულარის გამოცემის მოთხოვნა გენერალური პროკურატურის გარდა შეუძლია საქმის მწარმოებელ სხვა უფლებამოსილ ორგანოს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში მართებულადაა წარმოჩენილი სხვადასხვა ფერის ცირკულარების გამოსაცემად შესაძლო ინფორმაციის თანდართვის წესი. 21-ე მუხლში მოცემულია წითელი ცირკულარის გამოცემის შესახებ შუამდგომლობის მონაცემები. საქართველოში ცირკულარის გამოცემის შუამდგომლობას უნდა დაერთოს ძებნილის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) 2 ფერადი ფოტოსურათი;
- ბ) თითის ანაბეჭდები;
- გ) გვარი და სახელი;
- დ) სხვა გვარი და სახელი, თუ აქვს ასეთი;
- ე) სქესი;
- ვ) დაბადების თარიღი და ადგილი;
- ზ) ასევე სხვა დაბადების თარიღები და ადგილები;
- თ) მამის სახელი და გვარი, ასევე სხვა სახელი და გვარი, თუ ცნობილია;
- ი) დედის ქალიშვილობის სახელი და გვარი, ასევე სხვა სახელი და გვარი, თუ ცნობილია;
- კ) მოქალაქეობა;
- ლ) ინფორმაცია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ;
- მ) პროფესია;

- ნ) რომელ ენებს ფლობს;
- ო) გარეგნული აღწერილობა;
- პ) განმასხვავებელი ნიშნები;
- ჟ) დნმ-ის კოდი;

რ) ქვეყნები, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს ძებნილი, ასევე მისამართი, თუ ცნობილია;

ს) დამატებითი ინფორმაცია ძებნილის შესახებ;

ტ) მითითება ძებნილის დამახასიათებელ თვისებებზე.“

აღნიშნულ მონაცემებთან ერთად შუამდგომლობას უნდა დაერთოს სამართლებრივი ინფორმაცია, კერძოდ, ძებნილი პირის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის არსი, ინფორმაცია თანამონაწილეობის შესახებ, დაკავების შემთხვევაში, რომელი კონვენცია ან შეთანხმება დაედება საფუძვლად ექსტრადიციის მოთხოვნას, პირის ძებნისა და ექსტრადიციის მიზანი.

ლურჯი ცირკულარის გამოცემის შესახებ შუამდგომლობას ერთვის იგივე ინფორმაცია, რომელიც მოცემულია შავ ცირკულარში, თუმცა განსხვავებულია მხოლოდ ცირკულარის გამოცემის მიზანი. ასეთ შემთხვევებში დოკუმენტი გამოიცემა პირის იდენტიფიკაციის, მისი საქმიანობისა და კრიმინალური წარსულის შემოწმების, მხოლოდ ადგილსამყოფელის დადგენის ან სხვა რაიმე საფუძვლით, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას მითითებული.

ყვითელი ცირკულარიც ინფორმაციული თვალსაზრისით თითქმის მსგავსია, მცირე გამონაკლისის გათვალისწინებით, რომელშიც იგულისხმება პიროვნების ანატომიური თავისებურებანი და მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაცია: პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან მისი აღმოჩენის გარემოებათა შესახებ; მასზე არსებული ტანსაცმლისა და მისი მდგომარეობის შესახებ; მისი აღმოჩენის ან ვინაობის დადგენის შემთხვევაში, განსახორციელებელი ღონისძიებები.

შავი ცირკულარის მონაცემები უახლოვედება ყვითელი ცირკულარის მონაცემებს. ნარინჯისფერი ცირკულარის მონაცემები ყველა სხვა ცირკულარის მონაცემებისაგან

განსხვავებულია. ნარინჯისფერი ცირკულარის გამოცემას უნდა დაერთოს შემდეგი მონაცემები:

„ა) რა სახის გადაკეთებული ან შენიღბული ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერება ან სხვა საფრთხის შემცველი მასალა იქნა აღმოჩენილი;

ბ) რა ვითარებაში და ვის მიერ იქნა აღმოჩენილი;

გ) ვისთვის შეიძლება იყოს სახიფათო აღმოჩენილი გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერება ან სხვა საფრთხის შემცველი მასალა;

დ) აღმოჩენილი გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერების ან სხვა საფრთხის შემცველი მასალის ზუსტი აღწერილობა და ასევე ფოტოსურათები, თუ შესაძლებელია;

ე) ასევე შუამდგომლობის ინიციატორის ხელთ არსებული ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც შეეხება აღმოჩენილ გადაკეთებულ ცეცხლსასროლ იარაღს, ასაფეთქებელ ნივთიერებას ან სხვა საფრთხის შემცველ მასალას“.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დროთა განმავლობაში საქართველოში შეიქმნას ბაზა ისეთი ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად, სადაც დაფიქსირდება თითის ანაბეჭდები და სისხლის ჯგუფი, რაც გააადვილებს ძებნისა და იდენტიფიკაციის პროცესს.

ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების, ასევე პირის ექსტრადიციის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის გასაგზავნად შესაძლოა გამოყენებული იქნას ინტერპოლის საკომუნიკაციო ქსელი. მსგავს შემთხვევაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ წერილისათვის მიცემული გრიფის შესაბამის ვადაში ახდენს აღნიშნული დოკუმენტაციის გადაგზავნას იმ ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-სათვის, რომელსაც სამართლებრივ დახმარებაზე მიმართავს გენერალური პროკურატურა. სათანადო ინფორმაციის მიღების შემთხვევაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ არაუგვიანეს სამი დღისა აცნობებს გენერალურ პროკურატურას.

საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ში არსებული საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის დანაყოფი 24 საათის განმავლობაში უწყვეტად ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას ინტერპოლის წვერი სახელმწიფოების ეცბ-ებთან და გენერალურ სამდიენოსთან.

ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობს ინტერპოლის საკომუნიკაციო ქსელის (I-24/7) ელექტრონული სისტემის მეშვეობით. გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება გამოყენებული იქნას ფაქსი, ინტერნეტი და სხვა საშუალებები. საქართველოს შესაბამის ორგანოებთან ეცბ ინფორმაციის გაცვლას აწარმოებს ფოსტის, საფელდგრო სამსახურის და ფაქსის საშუალებით.

საქართველოში ძეზნის გამოცხადება ხშირად ფერხდება ეცბ-თვის არადროული ინფორმაციის მიწოდების გამო, რაც შესაძლოა გამოიწვიოს საჭირო ტექნიკისა და სათანადო ოპერატიული კავშირების უქონლობამ, ასევე რეგიონებში სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირების დეფიციტმა. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად მართებულია სასაზღვრო გამშვები პუნქტები და ის პირები, რომელთაც ევალებათ ძეზნა და ოპერატიული თანამშრომლობა, აღჭურვილ იყვნენ სათანადო ცოდნით, კომპიუტერული სისტემით. ასეთი მეთოდები დანერგვლია ძირითადად ევროპაში და აშშ-ში.

საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მართებულია, რომ საქართველოში:

1. სასაზღვრო გამშვები პუნქტები, რეგიონებში კი ოპერატიულ სამძებრო თანამშრომლები აღიჭურვონ სათანადო კომპიუტერული ტექნიკით, რომლებიც ინტერპოლის ეცბ-ს ერთიან ქსელში იქნებიან ჩართული;

2. მიზანშეწონილია დანაშაულობასთან ბრძოლის თანამედროვე საერთაშორისო საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების დამკვიდრება უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე;

3. სასახლევრო სამსახურებში და ოპერატიულ-სამძებრო უწყლებამოსილებით აღჭურვილი პირების კვალიფიკაციის ამაღლება, ეცბ-თვის გადასდაცემი მოთხოვნების და ინფორმაციის ოპერატიულად მომზადებისა და მიწოდების მიზნით;

4. მოწინავე ქვეყნების ინტერპოლთან და ევროპოლთან ურთიერთობის პრაქტიკის გაზიარება;

5. საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულების დადებისას ინტერპოლის ეცბ-ს თანამშრომლებისა ან სათანადო ცოდნით აღჭურვილი ექსპერტების მონაწილეობა;

6. სისხლის სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სრულყოფა და მისი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის კონვენციის რატიფიკაცია, შემდგომ ეტაპზე კი პერსონალური მონაცემების დაცვის და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების დაცვაზე კანონის მიღება;

7. კანონის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას ნებისმიერი პირის უფლება მიმართოს ეცბ-ს თავის შესახებ არსებული ინფორმაციის დასადგენად და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მიეცეს უფლება მოითხოვოს მისი შეცვლა ან ამოღება;

8. ევროპოლთან თანამშრომლობისათვის ინტერპოლის საქართველოს ეცბ-ს ბაზაზე სპეციალური ჯგუფის შექმნა;

9. საქართველოს ეცბ-ში, გამოცდილი კადრებისა და ექსპერტებისაგან სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა, რომელიც მუდმივად იმუშავებს მის განვითარებაზე.

საქართველოში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმები საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზემოაღნიშნული პრობლემის სრულყოფისა და კომპლექსური მიდგომის გზით.

II. § 4. ინტერპოლის და ევროპოლის ადგილი საერთაშორისო ხელშეკრულებებში

ინტერპოლს მიშენელოვანი ადგილი ეთმობა საერთაშორისო კონვენციებში, რაც სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობაში ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ინტერპოლის დახმარებით სამართლებრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ საერთაშორისო, რეგიონალური, ლოკალური კონვენციები, მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები.

საერთაშორისო კონვენციების დიდი ნაწილი მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინციატივით, ამ მხრივ აღსანიშნავია „საერთაშორისო კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.“ მოცემული კონვენციის მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად თხოვნებს და შეტყობინებებს სახელმწიფოები ერთმანეთს აწვდიან დიპლომატიური არხებით „უკიდურეს შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფოები ამაზე შეთანხმდებიან, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით“.¹³⁸

მსგავსი დებულებაა მოცემული „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის“¹³⁹ მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში.

ინტერპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც დროებით, ისე მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების საქმიანობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1998 წლის რომის წესდების 87-ე მუხლის I პუნქტის b ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად ინტერპოლს

¹³⁸ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს.

¹³⁹ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. სასამართლოსთან თანამშრომლობის „თხოვნა შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციის ან სხვა სათანადო რეგიონალური ორგანიზაციის მეშვეობით.“¹⁴⁰

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წელს მიღებული ექსტრადიციის ტიპური ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, „ექსტრადიციის თხოვნის მიღებამდე, საგანგებო შემთხვევებში მომთხოვნ სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს ძებნილი პირის დროებითი დაკავების შუამდგომლობით. ასეთი შუამდგომლობა გადაეცემა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, ფოსტით, ტელეგრაფით ან სხვა საშუალებით, რომელთა გამოყენებისათვის კეთდება სარეგისტრაციო ჩანაწერი.“¹⁴¹

მოცემული დოკუმენტების შინაარსი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გაერო ინტერპოლს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს საერთაშორისო მასშტაბით დანაშაულობასთან ბრძოლაში, რასაც სახელმწიფოებისათვის ოპერატიულობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინტერპოლის საქმიანობას რეგიონალურ კონვენციებში, ამ მხრივ აღსანიშნავია ვეროპის საბჭოს ეგიდით მიღებული დოკუმენტები.

1957 წლის ექსტრადიციის ვეროპული კონვენციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „თხოვნა წინასწარი დაპატიმრების შესახებ უნდა გადაეგზავნოს თხოვნის მიმღები მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს დიპლომატიური არხებით, ან პირდაპირ ფოსტით ან ტელეგრაფით

¹⁴⁰ გვარამია ვ. ექსტრადიციის უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები. საერთაშორისო სისხლის სამართლისა და დიპლომატიური სამართლის აქტები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2005, გვ. 268.

¹⁴¹ Берстиев Ю., Исаева Е., Крючкова Е., Палсев М., Международно-правовые аспекты экстрадиции, «Юридическая литература», М., 2002. с. 305.

ან სისხლის სამართლის პოლიციის მეშვეობით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა თხოვნის მიღებაზე წერილობითი დასტურის საშუალებას.¹⁴² მნიშვნელოვანია ინტერპოლის როლი სახელმწიფოთაშორის სისხლის სამართლის საქმეებზე დახმარებისას, რაც ასახულია „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმად, თუ „დაშვებულია საქმის პირდაპირი გადაცემა, ის შეიძლება განხორციელდეს ინტერპოლის მეშვეობით.¹⁴³

ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული კონვენციებიდან უნდა გამოვეყნოთ „კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“, როლის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არაა შეზღუდვა მოცემული თხოვნის გადაცემის დროს, „ნებისმიერი თხოვნა ან შეტყობინება შეიძლება გაკეთებული იქნას საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის მეშვეობით.“¹⁴⁴

ლოკალურ კონვენციაში იგულისხმება ერთი რეგიონის ფარგლებში გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ მიღებული დოკუმენტი. მაგალითად, მსგავს დოკუმენტად მივიჩნევთ ევროპის საბჭოს, დსთ-ს და სხვა ანალოგიური გაერთიანებების ეგიდით მიღებული კონვენციები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების გამოყენების 1990 წლის კონვენცია, რომლის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დახმარების მოთხოვნები შეიძლება მიღებული ან გაგზავნილი იქნას იუსტიციის სამინისტროს ან სისხლის

¹⁴² კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ძალაშია პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის №729-II დადგენილებით.

¹⁴³ საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1999 წლის 23 ივნისის №2143 დადგენილებით.

¹⁴⁴ საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის №3345-რს დადგენილებით.

სამართლის კოლიციის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მეშვეობით.¹⁴⁵

ევროპოლის კონვენციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ევროპოლის როლს ევროკავშირის ქვეყნებთან და მესამე სახელმწიფოებთან საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში.¹⁴⁶

მნიშვნელოვანია დასაველეთ აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობის ეგიდით მიღებული ექსტრადიციის კონვენციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი,¹⁴⁷ რომელიც ექსტრადიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემისას იმეორებს ექსტრადიციის ევროპული კონვენციის მე-16 მუხლის დებულებას. ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის ინციტივით მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და მასთან დაკავშირებული სხვა მასალის უკანონო წარმოებისა და ვაჭრობის კონვენციის პრეამბულაში ხაზგასმულია ინტერპოლის როლი აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁴⁸

¹⁴⁵Кашкин С., Четвериков А., Шенгенские соглашения. «Профобразование», М. 2000. с. 113

¹⁴⁶ Article 42(2) amended by the Council Act of 27 November 2003 (Official Journal 002, 06/01/2004, p. 0008).

¹⁴⁷ „A request for provisional arrest shall be sent to the competent authorities of the requested State either through the diplomatic channel or direct by post or telegraph or through the International Criminal Police Organization (Interpol) or by any other means affording evidence in writing or accepted by the requested State. The requesting State shall be informed without delay of the result of its request. Economic Community of West African States Convention on Extradition (Abuja, 1994) <http://bibliotecavirtual.clacso.org.ar/ar/libros/iss/pdfs/ecowas/4ConExtradition.pdf> 17. 07. 08.

¹⁴⁸ Inter-American Convention against the illicit manufacturing of and trafficking in firearms, ammunition, explosives and other related materials (Washington, 1997) (AG00784.E). Recognizing the importance of strengthening existing international law enforcement support mechanisms such as the International Weapons and Explosives Tracking System (IWEETS) of the International Criminal Police Organization (INTERPOL), to prevent, combat, and eradicate the illicit manufacturing of and trafficking in firearms, ammunition, explosives, and other related materials.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინტერპოლის ადგილი მრავალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებში. მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია ბენინის, განის, ნიგერიისა და ტოგოს ხელშეკრულება საპოლიციო თანამშრომლობაზე, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო უნდა წარმოადგენდეს დამაკავშირებელ ორგანოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების უშიშროების სხვადასხვა სამსახურებისათვის.¹⁴⁹ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, ყაზახეთის, მოლდავეთის, რუსეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, უკრაინის და ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების კონტროლის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმების მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემას ინტერპოლის მიერ რეკომენდებული კურიერებისათვის.¹⁵⁰

რუმინეთის, ალბანეთის, ბულგარეთის, მოლდავეთის, თურქეთის, საბერძნეთის, მაკედონიის რესპუბლიკის, უნგრეთის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავერობებს შორის 1999 წელს ბუქარესტში დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს საზღვრებზე ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით აღნიშნულ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაში ინტერპოლისა და სხვა ორგანიზაციების მნიშვნელობას, რაც გამოიხატება ინფორმაციის გაცვლაში.¹⁵¹

¹⁴⁹ Co-operation agreement on police matters between Benin, Ghana, Nigeria and Togo (Lagos, 1984). „The INTERPOL National Central Burcaus shall serve as a liaison organ between the different security services of the Contracting Parties“.

¹⁵⁰ Agreement on Co-operation on Control of Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances between the Ministries of the Interior of the Republics of Azerbaijan, Armenia, Belarus, Georgia, Kazakhstan, Moldova, Russia, Tajikistan, Turkmenistan, Uzbekistan, Ukraine and Estonia (Kiev, 1992).

¹⁵¹ Agreement on Co-operation to Prevent and Combat Trans-border Crime between the Governments of Romania, Albania, Bulgaria, Bosnia-Herzegovina, Greece, FYROM, Moldova, Turkey and Hungary (Bucharest, 1999). „In order to

ინტერპოლის მნიშვნელობა გამოკვეთილია ექსტრადიციის ორმხრივ ხელშეკრულებებში, თუმცა ასეთი პრაქტიკა ჯერ კიდევ მწირია. ამ მხრივ აღსანიშნავია საფრანგეთის ექსტრადიციის შეთანხმებები კანადასთან და ავსტრალიასთან,¹⁵² რომელიც იმეორებს 1957 წლის ექსტრადიციის ევროპული კონვენციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებას. სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების თვალსაზრისით მართებული იქნებოდა საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო სისხლისამართლებრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებებში ინფორმაციის გაცვლისა და დანაშაულობასთან ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ინტერპოლის როლს.

improve the effectiveness of the prevention, detection, investigation and prosecution of trans-border criminal violations, and as active members of ICPO-INTERPOL for police matters, World Customs Organization for customs matters, the SECI [Southeast European Co-operative Initiative] participating countries shall exchange and develop criminal information in partnership with their law enforcement authorities and with the INTERPOL General Secretariat and WCO“.

¹⁵²Treaty between Canada and France concerning Extradition (1988). http://untreaty.un.org/unts/120001_144071/19/6/00015783.pdf (19. 07. 2008). Article 13 (1), „ In cases of urgency, the competent authorities of the requesting State may request the provisional arrest of the person sought . through diplomatic channels or directly by post or telegraph, or through the International Criminal Police Organization (INTERPOL), or by any other method that provides a written record of the request.“ Treaty on Extradition between France and Australia (1988). http://untreaty.un.org/unts/120001_144071/19/6/00015781.pdf (19. 07. 2008). Article 9 (1 .b). „The application for provisional arrest shall be transmitted by means of the facilities of the International Criminal Police Organization (INTERPOL), by post or telegraph or by any other means affording a record in writing.“

III. თავი. ინტერპოლის და ევროპოლის როლი

ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ

ბრძოლაში

ინტერპოლი და ევროპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება საერთაშორისო ტერორიზმი, განსაკუთრებული კულტურული ღირებულების მქონე ფასეულობების საზღვარგარეთ არალეგალურად გატანა, ნარკოტიკული დანაშაულები, ყალბი ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება, ტრეფიკინგი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცება და საზღვარგარეთ არალეგალური ტრანსპორტირება. ინტერპოლი და ევროპოლი ასევე კოორდინაციას უწევს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც შეიცავს საერთაშორისო ელემენტს. სრთაშორისო ელემენტის შემცველია დანაშაული თუ ის სცდება ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს, კერძოდ, ქმედება ორგანიზებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი გატანილია საზღვარგარეთ, დანაშაულში თანამონაწილეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და იმყოფებიან საზღვარგარეთ. ასეთ შემთხვევაში თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესის თანახმად უნდა განხორციელდეს. ამ მიზნის მისაღწევად ინტერპოლი და ევროპოლი გამოიმუშავენს წინადადებებს, ამასთან ერთად თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პრაქტიკული წვლილი შეაქვს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ოპერატიულობას, რომლის უზრუნველყოფა ხორციელდება ინტერპოლისა და ევროპოლის მექანიზმების მეშვეობით.

III. §1. ინტერპოლი და ევროპოლი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე აქტუალური გახდა ინტერპოლის როლის ზრდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტერორიზმი უძველესი დროიდან იღებს სათავეს, თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება წარსულში ხშირად განსხვავებული იყო.

სიტყვა „ტერორი“ ლათინური წარმოშობისაა, რაც ნიშნავს „შიშს“ „საშინელებას.“¹⁵³ მეცნიერთა დიდი ნაწილი ერთმანეთისაგან მიჯნავს ტერორის და ტრორიზმის ცნებას.¹⁵⁴ ი. გორბუნოვი აღნიშნავს, რომ „ტერორიზმის წარმოშობის ისტორია მოწმობს მისი, როგორც პოლიტიკური ძალადობის განსაკუთრებულ ფორმაზე, ერთის მიერ შიშით ან ძალადობით სხვების იძულებას,“¹⁵⁵ ტერორს ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები მიმართავენ. ავტორი დასძენს, რომ ტერორიზმის სხვადასვა ხერხით გამოვლინებანი, რომელიც მიმართული იყო მმართველების წინააღმდეგ გეხედებოდა ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთისა და რომის რესპუბლიკებში, ი. გორბუნოვი XVIII საუკუნეს მიიჩნევს ტერორიზმის გლობალიზაციის პერიოდად.

ე. ზამკოვოი და მ. ილნიკოვი თვლიან, რომ „ტერორის ცნება განეკუთნება იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც იმყოფებიან ხელისუფლებაში და ეყრდნობიან სახელისუფლო სტრუქტურებს, დათრგუნვის რეპრესიულ აპარატს, ჯარს, კონტრაზვერვას, სპეცსამსახურებს და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში ტერორიზმის ცნებას უკავშირებენ

¹⁵³ ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. „განათლება,“ 1989, გვ. 494.

¹⁵⁴ Байрамов Г. А. Борьба с политическим терроризмом: международно-правовое регулирование: Дисс. канд. юрид. наук. М., 2004 . с. 14.

¹⁵⁵ Горбунов Ю. С. Терроризмом и правовое регулирование противодействия ему. М., „Молодая гвардия,“ с. 18.

ოპოზიციური ძალების მიერ განხორციელებულ საპასუხო ქმედებებს ხელისუფლებისადმი.¹⁵⁶ ვ. ზამკოვოი და მ. ილ-ნიკოვი გვთავაზობენ ტერორიზმისა და ტერორის ფორმებისა და სახეების კლასიფიკაციას.¹⁵⁷

1937 წელს ერთა ლიგის მიერ შემუშავებული იქნა ტერორიზმის. თავიდან აცილებისა და დასჯის კონვენცია. მას ხელი მოაწერა ოცდახუთმა სახელმწიფომ, თუმცა სახელმწიფოთა განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების არარსებობა ხელს უშლიდა მის ძალაში შესვლას.

XX საუკუნეში აქტიურად დაიწყო ტერორიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის გამიჯვნა.¹⁵⁸ თანამედროვე განმარტებით, „საერთაშორისო ტერორიზმი არის საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას. საერთაშორისო ტერორიზმის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა ან ინდივიდისა თუ ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლობისა და დიპლომატიური აგენტების, უცხო სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენელთა, საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პერსონალის წინააღმდეგ.“¹⁵⁹

¹⁵⁶ Замковой В. Ильчиков М. Терроризмом глобальная проблема современности. „Гардарика“ М., 1996, с. 8-9.

¹⁵⁷ იქვე

¹⁵⁸ Емельянов В. П. с. 70-77. Бояр-Созонович Т. С. с. 119.

¹⁵⁹ აღუქიხიძე ლ. გიორგაძე ლ. კვაჭაძე მ. კორკელია ე. ქურდაძე ი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005 გვ. 184-185.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII თავი ეთმობა ტერორიზმს. 323-ე მუხლის I ნაწილში მოცემულია ტერორისტილი აქტის განმარტება – „ესე იგი აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.“¹⁶⁰ კოდექსის შემდეგ მუხლებში მოცემულია ტერორიზმის სახეები. საერთაშორისო ტერორიზმი ცალკე არაა გამოყოფილი, თუმცა 326-ე მუხლში (საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა), 328-ე მუხლში (უცხო ქვეყნის ტეროტისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება, ანდა მისი დახმარება), 329-ე მუხლში (მძველად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით) მოცემული ქმედებები შედის საერთაშორისო ტერორიზმის შემადგენლობაში.

ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლში მოცემული აკრძალვა ორგანიზაციის პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და რასობრივი ხასიათის საქმეებში ჩაურევლობაზე ზღუდავდა ინტერპოლს, რადგან სახელმწიფოების მხრიდან ჩადენილი ქმედების განსხვავებულად გაგება, კერძოდ, „ტერორისტულ აქტად“, „პოლიტიკურ დანაშაულად“ ან სხვა სახით კვალიფიკაცია XX საუკუნის 70-იან წლებში ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში წარმოადგენდა დამაბრკოლებელ გარემოებას.

¹⁶⁰სისხლის სამართლის კოდექსი, მეოხი (სპეცგამოშვება). 2006. გვ 69-71.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული XX საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ, ევროპის საბჭოს ინიციატივით შემუშავებული იქნა და 1977 წლიდან ძალაში შევიდა „ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“¹⁶¹. აღნიშნული კონვენციის პირველ მუხლში ჩამოთვლილი იქნა ქმედებები, რომელიც არ შეიძლება მიჩნეული იქნას პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად. მათ რიცხვს მიეკუთვნება 1. დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1971 წლის 16 დეკემბრის ჰააგის კონვენცია საჰაერო ხომალდების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; 2. დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1971 წლის 23 სექტემბრის მონრეალის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; 3. სერიოზული დანაშაულები დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე დაცული პირების, მათ შორის, დიპლომატიური აგენტების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან; 4. გატაცებასთან ან მძევლად აყვანასთან დაკავშირებული დანაშაულები; 5. დანაშაული დაკავშირებული ნაღმის, ხელყუმბარის, რაკეტის, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ან წერილისა თუ საამანათო ნაღმის გამოყენებასთან, თუ ამით საფრთხე შეექმნა პიროვნებას; 6. აღნიშნული დანაშაულების ჩადენის მცდელობა, დამხმარის სახით თანამონაწილედ გამოსვლა, რომელიც ჩაიდენს ან შეეცდება ჩაიდინოს დანაშაული.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის I პუნქტის მიხედვით, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს არ მიიჩნიოს

¹⁶¹ რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 27 სექტემბრის № 509 დადგენილებით.

პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად ადამიანის სიცოცხლის, ჯამრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ისეთ სერიოზულ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულები, რომელიც არ არის გათვალისწინებული I მუხლით. აღნიშნულ კონვენციაში მოცემულმა დებულებებმა ინტერპოლს საშუალება მისცა აქტიურად ჩართულიყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1970 წელს ინტერპოლის გენერალურმა ასამბლეამ ბრიუსელის შეხვედრაზე გადაწყვიტა, რომ ეთანამშრომლათ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სფეროში. 1971 წელს მიღწეული იქნა შეთანხმება ინტერპოლს მიეღო ზომები იმ პერიოდში ფართოდ გაერცელებული გამოძალვის მიზნით შანტაჟის აღსაკვეთად. 1979 წელს ნაირობიში ინტერპოლის გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიეღოთ შესაბამისი ზომები ისეთი ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთა იდეოლოგიაც ეფუძნებოდა მკვლელობას, ძალადობას, მძევლების აყვანას, სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევას და სხვა ისეთი ქმედებების ჩადენას, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებდა ფართო საზოგადოებას. აღნიშნულიდან ჩანს, რომ ინტერპოლი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყებს ბრძოლას საერთაშორისო საზოგადოებისათვის საშიშროების შემცველი დანაშაულების წინააღმდეგ. თუმცა იმ პერიოდისათვის ინტერპოლი ტერორიზმის ტერმინის გამოყენებას მაინც ვერცხვდა, რაც რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა განსხვავებული იდეოლოგიისა და ცივი ომის პოლიტიკის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ინტერპოლმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა 1983 წელს კანში გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვი-

თაც უნდა გამოეკვლიათ ორგანიზებული ჯგუფების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია და ცნობილი გახდა, როგორც ტერორიზმი. 1984 წელს ლუქსემბურგში გამართულ გენერალური ასამბლეის სესიაზე, სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცია ტერორისტების ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად დაეხვეწათ ეროვნული კანონმდებლობა, რაც ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. აღნიშნული შეხვედრების მნიშვნელოვანი შედეგი იყო 1985 წელს ვაშინგტონში გამართულ ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 54-ე სესიაზე მიღებული რეზოლუცია,¹⁶² რომლის მიხედვითაც გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში უნდა შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ასევე რეზოლუციის მიხედვით გენერალურ სამდივნოს დაევალა ეროვნული ცენტრალური ბიუროებისათვის შეემუშაებინათ საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

1987 წელს შეიქმნა ანტიტერორისტული ჯგუფი. დღეისათვის ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან ფუნქციონირებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილება, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლაში.

1998 წელს ქაიროში და 1999 წელს სეულში გენერალური ასამბლეის შეხვედრებზე გადაწყდა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო ინტერპოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისას.

მნიშვნელოვანი იყო 2000 წელს გაეროს ეგიდით მიღებული „კონვენცია ტერორიზმის დაფინანსებისა და აღკვეთის

¹⁶² იხ. AGN/54/RES/1.

შესახებ“,¹⁶³ რომელმაც განაერცო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია. მითითებული დოკუმენტები განაპირობებდა ტერორიზმთან ბრძოლაში ინტერპოლის მეშვეობით სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმს.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ. მათიუ დეფლემი აღნიშნავს, რომ „აშშ-ში ტერორისტული თავდასხმის შემდეგ 2001 წლის 24–28 სექტემბერს ინტერპოლის გენერალურმა ასამბლეამ 70-ე შეხვედრა გამართა ბუდაპეშტში, სადაც გადასცა შეტყობინება AG-2001-RES-05 ტერორისტული თავდასხმის შესახებ, რათა განსჯის საგანი გამხდარიყო სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებზე თავდასხმა აშშ-ში, როგორც კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დადგენილი სტანდარტების დარღვევა, რაც გამოიხატა მასობრივ მკვლელობაში და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. ასევე გადაწყვეტილი იქნა უფრო ეფექტურად განხორციელებულიყო ბრძოლა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა წითელი ცირკულიარის გამოცემას (ინტერპოლის საერთაშორისო ორდერი, რაც ითვალისწინებს ძებნას, დაპატიმრებას და ექსტრადიციას).“¹⁶⁴

საერთაშორისო ტერორიზმთან მიმართებით უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიცვალა ინტერპოლის დამოკიდებულება მისი კონსტიტუციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, რათა სამართლე-

¹⁶³ რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის 07. 06. 2002 წლის № 1486 –II ს დადგენილებით.

¹⁶⁴ Dellem Mathieu, and Lindsay C. Maybin. 2005. "Interpol and the Policing of International Terrorism: Developments and Dynamics since September 11." Pp. 175-191 in *Terrorism: Research, Readings, & Realities*, edited by Lynne L. Snowden and Brad Whitsel. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall. 2005.

ბრივი თხოვნისას გამოირიცხოს პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და რასობრივი მოტივები. აღნიშნულის გამო-საკვლევად შემუშავებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები; 1. სად იქნა ჩადენილი ქმედება; 2. მსხვერპლის სტატუსი; და 3. დარღვევის სერიოზულობა (საშიშროება).

გარკვეული ცვლილებები შეეხო ინტერპოლის შტაბ-ბინიდან ტერორისტული ჯგუფის წევრებზე ინფორმაციის გადაცემის საკითხს, კერძოდ, 2003 წლიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება, თუ დადასტურდებოდა ეჭვი ტერორის-ტული ჯგუფის წევრობაზე, გამოიცემოდა წითელი ცირკუ-ლიარი. მსგავსი დამოკიდებულება ადრეულ პერიოდში ვრცელდებოდა იმ პირების მიმართ, რომლებიც ბრალდუ-ბული იყვნენ ტერორისტულ აქტში. ცვლილება გამართლე-ბული იყო ტერორისტული ორგანიზაციების წევრობის დანაშაულად აღიარებით.

ინტერპოლის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთ-მობა ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების საკითხს, რადგან ტერორისტული აქტის ორგანიზება და ჩადენა და-კავშირებულია ფინანსებთან, ამ გარემოებიდან გამომდი-ნარე, 1999 წელს ტერორიზმის დაფინანსება ინტერპოლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა.

ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ინტერპოლი რეგულარულად დებს ხელშეკრულებებს სხვა საერთაშო-რისო ორგანიზაციებთან. 2001 წელს ინტერპოლსა და ევრო-პოლს შორის ხელი მოეწერა ტერორიზმთან და სხვა საერ-თაშორისო დანაშაულებთან სამართლებრივი თანამშრომ-ლობის ხელშეკრულებას.

2002 წლიდან ინტერპოლმა შექმნა სისტემა, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოების პოლიციის აგენტებს ავტომატურ რეჟიმში ხელი მიუწვდებათ ტერორიზმში ბრალდებული პირების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება გამოცემული იქნას წითელი ცირკუ-ლიარით, მწვანე ცირკულიარით და ლურჯი ცირკულიარით. ამასთან ერთად შესაძლებელი გახდა ყალბი სამოგზაურო

დიკუმენტების ბაზაში შესვლა, რაც შესაძლებელია გლობალური საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური თანამშრომლობის გზაზე ხშირად გეხედება ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, როგორცაა არასრულყოფილი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ზოგიერთ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

შერიფ ბასსიუნი აღნიშნავს, რომ ინტერპოლის საქმიანობა ეფექტური არ არის, რადგან აშშ უფლებამოსილებას არ გადასცემს მას. II სექტემბრის თავდასხმის შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიურო, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გადასცემდა ინტერპოლს და უპირატესობას ანიჭებდა ცალმხრივი ოპერაციის ჩატარებას. აღნიშნულ გარემოებას შერიფ ბასსიუნი საკმაოდ მიიჩნევს და დასძენს, „თანამეგობრობასთან თუ არ იქნება თანამშრომლობა ან მოხდება მისი შეზღუდვა, როგორც ეს იყო ინტერპოლის შემთხვევაში პოლიციის აგენტების მიმართ, ნაკლებად სავარაუდოა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იქნეს ეფექტური“.¹⁶⁵

ინტერპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უშუალოდ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს, ხელს უწყობს მონაწილე სახელმწიფოების პოლიციის სააგენტოებს პირდაპირი კონტაქტის დამყარებაში. ინტერპოლის კართოტეკაში დაცული ინფორმაცია ტერორისტების შესახებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოებისათვის, ამავე დროს, მონაცემთა ბაზას მუდმივი განახლება სჭირდება, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოთაშორის მჭიდრო თანამშრომლობასთან. ინფორმაციის გაცვლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

¹⁶⁵ Bassiouni, M. Cherif. 2002. "Legal Control of International Terrorism: A Policy-Oriented Assessment." *Harvard International Law Journal* 43:83-103.

თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა მართებულია განხორციელდეს ცენტრალიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ცალკეული სახელმწიფოების პოლიციის თანამშრომლობისას ენის ბარიერი და უწყებათაშორის არასათანადო კომუნიკაციები ხელს უშლის ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლას.

მატეუ დეფლემი ტერორიზმის საწინააღმდეგო ერთ-ერთ შიდა საშუალებად მიიჩნევს პოლიტიკის ზეგავლენით მიღებულ ახალ კანონებს და ოფიციალური პოლიტიკის სხვა ფორმებს.¹⁶⁶

ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებების პარალელურად ევროპის ფარგლებშიც მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. 1975 წელს ევროპის ქვეყნების ჩინოვნიკების მიერ შეიქმნა სახელმწიფოთა ჯგუფი (TREVI Group), რათა მიეწოდებინათ ინფორმაცია საერთაშორისო ტერორიზმისა და საერთაშორისო დანაშაულის შესახებ. 1993 წლიდან ევროპის კავშირის სახელმწიფოთა ჯგუფი სხვა ევროპულ გაერთიანებებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1997 წლიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა ტერორიზმთან საბრძოლველად ევროპოლის ჩართვაზე. ამსტერდამის ხელშეკრულებამ გააფართოვა ევროპოლის მანდატი, რაც შეეხო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

მატეუ დეფლემის აზრით, „ევროპოლის ოპერაციები კონტროლდება ევროპის კავშირის პოლიტიკური წარმომადგენლების მიერ“ ავტორი აქვე დასძენს, რომ ევროპოლს

¹⁶⁶ იხ. DeFlem, Mathieu. "International Police Cooperation Against Terrorism: Interpol and Europol in Comparison." 2007. Pp. 17-25 in *Understanding and Responding to Terrorism*, edited by H. Durmaz, B. Sevinc, A.S. Yayla, and S. Ekici. Amsterdam: IOS Press

მეტნაკლებად გააჩნია ავტონომიურობის ხარისხი, რათა პროგრამით განსაზღვროს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლის მიზნები, საშუალებები და ორიენტაცია გააკეთოს პოლიციელებს შორის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე ინფორმაციის ეფექტურ გაცვლაზე.¹⁶⁷

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა ბიძგი მისცა ევროპაში ახალი ანტიტერორისტული კანონების მიღებას. ამასთან ერთად, ევროპოლში შეიქმნა სპეციალიზირებული ტერორიზმის საწინააღმდეგო ერთეული, რომელიც განთავსდა ევროპოლის შტაბ-ბინაში. მოგვიანებით ის გაერთიანდა დანაშაულების განყოფილებაში, თუმცა 2004 წლიდან ევროპაში გახშირებული ტერორისტული აქტების გამო აღდგენილი იქნა ცალკე ერთეულის სახით ევროპოლის შემადგენლობაში. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლი აქტიურად თანამშრომლობს არაეუროპულ სახელმწიფოებთანაც.

პატიმრობის ევროპული ორდერის დამკვიდრებამ, რომელიც ძირითადად ევროპოლის მეშვეობით გადაეცემა სახელმწიფოებს, გაამარტივა ექსტრადიციის პროცედურა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის.

დღეისათვის ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ევროპოლში მოქმედებს სპეციალიზირებული პროგრამები. კერძოდ, ინფორმაციის შეგროვების და შეფასების პროგრამა, იარაღის, ბირთვული მასალის უკანონო ვაჭრობის მონაცემების პროგრამა, ტერორისტული აქტების შემთხვევაში ევროპოლის მზადყოფნის პროგრამა, დაზვერვის პროგრამა, სწავლებისა და განათლების პროგრამა პერსონალისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის.

2005 წლის 19 სექტემბერს ბერლინში გამართულ ინტერპოლის 74-ე შეკრების გახსნაზე გერმანიის ფედერალურმა მინისტრმა ოტტო შილმა განაცხადა, რომ „დღეს ტრანსნაციონალური ტერორიზმი წარმოადგენს საერთაშო-

¹⁶⁷ იხ. იქვე.

რისო დანაშაულის ყველაზე საშიშ ფორმას. დამნაშავეთა წარმომავლობა, მათი მოქმედების რადიუსი არ არის შეზღუდული ეროვნებით, რეგიონით და კონტინენტით. მსხვერპლი შეიძლება გახდეს სხვადასხვა რელიგიის, ეროვნების და ქვეყნის მოქალაქე. ყველაფერი ეს უჩვენებს იმას, რომ ტერორიზმს არ გააჩნია საზღვრები და საშიშროებას გვიქმნის ყველას.“¹⁶⁸

განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ტერორიზმის ახალი ნაირსახეობა – ბიოტერორიზმი. ექსპერტთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აუცილებელია პრევენციული ღონისძიების გატარება. ტერორისტული ჯგუფები აქტიურად მუშაობენ ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად. 2005 წლიდან ინტერპოლში შეიქმნა სპეციალური ქვეგანყოფილება ბიოტერორიზმთან საბრძოლველად, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობისათვის უზრუნველყოს აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და გამოცდილების გაზიარება აღნიშნული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბიოტერორიზმის წინააღმდეგ გატარებული ზომები დღეისათვის არასრულყოფილი და ნაკლებად ეფექტურია, ზოგიერთი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ ვერ აფასებენ აღნიშნულ საშიშროებას. აშშ-ში ამ საკითხს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული პრიორიტეტი. 1998 წლიდან აშშ-ს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სააგენტო, რომელიც მუშაობს ბიოტერორიზმის საფრთხის შემცირებაზე.

2006 წელს კიევში მიმდინარე ინტერპოლის სემინარის დროს ინტერპოლის გენერალურმა მდივანმა რონალდ ნოუბლიმ განაცხადა, რომ „ბიოტერორიზმის საშიშროება,

¹⁶⁸Rede von Bundesminister Otto Schily zur Eröffnung der 74. Generalversammlung der IKPO Interpol am 19. September 2005 in Berlin http://www.bmi.bund.de/nn_678290/Internet/Content/Nachrichten/Archiv/Reden/2005/09/Schily_Interpol.html

რომელიც მომდინარეობს „აღქაიდას“ და ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან, რეალურია. მთავარი ამოცანა, რომელიც ამჯერად დგას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, საშიშროების მასშტაბის და მისი წყაროს შეცნობაში მდგომარეობს.¹⁶⁹ აღნიშნული სემინარის მუშაობაში ინტერპოლის წევრი 23 სახელმწიფო ღებულობდა მონაწილეობას, სადაც დაისვა უსაფრთხოების წესების გამკაცრების საკითხი ქიმიურ დაწესებულებებში, ბიოტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა, ასევე დაიგეგმა დსთ-ს წევრი ქვეყნების შპს მინისტრთა საბჭოს შეხვედრა ინტერპოლის წარმომადგენლებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით.

რონალდ ნოუბლის აზრით, ბიოტერორიზმის საწინააღმდეგო პროგრამის განსახორციელებლად საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ინტერპოლი აწყდება არასათანადო სამართლებრივ მხარდაჭერას, სწორედ ამიტომ თვლის, რომ ეფექტური სამართლებრივი ბაზა აუცილებელია, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა და სპეციალურმა სამსახურებმა თავიანთ განკარგულებაში მიიღონ ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც მათ შეეძლებათ წარმატებით ებრძოლონ ბიოტერორიზმის საფრთხეებს.¹⁷⁰

სამართლებრივ საკითხებზე ინტერპოლის მრჩეველი, პროფესორი ბარი კელმანი ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასის ეფექტურობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „კანონში შესაბამისი დამატებები შეტანილი უნდა იქნას დაუყოვნებლივ, რადგან მათ გარეშე რაიმე ღინისძიების გატარება არ იქნება ლეგიტიმური“¹⁷¹

¹⁶⁹Интерпол призвал к изменению национальных законодательств для борьбы с биотерроризмом. 7 ноября 2006 г.. <http://palm.newsru.com/world/07nov2006/bioterror.html>

¹⁷⁰ იხ. იქვე.

¹⁷¹ იხ. იქვე.

საქართველოს მიერ ტერორიზმთან დაკავშირებული კონვენციების რატიფიცირების შემდეგ აქტუალური გახდა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი, რაც ეტაპობრივად ხორციელდება. 2003 წლის 6 ივნისს მიღებული იქნა კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით,¹⁷² საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეიქმნა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომლის მიზანად იქცა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენა.

2003 წლის 16 ივლისის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს სხვა სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებთან დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, რომლებითაც მოწესრიგდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ინფორმაციის გაცვლისა და მათი კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვა საკითხები.“ 2004 წლის 25 თებერვალს მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი კანონის მე-3 პუნქტში, რომლის თანახმადაც, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ნებისმიერი ორგანოსაგან ან პირისაგან ნებართვის მიღების გარეშე, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უგზავნის თხოვნებს საჭირო ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე და

¹⁷² იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 16 ივლისის №354 ბრძანებულება.

უპასუხებს მათ ანალოგიურ თხოვნებს.“

ფინანსური მონიტორინგის სამსახურს დამყარებული აქვს კონტაქტები გენერალურ პროკურატურასთან, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან, ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან და სხვა ორგანოებთან. მსგავსი თანამშრომლობა ემსახურება ინფორმაციის შევსებასა და მათ გაანალიზებას.

ნიშნელოვანია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროსა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება. ამ მხრივ დიდ გავლენას ახდენს FATF-ის (Financial Action Task Force) რეკომენდაციები. მასში გათვალისწინებულია ის სამართლებრივი ღონისძიებები, რაც უნდა განხორციელდეს ტერორიზმის დაფინანსების აღსაკვეთად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაცია და პრაქტიკაში რეალიზაცია, ფულად გადარიცხვაზე კონტროლი და გადარიცხვის ახალი სისტემების გამოკვლევა, ტერორისტების ანგარიშების გაყინვა, ნაღდი ფულადი სახსრების გადაზიდვის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვა რეკომენდაციები.

განსაკუთრებით აქტუალურია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის კავშირის მასშტაბით, რაც განპირობებულია თავისუფალი მიმოსვლითა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში. აღსანიშნავია ის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნული ორგანოები ასრულებენ ძირითად როლს, რაც გამოიხატება მათ მოქმედებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ევროპის კავშირის ფარგლებში. მსგავსი თანამშრომლობის კოორდინაციას ახორციელებს ევროპოლი.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული ბაზა, სახელმწიფო ორგანოებს შორის კოორდინირებული მოქმედება, მათ მიერ კი საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან თანამშრომლობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით. სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავში გამოყოფილი იქნა ტერორიზმის ისეთი სახეები, როგორცაა ტექნოლოგიური ტერორიზმი (324-ე მუხლი), კიბერტერორიზმი (324-ე მუხლი), საქართველოს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე თავდასხმა (325-ე მუხლი), საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე ან დაწესებულებებზე თავდასხმა (326-ე მუხლი), ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება, მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (329-ე მუხლი) და სხვა. რადგანაც ტერორიზმი მომეტებულ საფრთხეს შეიცავს, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე საზოგადოებისათვის, ის საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ურთიერთობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე, 326-ე, 328-ე, და 329-ე მუხლით გათვალისწინებული ტერორიზმის სახეები ხელს უშლის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმალურ თანაარსებობას. მათი ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვანია ამ სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისას მთელი რიგი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. მგავსი დაყოფა საქართველოს და უცხო ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით თავისუფალი თანამშრომლობის საშუალებას აძლევს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან

როდესაც ასრულებს სახელმწიფოებში ამ მხრივ მიღებული სპეციალური კანონები. მსგავსი პრაქტიკა გათვალისწინებული იქნა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ. 2007 წლის 27 ივნისს საქართველოში მიღებული იქნა „კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, რომელშიც კომპლექსურადაა გათვალისწინებული ტერორიზმთან ბრძოლის მთელი რიგი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი პრობლემები.

საქართველოს „კანონში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საერთაშორისო ტერორიზმს. ამ კანონის პირველი მუხლის დ) პუნქტის მიხედვით „საერთაშორისო ტერორიზმი არის ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა:

„დ.ა) ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგას სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს);

დ.ბ) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ;

დ.გ) იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ, ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ.“

სპეციალური კანონის მეორე მუხლით, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივ საფუძვლებად განისაზღვრა „საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონები, მათ შორის, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები“. მეოთხე მუხლის თანახმად, საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლას ახორციელებს: საქართველოს მთავრობა, შშს, თავდაცვის სამინისტრო, საგარეო დახვეწვის სპეციალური სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

საქართველოს „კანონში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ,“ მოცემულია იმ სუბიექტების უფლებამოსილებანი, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ტერორიზმთან ბრძოლას (მე-5 მუხლი). აღნიშნული მუხლის I პუნქტის მიხედვით ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს საქართველოს შშს, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებს „სპეციალური (ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენებით, რომელიც მიმართულია ტერორისტული საქმიანობის გამოვლენისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ.“¹⁷³ ამასთან ერთად შშს აგროვებს ინფორმაციას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და ახდენს მის სისტემატიზებას.

ტერორიზმთან ბრძოლის კანონის VII თავი ეთმობა საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობას. მე-20 მუხლის მიხედვით, „საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობს უცხო ქვეყნებთან, მათ სამართალდამცავ ორგანოებთან, სასამართლოებთან და სპეციალურ სამსახურებთან, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას.“ საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ ინფორმაციას უცხო ქვეყნებს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

საქართველოს „კანონში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ არაა გამოკვეთილი ინტერპოლის და ეცბ-ს როლი კონკრეტული დანაშაულის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საერთაშორისო თანამშრომლობისას. როგორც ავლნიშნეთ, საქართველო ტერორიზმთან ბრძოლაში თანა-

¹⁷³ იქვე.

მშრომლობს უმს მეშვეობით, თუმცა მართებული იქნებოდა ამ მხრივ აღნიშნულ კანონში ეცბ-ს როლისა და ფუნქციონალური დატვირთვის წარმოიხენა.

კანონში გამოკვეთილია ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს თანამშრომლობის აუცილებლობა, თუმცა სასურველია კანონში ინტერპოლთან თანამშრომლობის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე პრიორიტეტების გამოყოფა.

III. §2. ინტერპოლის და ევროპოლის როლი ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში

XXI საუკუნეში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და სხვა ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა დღითიდღე აქტუალური ხდება. მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოთა მხრიდან ნაკლებად ეფექტურია. სწორედ ეს გარემოებები განაპირობებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის აუცილებლობას. თითოეული სახელმწიფოს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში ჩართვა. როგორც ფ. ვარტანიანი და კ. შახოვსკი აღნიშნავენ „გაეროს ცნობით, ნარკოტიკები წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემას. მათი მოხმარების დონემ მიაღწია პანდემიას.“¹⁷⁴

სახელმწიფოთაშორის საზღვრების ლიბერალიზაციისა და რეგიონალური კავშირების გაფართოებასთან ერთად ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანა-

¹⁷⁴ Вартанян Ф. Шаховский К. Наркотики и проблемы национальной безопасности. http://www.rau.su/observer/N6_2005/6_07.HTM 30.07.08.

შაულები იძენს ორგანიზებულ ხასიათს. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით აქტუალური ხდება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით აქტუალურია ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების სპეციფიკურობის გამოკვლევა ინტერპოლის, ევროპოლის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით.

ნარკოტიკების მოხმარების ზრდა დამოკიდებულია ნარკოტიკების არაკანონიერ ბრუნვასთან, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობას უწყობს ხელს. მოცემულ სფეროში შექმნილია მრავალი ტრანსნაციონალური სინდიკატი, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებს და კონტინენტს სწვდება. ცალკეული პირები აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებენ დამოუკიდებლად, თუმცა მათ წინააღმდეგ ბრძოლა კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმატებით მიმდინარეობს.

საერთაშორისო სინდიკატების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობას, რადგან ისინი მოქმედებენ ორგანიზებულად და შენიღბულად, კავშირს ამყარებენ კრიმინალურ გაერთიანებებთან, ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფოებში და მიზნის მისაღწევად იყენებენ ყოველგვარ ძალადობას. ამ დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოთა კოორდინირებული ბრძოლის ეფექტურობისათვის გაეროს სოციალურ-ეკონომიკურ საბჭოში შექმნილია ნარკოტიკულ საშუალებებზე სპეციალური კომისია, რომელიც ნარკოტიკებთან დაკავშირებულ რამოდენიმე პრობლემაზე ერთდროულად მუშაობს. ის ასევე თანამშრომლობს გაეროს ისეთ სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან, როგორცაა ჯამრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, საავიაციო, ფრენის საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო საფოსტო კავშირი. მათ სხვადასხვა კუთხით

უხდებოთ ბრძოლა ნარკოტიკულ დანაშაულებთან და-
კავშირებულ პრობლემებთან.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან საერთაშორისო
სამართლებრივი მხარდაჭერით შესაძლებელი ხდება კონ-
ტროლის დაწესება ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვაზე.
60-იანი წლებიდან შეიქმნა იურიდიული ბაზა ნარკოტიკების
უკანონო გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად, რის
საფუძველზეც შეიქმნა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდე-
ბლობა ნარკოტიკული დანაშაულებისათვის უმკაცრესად
დასჯისათვის.

ჩამოთვლილი ღონისძიებების მიუხედავად, მიმდი-
ნარეობს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და არსებობას გა-
ნაგრძობს „შავი ბაზარი“. ნარკოტიკების მწარმოებლები და
დილერები მათ წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის
მიუხედავად, უახლესი მეთოდების გამოყენებით ახერხებენ
საზღვრებზე ნარკოტიკების გადატანას. ამასთან ერთად იხ-
ვეწება სახელმწიფოთაშორის სამართლებრივი თანამშრომ-
ლობის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ხდება ნარკო-
ტიკული საშუალებების გადამამუშავებელი, დამფასოებელი
ლაბორატორიების აღმოჩენა და ლიკვიდაცია.

ინტერპოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარ-
მოადგენდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და დანა-
შაულებრივი ორგანიზაციების ახალი ტენდენციების იდენ-
ტიფიკაცია, რაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სახელმ-
წიფოებს საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტან-
დარტების დაცვაში.

ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ საერთაშო-
რისო სამართლებრივი თანამშრომლობისათვის ინტერპოლი
უზრუნველყოფს:

1. წვერი სახელმწიფოებიდან მიღებული მონაცემების
შეგროვებას;
2. ანალიზს;
3. დაინტერესებული ქვეყნებისათვის გადაცემას;

4. ნარკოტიკული საშუალებების გამოკვლევისათვის მხარდაჭერას;

5. ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით ჩასატარებელი გამოკვლევისადმი ინტერესის არსებობისას მათ კოორდინაციას;

6. რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციების გამართვას ნარკოტიკული დანაშაულების სპეციფიკურობის შეფასების, აღნიშნულ სფეროში გამოძიების უახლეს მეთოდებზე ინფორმაციის გაცვლის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ინტერპოლს მჭიდრო კავშირი აქვს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხების კვლევით და საერთაშორისო თანამშრომლობით.

ნარკოტიკული დანაშაულები ხშირად დაკავშირებულია ისეთ ორგანიზებულ დანაშაულებთან, როგორცაა ტერორიზმი, ტრეფიკინგი, პროსტიტუცია და სხვა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ეფექტურია ინტერპოლის მეშვეობით სახელმწიფოთაშორის სისხლის სამართლის საქმეების ერთობლივი გამოძიების კოორდინაცია.

ინტერპოლის გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში 1974 წლიდან მოქმედებს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად ქვეგანყოფილება, რომლის საშტატო შემადგენლობა იზრდება საჭიროების გათვალისწინებით. ქვეგანყოფილებას წარმომადგენლები ჰყავს რეგიონების მიხედვით. ქვეგანყოფილების თანამშრომლების მიერ მუშავდება საერთაშორისო მნიშვნელობის ოპერატიული ინფორმაციები, კერძოდ, რაც გამოიხატება ნარკოტიკების ტრანზიტის, ამოღებული ნარკოტიკების ოდენობის და „შავი ბაზრების“ დადგენაში. აღნიშნული მონაცემები ყოველწლიურად ქვეყნდება სტატისტიკური ანგარიშის სახით წვერი სახელმწიფოებისა და დაინტერესებული

საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გასაცნობად და გასაიანალიზებლად. სტატისტიკურ ანგარიშში მოცემულია ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მიმდინარე ცვლილებები, მონაწილე სახელმწიფოების ინტერპოლთან თანამშრომლობის ეფექტურობა ნარკოტიკების არაკანონიერი ეაჭრობის აკრძალვის საქმეში.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ინტერპოლის კომპეტენტური ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნარკოტიკების ტრანსპორტირების, ხერხების, მეთოდების, მარშრუტის დადგენასა და აღმოჩენაში.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კონტინენტს შიგნით და კონტინენტთაშორის ნარკოტიკების გადატანის სპეციფიკური თავისებურებანი, რომელთა აღმოჩენას და სახელმწიფოთა დროულ ინფორმირებულობას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკული დანაშაულების პრევენციისთვის. ნარკოტიკების გადასატანად სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის გამოყენება თანამედროვე ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სახელმწიფოთა მიერ აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ კოორდინირებული და კომპლექსური თანამშრომლობისათვის.

უკანასკნელ წლებში ინტერპოლის მიერ გაწეული მუშაობის შედეგია ნარკოტიკების გადატანის ისეთი მეთოდების გამოაშკარავება, როგორიცაა საკვები პროდუქციის იმიტაციით გერმეტულად დახურული ქილების მუშევრებით, ცხოველების ორგანიზმში ნარკოტიკებით შევსებული კაფსულების მეშვეობით, პროტეხებში და გარდაცვლილის სხეულში მოთავსებით, ადამიანების მიერ კაფსულების მიღებით და სხვა. საზღვარზე ნარკოტიკების გადატანის ხერხებისა და მეთოდების წარმოსაჩენად ინტერპოლის შტაბ-ბინაში დაცულია საინტერესო ექსპონატები. ნარკოტიკების გადატანის უახლესი ხერხები და მეთოდები ინ-

ტერაპოლის მიერ ქვეყნდება სპეციალურ გამოცემაში სამსახურებრივი დანიშნულებისათვის.

ინტერპოლი მჭიდროდ თანამშრომლობს ნარკოტიკული საშუალებების გაეროს კომისიასთან, თანამშრომლობა ძირითადად გამოიხატება ნარკოტიკულ დანაშაულებზე ინფორმაციის მიწოდებასა და სახელმწიფოებისათვის სათანადო რეკომენდაციის შემუშავებაში.

ინტერპოლის გენერალური სამდივნო ეცბ-ს მეშვეობით ღებულობს ინფორმაციას სახელმწიფოთა მიერ ნარკოტიკული დანაშაულების პროფილაქტიკისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია ინტერპოლის როლი აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოებთან კოორდინირებული ღონისძიებების დაგეგმვაში.

ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისას ინტერპოლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, მათ შორის აუდიო მასალები ხშირად გამოიყენება სემინარებზე პოლიციელების, სასაზღვრო გამშვები პუნქტების და სხვა სამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ინტერპოლში შექმნილია ოფიცერთა ჯგუფი, რომელიც მიმაგრებულია ცალკეულ რეგიონებში. მათი ფუნქციაა ხელი შეუწყოს მეზობელი სახელმწიფოების ეცბ-ს და ინტერპოლის გენერალური სამდივნოს თანამშრომლობას ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლაში. ოფიცერთა ჯგუფი ზონების მიხედვით წელიწადში სამჯერ ამზადებენ ანგარიშს და წარუდგენენ გენერალურ სამდივნოს. ნ. გერშპახერი აღნიშნავს, რომ ინტერპოლის „მოდერნიზაციის რეგიონალური პროგრამა გეთავაზობს დახმარებას ეცბ-ს გამართული მუშაობისათვის, თანამშრომლობის ტიპური ხელშეკრულებები წარმოადგენს გიდის როლს სახელმწიფოთაშორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებისას“¹⁷⁵

¹⁷⁵ Gerspacher Nadia. International Police Cooperation: The roles of Interpol and Europol. <http://www.crime-prevention-intl.org/filebin/IO/edition32/NadGesparticle1Qv2.pdf>

ნარკოტიკული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროპოლს, რამდენადაც ის ხშირად სახელმწიფოებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს ერთობლივი ოპერაციის ჩატარებაში. ნ. გერშპახერის აზრით, ევროპოლის აქტიური მონაწილეობა საველე სწავლებაში ზრდის ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაციების წარმატებას.¹⁷⁶ ნარკოტიკების სახეების დადგენასა და შეფასებაში აქტიურად მონაწილეობს ევროპოლის სისტემაში არსებული ფარმაცევტული განყოფილების ექსპერტები. ნ. გერშპახერი აღნიშნავს, რომ ექსპერტები უზრუნველყოფენ პრეპარატის იდენტიფიკაციას, მონაწილეობენ მტკიცებულებების შეგროვებაში და პრეპარატის მწარმოებელი ლაბორატორიის დადგენაში.¹⁷⁷

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა ინტერპოლის, ევროპოლის და სხვა ევროპული ორგანოების მეშვეობით დღეისათვის მსოფლიოში შეიძლება ყველაზე ეფექტურად ჩაითვალოს, თუმცა ავსტრიისა და შვეიცარიის პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები ყველაზე ეფექტურია, ეს გარემოება ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიმინალურად მათი ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების იმიჯის დამკვიდრებაში.

მ. ელდბახერი აღნიშნავს, რომ 1991 წლიდან ვენის პოლიციის ხელმძღვანელის ვოგელის და ავსტრიაში უნგრეთის ელჩის ფონტანეს იდეის საფუძველზე შეიქნა ავსტრიულ-უნგრული აკადემია, რომლის მეშვეობითაც ავსტრიის, უნგრეთის, შვეიცარიის, გერმანიის, პოლონეთის, სლოვაკიის, სლოვენიის და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის განვითარდა მრავალმხრივი საპოლიციო თანამშრომლობა,

¹⁷⁶ იხ. იქვე.

¹⁷⁷ იხ. იქვე.

რეგულარულად მიმდინარეობდა აღნიშნული ქვეყნების პოლიციის ჩინოვნიკების შეხვედრები.¹⁷⁸

მ. ელდბახერი ავსტრიის და მთელი ევროპის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიიჩნევს ნარკოტიკების არაკანონიერ ბრუნვას, როგორც ის დასძენს, „1994 წელს ნეაპოლში გაეროს კონფერენციაზე წარმოჩენილი იქნა, რომ ორგანიზებული დანაშაულიდან შემოსავლის 50% გამო-მუშავებულია ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნვიდან.“¹⁷⁹ მ. ელდბახერი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ რესურსად ევროპაში მიიჩნევს მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპოლისათვის მინიჭებული უფლებების გაფართოებას, ამასთან ერთად დასძენს, რომ თანამედროვე დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად ინტერპოლისა და ევროპოლის მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და სახელმწიფოებთან თანამშრომლობაში მათი დანერგვაა აუცილებელი.

მ. ელდბახერი დადებითად აფასებს ცენტრალური ევროპის პოლიციის აკადემიის შექმნას, სადაც პარტნიორი ქვეყნებიდან 24 ახალგაზრდა ჩინოვნიკის მონაწილეობით ოგანიზებულია სამთვიანი კურსები.¹⁸⁰ აღნიშნული ავსტრიისა და უნგრეთის მიერ დაფუძნებული აკადემიისგან იმით განსხვავდება, რომ ის პერიოდულად გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში, ჩინოვნიკები ეცნობიან თითოეულ სახელმწიფოს, რაც ქმნის ნდობას, რომელიც უნივერსალური თანამშრომლობის საწინდარია ევროპაში.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსებში გამოყოფილი ნარკოტი-

¹⁷⁸ შეადარე, Maximillian Edelbacher. International Police Cooperation in Austria. <http://www.cjcenter.org/cjcenter/publications/cji/archives/cji.php?id=572>

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ იქვე.

კული დანაშაულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავში გათვალისწინებულია ნარკოტიკული დანაშაულების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი.

საქართველოს მიერ სატრანზიტო ფუნქციის შექმნის შემდეგ აქტუალური გახდა ნარკოტიკების გატანის, შემოტანისა და ტრანზიტის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლში გათვალისწინებულია „საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა“, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან ცხრა წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იგივე ქმედება „ა) დიდი ოდენობით, ბ) წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით რეიდან თორმეტ წლამდე. აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა „ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ბ) არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე“. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი „ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით“.

სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლი ეთმობა საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანის, საქართველოდან უკანონოდ გატანის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის სა-

კითხებს.¹⁸¹ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნარკოტიკული დანაშაულები, რომლებიც შეიცავენ საერთაშორისო ელემენტს, ექვემდებარებიან დანაშაულის შემადგენლობისა და სასჯელთა სისტემის ერთიან სტანდარტიზაციას. რაც უფრო მეტად იქნება აღნიშნულ სფეროში სისხლის სამართლის კანონმდებლობა დაახლოებული, მით უფრო გაადვილდება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა მტკიცებულებების გადაგზავნისა და ექსტრადიციის მოთხოვნისას, რაც საბოლოოდ გაამარტივებს სახელმწიფოთა ინტერპოლის ეცბ-ს შორის და მათ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას.

2007 წელს საქართველოში მიღებული იქნა „კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია ხელი შეუწყოს მსგავსი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, „ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლისა და გავრცელების პრევენციას“.¹⁸² აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შიდასახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, მაგრამ ყურადღება არაა გამახვილებული საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებზე. მართებული იქნებოდა მოცემულ კანონში ცალკე თავი დათმობოდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, ინტერპოლის, ეცბ-ს და ევროპო-

¹⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მეოხი, ადვოკატი. სპეცგამოშვება, 2006 წლის 25 ივნისის მდგომარეობით, გვ. 57.

¹⁸² საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ღის როლის წარმოქმნა აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით კოორდინირებულ თანამშრომლობაში.

III. §3. ინტერპოლის და ევროპოლის როლი განსაკუთრებული კულტურული ღირებულებების მქონე ფასეულობების ძებნაში

განსაკუთრებული კულტურული ღირებულებების მქონე ფასეულობებში იგულისხმება ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარიატი. ხელოვნების ნიმუშებია ქანდაკება, პორტრეტი, პეიზაჟი და სხვა, რომელიც გარკვეულ შინაარსს ანუ სულიერ ინფორმაციას გადასცემს აღმქმელს. ანტიკვარი (antiquarius) ლათინური სიტყვაა, რაც ძველებურ და ფასეულ ნივთს ნიშნავს.¹⁸³ ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარული ნივთები ამშვენებენ მუზეუმებს, გამოფენებს და კერძო კოლექციებს. ისინი წარმოადგენენ სერიოზულ ფასეულობას, სწორედ ამიტომ ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარიატის ქურდობა ფართოდაა გაერცელებული მსოფლიოში. აღნიშნულთან საბრძოლველად სახელმწიფოები ღებულობენ კანონებს, უერთდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებს და კონვენციებს, რაც სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენს.

განვითარების ყველა ეტაპზე ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარიატის გატაცებასთან ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებამ და ხალხების ერთმანეთთან დაახლოებამ გამოიწვია სასაზღვრო რეჟიმების ლიბერალიზაცია, რამაც გაართულა ბრძოლა ისტორიული საგანძურის გამტაცებელი ტრანსნაციონალური დაჯგუფების წინააღმდეგ.

¹⁸³ შეადარე. თეზელისჰილი ს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005, გვ.78.

მათ ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარიატი სარეალიზაციოდ სხვადასხვა სახელმწიფოში გადააქვთ, სწორედ ამიტომ ასეთი სახის დანაშაული ერთი ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებს სცილდება, ეროვნული სამართალდამცავი ორგანოებისათვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს მიიღონ ოპერატიული ზომები მსგავსი ორგანიზებული დაჯგუფებების წინააღმდეგ.

ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარული ნივთები უკანასკნელ პერიოდში კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთი საიმედო საშუალება გახდა, რამაც უფრო გაზარდა მათი გატაცებისა და ყიდვა-გაყიდვის ფაქტები. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აღნიშნული დანაშაული ევროპაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებულ დანაშაულთა შორის.

ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების დაცვისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმის შექმნა, რომლის განხორციელებაც დამოკიდებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აშკარად შესუსტდა ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების დაცვა, რითაც სარგებლობდნენ მძარცველები. გაძარცვული იქნა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი, ზუგდიდში დადიანების სასახლე, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ყვარელში. ჩვენს მიერ წარმოგენილი სურათი კიდევ უფრო დაამძიმა აფხაზეთის ომმა, სადაც განადგურებული და დაკარგული იქნა მრავალი ხელოვნების ნიმუში და ანტიკვარული ნივთი. აუცილებლობით იყო განპირობებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად სახელმწიფოს მიერ პრევენციული ღონისძიებების გახორციელება. აღნიშნული ღონისძიების განსახორ-

ცივლებლად ნუენს მიერ 1997 წელს შეთავაზებული იქნა წინადადებები და რეკომენდაციები.¹⁸⁴

1999 წელს მიღებული იქნა „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“,¹⁸⁵ რომელშიც მოცემული იქნა ტერმინთა განმარტებანი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ნორმატიული ბაზა. ამ კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ანტიკვარული ნივთი განმარტებული იქნა, როგორც „ასი და მეტი წლის წინათ შექმნილი, კულტუროლოგიური თვალსაზრისით ღირებული საგანი. ამავე მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობა განიმარტა, როგორც „კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონში ერთმანეთისგან გამიჯნული იქნა კულტურის „მოძრავი“ და „უძრავი“ ძეგლი. კულტურის „მოძრავი ძეგლი“ განიმარტა, როგორც „მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელსაც გადაადგილება არ უცვლის იმ თვისებას, რომლის გამოც მას მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი და რომელიც არ წარმოადგენს კულტურის უძრავი ძეგლის განუყოფელ ნაწილს.“ კულტურის მოძრავი ძეგლი აღნიშნული თვისებების და მისი მაღალი ფასის გამო იქცევეს მძარცველთა ყურადღებას. კანონმა სამართლებრივ ბრუნვაში დაამკვიდრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივი, ინსტიტუციური, სააღრიცხვო, სამეცნიერო, საპროექტო-საძიებო, ტექნოლოგიური, პრაქტიკული, მაკონტროლებელი, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სხვა ღინისძიებათა

¹⁸⁴ შეადარე, გვარამია ვ. გადავარჩინოთ კულტურული მემკვიდრეობა, „სოხუმის ხადროშო“ 1997, №2 17 თებერვალი, გვ. 4.

¹⁸⁵ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999, №33 (40).

სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომავალი თაობებისათვის მათ გადაცემას.

წინადადებულ ნაბიჯს წარმოდგენდა ძეგლთა სახელმწიფო აღრიცხვა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მიერ ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოებას, რომელიც შედგება: ძეგლის სააღრიცხვო ბარათის, ძეგლის პასპორტის და ძეგლთა სახელმწიფო რესტრისაგან. მოცემული ინფორმაციის არსებობა აადვილებს ხელოვნების ნიმუშის ან ანტიკვარის ძებნას.

1999 წელს „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ ვერ პასუხებდა მსგავსი კანონისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, სწორედ ამის გათვალისწინებით, 2007 წლის 8 მაისს მიღებული იქნა „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“¹⁸⁶ პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

აღნიშნულ კანონში არ ფიგურირებს „ანტიკვარული ნივთის“ განმარტება და ის შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ტერმინოლოგიით. კერძოდ, მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტის მიხედვით გამოყოფილია მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. „ლ“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება „აღამიანის მიერ ან აღამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების ქალაქმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვი-

¹⁸⁶ „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (1999). „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“ (2007) <file:///C:/Program Files/GSSCode-Client/Html/source.html>

თარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დიკუმენტური მასალები,“ დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, რწმენასა და ტრადიციებთან.

მე-3 მუხლის „ნ“ პუნქტის შესაბამისად, „კულტურული ფასეულობა“ განიშარტა, როგორც „შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება.“

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში გამოყენებული ტერმინები ზოგადია, არაა დაკონკრეტებული ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარილი ნივთის არსი. ტერმინი „კულტურული მემკვიდრეობა“ და „კულტურული ფასეულობა“ ზოგადად მოიცავს ხელოვნების ნიმუშებს და ანტიკვარულ ნივთებს. მართებული იქნებოდა მოცემული ტერმინების დაკონკრეტება კანონში, რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული პრობლემები. საკითხის დაზუსტება კი მნიშვნელოვანია ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარიატის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში.

2007 წლის 8 მაისის კანონის მე-4 მუხლში გამოყოფილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანოები, რომელთა შორისაა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე – შესაბამისი ორგანოები. მართებული იქნებოდა მოცემულ მუხლში ადგილი დათმობოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შე-

მავალ ინტერპოლის ეცბ-ს, რდგან მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებულ ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარიატის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით“ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ზედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. ის წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების პოლიტიკას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტიზას და სახელმწიფო აღრიცხვას, ამ მხრივ ადგენს შესაბამის წესებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აკონტროლებს კულტურული მემკვიდრეობის საზღვარგარეთ გატანას. ასევე სახელმწიფო ორგანოებთან ერთად აჩერებს ყველა სახის საქმიანობას, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო საოშარი მოქმედებებისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტში ინტერპოლის ეცბ-სათვის მიმართვის უწყლების მქონე

უფლებამოსილ ორგანოებს და პირებს შორის არ არის მითითებული საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და მისი თანამდებობის პირები. მართებული იქნებოდა აღნიშნულ სამინისტროში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს მისცემოდათ ეცბ-სათვის მიმართვის უფლება.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შექმნილია მინისტრის სათათბირო ორგანო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეებით. საბჭო იხილავს ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხს, ასევე ძეგლის კატეგორიის შეცვლის, „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 1997 წლის კონვენციით შექმნილ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად ძეგლების წარდგენის საკითხებს. კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში მინისტრი კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მის სახელმწიფო აღრიცხვას.

ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება ხდება მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულებიდან, უნიკალურობიდან და მის სიძველეებთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით. ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარდგინებით მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

ძეგლების სახელმწიფო რეესტრს და კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

სააღრიცხვო ბარათი არის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის შესახებ მინისტრის სამართლე-

ბრივი აქტის დანართი. ძეგლის ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია ზოგადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ სამინისტრო უფლებამოსილია შეადგინოს ძეგლის პასპორტი, რომელიც არის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამეცნიერო-კვლევით ინფორმაციას. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვასთან დაკავშირებით საქართველოში დღეისათვის დადგენილი წესები მათი გატაცების ან დაკარგვის შემთხვევაში აადვილებს მის იდენტიფიკაციას, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებს განახორციელონ ოპერატიული ძებნა საერთაშორისო მასშტაბით.

მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი უზრუნველყოფს ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოვლენას და აღწერას, ამასთან ერთად, პასუხისმგებელია მათ მოვლა-პატრონობაზე.

იუსტიციის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესში, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ეცბ-სათვის მიმართვის უფლების მქონე

უფლებამოსილ ორგანოებს და პირებს შორის არ არის მითითებული იუსტიციის სამინისტრო და მისი თანამდებობის პირები, მართებული იქნებოდა მათი მითითება, რადგან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.

არალეგალურად საზღვარეთ გასატანი ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარიატი ხშირ შემთხვევაში მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. კერძოდ, მუზეუმებიდან, ეკლესიებიდან და კერძო კოლექციებიდან ქურდობით. ასეთი დანაშაულების დიდი ნაწილი შეკვეთით ხდება და სამოქმედო გეგმაც სათანადოდ გაწერილია, გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები და საინფორმაციო ბაზა, ამასთან ერთად, გათვალისწინებულია საზღვარგარეთ შემკვეთისათვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარიატის მიწოდების გზები. შემკვეთთან ურთიერთობა იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ ხშირ შემთხვევაში მათ პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა ეძლევათ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯადი ქმედებაა განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (185-ე მუხლი) და საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობა (215-ე მუხლი).

ხელოვნების ნიმუშებსა და ანტიკვარული ნივთების გატაცების წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული უნდა იქნას კომპლექსური მიდგომა, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს აღნიშნული მიმართულებით ნორმატიული, მეთოდური და საერთაშორისო თანამშრომლობის დონისძიებებში. დღემდე ამ მხრივ

საქართველოში განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები არასაკმარისია. ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების გატაცების საკითხების გამოძიებასთან დაკავშირებული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობს გამოძიებას, მწირია. აღნიშნული საკითხის განხილვისას ყურადღება იქნება გამახვილებული ინტერპოლისა და ევროპოლის მიერ მოცემულ სფეროში სახელმწიფოებთან თანამშრომლობის თანამედროვე მექანიზმებზე, რაც მნიშვნელოვანია ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მომავალში აუცილებელია ამ საკითხის კვლევა გაგრძელდეს ნორმატიული მეთოდის გამოყენებით.

ვ. პერეუშინი აღნიშნავს, რომ „დანაშაულის კრიმინალისტიკურ დახასიათებაში მოცემულია ისეთი ნიშნების აღწერა, როგორცაა ქმედების ჩადენის ტიპური მდგომარეობა, მისი ჩადენის ხერხი, დანაშაულის კვალის დაფარვა, ბრალდებულის პიროვნული დახასიათება და სხვა. ანტიკვარიატის ქურდობის კრიმინალისტიკურ დახასიათებას დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისა და კონკრეტული დანაშაულის გახსნისათვის, კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად ვერსიების შემუშავებისა და საგამოძიებო მოქმედებებისათვის“.¹⁸⁷ ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ხელოვნების ნიმუშისა და ანტიკვარული ნივთისათვის მახასიათებელი ნიშნების (საპასპორტო მონაცემების) დეტალური ცოდნა, რაც აადვილებს ძებნისა და ამოცნობის პროცესს. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელს უწყობს ობიექტური ექსპერტიზის ჩატარებას. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს იმას, რომ აუცილებელია საქართველოში ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ორგანოების უშუალო კოორდინირე-

¹⁸⁷Первушин В. М. Расследование краж предметов антиквариата. „Университет“. Санкт-Петербург. 2001. с. 10.

ბული საქმიანობა, რაც კანონმდებლობის სრულყოფის გზით უნდა განხორციელდეს.

საზღვარგარეთ გატანილი ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების ძებნა, აღმოჩენა და დაბრუნება მფლობელისთვის კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რაშიც მაკოორდინირებელი როლის შესრულება შეუძლია ინტერპოლს და ევროპოლს. აღნიშნულის შესრულება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნების ნიმუში ან ანტიკვარული ნივთი აღრიცხულია სათანადო მახასიათებლების გათვალისწინებით.

გატაცებული ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების აღრიცხვა XX საუკუნის 70-იან წლებამდე არცერთ ქვეყანაში არ მიმდინარეობდა. აღნიშნული დროიდან დაიწყო 70-იან წლებამდე გატაცებული ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების მიახლოებითი სტატისტიკური მონაცემების შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ზოგიერთი სახელმწიფოს მონაცემების წარმოჩენა. 1954 წელს ქურდობით იტალიაში მითვისებული იქნა 40 ათასი, ხოლო საფრანგეთში 12 ათასი ხელოვნების ნიმუში და ანტიკვარული ნივთი.¹⁸⁸ 1970 წლის შემდეგ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი ორჯერ და მეტად გაიზარდა.

ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების გატაცება ფართოდ გავრცელდა აშშ-ში. მათი რაოდენობა 1978 წელს 13 000 აჭარბებდა.

XX საუკუნის 80-იან წლებში ფართოდ გავრცელდა უკანონო არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების მიტაცება, რაც ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მკაცრად ისჯებოდა. იუნესკოს მიერ სახელმწიფოებს მიეცა რეკომენდაცია მოეხდინათ არქეოლოგიური გათხრების საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლებრივი რეგლამენტაცია, ზოგიერთ

¹⁸⁸ იხ. Raguideau G. Martinez H. Le vol des oeuvres d'art. Revue de la Police Nationale (Paris). – 1984. - №376 – P. 79.

სახელმწიფოში აღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ უკანონო არქეოლოგიური გათხრის შედეგად მოპოვებული ეროვნული კულტურული ღირებულებების მქონე ანტიკვარული ნივთების განადგურების საფრთხე შექმნა. ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ძვირფასი არქეოლოგიური ნაკეთობა ზოგიერთ შემთხვევაში იყიდება მცირე ნაწილებად. ხშირად ქურდობის შემდეგ მსგავსი ნივთების მიმართ არასათანადო მოპყრობა სერიოზულ ზიანს აყენებს მათ.

ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების ქურდობის ზრდამ განაპირობა მუდმივი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის აუცილებლობა, რომლის სრულყოფის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს იუნესკო, რომლის ინციატივითაც მომზადებულია მთელი რიგი კონვენციები და ხელშეკრულებები. მათ შორის აღსანიშნავია 1970 წლის კონვენცია „კულტურულ ღირებულებათა უკანონო გატანის, შემოტანის და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვის და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ.“ აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 1993 წელს.

1970 წლის კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ დაეხმარონ ერთმანეთს უკანონოდ გატანილ კულტურულ ღირებულებათა ძებნაში და დაბრუნებაში. ამასთან ერთად, სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე ღებულობენ ზომებს ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთებით არალეგალური ვაჭრობის აღსაკვეთად. კონვენციის ცნობის შემდეგ სახელმწიფო მოვალეა ხელოვნების ნიმუშის ან ანტიკვარული ნივთის გამტან პირს მისთხოვოს სპეციალური ნებართვა მათ საზღვარზე გადასატანად.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2007 წლის დეკემბერში რატიფიცირებული იქნა „საერთაშორისო კონვენცია

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.¹⁸⁹ კონვენციის V თავი ეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობას და დახმარებას. მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან, საერთაშორისო თანამშრომლობა ამ მხრივ ითვალისწინებს ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას, ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას, სადაც ინტერპოლს მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია სახელმწიფოებისათვის სხვადასხვა მიმართულებით.

კულტურული ფასეულობების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა უწყებებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები. ამ მხრივ აღსანიშნავია „საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტისა და თურქმენეთის სახელმწიფო საბაჟოს შორის უკანონოდ გადატანილი და შემოტანილი კულტურული ფასეულობების დაკავებისა და დაბრუნების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.¹⁹⁰ 1995 წელს ანალოგიური ხელშეკრულება დაიდო საქართველოს საბაჟო დეპარტამენტსა და უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო კომიტეტს შორის.

საქართველოში კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხი კანონქვემდებარე აქტებითაცაა რეგულირებული. ამ მხრივ აღსანიშნავია პრეზიდენტის 2003 წლის განკარგულება „საქართველოში უკანონო არქეოლოგიური გათხრების წარმოების, განძთმაძიებლობის, კულტურის ძეგლებზე თვითნებური სამუშაოების წარმართვისა და კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის აღმკვეთ ღონისძიებათა გამკაცრების შესახებ“.¹⁹¹

საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში შექმნილმა გარემომამ აუცილებელი გახადა აღ-

¹⁸⁹ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 4 დეკემბრის №5535-III დადგენილებით.

¹⁹⁰ მიღებულია 17.08.1993.

¹⁹¹ მიღებულია 10. 07. 2008წ.

ნიშნული ნორმატიული ბაზის მიღება, რომელიც შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების საზღვარგარეთ არაკანონიერი გატანის, საერთაშორისო ძებნის ორგანიზების და დაბრუნების საქმეში პრაქტიკული წვლილი შეაქვს ინტერპოლს. ინტერპოლი ამ მხრივ აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიციასთან, საბაჟო სამსახურთან და სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ინტერპოლი ორგანიზებას უკეთებს ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების ქურდობის, უკანონო გატანისა და შემოტანის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციებს, აქტიურად მონაწილეობს იუნესკოს ეგიდით გამართულ ღონისძიებებში.

ინტერპოლის მიერ წევრ-სახელმწიფოებისათვის შეთავაზებული იქნა რეკომენდაციები, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს უნდა მოეხდინათ კულტურული ფასეულობების აღრიცხვა და შეედგინათ სათანადო კატალოგი ეკლესიის, სახელმწიფოს თუ კერძო კოლექციაში მათი არსებობის მიუხედავად. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ქურდობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მსგავსი კატალოგის შექმნა XX საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად მიმდინარეობდა იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში. ერთიან კატალოგში მოცემული იქნა სურათი, შემადგენლობა და სხვა სპეციფიკური მონაცემები, რომელიც აადგილებდა იდენტიფიკაციის პროცესს.

ინტერპოლი აწარმოებს ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების ქურდობის აღრიცხვას, ამასთან ერთად. აცხადებს კულტურული ფასეულობის საერთაშორისო ძებნას. ინტერპოლის მიერ რეკომენდებულია წევრი სახელმწიფოების ფარგლებში შეიქმნას სპეციალური სამსახური მსგავსი დანაშაულობის წინააღმდეგ

საბრძოლველად. ასეთი სამსახურები შეიქმნა იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიასა და საფრანგეთში.

დამნაშავეები ცდილობენ შენიღბონ თავისი საქმიანობა, ამისათვის იყენებენ სხვადასხვა ხერხებს, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ნაქურდალი ხელოვნების ნიმუშის ჩანაცვლება ყალბით, რაც შესაძლოა დიდი ხნის მანძილზე შეუმჩნეველი დარჩეს. ხელოვნების ნიმუშების ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების დამუშავებისათვის ინტერპოლში შექმნილია კომისია, რომელიც შეიმუშავებს სარეკომენდაციო პროექტებს.

ინტერპოლი თუ აქტიურად მონაწილეობს ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების ძებნაში, დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია, რასაც ადასტურებს მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე არსებული პრაქტიკა. ამ მხრივ აღსანიშნავია იტალიიდან, საფრანგეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან გატანილი ხელოვნებისა და ანტიკვარული ნივთების ძებნაში ინტერპოლის როლი.

ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დამუშავების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერპოლის ეგიდით გამართულ კონფერენციებს, ამ მხრივ აღსანიშნავია ლიონში (საფრანგეთი) 1999 წლის 5-7 ოქტომბერს გამართული კონფერენცია.¹⁹² მისი მსვლელობისას განხილული იქნა ორი საკითხი: 1. ნაქურდალი ხელოვნების ნიმუშების მონაცემთა ბაზის შესახებ ინფორმაციის გაერცვლება; 2. ისტორიულ-კულტურული ობიექტებიდან და წყლის ქვეშ არსებული არქეოლოგიური განძის ქურდობის შესახებ.

კონფერენციის პირველი დღე დაეთმო ხელოვნების ნიმუშების ქურდობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისას არსებულ სიძნელებებს. კონფერენციაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ინტერპოლის 167 წევრი სახელმწიფოდან დადგენილი სტან-

¹⁹² იხ. <http://www.museum-security.org/lyon1999/conference-report.htm>

დარტების დაცვით მხოლოდ 20 სახელმწიფო აწევის აქტიურად ხელოვნების ნიმუშების ქურდობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ინტერპოლს და იყენებს მის ბაზას. ამ სფეროში სახელმწიფოთა არასათანადო თანამშრომლობა მინეული იქნა ამ მხრივ არსებული არასასურველი შედეგის საფუძველად.

კონფერენციაზე ყურადღება იქნა გამახვილებული ხელოვნების ნიმუშებზე ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის ერთიანი წესის შექმნის აუცილებლობაზე. ხშირად ხელოვნების ნიმუშის ძებნის ფორმას არ ახლავს მათი სურათი, ან თუ ახლავს, ხშირად უხარისხოა. კვიპროსის კანონის მიხედვით, ნებისმიერი ობიექტის (მათ შორის, კერძო) მფლობელი, სადაც გამოფენილია ან ინახება ხელოვნების ნიმუშები, ვალდებულია გააკეთოს მათი ფოტო და გადაუგზავნოს სათანადოდ უფლებამოსილ ორგანოს. მსგავსი პრაქტიკა ეფექტური აღმოჩნდა. ადვილი შესაძლებელი გახდა ნაქურდალის აღმოჩენა აუქციონის კატალოგებში და მათი მფლობელისათვის დაბრუნება.

ხელოვნების ნიმუშებზე ინფორმაციის არასათანადო დამუშავების მიუხედავად, 1999 წელს გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ ხელოვნების ნიმუშების ქურდობით მიყენებული ზარალი სამი მილიარდით შეფასდა. ყველაზე მეტად ზარალდებიან მუზეუმები, თუმცა სერიოზულ ზიანს განიცდიან კერძო კოლექციის მფლობელები.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ინტერპოლსა და იუნესკოს თანამშრომლობის ხელშეკრულება ერაყში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე.¹⁹³

ამ ხელშეკრულების მიზანია ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები ერაყში და-

¹⁹³ იხ. UNESCO-Interpol Special arrangement in accordance with Article 4 (4) of the cooperation agreement. Done in Paris on 8 July 2003. <http://www.interpol.int/Public/ICPO/LegalMaterials/cooperation/agreements/unesc o2003.asp> 02.09.2006.

კარგული კულტურული მემკვიდრეობის ცენტრალიზებული ბაზის შესაქმნელად. მე-2 და მე-3 მუხლებში მოცემულია იუნესკოსა და ინტერპოლის ვალდებულებები. მე-4 მუხლის თანახმად, იუნესკოსათვის ხელმისაწვდომი ხდება ხელოვნების ნიმუშების ქურდობასთან დაკავშირებული ინტერპოლის სატელეკომუნიკაციო ქსელი. ხელშეკრულების დანართში მოცემულია აღნიშნული სატელეკომუნიკაციო ქსელის გამოყენების პირობები და წესი.¹⁹⁴

ლიონში 2003 წლის 6 მაისს ინტერპოლის შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება იქნა გამახვილებული ბაღდადში კულტურული ფასეულობის ქურდობის გავრცელებულ ფაქტებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერპოლის პერსონალი ვითარების შესაფასებლად გაგზავნილი იქნა ერაყში. მიმდინარე შეხვედრაზე განსაზღვრული იქნა ერაყში ნაძარცვი კულტურული ფასეულობის იდენტიფიკაციისა და მისი კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების სტრატეგია.

1947 წლიდან დაწყებული, ინტერპოლი აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფოებთან ნაქურდალი ხელოვნების ნიმუშების აღმოჩენისა და მათი სახელმწიფოებისათვის დაბრუნებაში. ინტერპოლში ამ მხრივ არსებული ბაზა და კვალიფიცირებული ექსპერტები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ დაინტერესებულ სახელმწიფოებს.

ერაყში ხელოვნების ნიმუშების სურათებისა და სხვა დოკუმენტაციის არარსებობა ხელს უშლიდა ასეთი ნივთების აღმოჩენას. 2003 წლის 6 მაისის შეხვედრაზე მოყვანილი იქნა ფაქტი, რომლის თანახმადაც ერაყიდან მოწოდებული იქნა არასრულყოფილი ინფორმაცია კულტურულ ფასეულობაზე. მათ დასაზუსტებლად ინტერპოლის თანამშრომლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, თუმცა ეს უკანასკნელიც ვარაუდებზე იყო აგებული. ინტერპოლის ინიციატივით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა

¹⁹⁴ იხ. იქვე.

იუნესკოსთან და მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოსთან ერთად მუზეუმებიდან, ბიბლიოთეკებიდან და არქეოლოგიური ადგილებიდან გატანილი კულტურული ფასეულობის ბაზის შესაქმნელად. ერთად თანამშრომლობას ისიც ართულებდა, რომ აღნიშნული პერიოდისათვის იქ არ არსებობდა ეცბ.

ინტერპოლის ძალისხმევით გამართულ შეხვედრებზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ერთად გატანილი კულტურული ღირებულებების ბაზის შექმნაში ჩართული უნდა ყოფილიყვნენ ინტერპოლის ექსპერტები და დაინტერესებული პირები. ასევე შეთანხმდნენ ინტერპოლის ბაზაზე შექმნილიყო საერთაშორისო მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც განთავსდებოდა ერთად, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობდა ეცბ-ს ფორმირებას.¹⁹⁵

საქართველოს პრეზიდენტის №99 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის“, 29-ე მუხლი ეთმობა განსაკუთრებული კულტურული ღირებულების მქონე ფასეულობების ძებნას ინტერპოლის მეშვეობით.

საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული კულტურული ღირებულების მქონე ნივთის გატაცების ან დაკარგვის შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნივთი გატანილი იქნა საქართველოს საზღვრებს გარეთ, უფლებამოსილი ორგანო მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნით მიმართავს საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს.

განსაკუთრებული კულტურული ღირებულების მქონე ნივთის საერთაშორისო ძებნის შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

¹⁹⁵ იხ. Interpol Meeting on Cultural Property Looting in Iraq.
<http://www.state.gov/p/inl/rls/rm/20777.htm>

„ა) სისხლის სამართლის საქმის ფაბულა;

ბ) დაკარგული ნივთის 2 ფერადი ფოტოსურათი;

გ) დაკარგული ნივთის ზუსტი აღწერილობა;

დ) იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებშიც სავარაუდოდ იქნა ტრანსპორტირებული ნივთი, თუ არსებობს ინფორმაცია ამის შესახებ;

ე) ასევე ყველა ინფორმაცია, რაც კი არსებობს აღნიშნულ ნივთთან დაკავშირებით.“¹⁹⁶

მოთხოვნის გაგზავნის უფლება ინტერპოლის ეცბ-ში გააჩნია საქმის მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს. ეცბ ასეთი შუამდგომლობის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

„ა) იღებს ზომებს მოთხოვნის შესასრულებლად;

ბ) ითხოვს დამატებით ინფორმაციას, თუ მოწოდებული მონაცემები არ არის საკმარისი საერთაშორისო ძებნის განსახორციელებლად;

გ) არ აკმაყოფილებს მოთხოვნას, თუ იგი ეწინააღმდეგება ამ წესის მოთხოვნებს.“¹⁹⁷

სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო კულტურული ფასეულობის მქონე ნივთთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას აწვდის საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს, ეს უკანასკნელი აღნიშნულ ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში აწვდის ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს ან კონკრეტულ ქვეყანას. ინტერპოლის საინფორმაციო ქსელით კონკრეტულ საკითხზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში საქართველოს ეცბ არაუგვიანეს სამი დღისა აცნობებს ძებნის ინიციატორს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ძებნის ინიციატორი განხორციელებული მოქმედების შესახებ აცნობებს საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს. კულტურული ფასეულობის მქონე ნივთის ძებნა

¹⁹⁶ მაცნე №21, 15.02.07, III ნაწილი.

¹⁹⁷ იქვე.

შეწყდება ძეგლის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

უცხო ქვეყნის ინტერპოლის ეცბ-დან კულტურული ფასეულობის ძეგლის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში საქართველოს ეცბ-ს მიერ მოწმდება გზავნილში მოცემული ინფორმაცია არის თუ არა სრულყოფილი ძეგლის განსახორციელებლად. აღნიშნულის შემდეგ საქართველოს ეცბ მიმართავს სახელმწიფოში არსებულ უფლებამოსილ ორგანოს კულტურული ფასეულობის მქონე ნივთის ძეგლის განსახორციელებლად. ძეგნილი ნივთის საქართველოში აღმოჩენის ან მის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო აცნობებს საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს, რომელიც სამი დღის ვადაში ინფორმაციას უგზავნის ძეგლის ინიციატორს.

ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების დაცვა დამოკიდებულია თითოეულ სახელმწიფოში ეფექტური კანონმდებლობის, მისი აღმსრულებელი ორგანოების ოპერატიულობისა და კომპეტენტურობაზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მართებული იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ადგილი დათმობოდა ინტერპოლის და ევროპოლის როლს.

III. §4 ინტერპოლის და ევროპოლის როლი ყალბი ვალუტის და ფასიანი ქაღალდების დამზადების წინააღმდეგ ბრძოლაში

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძვირფასი ლითონები წარმოადგენდა საგადასახადო საშუალებას. ხშირად ხდებოდა მათი გაყალბება, რადგან ისინი არ იყო მონეტის სახით სათანადოდ გაფორმებული და დაკეული. მსგავსი საგადას-

ახადო საშუალებების გაყალბებას ადგილი ჰქონდა ბაბილონში ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში. საგადასახადო საშუალებების გამყალბებლები ხამურაბის კანონების მიხედვით ისჯებოდნენ სიკვდილით.¹⁹⁸

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნიდან ჩნდება ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ფირფიტები, მოგვიანებით კი – ოქროსა და ვერცხლისაგან ჩამოსხმული მრგვალი მონეტები, რომელზედაც სამეფო ძალაუფლების სიმბოლოები გამოისახებოდა, ასევე მითითებული იყო ძვირფასი ლითონის შემადგენლობა. ყალბი საგადასახადო საშუალებების დამზადებამ ფართო გავრცელება პოვა საბერძნეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში. ფულის მიმოქცევისათვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, დამნაშავეს მიმართ გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელები. სოლონის კანონის მიხედვით, ყალბი ფულის დამამზადებელი ისჯებოდა სიკვდილით.¹⁹⁹

მონეტების გაყალბება სახელმწიფოს მიერ ძირითადად ხდებოდა ძვირფასი ლითონების შემადგენლობის შემცირებით, რასაც დიდი სიმდიდრე მოჰქონდა ქვეყნისათვის. რომის იმპერიაში ფიქსირდებოდა ისეთ ფაქტები, როცა ყალბი ფულის დამზადება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. სახელმწიფო ზრუნავდა რათა მის მიერ გამოცემული მონეტის მიმართ მოსახლეობას ჰქონოდა ნდობა. სწორედ ამ მიზნით იყო განპირობებული რომში სენატის გადაწყვეტილებით მონეტის დასამზადებელი მოწყობილობა გაემართათ ქალღმერთ იუნონას ტაძარში, რომელსაც საპატიო ადგილი ეკავა. აღნიშნულის მიუხედავად, ტაძარში ხელისუფლების ნებართვით ხშირად ხდებოდა მონეტების გაყალბება. რომში სენატის თანხმობით ოქროსა და

¹⁹⁸ იხ. Тарасов А. Фальшивомонетки в России. М., 1998. ст. 5.

¹⁹⁹ იხ. Мукашев С.И. Совершенствование и развитие международного сотрудничества в борьбе с фальшивомонетничеством. Белорусский журнал международного права и международных отношений 2000 — № 3.

ვერცხლის მარაგის შემცირების გამო მონეტებში საიდუმლოდ კლებულობდა ოქროსა და ვერცხლის შემადგენლობა. მოგვიანებით მონეტებს თხელი ოქროს ფენით ფარავდნენ, თუმცა ხანგრძლივი გამოყენების მანძილზე ოქროს თხელი ფენა ცვდებოდა, რაც მონეტის გაყალბებაზე მიუთითებდა.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი აქტი ფულის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ გამოცემულია რომში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში იმპერატორ კორნელის მიერ. აღნიშნული აქტის მიხედვით, ოქროს მონეტის შემადგენლობაში იაფფასიანი ნივთიერების შერევა და ვერცხლის მონეტების გაყალბება ისჯებოდა ისეთი მსუბუქი სასჯელით, როგორცაა სამშობლოდან გაძევება.²⁰⁰

რუსეთის ისტორიაში ყალბი მონეტის დამზადების შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება 1447 წლიდან. რუსეთში ამზადებდნენ ყალბ გრიენას არასრულყოფილი შემადგენლობის მეტალისაგან. ყალბი მონეტის დამამზადებლებს რუსეთში მკაცრად სჯიდნენ. მათ ყელში ასხამდნენ გამდნარ კალას. აღნიშნული თანდათან შეიცვალა შედარებით პუმანური სასჯელით, როგორცაა ხელისა და ფეხის მოკვეთა, მოგვიანებით გათვალისწინებული იყო დახრჩობა. 1446 წელს ნოვგოროდში ყალბი მონეტების დამზადებაში მსჯავრდებული მოქალაქეთა თანდასწრებით დაახრჩვეს მდინარეში.²⁰¹

სახელმწიფოთაშორის ბრძოლის ისტორიაში მოგვეპოვება ისეთი ფაქტები, როდესაც ქვეყნები ერთმანეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ეკონომიკურ საშუალებებს იყენებდნენ. ხშირად არასასურველი სახელმ-

²⁰⁰ იხ. Жижиленко А.А. Подлогъ документовъ: Историко-догматическое исследование, СПб. Невская типография, 1900. С. 48.

²⁰¹ იხ. Польской Г.Н. Тайны «монетного двора» (Очерки истории фальшивомонетничества с древнейших времен и до наших дней). М., 1996. „Финансы и статистика“ с.9.

წიფოს ყალბ ფულს ამზადებდნენ, რომლის მთავარ მიზანსაც სახელმწიფოს ეკონომიკური დასუსტება წარმოადგენდა.

1517 წელს ჩეხეთის მეფის ბრძანებით გამოშვებული იქნა ყალბი მონეტები, რომლითაც გაჯერებული იქნა პოლონეთის ბაზარი. აღნიშნულმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა პოლონეთის ეკონომიკის განვითარებაზე²⁰²

1756-1763 წლებში შვიდწლიან ომში პრუსიის ჯარი ფრიდრიხ მეორის მეთაურობით შეიჭრა პოლონეთის და ლიტვის ტერიტორიაზე. მათ ხელში აღმონდა ლიტვის მონეტის დასამზადებელი ხელსაწყო. მოგვიანებით ფრიდრიხ მეორემ ყალბი მონეტის დამამზადებელ სამ ავანტიურისტს დაავალა ლიტვის მოჭრა. მონეტა იჭრებოდა ძველი თარიღით. ვაჭრები, რომლებიც ამარაგებდნენ პრუსიის არმიას, აღნიშნულ მონეტას იყენებდნენ.²⁰³

რუსეთში ქაღალდის ფულის მოჭრა დაიწყო 1769 წლიდან, აღნიშნული ღონისძიება ფულის მასის შემცირებით იყო განპირობებული, თუმცა მას არ გააჩნდა სათანადო დამცავი ნიშნები. აღნიშნულის გათვალისწინებით რუსეთის მთავრობა გრძნობდა უცხოეთიდან გაყალბებული ფულის შემოდინების საფრთხეს, ამის გამო კატეგორიულად აიკრძალა რუსული ფულის საზღვარგარეთ გატანა და შემოტანა. 1780 წლიდან აღნიშნული წესი კიდევ უფრო გაამკაცრა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ.²⁰⁴

ყალბი ფულის დამზადება დაიწყო ინგლისმა 1764 - 1783 წლებში აშშ-ს დამოუკიდებლობისათვის ომის დროს, რათა დაესუსტებინა ამერიკის საფინანსო სისტემა. მოგვიანებით აღნიშნული ქმედებები განახორციელა გერმანიამ, პოლონეთმა, შვეციამ, რუსეთმა, იაპონიამ და საფრანგეთმა.²⁰⁵

²⁰² იხ. Польской Г. Н. с.41.

²⁰³ Польской Г. Н. с.42.

²⁰⁴ იხ. Польской Г. Н. с.48-49.

²⁰⁵ იხ. Польской Г. Н. Рышари фальшивых банкнот. М., 1982. с. 40-57.

1811 წლიდან ნაპოლეონ ბონაპარტეს ბრძანებით საფრანგეთში დაიწყო რუსული ფულის ბეჭდვა. აღნიშნული მოქმედებით ნაპოლეონს სურდა დარტყმა მიეყენებინა რუსეთის ეკონომიკისათვის. ნაპოლეონის ბრძანებით საფრანგეთში ასევე იბეჭდებოდა ავსტრიის ქალაქის ფული.
206

უცხოური ფულის გაყალბებას ადგილი ჰქონდა რუსეთში XVIII საუკუნის შუა პერიოდში, რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის დროს. რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაებეჭდათ “კოლანდიური ჩერეონეცი“ ოქროს მონეტა, რომელიც ორიგინალისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა.²⁰⁷

ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება იმდენად იყო გავრცელებული XX საუკუნის დასაწყისისთვის, რომ აუცილებელი გახდა 1924 წლიდან სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში შეექმნათ ერთ-ერთი სტრუქტურული განყოფილება – ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ცენტრი. მოგვიანებით, აღნიშნული განყოფილების ორგანიზაციული სტრუქტურული ფორმირების შემდეგ, მოპოვებული ინფორმაცია ხელს უწყობს სახელმწიფოებს ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში. ამ განყოფილების შემადგენლობაშია სათანადო ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ნიმუშების სათანადო გამოკვლევა. აღნიშნული განყოფილების ეფექტურ საქმიანობაზე მიუთითებს სტატისტიკური მონაცემებიც. 1993 წელს განყოფილებაში მომუშავე სპეციალისტების დახმარებით გახსნილი იქნა ყალბი ფულის დამზადების 5000 შემთხვევა.

²⁰⁶ იხ. Польской Г. Н. Тайны «монетного двора» с.50.

²⁰⁷ იხ. Польской Г. Н. с.54.

გერმანიაში ფაშიზმის გავრცელების პერიოდში მთავრობის ხელშეწყობით ფრანგული და ინგლისური ყალბი ბანკნოტების დაბეჭდვა და გავრცელება დაიწყო. ფრანგული ფრანკი და ინგლისური ფუნტი სტერლინგი დიპლომატიური ბარგის მეშვეობით იგზავნებოდა გერმანიისათვის ისეთ არასასურველ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული ვალუტა იყო მიმოქცევაში. ამ გარემოებამ განაპირობა საფრაგენტის წარმომადგენლის გამოსვლა ერთა ლიგაში ინიციატივით შეემუშავებინათ და ხელი მოეწერათ ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციისათვის.

1929 წლის 20 აპრილს ჟენევაში ხელი მოეწერა „საერთაშორისო კონვენციას ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ დოკუმენტის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიამ. მოცემულ კონვენციას საქართველო შეუერთდა 2000 წლის 28 ივნისს.²⁰⁸

1929 წლის კონვენციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ ხელშემკერელი მხარეები აღიარებენ კონვენციით დადგენილ წესებს, როგორც ყველაზე ეფექტურ საშუალებებს ყალბი ფულის მოჭრის თავიდან აცილებისა და მისი დასჯადობის უზრუნველსაყოფად. კონვენციაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „ვალუტის“ განმარტებას, რაც ნიშნავს „ქალაქის (ბანკნოტების ჩათვლით) და ლითონის ფულს, რომლის მიმოქცევაც კანონით არის ნებადართული“

კონვენციის მესამე მუხლით დასჯად ქმედებად გამოცხადდა:

„1. ვალუტის გაყალბება ან მისი შეცვლა ნებისმიერი საშუალების გამოყენებით;

2. ყალბი ფულის მიმოქცევაში გაშვება;

3. წინასწარი შეცნობით ყალბი ფულის ქვეყანაში შეტანა, მიღება ან შექმნა მიმოქცევაში გაშვების მიზნით;

²⁰⁸ საქართველოს პარლამენტის № 421-ე დადგენილება 28.06. 2000.

4. ხსენებული აქტების ჩადენის მცდელობა ან ნებისმიერი განზრახვი მოქმედება მათ ჩადენაში;

5. ისეთი ხელსაწყოებისა და ნაწილების დამზადება, მიღება ან შექმნა, რომლებიც სპეციალურად ვალუტის გასაყალბებლად ან შესაცვლელად არის გამიზნული.“

ჟენევის კონვენციის მეხუთე მუხლის თანახმად, არანაირი განსხვავება არ უნდა არსებობდეს ადგილობრივი თუ უცხოური ვალუტის მიმართ აღნიშნული დანაშაულისათვის შესაფარდებელ სასჯელთა ზომაში.

მესამე მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულები ექსტრადიციის ნებისმიერ ხელშეკრულებაში შეფასებულ იქნება, როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები. კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები, რომლებიც ხელშეკრულების ან ნაცვალგების საფუძველზე არ ახორციელებენ ექსტრადიციას, აღიარებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში განახორციელონ ექსტრადიცია მითითებული დანაშაულების შემთხვევაში, თუმცა ექსტრადიცია მოხდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიმართაც წარმოდგენილი იქნა მოთხოვნა.

ჟენევის კონვენციაში ხაზგასმულია, რომ ყველა ქვეყანაში ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფულის გაყალბების დანაშაულის გამოძიებას ორგანიზაციას უწევს ცენტრალური ორგანო. ასეთი ორგანო კავშირში უნდა იმყოფებოდეს ფულის გამომშვებ დაწესებულებებთან, პოლიციის ორგანოებთან, სხვა ქვეყნების შესაბამის ცენტრალურ ორგანოებთან.

ქვეყნის ცენტრალურმა ორგანომ შესაძლებელია სხვა ქვეყნის ცენტრალურ ორგანოებს გადაუგზავნოს თავის ქვეყანაში არსებული ვალუტის გაუქმებული ნიმუშები, სახელმწიფომ შეიძლება სხვა სახელმწიფოებს აცნობოს ახალი ფულის გამომშვებების, მოძველების ან ფულის მიმოქცევიდან ამოღების შესახებ. ასევე უნდა ეცნობოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის ორგანოებს ყალბი ფულის აღმოჩენის, გამოძიებისა

და წაყენებული ბრალდებების, დაპატიმრების, მსჯავრდების, გასახლების ფაქტის ან მათი გადაადგილების შესახებ.

ჟენევის კონვენციაში აღნიშნულია, რომ ფულის გაყალბების პრევენციის მიზნით სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების წარმომადგენლები ატარებენ კონფერენციებს ბანკებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მონაწილეობით.

ჟენევის კონვენცია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მე-3 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულების არსებობისას იურიდიული დახმარების თხოვნის გადაცემას, რაც შესაძლებელია განხორციელდეს პირდაპირი ურთიერთობით სასამართლო ორგანოებს შორის, ორი ქვეყნის იუსტიციის მინისტრებს შორის პირდაპირი ურთიერთობით, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლის მეშვეობით. სახელმწიფოთაშორის სასამართლო დავალებების შესრულება არ ექვემდებარება არანაირ ბეგარას. კონვენციის №1 დამატებითი ოქმის პირველ მუხლში მოცემულია განმარტებები, რომელსაც აღიარებენ კონვენციის გამოყენებისას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „ბანკნოტზე ბეჭდის ფალსიფიკაცია სახელმწიფოში ბანკნოტის გამოყენების მიზნით თვით ბანკნოტის ფალსიფიკაციად ჩაითვლება“.

ჟენევის კონვენციაში მოცემული უნივერსალური ნორმები განსაზღვრავდა ყალბი ფულის დამზადებასთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის პოლიტიკას. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციაში მოცემული ზოგიერთი დებულება საჭიროებს სრულყოფას.

უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება პოვა ფასიანმა ქაღალდებმა და სხვა საგადასახადო დოკუმენტებმა, რომელთა გაყალბებაც სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას, თუმცა აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლებ-

ბრივი თანამშრომლობა სათანადოდ არ არის ასახული კონვენციაში, რომელიც საჭიროებს რეგლამენტაციას.

1950 წელს ყალბი ფულის დამზადებასთან დაკავშირებით გამართულ III საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, სადაც ინტერპოლი აღიარებული იქნა ერთ-ერთ მოქმედ სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ინტერპოლის ფუნქციებში შედის:

1. დამნაშავეთა მიერ ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბების მეთოდების შესწავლა;

2. აღნიშნული ქმედებების თავიდან ასაცილებლად სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;

3. ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღების ფაქტების აღრიცხვა;

4. საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით სამართლებრივი რეკომენდაციების შემუშავება;

5. ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების აღმოჩენის შემთხვევაში მოსახლეობის ინფორმირება და ამ მხრივ სათანადო ტაქტიკის შემუშავება;

6. ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დასაკმებელი პირების პროფესიული დონის ამაღლება;

7. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის მუშაობის ანალიზის საფუძველზე ეფექტური მეთოდების გავრცელება.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაეროს ეგიდით ჩატარე-

ბული კონგრესები და კონფერენციები. 1990 წელს პავანაში გაეროს VIII კონგრესზე შემუშავებული იქნა ერთიანი მიდგომები საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურისა და ტიპების მიმართ. აღნიშნული საკითხის დახვეწა გაგრძელდა გაეროს მიერ 1991 წლის 21-25 ოქტომბერს სუზდალში ჩატარებულ საერთაშორისო სემინარზე. აღნიშნულ ფორუმზე ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება მიჩნეული იქნა ისეთ ორგანიზებულ დანაშაულად, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი და მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა.²⁰⁹

ე. კლიმოვა აღნიშნავს, რომ „დღეისათვის ყალბი ფულის დამზადება ტრანსნაციონალური ხასიათისაა. ყალბი ფულის საერთაშორისო გაცემა მიმდინარეობს კონსპირატიულად რამოდენიმე სახელმწიფოში სხვადასხვა საფეხურებისა და პუნქტების გამოყენებით. მუდმივად იზრდება იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომელთა ვალუტა ექვემდებარება გაყალბებას და სახელმწიფოთა რიცხვი, სადაც აღმოჩენილია ყალბი ფასიანი ქაღალდები: ობლიგაციები, აქციები, ჩეკები და ა. შ.“²¹⁰ ავტორი იქვე დასძენს, რომ ყალბი ფულის დამამზადებელი ჯგუფების საქმიანობის სფერო იზრდება, ისინი ამზადებენ ყალბ მართვის მიწობებს და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელობის დამადასტურებელ ყალბ დოკუმენტებს.

ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფები სარგებლობენ თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით, მათ გააჩნია გასამრავლებელი და კომპიუტერული ტექნიკა, პოლიგრაფიული მოწყობილობა და სხვა საჭირო აპარატურა. მოცემული გა-

²⁰⁹ Овчинский В. С. Основы борьбы с организованной преступностью. М., ИНФРА-М. 1996. С. 8—9.

²¹⁰ Климова Е. Криминалистическая характеристика фальшивомонетничества как транснационального преступления (Академия МВД Республика Беларусь). Юрист – Онлаин. Электронный Юридический Журнал. <http://www.shkolny.com/kriminalisticheskaya-harakteristika-falshivomonetnichestva-kak-transnatsionalnogo-prestupleniya/>

რემოებების გათვალისწინებით კრიმინალური ჯგუფის საქმიანობით გამოწვეული შედეგები ნებისმიერი სახელმწიფოს ფინანსურ სისტემას უქმნის საფრთხეს. ამდენად, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა საჭიროებს სრულყოფას, რათა დროულად იქნას აღკვეთილი აღნიშნული დანაშაულები.

ხუთ წელიწადში ერთხელ ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმების დასახვეწად და სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად ინტერპოლი მსხვილი ბანკებისა და დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლების მონაწილეობით იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს.

ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების და გასაღების ფაქტს ინტერპოლის ეცბ აცნობებს ინტერპოლის გენერალურ სამდიენოს. საჭიროების შემთხვევაში ახალი ინფორმაცია ეცნობება ყველა ქვეყნის ეცბ-ს.

ინტერპოლის რეკომენდაციით ეცბ-ებმა აღნიშნული დანაშაულის შემთხვევაში ინტერპოლის გენერალურ სამდიენოს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ყალბი საბანკო, ტურისტული ჩეკების, პლასტიკური ბარათების, ქაღალდის და რკინის ფულის დამზადების შესახებ. ინტერპოლის გენერალურ სამდიენოს ეგზავნება აგრეთვე მათი ნიმუშები.

ინტერპოლის სპეციალურ ლაბორატორიაში იკვლევენ გაყალბების ხერხებს, ქაღალდის ხარისხის შემადგენლობას, ადარებენ ადრე არსებული გაყალბების ხერხებს. ყოველ გაყალბებას ეძლევა ინდექსი. ინდექსის თითოეული ციფრი ფულადი ერთეულის გაყალბების სპეციფიკიდან იკითხება. მსგავსი ხერხით გაყალბებას ერთი ინდექსი გააჩნია. ინდექსების სისტემა საშუალებას იძლევა დადგინდეს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გაყალბებული ფულისა და ფასიანი ქაღალდის დამზადების ფაქტი ერთი და იგივე ჯგუფის მიერ.

ინტერპოლის მიერ შექმნილია მუზეუმი სხვადასხვა ქვეყანაში ფულის, ფასიანი ქაღალდების და მათი დასამზადებელი ხელსაწყოების გამოფენისათვის.

საერთაშორისო მასშტაბით ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ინტერპოლის გენერალური სამდივნო გამოსცემს "Counterfeits and Forgeries", რომელიც იბეჭდება ჰოლანდიის საგამომცემლო სახლის „Keesing Reference Systems“ მიერ. აღნიშნულ გამოცემას იყენებენ სახელმწიფო, კომერციული ბანკების და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მთელ მსოფლიოში.

ევროპის სავალუტო კავშირის შექმნის და ევროპის სახელმწიფოებისათვის ევროს ბრუნვაში შესვლის შემდეგ აუცილებელი გახდა ყალბი ბანკნოტების დამზადებისა და გაერცვლების წინააღმდეგ აქტიური თანამშროლობა. ჰოლანდიის საგამომცემლო სახლის „Keesing Reference Systems“ მიერ სხვადასხვა სახელმწიფოში შეიქმნა წარმომადგენლობები, რომლებიც ინტერპოლის გენერალური სამდივნოს დავალებით სხვადასხვა ენაზე გამოსცემენ ისეთ ცნობარებს, როგორცაა „მსოფლიო ქვეყნების ვალუტა“, „სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო დოკუმენტები“, „პასპორტების ცნობარი“.

გ. კარეევი აღნიშნავს, რომ „სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დაახლოებამ გამოიწვია სახელმწიფოთა საზღვრების გახსნა, რამაც გააადვილა ფულის მასის ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადატანა, ამდენად, ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა შეიძლება ვაწარმოთ საერთაშორისო მასშტაბით“.²¹¹

²¹¹Кареев В. Н. Современные тенденции борьбы с фальшивомонетничеством, Выступление на VI Всероссийском форуме "Банковская безопасность: состояние и перспективы развития".15 - 17 октября 2003 года. Москва. http://www.k-info.ru/publishing/sovremennye_tendentsii_bor_bv_s/ 30.12.08.

მნიშვნელოვანია ამ მხრივ ევროპის კავშირის მასშტაბით მიმდინარე მოვლენები. ევროპის კავშირის საზღვრების გაფართოებამ, წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნამ წარმოშვა ისეთი საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები, როგორცაა ეკონომიკური დანაშაულის ტრანსნაციონალური და ზენაციონალური გამოვლინება, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ. 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება ერთმნიშვნელოვნად მიუდგა სამართლებრივი წესების გამოცემას ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად.²¹²

ევროპის კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო ორგანოების სისხლის სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოევროპულ სისხლის სამართლებრივ დებულებებს, რომელიც ასახულია კონვენციებში. თუმცა სასამართლო და პოლიციის ორგანოების თანამშრომლობის ერთიანი პოლიტიკის რეალიზაციისათვის იგეგმება სისხლის სამართლისა და პროცესის საკანონმდებლო საფუძვლების გამოცემა. მას არ ექნება პირდაპირი მოქმედება, თუმცა ჩარჩო დოკუმენტში მოცემული იქნება დირექტივები, საერთო ღონისძიებები, პოზიციები და დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხში ევროპის კავშირის რეგლამენტი „მსუბუქი სამართალი.“²¹³

ევროპის კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსების დაახლოებისათვის შემუშავებული იქნა ევროპის კავშირის სისხლის

²¹² იხ. White S. Protection of the Financial Interests of the EC: Fight Against Fraud and Corruption. Kluwer. 1998. Трикоз Е.Н. Экономические преступления в уголовном законодательстве Европейского союза // Адвокат . 2006. N 10 . с. 80 – 87.

²¹³ Senden L.A.J. Soft Law in European Community Law. Oxford and Portland Oregon: Hart Publishing. 2004.

სამართლის კოდექსის მოდელი.²¹⁴ აღნიშნული დიკუმენტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსის შექმნის გამოცდილება. აღნიშნულმა იდეამ პირველად გაიჟღერა 1997 წელს დუბლინში ევროპული თანამეგობრობის ფინანსური ინტერესების დაცვის ირლანდიის ასოციაციის ვეგით ჩატარებულ კონფერენციაზე ფინანსური ინტერესების დასაცავად შექმნილი Corpus Juris ევროპის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებისათვის.

ევროპის კავშირის კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში მასში მოცემული დებულებები საშუალებას იძლევა პირდაპირი იძულებით განხორციელდეს ევროპის კავშირის სისხლის სამართლის პოლიტიკა.²¹⁵ ევროპის საჯარო პროკურორის ევროიუსტან, ევროპოლთან და სისხლის სამართლის საქმეებზე ევროსასამართლოსთან კოორდინირებული საქმიანობა ევროპის უფრო მეტი ინტეგრაციის საწინდარია. ს. კაშკინი და ა. ჩეტვერიკოვი აღნიშნავენ, რომ „რამდენადაც ევროპის პროკურატურის შექმნა ნეგატიურად იქნა მიღებული ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოების, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის მიერ, აღნიშნული ორგანოს დაფუძნება შესაძლებელია სხვა წვერი სახელმწიფოების მონაწილეობით, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გარეშე“.²¹⁶

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთაშორის სისხლისამართლებრივი თანამშრომლობა განსხვავდება სახელმწიფოთა ტრადიციული საერთაშორისო სისხლის

²¹⁴ იხ. European Union Code for Conducting Criminal Procedures Known as Corpus Juris (The Embryo of a Future European Criminal Code). ტექსტი იხილეთ <http://www.eurocep.dircon.co.uk/corpus.htm>.

²¹⁵ შეადარე, Klip A. The Constitution for Europe and Criminal Law: A Step Not Far Enough // Maastricht Journal of European and Comparative Law. 2005. Vol. 12. N 2. P. 118.

²¹⁶ Кашкин С. Четвериков А. Основные положения новой Конституции для Европы. Российская юстиция, 2004. N 6.

სამართლებრივი თანამშრომლობისაგან. ევროპის კავშირი ახორციელებს სისხლის სამართლებრივ კოოპერაციას, რომელთა საფუძველზეც იქმნება საერთოევროპული სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ევროპის კავშირის მიერ მიღებული „სისხლის სამართლის საქმეებზე უცხოური სასამართლო განაჩენის იძულებითი აღსრულების 1991 წლის კონვენცია“, „ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოშორის დამნაშავის გადაცემის პროცედურის გამარტივების 1995 წლის კონვენცია“,²¹⁷ „ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოშორის ექსტრადიციის 1996 წლის კონვენცია“,²¹⁸ „ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოშორის სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების 2000 წლის კონვენცია“²¹⁹ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისხლის სამართლებრივ სფეროში ერთიანი სტანდარტის ფორმირებაზე.

ევროპის კავშირის ფარგლებში სისხლის სამართლებრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფორმაა „პატიმრობის ევროპული ორდერი“, რომელიც უახლოვდება შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სტანდარტებს. ეს ახალი პროცესუალური მექანიზმი საყიველთაოდ აღიარებული იქნა ევროპის კავშირის სახელმწიფოების სისხლის სამართალში. 2002 წლის 13 ივნისის ევროპის კავშირის ჩარჩო შეთანხმება „პატიმრობის ევროპული ორდერი და წევრ სახელმწიფოთაშორის გადაცემის პროცედურები“ ძალაში შევიდა 2004 წლის იანვრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულმა გარემოებამ ექსტრადიცია საერთაშორისო სამართლებრივი სფეროდან გადაიტანა ევროკავშირის ზენაციონალურ სამართალში.

ევროპის კავშირის 2002 წლის ჩარჩო შეთანხმების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ 32 დანაშაულზე ვრცელდება პატიმ-

²¹⁷ Official Journal. P. 78. 30 March 1995. 2.

²¹⁸ Official Journal. P. 313. 23 October 1996. 12.

²¹⁹ Official Journal. P. 197. 12 July 2000. 3.

რობის ევროპული ორდერი. ამ დანაშაულთა შორისაა: ყალბი ადმინისტრაციული დოკუმენტების დამზადება და ვაჭრობა, ყალბი ფულის დამზადება, მათ შორის, ევროს გაყალბება, საგადასახადო საშუალებების გაყალბება, ევროპის თანამეგობრობის ფინანსური ინტერესებისათვის ზიანის მიყენება.

„ევროპული სისხლის სამართლის“ სპეციალურ მემორანდუმში ნიდერლანდების მთავრობის მიერ მითითებული იქნა, რომ ევროკავშირის საერთო ინტერესების ხელმყოფ დანაშაულებთან, (ყალბი ფულის დამზადებასთან, თაღლითობასთან, რაც მიმართულია ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ) ეფექტური ომი და ტრანსსასაზღვრო დანაშაულობასთან ბრძოლა იურისდიქციის გამო არ უნდა განიცდიდეს წინააღმდეგობას სახელმწიფო საზღვრების თვალსაზრისით.²²⁰

1999 წლის 29 აპრილს ევროპის კავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაეფართოებინა ევროპოლის მანდატი, რომლის თანახმადაც ევროპოლის უფლებამოსილებაში შევიდა ყალბი ფულის და ყალბი საგადასახადო საშუალებების დამზადების წინააღმდეგ ბრძოლა. ევროპის კავშირის საბჭომ 1999 წლის 28 მაისს და 20 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ახალი ევროპული ვალუტის გაყალბების თავიდან ასაცილებლად დამცავი სისხლის-სამართლებრივი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით. კავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არ იყვნენ 1929 წლის ჟენევის კონვენციის წევრები, მიეცათ რეკომენდაცია მოეხდინათ მისი რატიფიკაცია.

ევროპის კავშირის საბჭოს მიერ ევროს გაყალბებისაგან დასაცავად მიღებულ დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანია 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება. ევროპოლის ყალბი ფულისა და საგადასახადო დოკუმენტ-

²²⁰ იხ. The Memorandum "European Criminal Law" of 9 May 2003 // Maastricht Journal of European and Comparative Law. 2005. Vol. 12. No 2. P. 120.

ბის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელი მიხეილ რაუშენბახი აღნიშნავს, რომ „გადაწყვეტილებით განმტკიცებული იქნა უენევის 1929 წლის კონვენციის ფარგლებში ევროპოლის, როგორც ყალბი ევროს წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური ორგანოს უფლებამოსილება“.²²¹

ბენელუქსის ეკონომიკური კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის საერთო საზღვარზე შემოწმების თანდათანობით შეცვლის შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების რეალიზაციის 1990 წლის 19 ივნისის კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, „ხელმომწერი მხარის პოლიცია თავის ქვეყანაში მეოთხე პარაგრაფით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულებრივ ქმედებაში ადგილზე წასწრების ან მასში მონაწილეობის შემთხვევაში უფლებამოსილია გააგრძელოს დევნა ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მეორე მხარის ტერიტორიაზე წინასწარი გაფრთხილების გარეშე“²²² 1990 წლის კონვენციის 41-ე მუხლის მეოთხე პარაგრაფში ჩამოთვლილ 14 დანაშაულს შორისაა ყალბი ფულის დამზადება. დევნა შეიძლება განხორციელდეს წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ უფლებამოსილ ორგანოს გადაუდებელი გარემოებების გათვალისწინებით არ შეეძლო ეცნობებინა დევნის შესახებ.

ევროპოლის და ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებული ოპერაციები ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და რეალიზაციის წინააღმდეგ ეფექტურია. 2006 წელს

²²¹Интервью начальника отдела по борьбе с фальшивомонетничеством Европола Михаэля Раушенбаха журналу «Банкноты стран мира» 31.10.2007. <http://www.uvdrzn.ru/press/newsmvd/2804/>

²²²იხ. Convention from 19 June 1990 applying the schengen agreement of 14 June 1985 between the governments of the benelux economic union, the federal republic of germany and the french republic. on the gradual abolition of checks at their common borders. <http://www.hri.org/docs/Schengen90/>

ავსტრიის კრიმინალური სამსახურის და ხორვატიის შშს-ს ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ცენტრალური ოფისის მიერ ჩატარებული გამოძიება სერბული დანაშაულებრივი დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც ყალბ ევროს ასაღებდა, წარმატებით დასრულდა. აღნიშნული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ერთობლივი ოპერაციის შედეგად ევროს ბრუნვაში შესვლიდან პირველად ამოღებული იქნა ყალბი ევროს ყველაზე დიდი პარტია, ზაგრებში დაპატიმრებული იქნა სამი ეჭვმიტანილი. ბრალდებულთა ძეხნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ყალბი ფულისა და საგადასახადო საშუალებების დამზადების საკითხზე ევროპოლის განყოფილების ექსპერტებმა.²²³

ევროპოლი ყალბი ფულის დამზადების ცენტრების აღმოჩენისა და მათი ლიკვიდაციის საქმეში ხელს უწყობს ევროპის კავშირის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფოებსაც. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მიერ ევროპოლთან დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულება ასეთ ქვეყნებს გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებს. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს და ბანკის თანამშრომლებს უფლება ეძლევათ ევროს ბანკოტის გადასამოწმებლად ისარგებლონ ინტერნეტის ქსელში დახურული საიტით. აღნიშნული სისტემის სახელწოდებაა „Euro Check Web Site“. ეს პროგრამა შემუშავებული იქნა ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროპოლის მიერ, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად იქნას მიღებული ინფორმაცია საეჭვო კუპიურებთან დაკავშირებით.

ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ „CARIN“ (Camden Assets Recovery Inter-Agency Network) პროექტის ფარგლებშიც, რომელიც შეიქმნა 2004 წელს საერთაშორისო არხებით ინ-

²²³ იხ. Европол поддержал операцию австрийской и хорватской полиций (18.11.2006) <http://www.icpress.ru/information/news/?ID=3868>

ფორმაციის გაცვლის, დანაშაულებრივი აქტივების ამოღებისა და კონფისკაციის მიზნით. პროექტის მონაწილეებს უფლება აქვთ მოითხოვონ პარტნიორი სახელმწიფოებისაგან იურიდიული და ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაცია აქტივებისა და უძრავი ქონების შესახებ, თუ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არსებობს ეჭვი, რომ ისინი მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. აღნიშნული პროექტი აერთიანებს რამოდინიმე ორგანიზაციას და მათ ორგანოებს (ევროიუსტს, ევროპოლს, ინტერპოლს და სხვა), ასევე 35 სახელმწიფოს. პროექტის კოორდინატორია ევროპოლი.

1999 წელს მინსკში დსთ-ს სახელმწიფოების მთავრობის მეთაურთა შეხვედრაზე ხელი მოეწერა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა დსთ-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისა და ურთიერთმოქმედების ხელშეკრულებას.²²⁴ ამ ხელშეკრულების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს უფლება ეძლეოდათ თავიანთ ქვეყანაში დაწყებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დევნა გაეგრძელებინათ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. იგივე შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით ვერ ხერხდებოდა წინასწარი შეტყობინება.

უენევის 1929 წლის საერთაშორისო კონვენცია ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ინტერპოლის და ევროპოლის რეკომენდაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ სახელმწიფოებს აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებული კანონმდებლობის ფორმირებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კანონმდებლობაც.

1995 წლიდან მოქმედებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ,²²⁵ 1996 წლიდან – საქართველოს კა-

²²⁴ იხ. Содружество: Информационный вестник Совета глав государств и Совета глав правительств СНГ. Минск, 1999. № 2 (32). С. 27-33.

²²⁵ იხ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1995 წლის №27-30.

ნონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ,²²⁶ 2007 წლიდან კი – ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი²²⁷.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXVIII თავში, რომელიც ეთმობა ფულად-საკრედიტო სისტემას, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათების დამზადებას, გასაღებასა და გამოყენებას (მუხლი 210), ასევე ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებას ან გასაღებას (მუხლი 212). ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დასჯადია „ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება.“ მეოთხე ნაწილის თანახმად, დასჯადია ასევე „ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების უკანონოდ დამზადება, შექმნა, შენახვა ან გადაზიდვა გასაღების მიზნით ან გასაღება“.

ყალბი ფულის, ვალუტის და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღების აღკვეთისა და მათი პრევენციის საკითხი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა მართებული იქნებოდა ორგანულ კანონში საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, საქართველოს კანონში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესში გათვალისწინებული იქნას ინტერპოლის (ეცბ-ს) როლი აღნიშნულ საკითხებთან თანამშრომლობისას.

²²⁶ იხ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წლის №3.

²²⁷ იხ. დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 31 დეკემბრის №344 ბრძანებით.

III. §5. ინტერპოლის და ევროპოლის როლი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში

ტრეფიკინგს, როგორც საერთაშორისო ხასიათის ერთ-ერთ დანაშაულს, უკანასკნელ პერიოდში მოიხსენიებენ ტრანსნაციონალურ დანაშაულთა შორის. აღნიშნული ტერმინის გამოყენების საფუძველი გახდა ის, რომ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას“ მოგვიანებით დაემატა „ადამიანების, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთის და დასჯის შესახებ“ ოქმი.

ტრეფიკინგი არის „ადამიანთა, მათ შორის, 18 წლის ასაკამდე ბავშვების, გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ასევე „ტრეფიკინგად“ ითვლება ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად, თანხის თუ სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ან ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით.“²²⁸

იურიდიული მეცნიერება ადრეულ პერიოდში ტერმინ ტრეფიკინგს არ იყენებდა, თუმცა ხშირად ვხვდებით მონობისა და მონათვაჭრობის ტერმინებს. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. პირველად ზანგებით ვაჭრობა საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე უარყოფითად იქნა შეფასებული 1815 წელს ვენის კონ-

²²⁸ ალექსიძე ლ. გიორგაძე ლ. კვაჭაძე მ. კორკელია კ. ქურდაძე ი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. თბილისი, ლექსიკონი ცნობარი, 2005. გვ. 225.

ერესზე. ხოლო მოგვიანებით, 1818 წელს, ახენში ზანგებით ვაჭრობა დანაშაულად იქნა მიჩნეული. მოცემულ ფორუმებზე მიღებული დოკუმენტების რეალიზაცია პრაქტიკაში დიდი ხნის მანძილზე არ ხდებოდა.

1890 წელს ბრიუსელის კონფერენციაზე შემუშავებული იქნა დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნა მონათვაჭრობის წინააღმდეგ სპეციალური დებულებები. ამ დოკუმენტის ხარვეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ის ებრძოდა მონათვაჭრობას და არა მონობას.

1919 წელს ინგლისმა, აშშ-მ, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ და პორტუგალიამ სენ-ჟერმენში ხელი მოაწერს კონვენციას, რომლითაც გაუქმებული იქნა 1890 წლის ბრიუსელის დოკუმენტი. 1919 წლის კონვენციაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მონაწილე სახელმწიფოები შეეცდებიან მონებით ვაჭრობის ჩახშობას ხმელეთსა და ზღვაზე.

მონობის აკრძალვის საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ერთა ლიგა. ერთა ლიგის წესდების 22-ე მუხლი კრძალავდა მონებით ვაჭრობას. ერთა ლიგის ფარგლებში შეიქმნა მონობის საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომლის ფუნქციებში შედიოდა იმ ქვეყნების დადგენა, სადაც არსებობდა მონობა. აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდეგ კომისიამ შეიმუშავა მონობის შესახებ ახალი კონვენციის პროექტი. კონვენციას ხელი მოეწერა 1926 წელს. ამ კონვენციის შესაბამისად იკრძალებოდა მონებით ვაჭრობა და წევრ სახელმწიფოებს აკისრებდა ვალდებულებას აეკრძალა მონების გადაყვანა. ამ კონვენციის ხარვეზს წარმოადგენდა ის, რომ მონობის გაუქმებას დეკლარაციის დონეზე ტოვებდა.

მონობის ვაჭრობის აკრძალვის კონვენციების მიღებასთან ერთად სახელმწიფოები განაგრძობდნენ თანამშრომლობას პროსტიტუციის წინააღმდეგ. 1904 და 1910 წლებში მიღებული კონვენციები კრძალავდნენ ქალების ჩათრევას

პროსტიტუციაში. სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე მნიშვნელოვანი იყო 1921 წლის კონვენცია, რომლის მონაწილე სახელმწიფოებსაც ევალებოდათ მეთვალყურეობის დაწესება იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც შუამავლები იყვნენ შინამოსამსახურე ქალთა დაქირავების საქმეში და საზღვარგარეთ პირთა ემიგრირების მიზნით გადაყვანაში. კონვენცია ავალდებულებდა მონაწილეებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ იმ პირებისათვის, რომლებიც ბავშვებითა და ქალებით ვაჭრობას ეწეოდნენ.

1933 წლის კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ვალდებულებას აკისრებდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ ის პირები, რომლებიც ბრალდებულნი არიან ქალებითა და ბავშვებით მოვაჭრეთა შესახებ ინფორმაციის გაგზავნაში, ასევე საზღვარგარეთ საროსკიპოებში ქალებისა და ბავშვების გაგზავნაში.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-4 მუხლის თანახმად, „არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.“²²⁹ აღნიშნული დოკუმენტის მიღებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მოცემულ სფეროში ნორმატიული ბაზის განვითარებას.

ლ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ „1950 წელს დაიდო კონვენცია ადამიანებით ვაჭრობასთან და მესამე პირთა მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ. კონვენცია ითვალისწინებს მხარეთა ერთობლივ საქმიანობას საროსკიპოებში გაყიდვის ნიშნით ადამიანების მოტაცებასთან საბრძოლველად და პროსტიტუციის ბიზნესის

²²⁹ ბერძენიშვილი ლ. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. პირველი ნაწილი. თბილისი 2001. გვ. 7.

ექსპლუატაციის აღკვეთისათვის. სახელმწიფოები სისტემატურად აწედიან ერთმანეთს ცნობებს „ცოცხალი საქონლით“ მოვაჭრეების შესახებ, სახავენ ერთობლივ ოპერაციებს ამ სახის დამნაშავეების შესაპყრობად და ა. შ. დიდ როლს ასრულებს ამ საქმეში ინტერპოლი.“²³⁰

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სახელმწიფოთაშორის შეხვედრებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე და კონგრესებზე აქტიურად განიხილებოდა მონობის და მონათვაჭრობის საკითხი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო 1956 წლის კონვენცია, რომლის თანახმადაც, როგორც ლ. ალექსიძე აღნიშნავს, „კონვენციამ გააფართოვა მონის ცნება და შეუფარდა კონვენცია ისეთ ქმედებას, როგორიცაა ყმობა, ქალებისა და ბავშვების ყიდვა-გაყიდვა, სავალო კაბალა, სხვა სახის იძულებითი მუშაობა. ისჯება არა მარტო პირის ძალით მონად გადაქცევა, არამედ მისი დაყოლიება ნებაყოფლობით ჩადგეს მონურ მდგომარეობაში. სასტიკად ისჯება მონის ან დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფი პირის დასახიჩრება, სხეულზე დამლის ამოწვით ან სხვა რაიმე საშუალებით მონური მდგომარეობის აღნიშვნა ან პირის დასჯა“.²³¹

მონობისა და მონათვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გაერომ. 1950-იან წლებში გაეროს ეგიდით ჩატარებული იქნა მოკვლევა მონობისა და მონათვაჭრობის მსგავს საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადებული იქნა სპეციალური მოხსენება, რომელშიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფოთათვის კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები.

1970-იან წლებში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას

²³⁰ ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1986 გვ.355.

²³¹ ალექსიძე ლ. გვ. 357.

რასობრივი დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვეყნის სახელმწიფოთა მიერ მონობისა და მონათვაჭრობის საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესრულებაზე. მსგავს მოხსენებებს გარკვეულწილად პრევენციის ძალა გააჩნდა, რათა სახელმწიფოებს თავიანთ ტერიტორიაზე მსგავსი დანაშაულები არ დაეშვათ.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მონობა და მონათვაჭრობა კონვენციებით აიკრძალა. ი. კარპეცი აღნიშნავს, რომ „მონათვაჭრობა შეიძლება არსებობდეს ცალკე და იყოს მონობის შემადგენელი ნაწილი. როცა მონით მოვაჭრეები მოქმედებენ მონის მფლობელთან ერთად, მათი საქმიანობა შეიძლება განხილული იქნას, როგორც მონობა. თუ საერთოდ მონათვაჭრობა წარმოადგენს მოთხოვნის შესწავლაზე დაფუძნებულ ხელობას, მაშინ ეს დამოუკიდებელი დანაშაულის სახეა.“²³² უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მონობა და მონათვაჭრობა თანამონაწილეობით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულია, რომელიც ხშირად სცდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. ასეთ ქმედებებს მიაკუთვნებენ საერთაშორისო ხასიათის სისხლის-სამართლებრივ დანაშაულს.²³³

საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია.“ აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ტრანსნაციონალურად ითვლება დანაშაული, თუ იგი „ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში; ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მოქმედების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში; ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგან-

²³²Карпец И. И. с. 169.

²³³იხ. იქვე გვ. 166-177.

იზებელი ჯგუფის მონაწილეობით, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; ან ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში“.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის“ მე-16 მუხლი ითვალისწინებს კონვენციაში მოცემული ქმედებებისათვის ექსტრადიციის საკითხს. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თითოეული დანაშაული, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს მუხლი, უნდა ჩაითვალოს საექსტრადიციო დანაშაულად მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ საექსტრადიციო ხელშეკრულებაში. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ექსტრადიციას დაქვემდებარებული ასეთი დანაშაულები ჩართონ ნებისმიერი ექსტრადიციის ხელშეკრულებაში, რომლებიც დაიდება მათ შორის.

მე-18 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების საკითხს. „მონაწილე სახელმწიფოებმა ერთმანეთს უნდა გაუწიონ მაქსიმალურად ფართო სამართლებრივი ურთიერთდახმარება ამ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებათა გამოძიების, სისხლისამართლებრივი დევნის და სასამართლო წარმოების საკითხებში.“ მე-19 მუხლი უშვებს კონვენციაში მოცემულ ქმედებებთან დაკავშირებით შეთანხმების საფუძველზე ერთობლივი გამოძიების შესაძლებლობას.

კონვენციის 27-ე მუხლი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის, რათა აამაღლონ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანობა. კონვენციის მონაწილე თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა „განამტკიცონ, ან საჭიროების შემთხვევაში, შექმნან საკომუნიკაციო არხები მათ კომპეტენტურ ორგანოებს, დაწესებულებებს და სამსახურებს შორის, რათა გააღ-

ვილდეს ინფორმაციის უსაფრთხო და სწრაფი გაცვლა, რომელიც ეხება ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების ყველა ასპექტს, ასევე სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ჩათვლით, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები ჩათვლიან ამას საჭიროდ“. სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების არარსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ განიხილონ ეს კონვენცია, „როგორც მასში გათვალისწინებულ დანაშაულებებთან დაკავშირებული სამართალდამცავ ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველი. საჭიროების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოებმა სრულად უნდა გამოიყენონ შესაბამისი შეთანხმებები ან მორიგების შესაძლებლობები, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ჩათვლით, რათა მათ სამართალდამცავ ორგანოებს შორის გაღრმავდეს თანამშრომლობა.“ მოცემული ნორმა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს ერთმანეთთან ითანამშრომლონ ინტერპოლის (კონსტიტუციის) და ევროპოლის წესდებების მეშვეობით.

28-ე მუხლი ეთმობა ორგანიზებული დანაშაულის ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაცვლისა და ანალიზის საკითხებს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა სამეცნიერო აკადემიურ წრეებთან კონსულტაციის მეშვეობით უნდა გაანალიზოს მის ტერიტორიაზე ორგანიზებული დანაშაულის ტენდენციები, გარემოებები, რომელშიც ორგანიზებული დანაშაული ხორციელდება, ასევე მასში ჩართული პროფესიული ჯგუფები და ტექნოლოგიები. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ანალიტიკური ცოდნის განვითარება და მათი ურთიერთგაზიარება საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით. ამისათვის უნდა შემუშავდეს გამოსაყენებლად საერთო განმარტებები

და მეთოდოლოგიები, რომელთა ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერპოლს და ევროპოლს.

ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, რომ არ მოხდეს ორგანიზებული დანაშაულის მასობრივი წინსწრება მის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის შემუშავებულ მეთოდებთან, აუცილებელია კონვენციის იმპლემენტაცია ეკონომიკური განვითარების და ტექნიკური დახმარების გზით. ეს გარემოება გათვლისწინებულია 30-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთმანეთთან, ისევე როგორც საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან კოორდინირების გზით, უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები, რომლებიც ზოგადად ითვალისწინებს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენას, რათა მათ შეძლონ ამ კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია“ ითვალისწინებს დამატებითი ოქმების მიღების შესაძლებლობას. დამატებითი ოქმის მონაწილედ გახდომისათვის სახელმწიფო ან რეგიონალური ორგანიზაცია უნდა იყოს ძირითადი კონვენციის მონაწილე. დამატებითი ოქმი არ გახდება კონვენციის წვერი სახელმწიფოსათვის სავალდებულო, თუ იგი არ გახდება ოქმის მონაწილე მასში დადგენილი წესით.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციაში“ სათანადო ასახვა ვერ პოვა ტრეფიკინგმა, რადგან მე-20 საუკუნის დასასრულს მონობისა და მონათვაჭრობის საკითხების მოდერნიზაციის პროცესი მიმდინარეობდა.

XXI საუკუნის დასაწყისში ერთიანი სტანდარტი ჩამოყალიბდა მონობისა და მონათვაჭრობის სხვადასხვა

ფორმის (სახის) მიმართ, რამაც საერთაშორისო სამართალში განაპირობა ზემოაღნიშნულ კონვენციასთან მიმართებით დამატებითი ოქმის მიღება.

გაეროს გენერალურმა ასამბლემ 2000 წლის 12 დეკემბერს მიიღო „საერთაშორისო ოქმი – ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ.“ ამ ოქმმა საბოლოოდ ასახა მონობისა და მონათვაჭრობის მოდერნიზაციის საკითხი, ასევე მასთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებანი. ოქმი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 2006 წლის 7 ივნისს.

ოქმის მონაწილე სახელმწიფოები ხაზს უსვამენ, რომ ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღკვეთისათვის აუცილებელია მისი წარმოშობის, ტრანზიტისა და დანაშაულის დასრულების ქვეყნებში ტრეფიკერების დასჯისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება. ოქმის პრეამბულაში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების დამცავი საერთაშორისო დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, არ არსებობს ისეთი კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა ტრეფიკინგის ყველა ასპექტს. ეს ოქმი განიმარტება „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციასთან“ ერთად.

საერთაშორისო ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, მისი მიზნებია: „ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, მათი უფლებების სრული პატივისცემით; აღნიშნული მიზნების მისაღწევად მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.“ ოქმის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტში

პირველად იქნა მოცემული ტრეფიკინგის განმარტება. აღნიშნულის თანახმად, „ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სახეა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით.“ ექსპლოატაციის ქვეშ მოიაზრება: პროსტიტუცია ან სქესობრივი ექსპლუატაცია, იძულებითი შრომა ან მომსახურეობა, მონური შრომა ან ორგანოთა გადანერგვა.

18 წლამდე ასაკის ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლოატაციის მიზნით ყველა შემთხვევაში ითვლება ტრეფიკინგად.

საერთაშორისო ოქმი მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომელიც ჩამოთვლილ ქმედებებს დანაშაულად გამოაცხადებს.

ტრეფიკინგის აღკვეთაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობას. ამ ღონისძიების ეფექტური განხორციელების საშუალებაა ინფორმაციის გაცვლა. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ,“ მე-10 მუხლში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აღნიშნულ საკითხს. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოთა სამართალდამცავმა, საიმპერაციო და სხვა შესაბამისმა უწყებებმა, საჭიროების მიხედვით, ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ ინფორმაციის გაცვლის გზით, მათი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად“. მოცემული ღონ-

ისძიების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოებში ინტერპოლის ეცბ-ს. ეს უკანასკნელი თანამშრომლობს სასაზღვრო ღონისძიებების განსახორციელებლად შიდასახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან და უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან. ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სასაზღვრო კონტროლის ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობა პირდაპირი საკომუნიკაციო არხების შექმნის გზით.

პირდაპირი საკომუნიკაციო არხების შექმნა ეცბ-ს მეშვეობით მნიშვნელოვანია გაცემული სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დიკუმენტების ბოროტად გამოყენების, გაყალბების, უკანონოდ შეცვლის ან გაცემის თავიდან აცილების მიზნით. ეცბ თავისი არხებით იძლევა შესაძლებლობას გადაამოწმოს სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დიკუმენტების ნამდვილობა და მოქმედების ვადა.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს 2005 წლის „ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.“ ამ კონვენციის მიღებას წინ უსწრებდა შრომატევადი სამუშაო. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა რეკომენდაციები ბავშვებისა და მოზარდების სექსუალური ექსპლოატაციის, კორნოგრაფიისა და პროსტიტუციის და ბავშვთა და მოზარდებით ვაჭრობის შესახებ;²³⁴ სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის წი-

²³⁴ იხ. Recommendation No. R (91) 11 of the Committee of Ministers to member states concerning sexual exploitation, pornography and prostitution of, and trafficking in. children and young adults (Adopted by the Committee of Ministers on 9 September 1991 at the 461st meeting of the Ministers' Deputies).

ნააღმდეგ ბრძოლის შესახებ,²³⁵ სექსუალური ექსპლოატაციისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ,²³⁶ ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ²³⁷.

კონვენციის მისაღებად მნიშვნელოვანი იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების გათვალისწინება. მათ შორის მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ქალებით ვაჭრობისა და იძულებითი პროსტიტუციის შესახებ;²³⁸ ევროპაში ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შესახებ;²³⁹ ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული კომპანიის შესახებ;²⁴⁰ ქალებით ვაჭრობასთან და პროსტიტუციასთან დაკავშირებული მიგრაციის შესახებ;²⁴¹ ევროპაში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შესახებ;²⁴² ქვეყნის შიგნით მონობის აკრძალვის წინააღმდეგ მიღებული რეკომენდაციები.²⁴³

„ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაში“ გათვალ-

²³⁵ იხ. Recommendation No. R (2000) 11 of the Committee of Ministers to member states on action against trafficking in human beings for the purpose of sexual exploitation (Adopted by the Committee of Ministers on 19 May 2000, at the 710th meeting of the Ministers' Deputies).

²³⁶ იხ. Recommendation Rec (2001) 16 to Member States on the protection of children against sexual exploitation. (Adopted by the Committee of Ministers on 31 October 2001 at the 771st meeting of the Ministers' Deputies).

²³⁷ იხ. Recommendation Rec (2002) 5 of the Committee of Ministers to member states on the protection of women against violence (Adopted by the Committee of Ministers on 30 April 2002 at the 794th meeting of the Ministers' Deputies).

²³⁸ იხ. Recommendation 1325 (1997) on traffic in women and forced prostitution in Council of Europe member states.

²³⁹ იხ. Recommendation 1450 (2000) Violence against women in Europe.

²⁴⁰ იხ. Recommendation 1545 (2002) Campaign against trafficking in women.

²⁴¹ იხ. Recommendation 1610 (2003) Migration connected with trafficking in women and prostitution.

²⁴² იხ. Recommendation 1611 (2003) Trafficking in organs in Europe.

²⁴³ იხ. Recommendation 1663 (2004) Domestic slavery: servitude, au pairs and "mail-order brides."

ისწინებული იქნა ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებები და გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“, მისი „ოქმი ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“.

„ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ ერთ-ერთი მიზანია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა. აღნიშნული კონვენცია ვრცელდება ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმაზე, მიუხედავად იმისა, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხორციელდება, მოიცავს გარკვეულ რეგიონს, თუ ტრანსნაციონალური ხასიათი გააჩნია. კონვენციაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ტრეფიკინგთან ბრძოლაში შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების სრულყოფის საკითხს. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „თითოეული მონაწილე მიიღებს ზომებს ეროვნულ დონეზე კოორდინაციის განხორციელების ან განმარტების მიზნით იმ ორგანოთა შორის, რომლებსაც ევალებათ ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა“. აღნიშნული ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ინტერპოლის ეცბ.

2005 წლის კონვენციაში ხაზგასმულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში სასაზღვრო კონტროლის აუცილებლობა, რომელიც უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა სრული დაცვით. აღნიშნული კონვენციის მე-4 თავი ეთმობა სისხლის სამართლის მატერიალურ ნორმებს, ამ მხრივ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლების ნორმების შემუშავებაში. სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია „ადამიანებით ვაჭრობის კრიმინალიზაცია“, „მსხვერპლის მომსახურეობით სარგე-

ბლობის კრიმინალიზაცია“, „მგზავრობის ან პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაცია“. კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს საკანონმდებლო ზომები, რათა აღნიშნული დანაშაულის მცდელობა, დახმარება ან წაქეზება, მათი განზრახ ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის აუცილებლობითაა ასევე განპირობებული მოცემული დანაშაულებისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიახლოებითი სტანდარტების შემუშავება. მსგავსი კანონმდებლობის უნიფიკაციის პროცესში, კომერციული გადამყვანი კომპანიების და სატრანსპორტო საშუალებების დადგენაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ინტერპოლს და ევროპოლს.

ინტერპოლის ეცბ-ს და ევროპოლის ერთეულების მეშვეობით შესაძლებელია სასაზღვრო კონტროლის სამსახურებს შორის კომუნიკაციის პირდაპირი არხების საშუალებით საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაძლიერება. მგავსი თანამშრომლობა შესაძლებელს ხდის შემოწმდეს დოკუმენტაციის კანონიერება და ნამდვილობა, ოპერატიულად განხორციელდეს მსხვერპლთა იდენტიფიკაცია.

ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აღნიშნულ კონვენციაში ჩამოთვლილ დანაშაულებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული იურისდიქციის საკითხი. ამ მხრივ კანონმდებლობის უნიფიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც საბოლოოდ ინტერპოლს და ევროპოლს უმარტივებს თანამშრომლობას სახელმწიფოებთან. თუ კონვენციის

მონაწილე სახელმწიფოს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა პირის სიცოცხლეს, თავისუფლებას ან ჯანმრთელობას სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საფრთხე ემუქრება, ინფორმაციის მფლობელი სახელმწიფო ამის შესახებ აცნობებს სხვა მონაწილეებს შესაბამისი რეაგირებისათვის.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით კონვენციის მონაწილეებს შეუძლიათ დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები. სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიების და სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. ინფორმაცია გადაცემული უნდა იქნას გაჭიანურების გარეშე, მსხვერპლის პირადი ცხოვრების და ვინაობის სრული დაცვით. მსგავსი ინფორმაციის გადაცემისას გამოიყენება „პირად მონაცემთა ავტომატური დამუშავებისაგან პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის პირობები.

2005 წლის კონვენციის 36-ე მიუხეღვით გათვალისწინებულია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) როლი, რომლის მთავარი ფუნქციაა მონიტორინგი გაუწიოს მონაწილეთა მიერ კონვენციაში მოცემული დებულებების დაცვას. GRETA შედგება არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 წევრისაგან. ამ შემთხვევაში დაცულია ძირითადი საკანონმდებლო სისტემების, გენდერული და გეოგრაფიული ბალანსი. GRETA-ს ორი წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქე.

„ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ შესაძლებლობას აძლევს წევრ სახელმწიფოებს ერთმანეთთან გააფორმონ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები

კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ევროპის კავშირის და ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს თანამშრომლობაში. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ შექმნილი მექანიზმები და ნორმატიული ბაზა საშუალებას იძლევა ევროპოლის მეშვეობით ეფექტურად განხორციელდეს ტრეფიკინგთან ბრძოლა.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2000 წლის 12 დეკემბერს მიღებულ საერთაშორისო ოქმში მოცემული დებულებების რეალიზაციის პირველი ეტაპი საქართველოში დაიწყო 2003 წლიდან. საქართველოში 2004 წლის 24 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №623 „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“²⁴⁴ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია. ამ კომისიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხში. №623—ე ბრძანებულებით ეთხოვა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და მათი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოში 2005-2006 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა ტრეფიკინგთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფის პროცესი. აღსანიშნავია 2006 წლის 28 აპრილის „საქართველოს კანონი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.²⁴⁵ ამ კა-

²⁴⁴ მაკნე №155, III ნაწილი, 30. 12. 2004.

²⁴⁵ მაკნე №15, I ნაწილი, 16. 05. 2006.

ნონში კომპლექსურადაა გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომელიც უნდა იქნას გატარებული სახელმწიფო ორგანოების მიერ. კანონი განსაზღვრავს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ-ორგანიზაციულ საფუძვლებს, ასევე ამ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა ვალდებულებებს, ასევე მათი საქმიანობის კოორდინაციას. ამასთან ერთად, ხაზგასმულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობის და სოციალური დაცვის გარანტიები.

2006 წლის კანონის მე-3 მუხლში მოცემულია ტერმინთა განმარტებანი, რომლებიც ამკვიდრებს ერთიან სტანდარტს ტრეფიკინგთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენების სფეროში. მე-4 მუხლი ეთმობა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტებით ხელმძღვანელობენ ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, მის წინააღმდეგ ბრძოლას და ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვას.

საქართველოს კანონში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ერთმანეთისაგან გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია აღნიშნული დანაშაულების თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ტრეფიკინგის თავიდან აცილების სფეროში, სადაც გამოკვეთილია ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან ჩართული აღნიშნული დანაშაულის პრევენციაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობებისა და საქართველოს ვიზების გაცემას, ასევე უზრუნველყოფს უცხო ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულებების დასადავად მოლაპარაკების გამართვას, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება სახელმწიფოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრეფიკინგის დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენაში, აღრიცხავს მათი საქართველოში შემოსვლასა და გასვლას, აკონტროლებს სასაზღვრო გამშვები პუნქტების საქმიანობას, ასევე თანამშრომლობს უცხო ქვეყნის შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურებთან.

საქართველოს სახელმწიფო ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დახმარების, ტურიზმისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სტრუქტურები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვა.

საქართველოს კანონში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მე-7 მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია. ამ მუხლის პირველ პუნქტში ხაზგასმულია, რომ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ დანაშაულის გამოვლენისა და გახსნის, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მათთვის სასჯელის შეფარდების უზრუნველსაყოფად.“

მე-7 მუხლში ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო ორგანოები ორ ნაწილად იყოფა: 1. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფენ ამ დანაშაულის აცილებას, მათ გამოვლენას, ბრალდებული პირების დადგენას, დაკავებას და სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელებას. 2. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას და შეიმუშავენ სათანადო მითითებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს ტრეფიკინგის დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას, დაზარალებულთა უსაფრთხოებას, ერთიანი საინფორმაციო ბანკის შეიმუშაებას.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად საქართველოს პროკურატურის და სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნება „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივი ჯგუფი“, რომელიც კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ტრეფიკინგის ორგანიზატორთა შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელშიც მოცემულია აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების, გამოძიების, სასამართლო განხილვის შედეგად ინტერპოლიდან და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან (ევროპოლიდან) მიღებული ინფორმაცია.

2002 წლის საქართველოს შსს მინისტრის 24 დეკემბრის ბრძანებით შსს სტრუქტურაში შეიქმნა ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2003 წლის იანვრიდან. აღნიშნული განყოფილება ოპერატიული სამსახურია, მან უნდა წაატაროს ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები, გამოავლინოს ტრეფიკინგის

შემთხვევები, აღრიცხოს დანაშაული. ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება ქმნის იმ საექვო რეპუტაციის ტურისტული ფირმებისა და დასაქმების სააგენტოების მონაცემთა საინფორმაციო ბაზას, რომლებიც უკანონო საქმიანობას ეწევიან. ასევე წარმოებს უკანონო საქმიანობით დაკავებული სასტუმროების, საროსკიპოების და საუნების აღრიცხვა. საქართველოს კანონმდებლობაში ამ მიმართულებით სრულყოფილად არ არის ასახული პროსტიტუციასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა, რაც ზღუდავს სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 1999 წელს დაემატა შემდეგი შინაარსის 143¹-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დასჯად ქმედებად გამოცხადდა „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.“²⁴⁶ 2006 წლის 25 ივლისს აღნიშნული რედაქცია ნაწილობრივ შეიცვალა და მას დაემატა შემდეგი ფორმულირება, „აგრეთვე მუქარით, ძალადობის ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 25 ივლისის რედაქციით 143² მუხლში ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა „არასრულწლოვანთა ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა

²⁴⁶ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №41, I ნაწილი, 1999.

უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გად-
აბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუა-
ტაციის მიზნით“.

2007 წლის 8 მაისის სისხლის სამართლის კოდექსის
143³ მუხლი – „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერ-
პლის (დაზარალებულის) მომსახურეობით სარგებლობა“
ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „წინასწარი შეცნობით ამ
კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანა-
შაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი
მომსახურეობით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143¹
მუხლის თანახმად, წარმოადგენს ექსპლოატაციას“.

2006 წლის დეკემბერში საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის XLIV¹ თავში გათვალისწინებული
იქნა „წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის,
ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანი მოვაჭრის,
ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშეწყობის“
შემთხვევაში ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის
გადაცემასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში სარჩელი
აღიძვრება პროკურორის ინიციატივით ადამიანით მოვაჭრის,
ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის
თაობაზე ადამიანით მოვაჭრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო
ნათესავის ან ადამიანის მოვაჭრესთან დაკავშირებული
პირის წინააღმდეგ. სასამართლო ქონებას ცნობს უკანონოდ
და დაუსაბუთებლად, რომლის შემდეგაც მოხდება ქონების
ჩამორთმევა.

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა
იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესების
დამტკიცება აუცილებელი გახდა საერთაშორისო სტანდარ-
ტებთან საქართველოს ნორმატიული ბაზის დაახლოებისათ-
ვის, რაც განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 2007
წლის 1 თებერვლის №78-ე ბრძანებულებით.²⁴⁷

²⁴⁷ მაცნე №14, III ნაწილი, 01. 02. 2007.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოება. თითოეულ სახელმწიფოში ამ მხრივ მიმდინარე გარემოებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო რეგულირებაც განსხვავებულია. სახელმწიფოები ტრეფიკინგის დანაშაულის დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება დაეყოთ: 1. მიმწოდებელ ქვეყნებად 2. ტრანზიტულ ქვეყნებად და 3. ადამიანებით ვაჭრობის დანიშნულების ქვეყნებად. ამ მხრივ საქართველო და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნები შეიძლება პირველ და მეორე კატეგორიას მივაკუთვნოთ.

აშშ განეკუთნება ადამიანებით ვაჭრობის დანიშნულების ქვეყანების რიცხვს. აშშ-ში კონგრესის შესაბამისი კომიტეტი სახელმწიფო სამდივნოსგან ღებულობს ანგარიშს, რომელიც აღწერს ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციას. წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს იმ ქვეყნების სიას, რომლებიც იღებდნენ სათანადო ზომებს ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად და იმ ქვეყნების, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფოებს, რომლებიც არ ზრუნავენ მოცემული საერთაშორისო სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივით და კონგრესის ძალისხმევით შეიძლება შეუწყდეს არაკუმანიტარული დახმარება, ასევე სხვადასხვა საშუალების გამოყენებით აშშ-ს პრეზიდენტი მიმართავს ბანკებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ ამ ქვეყნებისათვის სესხის გაცემას.

აშშ-ში პროსტიტუცია აკრძალულია. 2000 წელს მიღებული იქნა "ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი," რომელიც კრძალავს ადამიანებით ვაჭრობას. აღნიშნული ქმედების ჩამდენი ისჯება ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელიც დათანხმდება სამართალდამცავებთან თანამშრომლობას,

დებულობს დროებით თავშესაფარს და ხელშეუხებლობის გარანტიას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაც განეკუთნება ადამიანებით ვაჭრობის დანიშნულების ქვეყნების რიცხვს. ტრეფიკი გერმანიაში ძირითადად ქალების სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ხდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროსტიტუცია გერმანიაში ლეგალიზებულია. 2001 წლიდან ბორდელებისა და სუტინიურობის ლეგალიზაციაც მოხდა, რაც ტრეფიკინგს უწყობს ხელს.

ტრეფიკინგი გერმანიის სისხლის საჭრთლის კოდექსის მიხედვით დანაშაულადაა აღიარებული, თუმცა სასჯელის მაქსიმალური ზომა კოდექსის 180-ე და 181-ე პარაგრაფების მიხედვით 10 წლით განისაზღვრება. გერმანია უზრუნველყოფს ტრეფიკინგის მსხვერპლს დროებითი საცხოვრებელი ადგილით და სოციალური დახმარებით. სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში ქალის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობისას მას შეუძლია მიიღოს ხანგრძლივი ვადით დარჩენის უფლება.

ესპანეთი ტრეფიკის მიმღები ქვეყანაა. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით აქ ქალები ჩაყავთ ლათინური ამერიკიდან, ნიგერიიდან, რუსეთიდან, ჩეხეთის რესპუბლიკიდან, უკრაინიდან და ბალკანეთიდან. ტრეფიკინგი ესპანეთში განეკუთვნება ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვს.

პროსტიტუცია ესპანეთში დაკანონებული არ არის. იძულებით პროსტიტუცია დანაშაულია. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის მიხედვით ტრეფიკინგი, ან ტრეფიკინგისათვის პირების ტრანზიტი, აღნიშნული ქმედებების განხორციელება მოგების მიზნით, ძალადობის ან შანტაჟის გამოყენებით დასჯადი ქმედებაა. სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულია ტრეფიკინგის პირდაპირი თუ ირიბი წაქეზება. 2001 წელს მიღებული იმიგრაციის კანონის მიხედვით დაკრულია ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებები, კერძოდ, მსხვერპლს

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შემთხვევაში უფლება ეძლევა 1 წელი იცხოვროს, იმუშაოს და უფასო სამედიცინო დახმარება მიიღოს ესპანეთში.

ავსტრია არის ტრეფიკინგის დანიშნულების სახელმწიფო. პროსტიტუციით დაკავებული ქალების უმეტესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. ავსტრიაში პროსტიტუცია რეგულირდება კანონით. აღნიშნულის თანახმად, ყველა მძავვი უნდა იყოს რეგისტრირებული, თუმცა პროსტიტუცია ითვლება ამორალურად.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე პარაგრაფის შესაბამისად, დანაშაულად ითვლება ადამიანებით ვაჭრობა, კერძოდ, ქალის დეზინფორმირება, მისთვის დოკუმენტაციის ან ანაზღაურების წართმევა, შანტაჟი, შურაცხყოფა, ცემა, იძულებითი დაკავება და ძალადობა. ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალებს, თუ ისინი ითანამშრომლებენ სამართალდამცავ სტრუქტურებთან, შეუძლიათ მიიღონ დროებითი ცხოვრების ლეგალური უფლება ავსტრიაში. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ხორციელდება დეპორტაცია. ავსტრიაში ქალს ეძლევა დროებით ცხოვრების უფლება, თუ მის სიცოცხლეს სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში საფრთხე ემუქრება.

დიდი ბრიტანეთი არის როგორც ტრანზიტული, ისე დანიშნულების ქვეყანა. ბრიტანეთის კანონების მიხედვით პროსტიტუციის ორგანიზება სამართალდარღვევაა, თუმცა გავრცელებულია და ათასობით ქალი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. გავრცელებულია ბავშვებით ვაჭრობა. დიდ ბრიტანეთში ახალი მიღებულია კანონი „ხალხთა ტრეფიკი მათი პროსტიტუციაში ჩათრევის მიზნით,“ თუმცა ბრიტანეთში არსებული კანონები ითვალისწინებს სასჯელს სუბინიორობისათვის, მოტაცების, ძალადობისა და პიროვნების ქვეყანაში არალაგელურად შემოსვლისა და მისი არალეგალურად ყოფნის ორგანიზებისათვის. ბრიტანეთის 1956 წლის სექსუალური დანაშაულების შესახებ კანონით

დასჯადია მეძაგების კონტროლი, მათი დაშინება, პროსტიტუციით შემოსავლის მიღება. აღნიშნული კანონის მიხედვით ისჯებიან ტრეფიკინგის ორგანიზატორები. დიდ ბრიტანეთში არალეგალურად მყოფი ქალების დიდი ნაწილის დეპორტაცია ხდება 48 საათში, თუ მათი დარჩენა სასამართლო აუცილებლობით არ არის განპირობებული.

თურქეთი არის როგორც მიმღები, ისე სატრანზიტო ქვეყანა. თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანწილად აძლიერებს მის სატრანზიტო ფუნქციას, ასევე მას რვა სახელმწიფო ესაზღვრება. თურქეთის კანონმდებლობა უშვებს უცხო ქვეყნის მოქალაქის 3 თვე ყოფნას, თუმცა ხშირად მომუშავეები ხდებიან მსხვერპლნი იმის გამო, რომ კანონმდებლობით ეკრძალებათ მუშაობა.

თურქეთში პროსტიტუცია კანონით რეგულირდება, ასეთი საქმიანობით დაკავებული პირები გადიან რეგისტრაციასა და სამედიცინო შემოწმებას.

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯად ქმედებად ითვლება პროსტიტუციაში ჩართვა, ძალადობა და სექსუალური იძულება. აღნიშნული ქმედებები განიხილება, როგორც ორგანიზებული დანაშაული. თურქეთის საპასპორტო კანონმდებლობა ქვეყანაში ჩასვლას უკრძალავს პირებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის დანაშაულთან.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების დიდი ნაწილი ტრეფიკინგის საერთაშორისო ბაზრისათვის მიმწოდებელ და სატრანზიტო ქვეყნებად ითვლება. არსებული მონაცემების მიხედვით, სომხეთში,²⁴⁸ აზერბაიჯანში,²⁴⁹ ბელორუსიაში,²⁵⁰ საქართვე-

²⁴⁸ იხ. Overview of the Migration Systems in the CIS Countries. Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Kazakhstan, Kyrgyzstan, Moldova, Russia, Tajikistan, Turkmenistan, Ukraine, Uzbekistan. International Centre for Migration Policy Development, Vienna, September 2005. p. 18...

²⁴⁹ იხ. Overview of the Migration ... p. 50 ...

²⁵⁰ იხ. Overview of the Migration ... p. 71

ველოში,²⁵¹ ყაზახეთში,²⁵² ყირგიზეთში,²⁵³ მოლდავეთში,²⁵⁴ რუსეთის ფედერაციაში,²⁵⁵ ტაჯიკეთში,²⁵⁶ თურქმენეთში,²⁵⁷ უკრაინასა²⁵⁸ და უზბეკეთში²⁵⁹ ეკონომიკური და სოციალური გარემოებების გათვალისწინებით გაერცელებულია არალეგალური მიგრაცია, რაც ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვის ზრდას უწყობს ხელს.

რუსეთსა და უკრაინაში აზიის ქვეყნებიდან ტრანზიტით მყოფი პირები დიკუმენტების მოუწესრიგებლობის გამო არალეგალურად იმყოფებიან აღნიშნულ ტერიტორიაზე. ისინი ხშირად ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი.²⁶⁰

სახელმწიფოების დიდ ნაწილს, რომლებიც მიმწოდებელ ქვეყნებად ითვლებიან, ტრეფიკინგის კანონი არ გააჩნიათ. ასეთი კანონი არ არის რუსეთში, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი ეთმობა ადამიანის გატაცებას, 132-ე მუხლი სექსუალური ხასიათის ძალადობრივ მოქმედებას, 133-ე მუხლი სექსუალური ხასიათის მოქმედებათა ჩადენის იძულებას, 240-ე მუხლი – პროსტიტუციაში ჩაბმას. ამ უკანასკნელი მუხლით და 241-ე მუხლით რეგულირდება იმ დამნაშავეთა დასჯის წესები, რომლებიც ახდენენ ადამიანთა ჩაბმას პროსტიტუციაში. 150-ე და 152-ე მუხლებით რეგულირებულია არასრულწლოვანთა ჩაბმადანაშაულში და არასრულწლოვანებით ვაჭრობაში.

²⁵¹ იხ. Overview of the Migration ... p. 92 ...

²⁵² იხ. Overview of the Migration ... p. 117...

²⁵³ იხ. Overview of the Migration ... p. 142...

²⁵⁴ იხ. Overview of the Migration ... p. 165...

²⁵⁵ იხ. Overview of the Migration ... p. 187...

²⁵⁶ იხ. Overview of the Migration ... p. 210...

²⁵⁷ იხ. Overview of the Migration ... p. 240...

²⁵⁸ იხ. Overview of the Migration ... p. 262...

²⁵⁹ იხ. Overview of the Migration ... p. 287...

²⁶⁰ შეადარე, Irina Ivakhnyuk (Moscow State Lomonosov University), Migrations in the CIS Region: Common Problems and Mutual Benefits. International Symposium "International Migration and Development" June 28-30, 2006. Turin. Italy. p. 3.4. UN/POP/MIG/SYMP/2006/10 28 June 2006.

უკრაინაც მიმწოდებელ ქვეყანად ითვლება. აქ ტრეფიკინგის საკითხი სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირდება. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი ეთმობა ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთას, პროსტიტუციაში ჩაბმას, დაკავებას, კომერციული დანიშნულებით შვილად აყვანას და შრომით ექსპლუატაციას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წლის 19 მაისს მინისტრთა მოადგილეების 710-ე შეხვედრაზე დაგმობილი იქნა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას და ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მიეცათ რჩევა:

„1. გადასინჯონ თავიანთი კანონმდებლობა და პრაქტიკა რეკომენდაციის დანართში აღწერილი ზომების განხორციელების და საჭიროების შემთხვევაში მათი შემოღების თვალსაზრისით;

2. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციისადმი ყველა შესაბამისი საჯარო თუ კერძო დაწესებულების, განსაკუთრებით პოლიციისა და სასამართლო ორგანოების, დიპლომატიური მისიების, მიგრაციის სამსახურების, სოციალური, სამედიცინო და განათლების სფეროს მუშაკებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების მოპყრობა.“²⁶¹

მიღებულ რეკომენდაციებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ტრეფიკინგთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის და სამართლებრივი თანამშრომლობის სრულყოფის საკითხებს.

²⁶¹ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წლის 19 მაისს მიღებული რეკომენდაცია № R (2000) 11 და განმარტებითი მემორანდუმი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის მხრივ მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა „შექმნან ან განამტკიცონ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ კანონმდებლობა და აუცილებლობის შემთხვევაში შემოიღონ დანაშაულის სპეციალური სახე“. ასევე ხაზგასმული იქნა დანაშაულის სერიოზულობის პროპორციული სისხლის სამართლებრივი სანქციების შემოღების მნიშვნელობა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.

სახელმწიფოთა სისხლის სამართლის მატერიალური ნორმების დაახლოების მიზანია ეფექტური გახდეს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექსტრადიცია.

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები იქნა შემოთავაზებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რაც გულისხმობდა საპოლიციო გამოძიებისა და მეთვალყურეობის გაადვილებას იმ დაწესებულებებზე, რომლებიც ახორციელებენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლოატაციას. სახელმწიფო, სადაც შესაძლოა იყოს ტრეფიკინგის დანაშაულის მტკიცებულებები, ასეთ დანაშაულში ბრალდებულთა ექსტრადიციისათვის შესაძლებელი უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენება.

სახელმწიფოთა მიმართ გაკეთებული რეკომენდაციიდან მნიშვნელოვანია ერთი და იგივე პირის მიერ ერთზე მეტ სახელმწიფოში სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ტერიტორიული იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმების არსებობის მართებულობა, რათა გაადვილდეს ეჭვმიტანილთა მიმართ ბრალდების წაყენება და დასჯა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის არსებობას, მათ შენარჩუნებას ტრეფიკინგის

დანაშაულის გამოძიებისა და ბრალდებისთვის. ამასთან ერთად, აუცილებელია ეროვნულ დონეზე კოორდინაციისათვის და თანამშრომლობისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სახელმწიფოთა მიერ ტრეფიკინგთან საბრძოლველად გამოყენებული უნდა იქნას ყველა საერთაშორისო საშუალება და მექანიზმი კოორდინაციისათვის, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლა, ოპერატიულად შესაძლებელი გახდეს მიღებული მოგების კონფისკაცია.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანებით ვაჭრობის აკრძალვის საკითხებზე გამართულ საერთაშორისო ფორუმებს. ასეთ ფორუმებზე დასმული პრობლემატური საკითხები თანდათანობით ექვემდებარება საერთაშორისო სამართლებრივ რეგულირებას. აღსანიშნავია გაეროს დანაშაულის აღკვეთისა და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების კომისიის ეგიდით 2008 წლის 13 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით ვენაში გამართული საერთაშორისო კონფერენცია ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის საკითხებზე. მისი ძირითადი ამოცანა იყო „კოორდინირებული პლატფორმის შემუშავება ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის საქმეში ძალისხმევის გაერთიანების მიზნით.“

ვენაში მიმდინარე ფორუმზე ავსტრიის, ევროპისა და საერთაშორისო საქმეთა მინისტრმა ურსულა პლასნიკმა აღნიშნა, რომ „ადამიანებით ვაჭრობენ, როგორც ავტომობილებით ან დაზვებით, ნარკოტიკებით ან იარაღით, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ.“ მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „კონტრაბანდისა და ნარკობიზნესის შემდეგ ადამიანებით ვაჭრობა – ორგანიზებული დანაშაულისათვის სახსრების შოვნის მნიშვნელოვან მესამე წყაროა.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო საქმეთა მინ-

ისტრი თვლის, რომ აუცილებელია „დანაშაულის აღკვეთა, მსხვერპლთა დახმარება და მიზეზების განადგურება.“²⁶²

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის სამმართველოს აღმასრულებელი დირექტორი ანტონიო მარიო კოსტა მიიხსენებს, რომ ადამიანებით ვაჭრობა არის მონსტრი, ამიტომ მართებულად თვლის მსოფლიოს ერთობლივი ძალისხმევით მონობის ამ ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველო გეოგრაფიული მდებარეობიდან, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ითვლება ტრეფიკინგისათვის სატრანზიტო და მიმწოდებელ ქვეყანად. არალეგალური შრომითი მიგრანტები ადვილად ხვდებიან ტრეფიკორების ხელში.

ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მართებული იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობაში ცალკე გამოყოფილიყო ინტერპოლის მექანიზმების გამოყენებისათვის სათანადო ნორმატიული ბაზა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისათვის.

III. §6. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმების და ძებნის განხორციელება ინტერპოლის ეცბ-ს და ევროპოლის მექანიზმების მეშვეობით

გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმების და ძებნის განხორციელების ეფექტურ საშუალებას იძლევა ინტერპოლის და ევროპოლის თანამედროვე მექანიზმები. უკანასკნელ პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში განსაკუთრებით მოიმატა ავტომანქანების ქურდობამ და არაკანონიერმა ბრუნვამ. „1996 წელს გატაცებული იქნა: გერმანიაში – 110 ათასი, საფრანგეთში 279 ათასი, დიდ

²⁶² ენაში იწვევა საერთაშორისო ფორუმი ადამიანებით ვაჭრობის ბრძოლის საკითხებს. საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო. NewsGeorgia. <http://www.newsgeorgia.ge/world/20080213/42150785.html>

ბრიტანეთში – 509 ათასი, იტალიაში – 305 ათასი ავტომანქანა“.²⁶³

შთამბეჭდავია ავტომანქანის გატაცებით და მისი არაკანონიერი ბრუნვით სახელმწიფოებში გამოწვეული ზიანი. „აშშ-ში ავტომანქანების გატაცებით მიღებული ზიანი აჭარბებს 7 მილიარდ დოლარს. დიდ ბრიტანეთში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების შედეგად მიღებული ზიანი განისაზღვრება 1, 2 მილიარდი ფუნტი სტერლინგით, ყოველწლიურად სადაზღვევო კომპანიები გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს უხდებიან 700 მილიონზე მეტ ფუნტ სტერლინგს, ისრაელის გაერთიანებული სადაზღვევო კომპანიების მონაცემების მიხედვით, ყოველ 100 ავტომობილს შორის 3 გატაცებულია, აღნიშნული სახის დანაშაულიდან მიყენებული ზიანი 500 მილიონს აჭარბებს.“²⁶⁴

გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დიდი ნაწილის რეალიზაცია ხდება დსთ-ს წევრ ქვეყნებში, „1998 წლიდან დღემდე არსებული მონაცემებით რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვა სახელმწიფოებში გატაცებული 7 ათასი ავტომანქანა“²⁶⁵

ინტერპოლის მონაცემების მიხედვით 1995 წლის მეორე ნახევარში და 1996 წლის პირველ ნახევარში ევროპაში გატაცებული 110 ათასი ავტომანქანიდან დსთ-ს ქვეყნებში რეალიზებული იქნა 40%. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რეგისტრირდება ფირმები, რომლებიც ხშირად ახორციელებენ გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას.

2001 წლის ინტერპოლის მონაცემებით ყოველწლიურად მსოფლიოში ქრება 3 მილიონზე მეტი მსუბუქი ავტომანქანა.

²⁶³ Характеристика международного нелегального автобизнеса
<http://akamed.narod.ru/zabugrom2.html>

²⁶⁴ იქვე

²⁶⁵ იქვე.

1996 წლიდან ინტერპოლის სისტემაში ვითარდება გატაცებული ავტომანქანების საერთაშორისო ბაზა. ამ ბაზაში დღეისათვის ირიცხება 3.8 მილიონი გატაცებული სატრანსპორტო საშუალების მონაცემი, რაც ინტერპოლის წევრი სახელმწიფოებისათვის ხელმისაწვდომია.²⁶⁶

2001 წლის 19 ნოემბერს ლიონში გამართული ტრანსკონტინენტური სიმპოზიუმი დაეთმო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ორგანიზებული გატაცებისა და მისი კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის გამოშუქებას, ამ მხრივ ინტერპოლის საინფორმაციო სისტემის გაფართოების საკითხებს.²⁶⁷

ინტერპოლის მიერ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებისათვის შეთავაზებული იქნა სპეციალიზირებული სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიკაციისათვის სემინარებს, ინფორმაციას ინტერპოლის ახალი ტექნოლოგიების შესახებ.²⁶⁸

დასავლეთ ევროპის ქვეყნიებიდან გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადასაყვანად ან გადასაგზავნად სხვადასხვა მარშრუტი გამოიყენება, მათ შორის გამოკვეთილია ბალკანეთის მიმართულება. ამ გზით ავტოსატრანსპორტო საშუალებები დასავლეთ ევროპიდან ხვდება ბალკანეთის ქვეყნებში, აქედან კი – ახლო აღმოსავლეთში.

ცნობილია იტალიის მარშრუტი, საიდანაც ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადაჰყავთ აღმოსავლეთ ევროპის, ალბანეთის ან საბერძნეთის მიმართულებით.

²⁶⁶ იხ. Over three million motor cars disappear each year in the world Transcontinental Vehicle Crime Symposium to address future strategies <http://www.interpol.int/Public/ICPO/PressReleases/PR2001/PR200135.asp>

²⁶⁷ იხ. იქვე.

²⁶⁸ იხ. იქვე.

ცენტრალური ევროპის მარშრუტით, პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადაჰყავთ დსთ-ს ქვეყნებში.

არანაკლებ ცნობილია ესპანეთის მარშრუტი, საიდანაც ავტოსატრანსპორტო საშუალებები ხვდება სამხრეთ აფრიკაში.

სამხრეთის მარშრუტის მეშვეობით, კერძოდ, სკანდინავიის ქვეყნებიდან, გერმანიიდან, ფინეთიდან, სახმელეთო და საზღვაო გზების მეშვეობით გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ხვდება ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რუსეთის ფედერაციაში.

შეიძლება გამოვეყნოთ გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაყვანის სპეციფიკურობა საზღვაო მარშრუტით, რომელიც დამნაშავეებს სხვადასხვა კონტინენტზე და ქვეყანაში გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადატანის საშუალებას აძლევს.

მიმდინარე მონაცემებით ინტერპოლის ძებნის მონაცემთა ბაზაში 2005 წელს ირიცხებოდა ერთი მილიონი შეიდასი ათასი გატაცებული ავტომობილი, რომელთა რიცხვი 2008 წლის მონაცემებით ორი მილიონ სამასიათასამდე გაიზარდა. ამასთან ერთად, იზრდება დაზღვეულ ავტომანქანებთან დაკავშირებული თაღლითობის რიცხვიც.²⁶⁹ თანდათანობით იხვეწება საერთაშორისო არალეგალური ავტობიზნესი, რომელსაც სერიოზული ფინანსური ზიანი მოაქვს სახელმწიფოებისათვის.

გატაცებული, საზღვარგარეთ გაყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნება პრობლემატურია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო საზღვრის გადაკეოთის შემდეგ საქმე გვაქვს სხვა ქვეყნის იურისდიქციასთან, რთულ ეროვნულ საკანონმდებლო პროცედურებთან და ამ

²⁶⁹ შეადარე. За три года база угнанных автомобилей Интерпола выросла более, чем на четверть, Источник: [allinsurance.ru](http://www.rosinvest.com/news/452697/). <http://www.rosinvest.com/news/452697/> 12. 01. 2009.

სფეროში არასათანადო ინფორმირებასთან, სახელმწიფოთა მხრიდან საერთაშორისო ძებნის პროცედურის გამოუყენებლობასთან.

უკანასკნელ წლებში განვითარებულ ქვეყნებში გავრცელდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ქურდობის იმიტაცია. ავტომანქანის მესაკუთრე მას აზღვევს მაქსიმალური თანხით. ამასთან ერთად, მესაკუთრე თანამონაწილესთან ახორციელებს მოლაპარაკებას ავტომანქანის ქურდობის იმიტაციაზე, ან ხშირად თვითონ ახდენს მის გადაყვანას სხვა სახელმწიფოში, გარკვეული დროის შემდეგ კი აკეთებს განცხადებას ავტომანქანის ქურდობის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში, რათა სადაზღვევო კომპანიისგან მიიღოს მაქსიმალური თანხა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცება და ეაჭრობა ზოგიერთ შემთხვევაში ემსახურება სხვა დანაშაულის დაფინანსებას, როგორცაა ტერორიზმი, ტრეფიკინგი და სხვა. ინტერპოლის გენერალური სამდივნო დღითიდღე აწვითარებს გატაცებული ავტომანქანების ავტომატური ძებნის ბაზას (ASF-SMV). აღნიშნულ ბაზაში 2007 წლის მონაცემებით რეგისტრირებული იყო 4,8 მილიონი მოთხოვნა გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძებნაზე. ამავე მონაცემთა ბაზის დახმარებით ნაპოვნი იქნა 37.000 ავტომანქანა.²⁷⁰

საზღვარგარეთ გაყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალების ძებნას ართულებს მათი რეგისტრაციის განსხვავებული წესები. სახელმწიფოთა ერთ ნაწილში ავტომანქანის აღრიცხვის დროს მოწმდება მონაცემები, როგორც ძველ, ისე ახალ მფლობელზე. ზოგიერთ სახელმწიფოში ასეთი შემოწმება ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ან მის მფლობელზე საეჭვო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ან მოწმდება მხოლოდ ახალი მფლობელის პირადი მონაცემები.

²⁷⁰ შეადარე, Vehicle crime. <http://www.interpol.int/Public/Vehicle/default.asp>

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ავტოსატრანსპორტო საშუალებების დოკუმენტების დამცავი ნიშნები, რადგან მათი საერთაშორისო მასშტაბით უნიფიკაცია დღემდე არ განხორციელებულა. საბერძნეთში, ისრაელში, კვიპროსში, და ისლანდიაში ზემდინიშნულ დოკუმენტს დამცავი ნიშნები არ გააჩნია. თუმცა მთელ რიგ სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობას სათანადო დამცავი მექანიზმები აქვს.

სახელმწიფოებში შექმნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემთა რეგისტრაციის ავტომატიზირებული ბაზა, ასევე ხშირად ვხვდებით მსგავს რეგიონალურ ბაზებს, რაც ამარტივებს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთდახმარებას ინტერპოლისა და ევროპოლის მექანიზმების მეშვეობით. საქართველოს შშს მინისტრის № 150-ე ბრძანებით რეგულირდება მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესი.²⁷¹ ასეთი ბაზა არ არსებობს კვიპროსსა და დანიაში.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცება, საზღვარგარეთ მისი გადაღობვა ან გადაყვანა ხორციელდება კარგად ორგანიზებულ დამნაშავეთა დაჯგუფების მიერ, რომელთა წევრებს შორის განაწილებულია როლები. ასეთი დაჯგუფებები კარგად სწავლობენ საავტომობილო ბაზრის მოთხოვნებს. გავრცელებულია ავტომანქანის გატაცება მისი შემდგომი დაშლისა და შემკვეთისათვის მაკომპლექტებელი ნაწილების საზღვარგარეთ მიწოდების მიზნით.

მსოფლიოში უარყოფითად გავრცელებული ყალბი საქონლით, მათ შორის, ავტონაწილებით ვაჭრობა, ამ

²⁷¹ იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №150 მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესის შესახებ. ინსტრუქცია მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესის შესახებ. 2007 წლის 31 იანვარი.

პრობლემას ინტერპოლის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა.²⁷²

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების კვლევა და გაზიარება მართებულია იმდენად, რამდენადაც საქართველოდან უცხოეთში გაქცეული და ემიგრაციაში მყოფი დანაშაულებრივი დაჯგუფებები თანდათანობით ინტეგრაციას ახდენენ საზღვარგარეთ არსებულ დანაშაულებრივ გაერთიანებებთან, აქედან გამომდინარე, დანაშაული ღებულობს ტრანსნაციონალურ ხასიათს, ასეთი დანაშაულის შესამცირებლად მიზანშეწინილია თანამედროვე საერთაშორისო საპოლიციო ეფექტური მექანიზმების გამოყენება.

გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძებნის საკითხი საქართველოში ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით, რეგულირდება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 თებერვლის №99 ბრძანებულებით.²⁷³

საქართველოდან გატაცებული და საზღვარგარეთ გაყვანილი ავტომანქანის შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში საქართველოს უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანოები ან კომპეტენტური თანამდებობის პირები შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ ეცბ-ს მიმართავენ შუამდგომლობით სატრანსპორტო საშუალების შემოწმების თაობაზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისა და ძებნის განხორციელების თაობაზე სამართლებრივი თანამშრომლობა საქართველოს ეცბ-ს მექანიზმების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს:

²⁷² შეადარე. Growing evidence of links between counterfeit goods and terrorist financing. INTERPOL highlights potential risk to public safety.

<http://www.interpol.int/Public/ICPO/PressReleases/PR2004/PR200412.asp>

²⁷³ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის დამტკიცების შესახებ.“

1) ინტერპოლის საინფორმაციო არხებით ძებნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღმოჩენის შემთხვევაში;

2) სისხლის სამართლის მასალების შესაბამისად;

3) ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, რომლითაც დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენა უცხო ქვეყნის სახელმწიფო-სარეგისტრაციო ნიშნების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით;

4) უცხო სახელმწიფოში წარმოებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სარეგისტრაციო ან საიდენტიფიკაციო ნიშნების გაყალბების დადგენისას;

5) საქართველოს მოქალაქის მიერ საზრვარგარეთ შექნილი ავტოსატრანსპორტის დოკუმენტაციაში, საბაჟო დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებში აღნიშნული საიდენტიფიკაციო ნიშნების ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნიშნებთან განსხვავების აღმოჩენისას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისა და ძებნის განხორციელება ეცბ-ს მექანიზმების მეშვეობით შესაძლებელია კანონით დაშვებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ეცბ-ს წინაშე ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმების შუამდგომლობაში აუცილებლად უნდა მიეთითოს შემოწმების მოტივი და საფუძველი.

ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისას, დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანო ან თანამდებობის პირი სამი დღის ვადაში მიმართავს საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს, რათა საჭირო ინფორმაცია გადამოწმებული იქნას ინტერპოლის გენერალური სამდივნოს ან ინტერპოლის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბაზაში.

ძებნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღმოჩენისას საქართველოში საქმის მწარმოებელი დაინტერესებული ორგანო საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს სამი დღის

ვადაში აწვდის იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ინტერპოლის წევრი სახელმწიფოს დამატებითი ინფორმირებისათვის. თუ საქართველოს ინტერპოლის ეცბ-სათვის მიწოდებული ინფორმაცია არასრულია, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ეცბ საქმის მწარმოებელი ორგანოსაგან დამიტებით მოითხოვს ინფორმაციას, რომელიც მიწოდებული უნდა იქნას დადგენილი წესების დაცვით.

ინფორმაციის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ აწვდის მონაცემებს ძებნის ინციატორი ქვეყნის ეცბ-ს და სთხოვს ძებნის დადასტურებას, ამასთან ერთად, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ვითარების დეტალურ აღწერას, მონაცემებს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის შესახებ და ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ მისი დაბრუნების სურვილს.

ავტოსატრანსპორტო საშუალების დასაბრუნებლად სამართლებრივი თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ძებნის ინციატორი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მონაწილეობით, ამ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების ოპერატიულად მიწოდება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით.

საქართველოს კომპეტენტური ორგანოები სატრანსპორტო საშუალებების გატაცების შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი მათი საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ, მიმართავენ ინტერპოლის ეცბ-ს სატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში კომპეტენტურმა საქმის მწარმოებელმა ორგანომ საქართველოს ინტერპოლის ეცბს უნდა აცნობოს სისხლის სამართლის საქმის მოკლე შინაარსი, სატრანსპორტო საშუალებების საიდენტიფიკაციო მონაცემები და იმ ქვეყნების სია, სადაც სავარაუდოა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა. ამ მოთხოვნის მიღებიდან 24

საათის განმავლობაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ უზრუნველყოფს ინტერპოლის საინფორმაციო ქსელის მეშვეობით ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაყვანის სავარაუდო ქვეყნისათვის ან ინტერპოლის წევრ სახელმწიფოთა ეცბ-სათვის სათანადო მონაცემების გადაგზავნას.

საქართველოს ინტერპოლის ეცბ-ს მეშვეობით საერთაშორისო ძებნაში გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ უცხო ქვეყნის ეცბ-ეებიდან ინფორმაციის შემოსვლის შემთხვევაში, საქართველოს ინტერპოლის ეცბ არაუგვიანეს სამი დღისა აცნობებს ძებნის ინციატორ ორგანოს. ძებნილი სატრანსპორტო საშუალების საზღვარგარეთ აღმოჩენის შემთხვევაში მისი დაბრუნების ინფორმაციული და დოკუმენტური უზრუნველყოფის პროცედურა შესაძლებელია ინტერპოლის საინფორმაციო ქსელის მეშვეობით.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძებნის განხორციელებას ინტერპოლის წევრი რომელიმე ქვეყნის მოთხოვნის საფუძველზე. ინტერპოლის წევრი ქვეყნებიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძებნაზე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში საქართველოს ინტერპოლის ეცბ დადგენილი წესის დაცვით ინფორმაციას აწვდის საქართველოს კომპეტენტურ უწყებებს. მოცემული დებულებები მიუთითებს ინტერპოლის მექანიზმების გამოყენების ეფექტურობაზე.

სირთულეს წარმოადგენს საზღვარგარეთ გაყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნება, რადგან სახელმწიფოებში არსებული კანონმდებლობა განსხვავებულად წყვეტს ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილის და-

კავება შეუძლია ორმხრივ ხელშეკრულებებს, რომელიც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრაქტიკაში მწირია.

ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცებისა და საზღვარგარეთ უკანონო გაყვანის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის უნიფიკაციის მიზნით გამართული იქნა ფორუმები საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე.

ვარშავაში 1996 წელის 2 და 3 დეკემბერს გაიმართა ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცებისა და არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენცია, სადაც გამომუშავებული იქნა რეკომენდაციები, რომელიც აისახა გატაცებული და არაკანონიერად მითვისებული სატრანსპორტო საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის ტიპიურ ხელშეკრულებაში.

ვარშავის კონფერენციაზე გამომუშავებული რეკომენდაციები მოწონებული და განმტკიცებული იქნა 1997 წლის 28 თებერვლიდან 2 მარტამდე მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეთმობოდა „ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცებისა და არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას.“ აღნიშნული ფორუმების შემდეგ შეიმჩნევა მოცემულ სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის ტენდენცია. კონფერენციებზე მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა 1999 წლის აპრილში რუსეთის ფედერაციასა და შვეიცარიის მთავრობას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებაში „გატაცებული ან მითვისებული ავტოტრანსპორტის დაბრუნების უზრუნველყოფის შესახებ.“

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დაბრუნების უზრუნველყოფის ორმხრივი შეთანხმება საქართველოს მიერ დღეისთვის ხელმოწერილია მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკის მთავრო-

ბასთან.²⁷⁴ აღნიშნული ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეებსა და წინამდებარე შეთანხმების მხარეთა სახელმწიფოებს.“ აქვე ხაზგასმულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების ტრანსნაციონალური ხასიათი და მასთან ეფექტური ბრძოლის საშუალებად აღიარებულია მხოლოდ მხარეთა ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყების ურთიერთქმედება.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის შეთანხმების მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების თავიდან აცილების, მათი ძებნის და დაბრუნების მიზნით გამოყენებულ იქნას კრიმინალური პოლიციის საეთაშორისო ორგანიზაცია – ინტერპოლის საშუალებები, მათ შორის გენერალური სამდივნოს ცენტრალური მონაცემთა ბაზა.“ მე-5 მუხლი ეთმობა გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე აღმოჩენის, დაკავების, ამოღების ან დაყადაღების შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოების მიერ შეტყობინების სტანდარტულ მონაცემებს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დამკავებელი და აღმოჩენი მხარის ორგანოები ღებულობენ ზომებს შენახვის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების განკარგვა იკრძალება.

შეთანხმების მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს უფლება აქვთ დადგენილი სტანდარტული წესის მიხედვით ერთმანეთს გაუგზავნონ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნების მოთხოვნა. გადაწყვეტილება ეცნობება მოთხოვნის წარმდგენი მხარის კომპეტენტურ ორგანოს. აგ-

²⁷⁴ იხ. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დაბრუნების უზრუნველყოფის შესახებ, 27.06 2006.

ტოსატრანსპორტო საშუალება მოთხოვნის წარმდგენი მხარის წარმომადგენელს გადაეცემა მას შემდეგ, როცა წარმოდგენილი იქნება მოთხოვნის წარმდგენი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული უწყლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნების მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია გადადებული იქნას. ასეთი გარემოებებია: თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, სისხლის-სამართლებრივი გამოძიება ან სასამართლო განხილვა; ავტოსატრანსპორტო საშუალების იურიდიული სტატუსის გასარკვევად სასამართლოში შეტანილია სარჩელი; ასევე შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებიც. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ძებნა წყდება იმ მხარის კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის ინიციატივითაც დაიწყო ძებნა.

მსოფლიოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების კანონიერ ბრუნვასთან ბრძოლის პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად იზრდება ავტომანქანების გატაცებისა და მათი საზღვარგარეთ არალეგალურად გაყვანის ტენდენცია. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა დამოკიდებულია მთელ რიგ გარემოებებზე. ევროპული სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოების თანამედროვე პრაქტიკის მეცნიერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის შემდეგი რეკომენდაციები:

1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ბაზის გაფართოება;

2. აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირების ძებნისათვის, ავტომანქანების არაკანონიერად შემოყვანისა და სატრანზიტო

არხების ოპერატიულად დადგენისათვის ინტერპოლის და ევროპოლის ბაზის ინტენსიური გამოყენება;

3. საერთაშორისო ძებნაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთიანი საერთაშორისო ბაზის შექმნა, ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში ინტერპოლის და ევროპოლის ავტომატიზირებული ძებნის (ASF) სისტემის დანერგვა;

4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ერთიანი საერთაშორისო სარეგისტრაციო დოკუმენტების დანერგვა;

5. ავტოსატრანსპორტო საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით ორმხრივი და საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავება;

6. ეროვნული კანონმდებლობის უნიფიკაცია სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაბრუნების პროცედურის გამარტივების მიზნით.

სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. თუმცა აღნიშნული პერიოდისათვის უცნობია საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია. მნიშვნელოვანია ის გარემოებები, რამაც წარმოშვა საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შექმნის იდეა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში. შემოთავაზებული სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ისტორიის ოთხ პერიოდად დაყოფა საშუალებას გვაძლევს დღემდე საქართველოში შეუსწავლელი პრობლემის ირგვლივ გეკონდეს სწორი წარმოდგენა.

I პერიოდში, XIX საუკუნის 80-იან წლებიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე არ არსებობდა სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობას. სისხლის სამართლის საერთაშორისო კომისია თავისი სტატუსით არ წარმოადგენდა ორგანიზაციას, ამიტომ მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერპოლი შეიქმნა 1914 წელს, 1923 წელს, თუ XX საუკუნის 30-იან წლებში, არამართებულია.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე არსებულ სახელმწიფოთაშორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია და სხვა წინამორბედი ფორმები იმ პერიოდისათვის საპოლიციო თანამშრომლობის ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა, რომლის სამართალმემკვიდრედაც ინტერპოლი იქცა.

II პერიოდში, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე, მიმდინარეობდა ინტერპოლის, როგორც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის, სტატუსის იურიდიული და ფაქტობრივი აღიარების პროცესი.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე არსებულ დოკუმენტებში მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისიის (ორგანიზაციის) წევრობის საკითხი, ვფიქრობ, რომ ეს გაურკვეველობა იყო აღნიშნული კომისიის არასამთავრობო ორგანიზაციისათვის მიკუთვნების საფუძველი. ასევე კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების იდეოლოგიური და სამართლებრივი დაპირისპირება აფერხებდა ინტერპოლის 1956 წლის კონსტიტუციის მიხედვით იურიდიულად სამთავრობათაშორისო ორგანიზაციად აღიარებული ინტერპოლის, ფაქტობრივ ცნობას.

III პერიოდში, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალმა პრობლემამ განაპირობა 1956 წლის ინტერპოლის წესდებაში მოცემული დებულების რეალური შეფასება, რომლის შესაბამისადაც ის ფაქტობრივად აღიარებულ იქნა სამთავრობათაშორის სპეციალიზებულ ორგანიზაციად.

ინტერპოლის, გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციებისათვის მიკუთვნება არაა მართებული. ეტაპებად დაყოფა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ინტერპოლი ჩამოყალიბდა და განვითარდა, როგორც დამოუკიდებელი სპეციალიზებული სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია. მის ეფექტურობაზე მეტყველებს ის, რომ ის პირველია სპეციალიზირებულ ორგანიზაციებს შორის წევრთა რაოდენობით და ფაქტობრივად შესრულებული საქმიანობის მიხედვით.

IV პერიოდში, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში გაფარ-

თოვდა. 90-იან წლებიდან საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების გავრცელებამ განაპირობა ინტერპოლის მონაწილე სახელმწიფოების რიცხვის ზრდა, რამაც აუცილებელი გახადა ინტერპოლის სტრუქტურებში ცვლილებების განხორციელება, საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება.

90-იანი წლებში ევროპის გაერთიანების მასშტაბით აუცილებელი გახდა საპოლიციო თანამშრომლობის ისეთი ეფექტური მექანიზმის შექმნა, როგორცაა ევროპოლი, რომელმაც მოკლე დროში დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინაციაში. მისი ჩამოყალიბების თავისებურების კვლევა საშუალებას გვაძლევს დაეასკვნათ, რომ ინტერპოლისაგან განსხვავებით, ის ჩამოყალიბდა რეგიონალური ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილად.

თანამედროვე პერიოდში ინტერპოლისა და ევროპოლის სტატუსის ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე შეიძლება ვთქვათ, რომ სტრუქტურები წარმოაჩენენ მათ მნიშვნელობას სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინაციაში.

II თავში მოცემული ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების შედარებითი ანალიზი ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ ერთი მიზნის მიუხედავად, არ ხდება მათი დუბლირება. პირიქით, წარმოინდება მათი მნიშვნელობა სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობაში.

ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურები შესაძლოა დაეყოთ:

1. საკანონმდებლო;

2. აღმასრულებელ-დამხმარე და

3. მაკონტროლებელი ფუნქციის მატარებლად.

მსგავსი გადანაწილება და მათ შორის კოორდინაცია, უზრუნველყოფს ორგანიზაციის სწრაფ განვითარებას და სტაბილურობას. მათი ეფექტური საქმიანობა კი

დამოკიდებულია შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებთან დამაკავშირებელ სტრუქტურაზე.

ასეთი სტრუქტურების კვლევა აშშ-ს, შვეიცარიის, გერმანიის და რუსეთის მაგალითზე წარმოაჩენს, რომ ისინი გადამწვეტ როლს ასრულებენ საპოლიციო თანამშრომლობაში და მათ ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ამ სახელმწიფოთა ტერიტორიული სიდიდისა და მოცულობის მიუხედავად, შიდა სტრუქტურების ეფექტური დაგეგმვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა და მაღალკვალიფიციური კადრები უზრუნველყოფენ სამართალდამცავ ორგანოებთან ოპერატიულ თანამშრომლობას. თუმცა ევროპოლთან ურთიერთობის ნაციონალური ორგანოები აღჭურვილი არიან ფართო უფლებამოსილებით, რაც განპირობებულია ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის უნიფიკაციით.

ინტერპოლის მიერ შექმნილი ეცბ ჩართულია დანაშაულობასთან ბრძოლის გლობალურ თანამშრომლობაში. მოცემული სისტემა ინტერპოლს საშუალებას აძლევს კოორდინაცია და ეფექტური დახმარება გაუწიოს თითოეულ სახელმწიფოს.

საერთაშორისო მასშტაბით დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად კომპლექსური მეთოდების გამოყენება ინტერპოლს და ევროპოლს საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების მაკოორდინირებელ ფუნქციას ანიჭებს.

საერთაშორისო, რეგიონალური, ლოკალური კონვენციების, მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ინტერპოლი, ეცბ-ს მეშვეობით სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის უნივერსალურ მოდელს წარმოადგენს, ევროპოლი კი, ევროპის კავშირში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინირებისათვის ფარ-

თო უფლებამოსილების მიღებით ხელს უწყობს ინტერპოლის შემდგომ განვითარებას.

საქართველოში ინტერპოლთან ურთიერთობის ისტორიის, შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების და ნორმატიული წყაროების საკითხის გამოკვლევის საფუძველზე, მართებული იქნება წინამდებარე ნაშრომის II თავის მე-3 პარაგრაფში მოცემული წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც შეიძლება დაეაჯგუფოდ შემდეგი სახით:

1. მატერიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება;

2. დანაშაულობასთან ბრძოლის თანამედროვე საერთაშორისო საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების დამკვიდრება და პრაქტიკოს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება;

3. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მუდმივი სრულყოფა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად;

4. სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების მუდმივი სრულყოფა;

5. საქართველოს „კანონში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ არაა გამოკვეთილი ინტერპოლის და ეცბ-ს როლი კონკრეტული დანაშაულის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საერთაშორისო თანამშრომლობისას. საქართველო ტერორიზმთან ბრძოლაში სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობს შშს მეშვეობით, თუმცა მართებული იქნებოდა ამ მხრივ აღნიშნულ კანონში ეცბ-ს როლისა და ფუნქციონალური დატვირთვის წარმოჩენა. კანონში გამოკვეთილია ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს თანამშრომლობის აუცილებლობა, თუმცა სასურველია ინტერპოლთან და ევროპოლთან თანამშრომლობის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე პრიორიტეტების გამოყოფა;

6. მართებული ინებოდა საქართველოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონში ცალკე თავი დათმობოდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ინტერპოლის, ეცბ-ს და ევროპოლის როლის წარმოსენა აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით კოორდინირებულ თანამშრომლობაში;

7. ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარული ნივთების დაცვა დამოკიდებულია თითოეულ სახელმწიფოში ეფექტური კანონმდებლობის, მისი აღმსრულებელი ორგანოების ოპერატიულობასა და კომპეტენტურობაზე, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მართებული იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ადგილი დათმობოდა ინტერპოლის და ევროპოლის როლს;

8. ყალბი ფულის, ვალუტის და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღების აღკვეთისა და მათი პრევენციის საკითხი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა მართებული იქნებოდა ორგანულ კანონში საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, საქართველოს კანონში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესში გათვალისწინებული იქნას ინტერპოლის (ეცბ-ს) როლი აღნიშნულ საკითხებთან თანამშრომლობისას;

9. ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მართებული იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობაში ცალკე გამოყოფილიყო ინტერპოლის მექანიზმების გამოყენებისათვის სათანადო ნორმატიული ბაზა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისათვის;

10. მსოფლიოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების კანონიერ ბრუნვასთან ბრძოლის პრაქტიკაზე დაყრდნობით

შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად იზრდება ავტომანქანების გატაცებისა და მათი საზღვარგარეთ არალეგალურად გაყვანის ტენდენცია. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა დამოკიდებულია მთელ რიგ გარემოებებზე.

ევროპული სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოების თანამედროვე პრაქტიკის მეცნიერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის შემდეგი რეკომენდაციები:

ა) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ბაზის გაფართოება;

ბ) აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირების ძებნისათვის, ავტომანქანების არაკანონიერად შემოყვანისა და სატრანზიტო არხების ოპერატიულად დადგენისათვის ინტერპოლის და ევროპოლის ბაზის ინტენსიური გამოყენება;

გ) საერთაშორისო ძებნაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთიანი საერთაშორისო ბაზის შექმნა, ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში ინტერპოლის და ევროპოლის ავტომატიზირებული ძებნის (ASF) სისტემის დანერგვა;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ერთიანი საერთაშორისო სარეგისტრაციო დოკუმენტების დანერგვა;

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით ორმხრივი და საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავება;

ვ) ეროვნული კანონმდებლობის უნიფიკაცია სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაბრუნების პროცედურის გამარტივების მიზნით.

ინტერპოლისა და ევროპოლის მექანიზმების გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლებისათვის მართებულია მოცემული პრობლემების კომპლექსურად მოწესრიგება.

ЭФФЕКТИВНЫЕ МЕХАНИЗМЫ ПОЛИЦЕЙСКОГО СОТРУДНИЧЕСТВА

Протекающие в мире процессы, а именно либерализация границ, сопровождаемая транснациональной преступностью, делает необходимым исследование проблематики Интерпола и Европола.

В то время как Грузия стремится объявить борьбу организованной преступности в международном масштабе, занять место в Европейском союзе и НАТО, целесообразно создать полноценную информационную, научную и правовую базу для сотрудничества с Интерполом и Европолом.

Именно поэтому актуальным является исследование имеющихся в настоящее время в международном праве исторических данных, нормативной базы, законодательств влиятельных государств и моделей их взаимного сотрудничества.

Актуальность настоящей работы обусловлена также вопросами, связанными с установлением правового статуса Интерпола и Европола, представленными различными воззрениями, имевшими место в разные периоды существования этих организаций.

Актуальность темы обуславливается и тем, что затронутые в ней вопросы в силу разных причин до настоящего времени в Грузии комплексно не исследовались, тогда как в развитых странах уделяется значительное внимание изучению данных вопросов и внедрению их в практику.

Значение работы возрастает в силу того факта, что работники правоохранительных органов и большая часть населения владеет скудной и неточной информацией об Интерполе и Европоле, что может затруднить правовое сотрудничество между государствами.

Для улучшения межгосударственного сотрудничества в борьбе против отдельных преступлений в рамках Интерпола и

Европола, в процессе усовершенствования международной и внутригосударственной нормативной базы актуальной является выработка рекомендаций и предложений в связи с указанными вопросами.

Междисциплинарный характер работы обусловил применение методов исторического и сравнительно-правового анализа, что дало возможность комплексно разработать тему, до сего дня в Грузии достаточно не исследованную.

Идея межгосударственного полицейского сотрудничества в рамках международной организации берет начало со второй половины XIX века. По словам Мэтью Дефлема, на протяжении 19-го столетия попытки продвижения международного полицейского сотрудничества в широком масштабе в основном организовывались на уровне международного права, а не на административном уровне полицейских учреждений. Расширение международного права устанавливалось формально достигнутыми межправительственными договоренностями национальных государств, однако подобное согласие между правительствами не могло стать основанием для практического межполицейского сотрудничества¹. Локальное полицейское сотрудничество было направлено на подавление широко распространенной революционно-политической деятельности.

С целью иллюстрации полицейского сотрудничества в рамках международной организации правомерно условное деление истории его развития на четыре периода:

1. С 80-х годов XIX века до 50-х годов XX века;
2. С 50-х годов XX века до 80-х годов XX века;
3. С 80-х до 90-х годов XX века;
4. С 90-х годов XX века по настоящее время.

¹ DeFlem Mathieu. "Wild Beasts Without Nationality" The Uncertain Origins of Interpol. 1898 – 1910. 275 -285 Pp. in The Handbook of Transnational Crime and Justice. edited by Philip Reichel. Thousand Oaks, CA: Sage Publications. 2005. P. 276

Особенностью первого периода является многосторонняя координация международного сотрудничества в сфере уголовного права. Обстоятельства, существовавшие во второй половине XIX века, обусловили необходимость в международном сотрудничестве, проходившем по нескольким направлениям в рамках:

- а) договоров;
- б) комиссий;
- в) конгрессов;
- г) конференций и
- д) общественных объединений.

В 1872 г. на Первом международном пенитенциарном конгрессе была создана комиссия по международному пенитенциарному и уголовному праву, которая с своей деятельности уделяла значительное место «координации деятельности органов полиции в борьбе с преступностью, правовой взаимопомощи, идентификации преступников»² и другим вопросам. В 1888 г. по инициативе немецкого криминалиста Франца Листа сформировался Международный союз криминалистов, принимавший активное участие во внедрении методов исследования организованной преступности и борьбы с ней в международном масштабе³.

По мнению Л. Галенской, В. Самарина, К. Родионова и Я. Бельсона, созыв I Международного конгресса уголовной полиции в Монако в 1914 г. стал предпосылкой к созданию Интерпола⁴.

² Бородин Станислав, Ляхов Евгений, Международное сотрудничество в борьбе с уголовной преступностью, „Международные Отношения“ М. 1983 С. 16-17.

³ Люблинский Павел, О деятельности международного союза криминалистов в период 1902 -1908 г.г. „Право“ Ежедневный юридический журнал, 1909 №10 с. 635.

⁴ См. Галенская Людмила, Международная борьба с преступностью, „Международные Отношения“ М.. 1972, с. 139. Самарин Валдим, ИНТЕРПОЛ международная организация уголовной полиции. „ПИТЕР“ М.. 2004. с. 9. Родионов Константин, ИНТЕРПОЛ. „Международные Отношения“ М.. 1990 с. 20-22. Бельсон Яков, ИРТЕРПОЛ: Прошлое и настоящее. „Правоведение“. М., 1980 №3. с. 92-94

В 1923 г. на II Международном конгрессе уголовной полиции была создана Международная комиссия по уголовной полиции, которой было выделено место в здании МВД Австрии. К. Родионов, Я. Бельсон и В. Самарин считают указанный период началом истории Интерпола⁵, поскольку был принят «устав организации», что неверно, потому что была сформирована постоянно действующая комиссия, являвшаяся органом Международного конгресса уголовной полиции, а не международной организацией. По мнению Мэтью Дефлема, комиссия «была сформирована на встрече, самостоятельно созванной полицейскими чиновниками, а не как результат дипломатической инициативы»⁶. Международная комиссия по уголовной полиции с 1925 года начала учет опасных преступников⁷.

Л. Галенская считает 30-е годы XX века началом самостоятельной деятельности Интерпола, что не вполне верно, поскольку он существовал в виде комиссии. Правомерным будет считать правопреемником форумов, проводившихся по вопросам международного правового сотрудничества в 80-е годы XIX века, Международную комиссию по уголовной полиции, а последнюю – основой создания Интерпола. Неверно связывать возникновение Интерпола лишь с одной конкретной датой.

